კვირის პალიტრა

დილა

N23 (208) 3/VI.-9/VI.2004. ფასი 60 თ.

63

1168
2004

რაც მოგივა დავითაო... ანუ ფანჯარაში გაჭედილი ქალბატონი

როგორ მოვხიბლოთ ქალი? ავუბნიოთ თავგზა მამაკაცს?

საპაზარძლო – „მის საქართველო“ ფაეტონიან სასიძოზე ოცნებობს



კახი კავსაძე: „ქალიან მინდა გავაფრინო, როლი მაქვს ასეთი...“

მარნეულელი მკითხავის ოჯახი სასაფლაოდან წამოღებულ ჯაჭველეს ქვას შეეწირა?

ეკლესიის

გამოვიდა ივნისის ნომერი

ივნისი, 2004

ფასი 80 თეთრი

კეთილი ალბერტ

მართლმადიდებლური ჟურნალი

ივნისის თემა:
არ იპარო



დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი: ამბობენ, რომ ძალიან მკაცრი ვარ

ვის მივმართოთ – ფსიქიატრს, მოძღვარს თუ ორივეს ერთად?

საქართველოს მუნიზმიც დაემუქრება?

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

№23 (208)
3 - 9 ივნისი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
რუსული კაპიტალი საქართველოში ანუ „ფული, ბაბა, ბევრი ფული, ბაბა!..“ 3
ერთი კითხვა 4
სახელმწიფო
რას შქადის ორმაგი მოქალაქეობა სახელმწიფოს და მოქალაქეს 6
თანამდებობა
ენის პალატის ურჩი თავმჯდომარე და კანონის შესაბამისად „მოძრავი“ კადრები 8
საპატარძლო
● „დიდი ხნის წინ ვაწყენინე და მინდა, პატიება ვთხოვო“ 10
● „მის საქართველო-2000“ დიდ ქორწილსა და ფაეტონით მოსულ სასიძოზე ოცნებობს 11
პირველი პაემანი
ფრანგი მამაკაცის მიერ გაწბილებული ნინო იოსელიანი და... გაწევ-გამოწევა ქობულეთში 12
კრიმინალი
● 23 წლის სომეხი ქალი ქართველ ცოლ-ქმარს სადისტურ დანაშაულში სდებს ბრალს 14
● ძმებს თანასოფლელის მკვლელობაში აღანაშაულებენ 16
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
ტელესახეები
შალვა რამიშვილის „კრიშა“, კახი კავსაძე „მუსკულებში“ და „სტუმარ-მასპინძელი“ ნიუ-იორკში 18
თემა
გულუბრყვილო „კლიენტები“ და „ყოვლისშემძლე ჯადოქრები“ 21
ტრაგედია
მარნეულელი მკითხავის ოჯახი სასაფლაოდან წამოღებულ უკვლელს ქვას შეეწირა? 24
გზავნილები
„არც ჩემს გასაჭირს დაადგა საშველი და ქმარიც დავკარგე...“ 27
ჭრელი მსოფლიო 29,54
დეტექტორი
კობა დავითაშვილი: „ჩემი პოლიტიკური კრედოა – „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“ 30
ტესტი
ერთგული მკითხველი 31
მარტივი კითხვები
როგორ მოვხიბლოთ ქალი და როგორ ავუბნიოთ თავგზა მამაკაცს 32

რას შქადის ორმაგი მოქალაქეობა სახელმწიფოს და მოქალაქეს

საქართველოს პრეზიდენტმა უცხოეთში მცხოვრები ქართველები ორმაგი მოქალაქეობის შემოღებით გაახარა. მაგრამ კანონპროექტი ჯერ არ შემუშავებულა. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ამ კანონის მიღება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ორმაგ მოქალაქეობას?..

6

შალვა რამიშვილის „კრიშა“, კახი კავსაძე „მუსკულებში“ და „სტუმარ-მასპინძელი“ ნიუ-იორკში

ეგ მათი სურვილია, რომ სულ მათთან ვიყო, მაგრამ ამას როგორ განვახორციელებთ, ეს სხვა საქმეა... შალვამ არც კი იცის, რომ ჯერ გივისთვის არაფერი მითქვამს. რა ვიცი, კაცო, რა ხასიათზე იქნება: „მუსკულობა“ რომ შევთავაზო, თავში არაფერი ჩამარტყას.



18

მარნეულელი მკითხავის ოჯახი სასაფლაოდან წამოღებულ უკვლელს ქვას შეეწირა?



ვის შეეძლო ჩაედინა ასეთი საზარელი დანაშაული? რა არის დანაშაულის მოტივი? გამოძიება შურისძიების მოტივზე მუშაობს. მაგრამ სხვა ვერსიებიც არსებობს. მით უმეტეს, რომ არა მარტო დანაშაული, არამედ თავად გარდაცვლილი იმამალიევის პიროვნებაც ბურუსით იყო მოსილი.

24

„მის საქართველო-2000“ დიდ ქორწილსა და ფაეტონით მოსულ სასიძოზე ოცნებობს

სიმაღლეში 182 სმ ვარ, ამიტომ ცხადია, მამაკაცი მაღალი უნდა იყოს, რომ შემეფერებოდეს. დასაშვებია, ოდნავ ჩემზე დაბალი... არ მომწონს ქერა მამაკაცები. უმჯობესია, შავგვრემანი და არამელოტი. თუმცა, არც გრუზაქოჩრიანი ბიჭები მომწონს.



11

ტაძარი

საეკლესიო ღვთისმსახურებათა შესახებ 34

შემოქმედი

სხვენში „აგზავნილი“ ორკესტრის ხელმძღვანელი საზოგადოებას აქტიურობისკენ მოუწოდებს 35

რეკორდსმენი

ყურებით გაწევის ძალა – ორტონიანი მიკროავტობუსის 48 მეტრში გადაადგილება!.. 38

„ევრო-2004“ 39

ტრიუმფი

„პორტოს“ გამარჯვების ზეიმი პორტოში და პორტუგალიელთა მოლოდინი 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

კაილი მინოუგი: „განვლილმა ცხოვრებამ მიტევება მასწავლა“ 46

ბომონდი 49

ავტო 50

მოდა

ავთო ცქვიტინიძე თავის სახელოსნოში ეპატიჟება კარგი ჩაცმის მოყვარულთ 51

ზეიმი

„ნაყინების თაიგული ბავშვებს“ 52

ასტროლოგია

სიურპრიზებით სავსე პრობლემური თვე 53

იქნებ, თქვენ გეძებენ! 55

საკითხავი ქალებისათვის 57

ჯანმრთელობა

- ყველაფერი ეპილაციის შესახებ 58
- როგორ ვივარჯიშოთ 59
- მედიცინის სიახლეები 59

ჰოროსკოპი

კვირის (7-13 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

როგორია თქვენი საკომუნიკაციო კონტროლის დონე 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

პირველი პამანი და... გაწევ-გამოწევა ქოხულეთში

საფრანგეთში ერთ ბიჭს მოვეწონე. ერთ დღეს კულონი და საათი მაჩუქა. მე ის მხოლოდ სამეგობროდ მომწონდა. ასეც ვუთხარი: მხოლოდ მეგობრობის შემოთავაზება შემიძლია-მეთქი. დამირეკა და მითხრა: რაც გაჩუქე, უკან დამიბრუნეო. ამის შემდეგ ხომ წარმოიდგენიათ, ფრანგ მამაკაცებზე რა აზრის ვიქნებოდი?!

12

ჩემი პოლიტიკური კრედოა – „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“

– წვეულებაზე ლამაზი ქალის ყურადღების მისაპყრობად რა ხერხს მიმართავთ?

– წვეულებაზე ძირითადად, საჭმელად დავდივარ...

– ე.ი. მექალთანე არ ხართ?

– ნამდვილად არა...

30

კაილი მინოუგი: „განვლილმა ცხოვრებამ მიტევება მასწავლა“

კაილი მინოუგი და მისი ბოიფრენდი, ოლივიე მარტინესი, ევროპული შოუბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ წყვილად არიან მიჩნეული. „მოიყვანს თუ არა მინოუგს ცოლად მარტინესი?“ – რეპორტიორებს ამ კითხვაზე პასუხი აინტერესებთ, მაგრამ, როგორც ჩანს, კაილის ოჯახის შექმნის არცთუ ისე დიდი შანსი აქვს.

46

თავისუფალი თემა



დოკუმენტების მოგროვება-დახარისხებაში გართულ გვანცას უცბად ეტლის ნაცნობი ჭრიალი ჩაესმა, თავი სწრაფად ასწია და ყველა ფურცელი ხელიდან ერთდროულად დაუსრიალდა: ეტლში, ერთ დროს მისი ყველაზე დიდი მფარველი და მხსნელი – უმარ ეფენდი იჯდა...

42

რუსული ყაჩაღური საქართველოში ანუ „ფული, ბაბა, ბევრი ფული, ბაბა!..”



კაი ქვეყანა დადგა ეს ჩვენი საქართველო – ავ თვალს რომ არ დაენახვება, ისეთი: დავაჟკაცდა, დამშვენდა და ხმაც დაიბოხა. ახლა დროა, სამსახურიც იშოვოს და თავი ირჩინოს. ნორმალურ სამსახურს ვგულისხმობ, თორემ, ხომ ხედავთ, რომ ამ თურქული – „ნასკების“ და დუბაის „ტრუსიკების“ გაყიდვა პურის ფულს ძლივს ტოვებს. არადა, როდემდე შეგვინახავს ევროპა და ამერიკა?! მაშ, რა უნდა ვქნათ?

რა უნდა ვქნათ და, ფული კი არ უნდა ვითხოვოთ – უნდა ვისესხოთ! თანაც, ისეთი მეზობლისგან, სისხლს რომ გვიშრობდა აქამდე, ხან წყალს გვიშვებდა და ხანაც ნაგავს გვაყრიდა თავზე. მისი ფულით რომ გავაკეთებთ რემონტს, უფრო მოგვიფრთხილდება და იძულებული გახდება, ანგარიში გაგვიწიოს. ვინაა ასეთი?! რა თქმა უნდა, ჩვენი „ზედა“ მეზობელი – რუსეთი.



ესაა ზუსტი პოლიტიკურ-ეკონომიკური გათვლა და სწორედ ამიტომ ჩავიდა ჩვენი პრემიერი რუსეთში, როგორც თვითონ თქვა – დიდი პორტფელით, ჩაუტანია ჩვენებური ჭაჭა, ახალი ტყემალი, კარალიოკის ჩირი და ათასი რამ, რაც რუსებს ძალიან უყვართ, მაგრამ ვერ მოჰყავთ. უთქვამს კიდეც: ბატონებო, თუ ასეთი რამეები გიყვართ, ჩადეთ თქვენი კაპიტალი ჩვენს ქვეყანაში და თვითონ აწარმოეთო...

ახტა 100 უმსხვილესი ბიზნესმენი და პირველივე „ელექტრიჩკით“ ჩამოვიდა საქართველოში. როგორც პატრიოტმა პროვოკატორმა, გადავწყვიტე, მივსულიყავი და ისეთი წინადადებები შემეთავაზებინა, რაც შეიძლება ღრმად ჩაეყოთ ხელი ჯიბეებში. დავავლე ხელი რამდენიმე მათგანს, შევიყვანე უბრალო „ზაბეგალოვკაში“ და მზარეულს „ბადრიჯანი დუმაში“ შევუკვეთე. გასინჯეს თუ არა, გაგიჟდნენ ჩემი სტუმრები – Что это за чудо-ო!..

მე ვუთხარი, – ეს чудо ბადრიჯანია, ქვემო ქართლის სოფლებში მოდის „ნასიპად“ და თუ ფულს ჩადებთ, უფრო მსხვილი და გრძელიც გაიზრდება-მეთქი... – კი, მაგრამ დუმა სად არისო?..

– „დუმა“, ბატონო, თქვენს პარლამენტს ჰქვია და საქმეც გაჩარხულია-მეთქი...

ასე რომ, შევთანხმდით: ბადრიჯანი ჩვენი, დუმა – მაგათი. ისე მოეწონათ, რომ წარმოიდგინეს ქართული ბადრიჯანი რუსულ დუმაში და იმწამსვე მოაწერეს კონტრაქტს ხელი...

მერე იმერეთის სოფლებს ვაწვიე და ქარში ზღვასავით მოლივლივე მწვანილის პლანტაციებს გადავახედე. საოცარი სილამაზე იხილეს: „კეკლუცი წიწმატი შაშკვლავის კვლებისკენ იხრებოდა, თითქოს უნდოდა, გადასულიყო და წელზე შემოხვეოდა; ქინძი და ოხრახუში ჰაეროვან ამბორს უძღვნიდნენ ერთმანეთს; კამა კი საამო არომატს აფრქვევდა, რომ ნაზი ცერეცო, პრასის სიმყრალეს არ შეეწუხებინა“...

ამ რომანტიკით დატყვევებულმა სტუმრებმა დასტური იქვე მომცეს და ერთმანეთთან ხელშეუხებლობის აქტიც გააფორმეს, რომ ქინძის მაგნატი წიწმატისას არ შეეხებოდა და ა.შ.

მერე კახეთში ჩავიყვანე და ვუთხარი: – რომელ სახლსაც ყველაზე დიდ სიღარიბეს შეატყობთ, იქ შევიდეთ-მეთქი. ღარიბმა მასპინძელმა 2 წუთში გაგვიწყო სუფრა ჭაჭით, ტკბილი კვერით და ჩურჩხელით. ჭიქები არყით შევავსე და კონტრაქტის ფურცელიც, ვითომ სასხვათაშორისოდ, დავდე მაგიდაზე. მეოთხე სახარებას ვამბობდი, რომ უკვე კალამს ეძებდნენ ჯიბეში. სტუმრებს ისიც ვუთხარი, რომ ეს ყველაფერი ვაზის პროდუქტია; თხილი კი, რომელიც ჩურჩხელაშია და რომელსაც ციყვებივით აკნატუნებდნენ, აფხაზეთში მოდის ბლომად და თუ ეს მხარე ისევ საქართველოს შემადგენლობაში იქნება, მათივე ბიზნესისთვის იქნება მომგებიანი.

მოკლედ, მეშვიდე სახარებაზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სადღეგრძელო თვითონ დამასწრეს და კახურ მევენახეობაზე ზრუნვის ფიციც დადეს...

აი, ასე ჩაიდო რუსული მილიარდები ქართულ „მიწაში“. ერთი ქართველი-რუსი მძიმეწონიანი ბიზნესმენი კი „მძევლად“ დავიტოვეთ მშობლიურ მიწაზე, ეკონომიკის მინისტრობაც „მივუსაჯეთ“და სანამ დანარჩენები მის წონა ფულს არ ჩამოიტანენ, წაქცეული ქართული ეკონომიკის „წამოსაყენებლად“, სკამსაც ვერ მოიცვლის. ახლა მოსახლეობაც დავასაქმეთ და ბიუჯეტის შევსების პრობლემაც, ერთხელ და სამუდამოდ, მოვხსენით. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი ერთმა პროვოკატორმა შევძელი. სხვა, უფრო მაღალი რანგის „პროვოკატორებმაც“ კარგად იჩალიჩეს და საქმეს ეტყობა კიდეც: ისევ მოიმატა რუსული გაზის წნევამ ჩვენს გაზჭურებში, რუსული „რაო-ესის“ წყალობით კი, დენიც 24 საათი მოგვეწოდება, თორემ, შუქი რომ წასულიყო, სიბნელეში ხომ ვერ დავწ...

P.S. გლეხები სოფლის ბირჟაზე პოლიტიკას არჩევენ.

– კარგი ქვეყანაა ამერიკა: იარაღს გვაძლევს, სანაცვლოდ კი არაფერი მიაქვს.

– რუსეთი ჯობია: შუქს გვაძლევს, გაზს გვაძლევს, სანაცვლოდ კი აბაშიძე, მამალაძე და გიორგაძე მიჰყავს...

პროვოკატორი

„დევნილების დაბრუნების სანაცვლოდ რკინიგზის გახსნა ღალატია“

— რას ფიქრობთ ახალ კანონპროექტზე, რომლის თანახმადაც აფხაზეთს ექნება სახელმწიფოებრივი სტატუსი — „სუვერენული აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში“?

ნოდარ ნათაძე, „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე:

— სუვერენული სახელმწიფო სუვერენულ სახელმწიფოში — ეს იურიდიული ნონსენსია, ასეთი რამ არ არსებობს. ახალი ინიციატივა სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს ღალატი. აფხაზეთი არ იქნება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მანამ, სანამ იქნება საქართველოს შემადგენლობაში. მაგრამ თუ აფხაზეთი სუვერენიტეტს მიიღებს და მხოლოდ ხელშეკრულებით იქნება დაკავშირებული დანარჩენ საქართველოსთან, მაშინ სეპარატისტებს შეეძლებათ ამ ხელშეკრულების დარღვევა და საქართველოდან გასვლა. ნებისმიერი დათქმული სანქციის დარღვევა აფხაზებს თავისუფლების საფასურად ნამდვილად უღირთ. გარდა ამისა, ეს პროექტი აგებულია ბოდენის დოკუმენტზე, რომლის თანახმადაც, აფხაზებს მიგრაციის რეგულირების უფლება ეძლევათ, ე.ი. ისინი თავად გადაწყვეტენ, ვის ექნება აფხაზეთში ცხოვრების უფლება და ვის — არა. ჩამოიყვანენ ათასობით მოჰაჯირს, რუსს, კაზაკს, არაბს და ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდებიან; შემდეგ ჩაატარებენ რეფერენდუმს, რაც საქართველოდან გამოყოფის კიდევ ერთი იურიდიული მექანიზმი იქნება... ახლა რკინიგზის გახსნაზე ალაპარაკდნენ. ეს რუსეთისთვის იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მხოლოდ დევნილების დაბრუნების სანაცვლოდ არ უნდა დათანხმებოდნენ. რკინიგზის გახსნას, აფხაზეთიდან რუსეთის სამხედრო ბაზების მთლიანად გასვლა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ეს ჟვანიას გეგმებში არ შედის. მან კარგად იცის, როგორ უნდა იმოქმედოს ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ...

■

„ვერ დავიფიცებ, რომ კახა ბენდუქიძე რუსეთის სპეცსამსახურების გამოგზავნილია, მაგრამ...“

— ბატონო დავით, ეკონომიკის მინისტრის პოსტზე კახა ბენდუქიძის დანიშვნას თქვენ სკეპტიკურად უყურებთ. როგორ ფიქრობთ — პრეზიდენტმა მასზე რატომ შეაჩერა არჩევანი?

დავით გამყრელიძე, „მემარჯვენე ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი:

— კახა ბენდუქიძე საკმაოდ მსხვილი და გავლენიანი ბიზნესმენია. მივესალმები, თუ ის ძირეულ ცვლილებებს განახორციელებს და საქართველოში უცხოელ ინვესტორებს მოიზიდავს. თუმცა, მისი დანიშვნის მიღმა არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა რჩება. მე პირადად

ხელს ვერ დავადებ, რომ კახა ბენდუქიძე რუსეთის სპეცსამსახურების გამოგზავნილია, მაგრამ პუტინის რეჟიმში სპეცსამსახურების გარეშე გამდიდრება წარმოუდგენელია. იმ ფონზე, როცა რუსეთში არაერთი წარმატებული ბიზნესმენი გააკოტრეს, ზოგიერთი მათგანი კი ციხეში გაისტუმრეს, კახა ბენდუქიძეს მთავრობასთან პრობლემები არასოდეს შეჰქმნია. უფრო მეტიც — მას მუშაობისთვის ყოველთვის ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. როგორც სალომე ზურაბიშვილის დანიშვნით საფრანგეთის მთავრობას აქვს გავლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, სავარაუდოდ, ბენდუქიძის ფაქტორი ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გავლენას გააძლიერებს. მე ვშიშობ, რომ ამით ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საქართველოს ეკონომიკურ მონოპოლიზაციას შეეცდება... პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხზე კიდევ ერთხელ უნდა იმსჯელოს, მით უმეტეს, რომ მთავრობაში უკვე მესამე მინისტრი შეიცვალა. კანონის თანახმად, თუ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ერთი მეხუთედი იცვლება, პარლამენტმა მთავრობას ნდობა ხელახლა უნდა გამოუცხადოს.

■

„ვარდების რევოლუცია“ სამაჩაბლოსა და აფხაზეთშიც განხორციელდება“

— „ვარდების რევოლუციით“ შეშინებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება აგრესიულ ქმედებებს აღარ ერიდება. რა საპასუხო ნაბიჯებს უნდა ველოდოთ ოფიციალური თბილისისგან?

მიხეილ მაჭავარიანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:

— ცხინვალის სეპარატისტული, დე ფაქტო ხელისუფლების შიში საფუძველს მოკლებული არ არის, რადგან „ვარდების რევოლუცია“ შეუქცევადი პროცესია, რომელიც თბილისისა და აჭარის შემდეგ, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ეტაპობრივად განხორციელდება. პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ასეთია ჩვენი მთავრობის განწყობაც. თუმცა, ყველაფერი მისხალ-მისხალ უნდა გაითვალოს, რადგან კონფლიქტის ზონებში ცოტა სხვა ვითარებაა და იქ რევოლუციამდე, სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოა ჩასატარებელი. მანამდე კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის კვოტის შევსება მოხდება: მოგეხსენებათ, იქ 500 შეიარაღებულო სამხედრო პირისა და შესაბამისი ტექნიკის ყოლის უფლება გვაქვს. მოხდება აგრეთვე საგუშაგოების მაქსიმალური გაკონტროლება, რათა კონფლიქტის ზონაში კონტრაბანდული ტვირთის გადაზიდვის საშუალება არ არსებობდეს. ხელისუფლება მზად არის, საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესები დაიცვას. შეიარაღებული ძალების სამხრეთ ოსეთში შეყვანა ამ ეტაპზე ნამდვილად კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით განხორციელდა, რაც ქვეყნის ძლიერებისა და ერთიანობის წინაპირობაა. ადგილობრივი ხელისუფლების შიში სწორედ ამან გამოიწვია. მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი უკვე დაწყებულია და მას სეპარატისტების პროვოკაცია ვეღარ შეაჩერებს.

■

„ტრადიციონალისტები“ აჭარაში ბოლომდე ვიბრძოლებთ“

— „ტრადიციონალისტებმა“ აჭარის არჩევნებში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტეთ. როგორ ფიქრობთ — რამდენად გამჭვირვალე იქნება 20 ივნისის არჩევნები და გამარჯვების რა შანსი გაქვთ?

აკაკი ასათიანი, „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი:

— საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მისი წინამორბედისგან არჩევნების გაყალბების ჩვევა მემკვიდრეობით მიიღო. თუ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, 20 ივნისს დაგეგმილი არჩევნების ბედიც წინასწარ გადაწყვეტილი უნდა იყოს. არჩევნები გამჭვირვალედ რომ ჩატარდეს, „ტრადიციონალისტებს“ სერიოზული შანსი გვაქვს გამარჯვებისთვის. მაგრამ არა მგონია, ხელისუფლებამ ხმათა ის რაოდენობა იკმაროს, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა მისცემს. ბოლო დროს საქართველოში ისე ქაოსურად და ნაჩქარევად ტარდება არჩევნები, რომ პარტიები წინასაარჩევნო პერიოდისთვის ნორმალურად მომზადებასაც კი ვერ ასწრებენ. უფრო მეტიც — არ არსებობს კონსტიტუციური კანონი და კარგად არც კი ვიცით, აჭარაში რა უნდა ავირჩიოთ. ფაციფუცობენ, ხალხს გონზე მოსვლას არ აცლიან, რომ თავიანთ ჭკუაზე წარმართონ ყველა პროცესი. ჩვენი პარტია მაინც ბოლომდე ბრძოლას აპირებს. უკვე შევეგუეთ იმ აზრს, რომ რა ხელისუფლებაც გვყავს, ის არჩევნები გვექნება. მაგრამ ამის გამო სრულ უმოქმედობას ვერ მივეცემით, რადგან გვჯერა, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოში შესვლით, ჩვენი პარტიის წევრებს არაერთი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შეეძლებათ. გაყალბებების გამო კი ხელისუფლება, ადრე თუ გვიან, მკაცრად აგებს პასუხს. ■

„შეიძლება შალიკიანი პატიმრობიდან თავის დასაღწევად კომპრომისზე წავიდეს“

— პროკურატურამ ბონდო შალიკიანს ახალი ბრალდებები წაუყენა და 1.299.000 ლარის ოდენობის გადასახადების დამალვაში ამხილა. აპირებს თუ არა ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ამ თანხის გადახდას?

ვახტანგ თალაკვაძე, ბონდო შალიკიანის ადვოკატი:

— ახალი ბრალდება, რომელიც ქუთაისის პროკურატურამ ბონდო შალიკიანს წაუყენა, გადასახადებისთვის თავის არიდება და სახელმწიფო ქონების მითვისებაა. როცა გამომძიებელმა ეს ბრალდება ბატონ ბონდოს გააცნო, იგი იმდენად ცუდად იყო, რომ მოსმენის უნარიც არ ჰქონდა, მაგრამ პროკურატურის თანამშრომელს ამ გარემოებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. იგი პრაქტიკულად მძინარე პატიმარს უკითხავდა ბრალდების ტექსტს, სადაც თითქმის მილიონ-ნახევარი ლარის მითვისებაზეა საუბარი. გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდება რომ უსაფუძვლოა — ეს ცხადია. შალიკიანი რაიმე საწარმოს ფინანსური დირექტორი, ხელმძღვანელი და ბუღალტერი არასოდეს ყოფილა, მისი ხელმოწერა არსად არ ფიქსირდება, ამიტომ გადასახადებისთვის თავის არიდებას ვერც შეძლებდა. რაც შეეხება ამ აბსურდული თანხის გადახდას — არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბონდო შალიკიანი; შეიძლება, უკანონო პატიმრობიდან თავის დასაღწევად, კიდეც წავიდეს კომპრომისზე. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გამოძიებას ნამდვილად სურს, შალიკიანი რაღაც პირობებზე წამოვიდეს, მაგრამ ბატონი ბონდო დუმს. ■

„რუსული კაპიტალის წვიმას არ უნდა ველოდოთ“

— თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს რუსული კაპიტალის ხვედრითი წილი, რომ ქართული ეკონომიკის მონოპოლიზაცია გამოირიცხოს და რა სტრატეგიული ობიექტები უნდა იყოს უცხოელი ინვესტორებისთვის ხელშეუხებელი?

რომან გოცირიძე, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე:

— თუ საქართველო სწორად ჩამოაყალიბებს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკას, შეარჩევს სფეროებს, სადაც შეზღუდული იქნება უცხოური კაპიტალის დაშვება, დანარჩენ სფეროებში კი მაქსიმალურად უზრუნველყოფს ინვესტიციების შემოდინებას, არავითარი საშიშროების წინაშე არ აღმოვჩნდებით. უპირველესად, შეიზღუდება ის სფეროები, რომლებიც ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული: აეროდრომები, ნავსადგურები, ენერგეტიკის ის ობიექტები, რომლებიც აფხაზეთთან არის დაკავშირებული, ასევე მაგისტრალური გაზსადენები და ა.შ. ეს არის სტრატეგიული ობიექტების არასრული ნუსხა, რომლებიც სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობაში უნდა რჩებოდეს. რუსი ბიზნესმენების საქართველოთი დაინტერესება გარკვეულწილად, პოლიტიკური ამინდის შეცვლას უკავშირდება, მაგრამ პოლიტიკური განცხადებები და რეალური ეკონომიკური ურთიერთობების დაწყება, ერთდროულად არ ხდება. დღეს და ხვალ რუსული კაპიტალის წვიმას არ უნდა ველოდოთ. ინვესტიციების განხორციელება არაერთი ობიექტის ამუშავებასა და ხალხის დასაქმებას ნიშნავს, მაგრამ არც ერთ ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს მონოპოლიური მდგომარეობა. ხელი უნდა შევუწყოთ ამერიკული, ევროპული და ტრანსნაციონალური კომპანიების ქართულ ბაზარზე შემოსვლას. ■

„საჯარო მოხელეებს შიმშილობისთვის ვწირავთ...“

— მთავრობა კანონში — „საჯარო სამსახურის შესახებ“ — ცვლილებების შეტანას მოითხოვს, რის შედეგადაც, საპენსიო ასაკის მოსამსახურეები თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდნენ. თქვენი ფრაქცია ამ ინიციატივას რატომ ეწინააღმდეგება?

დავით საგანელიძე, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:

— პარლამენტმა მთავრობის ამ ინიციატივას მხარი არ უნდა დაუჭიროს. მთავრობის წევრები თავად იზრდიან ხელფასებს, საპენსიო ასაკის ადამიანებს კი დამატებით შემოსავალს უუქმებენ და 14-ლარიანი პენსიისთვის წირავენ. არანაირი გამართლება არ ექნება იმას, რომ საჯარო მოსამსახურეები მხოლოდ ასაკის გამო დავითხოვოთ სამსახურიდან, რადგან მარტო საპასპორტო მონაცემებით ვერ დადგინდება, შეუძლია თუ არა მას დაკისრებული მოვალეობების შესრულება. ახალი ხელისუფლება აქცენტს 20 წლის გამოუცდელ კადრებზე აკეთებს. საპასუხისმგებლო თანამდებობებისთვის მათ არც განათლება აქვთ და არც პრაქტიკული გამოცდილება. 70 წელს გადაცილებულ ადამიანს ნამდვილად შეუძლია, ზოგიერთ მათგანზე უკეთესად საქმის წარმოება. არის მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც: ამ პროექტის მიხედვით, პირებს, რომელთაც ქვეყნის სამსახურში ათეულობით წელი გაატარეს, 14-ლარიან პენსიაზე ვუშვებთ და შიმშილობისთვის ვწირავთ. შეიძლება, საჯარო სამსახურში იმაზე მეტი მოხელეა, ვიდრე გვჭირდება, მაგრამ თუ ადამიანს პენსიაზე უშვებ, არსებობისთვის საჭირო გარანტიები უნდა მისცე, ჩვენთან კი არც ერთ პენსიონერს, დამატებითი შემოსავლის გარეშე, თავის გატანა არ შეუძლია.

■

საქართველოს პრეზიდენტმა უცხოეთში მცხოვრები ქართველები ორმაგი მოქალაქეობის შემოღებით გაახარა. მაგრამ კანონპროექტი ჯერ არ შემუშავებულა. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ამ კანონის მიღება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ორმაგ მოქალაქეობას? გვესაუბრებიან პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი სალომე სამადაშვილი და მწერალი გურამ გათიაშვილი.

რას ექადის ორმაგი მოქალაქეობა სახელმწიფოს და მოქალაქეს

ლელა ჭანკოტაძე

სალომე სამადაშვილი:

— კანონპროექტი ჯერ მზად არ არის, ამიტომ მხოლოდ ზოგადი საუბრით და სხვა ქვეყნების გამოცდილებით შემოვიფარლები. საერთოდ, ორმაგი მოქალაქეობა იმის შედეგია, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი: იხსნება საზღვრები და ხალხი თავისუფლად მოძრაობს ქვეყნებს შორის. ამავე დროს, შეინიშნება ლტოლვა ნაციონალური ფასეულობების შენარჩუნებისკენ. ეს განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე ითქმის. იყო დრო, როცა საერთაშორისო სამართალი ძალზე ნეგატიურად აფასებდა ორმაგი მოქალაქეობის არსებობას, ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ისრაელი. სადღეისოდ, ეს ნეგატიური დამოკიდებულება ბევრ ქვეყანაში წარსულს ჩაბარდა. მაგალითად, იტალიაში დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვინც იტალიის მოქალაქე 1992 წლამდე გახდა. მსოფლიოში სხვადასხვაგვარი პრაქტიკა არსებობს, ამიტომ რომელიმე ერთს ვერ დაეყრდნობი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კანონის შემუშავებაც ძალზე რთულია. გათვალისწინებული უნდა იყოს ერთი მხრივ, მათი ინტერესები, ვინც ამჟამად სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ, მაგრამ სურთ, შეინარჩუნონ საქართველოს მოქალაქეობა და, მეორე მხრივ, მათი ინტერესებიც, ვინც უცხოეთში დაიბადნენ და სურთ, მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს პრობლემები რეგიონებში და ჩვენ არ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, როგორშიცაა: საფრანგეთი, იტალია თუ გერმანია. მაქსიმალურად უნდა დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესები. ამავე დროს, არ იქნება სწორი, თუ დავუშვებთ ორმაგ მოქალაქეობას ეთნიკური ქართველებისთვის და განსხვავებულ ნორმებს დავაწესებთ სხვა ეროვნებების წარმომადგენელი, საქართველოს მოქალაქეებისთვის.

— რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეიძლება განისაზღვროს, ეკუთვნის თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა?

— გააჩნია, რა პოზიციას დაიკავებს სახელმწიფო. მოვიყვან აშშ-ის მაგალითს. ამერიკა ორმაგ მოქალაქეობას უშვებს, მაგრამ ამერიკის კანონში იმიგრაციის შესახებ წერია: იმ მოქალაქეებმა, რომლებმაც ამერიკის მოქალაქეობა ნატურალიზაციის *(ვინც ქვეყანაში დაიბადა, ავტომატურად ხდება მისი მოქალაქე. — ავტ.)* წესით მიიღეს, უარი უნდა თქვან სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე. მაგრამ ეს კანონი სათანადოდ არ კონტროლდება: ბევრი ადამიანი, ამერიკის მოქალაქეობასთან ერთად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობასაც იღებს. ამან მომავალში შეიძლება პრობლემები შეუქმნას ქვეყანას.

— რა დადებითი მხარეები აქვს ორმაგ მოქალაქეობას?

— ინდოეთს ჰყავს ძალიან ბევრი იმიგრანტი მოსახლე. ალბათ ამიტომ, ინდოეთშიც განიხილავენ ორმაგი მოქალაქეობის შემოღების საკითხს, რადგან ეს აიოლებს სხვა ქვეყანასთან ეკონომიკურ, კულტურულ ურთიერთობას, ქმნის ინვესტიციების მოზიდვისათვის ნოყიერ ნიადაგს. მაგალითად: შესაძლებელია, რომელიმე კომპანიამ დაიქირაოს ამერიკაში მცხოვრები ინდოელები და საამისოდ არ იქნება საჭირო დამატებითი სახსრების გამოყოფა. თუ სხვა, საპირისპირო მა-

გალითებს განვიხილავთ, უპირველესად, პოსტსაბჭოური ქვეყნები უნდა ვახსენოთ, სადაც ამ საკითხში განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ. მაგალითად, ბალტიის ქვეყნები გამორიცხავენ ორმაგი მოქალაქეობის შემოღებას.

— ორმაგი მოქალაქეობის მქონე ადამიანებს უნდა ჰქონდეთ თუ არა საქართველოში არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

— საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ეს კანონი ვერ მომზადდება, რადგან ბევრი პრობლემა იჩენს თავს. მათ შორისაა საკითხი, რომელიც თქვენ წამოჭერით. საზღვარგარეთ ცხოვრობს ბევრი ქართველი, რომელმაც არ იცის, თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, ზოგს კი, არც აინტერესებს; ბევრია ისეთიც, რომელიც გულისტკივილით ადევნებს თვალს ჩვენში მიმდინარე პროცესებს. ორივეს მოქალაქეობის მიღების თანაბარი უფლება უნდა ჰქონდეს?.. ასე რომ, ძალიან რთული საკითხებია გადასაჭრელი. ყველა წვრილმანი უნდა იყოს გათვალისწინებული. პრობლემას შექმნის ისიც, რომ ბევრი ადამიანი საზღვარგარეთ არალეგალურად ცხოვრობს. ამიტომ სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინების გარეშე, კანონპროექტი ვერ შემუშავდება. პოლიტიკური არჩევანის გაკეთების საშუალება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აბსოლუტურად ინდიფერენტულები არიან საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ (რადგან იციან, რომ მათ მიერ გაკეთებული არჩევანი მათ ცხოვრებაზე არანაირად არ აისახება), მიზანშეწონილი არ იქნება. კანონმა ზიანი არ უნდა მიაყენოს ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებს.

გურამ გათიაშვილი:

— დღევანდელ მსოფლიოში მონოეთნიკური სახელმწიფოს წარმოდგენა შეუძლებელია. მაგრამ საქართველო ისტორიულადაც მრავალეროვანი ქვეყანაა, რაც მას განსაკუთრებულ სახეს სძენს. მაგრამ ეს გარემოება ქმნის სირთულესაც, რის გამოც ორმაგი მოქალაქეობის დაკანონება არა მარტო დადებით, არამედ უარყოფით შედეგებსაც გამოიღებს. თუნდაც იმიტომ, რომ არაქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილი საქართველოში ისე ცხოვრობს, რომ სისხლხორცეულად არ არის დაკავშირებული ამ ქვეყანასთან. ფსიქოლოგიური გაუცხოება უფრო არასასიამოვნოდ მიმაჩნია, ვიდრე ენობრივი. ამავე დროს, არიან არაქართველები, რომლებიც საქართველოდან წავიდნენ, მაგრამ დღემდე, ქართული ინტერესებით ცხოვრობენ. ამ კანონის მიღების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონიდან 8 მილიონამდე გაიზრდება: დარწმუნებული ვარ, მინიმუმ 4 მილიონი ადამიანი მოისურვებს, გახდეს საქართველოს მოქალაქე... მაგრამ კანონმა უნდა განსაზღვროს — ვის მიენიჭოს მოქალაქეობა და ვის — არა. თითოეული პიროვნება უნდა იყოს შესწავლილი: რა გაუკეთებია საქართველოსთვის და რის გაკეთებას აპირებს მომავალში. ისრაელის კანონმდებლობით, ნებისმიერი ებრაელი, როგორც კი ფეხს დადგამს ისრაელის მიწაზე, ამ სახელმწიფოს მოქალაქე ხდება. 1948 წელს, როცა ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა, მისი მოსახლეობა მხოლოდ 600000-ს შეადგენდა, ამჟამად კი 6300000-ს აჭარბებს. სახელმწიფომ ხელი შეუწყო თავის მოქალაქეებს იმაში, რომ სხვა ქვეყანაში ეცხოვრათ, იქ გამრავლებულიყვნენ, მაგრამ პარალელურად ყოფილიყვნენ ისრაელის — თავიანთი ისტორიული სამშობლოს მოქალაქეები.

— თქვენი აზრით, რა შეზღუდვები უნდა არსებობდეს ორმაგი მოქალაქეობის მიღების დროს?

— 1990 წელს იმ საპარლამენტო კომისიის წევრი გახლდით, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის კანონპროექტზე მუშაობდა, ასე რომ, ამ სფეროში მუშაობის გარკვეული გამოცდილება მაქვს. მაშინ ბევრი პრობლემა განვიხილეთ. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, თუ რამდენად ზნეობრივია, რომ ადამიანმა მიიღოს ან ვერ მიიღოს ქვეყნის მოქალაქეობა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყველა ქართველს, ვინც წავიდა საქართველოდან, ან მის შთამომავალთ აქვთ უფლება, მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. მაგრამ უნდა არსებობდეს სპეციფიკური მოტივაცია იმისა, თუ რა შემთხვევებში ვერ მიიღებს ადამიანი მოქალაქეობას: მიმაჩნია, რომ მოქალაქეობა მხოლოდ იმას უნდა მივცეთ, ვისაც ამის დიდი სურვილი აქვს. უამრავ ებრაელს, ისრაელში წასულთა დაახლოებით 80%-ს მაინც სურს, რომ ჰქონდეს საქართველოს მოქალაქეობა. ისინი შეიძლება, წლების მანძილზე ვერ ჩამოვიდნენ საქართველოში, მაგრამ მორალურად დაკმაყოფილებული იქნებიან. მე არა მარტო ქართველ ებრაელებზე ვლაპარაკობ. ქართველებიც ხომ წავიდნენ საზღვარგარეთ სამუშაოდ და წლების მანძილზე იქ ცხოვრობენ.

— როგორ წყდება ისრაელში ვოქვათ, სამხედრო სამსახურის საკითხი?

— ისრაელის ნებისმიერი მოქალაქე, როცა სამხედრო სამსახურისთვის საჭირო ასაკის ხდება, ისრაელში ჩადის — თუნდაც, სხვა კონტინენტზე ცხოვრობდეს. ასე ჩავიდა თავის დროზე ისრაელში ბენიამინ ნათანიაჰუ. მამამისი ისრაელის მოქალაქე იყო, მაგრამ აშშ-ში ცხოვრობდა. ბენიამინი იქ დაიბადა, გაიზარდა, მაგრამ ჩავიდა ისტორიულ სამშობლოში, რათა ისრაელის შეიარაღებულ ძალებში ემსახურა. შემდეგ ისევ ამერიკაში დაბრუნდა და სწავლა განაგრძო... ასეთი უამრავი შემთხვევა შემიძლია დავასახელო. ისრაელის სინამდვილეში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩემი შვილიშვილი ჯარის ასაკისაა. ის გოგონა გახლავთ. ვუთხარი — იქნებ, სამხედრო მომზადების ზოგადი კურსი გაგევლო და არმიაში სამსახურზე უარი გეთქვა-მეთქი?.. იწყინა. ჩემი ნათქვამი არ მოეწონა. ის აუცილებლად წავა ჯარში. მისთვის ეს ზნეობრიობის საკითხია. სხვანაირად ვერც წარმოუდგენია... ვფიქრობ, რომ ჩვენც ამ გზით მივდივართ. მალე ჯარში სამსახური საქართველოშიც საამაყო გახდება და ქართველი ახალგაზრდებისთვის გაუგებარი იქნება, სხვაგვარად როგორ შეიძლება მიუდგნენ ამ საკითხს.

— არჩევნებში მონაწილეობაზე რას იტყვით?

— კონკრეტულად ისრაელში რა ხდება — არ ვიცი. ჩემს მაგალითზე მოგახსენებთ: ბოლო ორი არჩევნების — 4 იანვრის საპრეზიდენტო და 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების დროს ისრაელში გახლდით, მაგრამ არჩევნებში ვმონაწილეობდი. ცხადია, ისრაელში გამართულ არჩევნებში ხმას ვერ მივცემდი — მე ხომ ისრაელის მოქალაქე არა ვარ.

— როგორი აზრი აქვთ ისრაელში მცხოვრებ ებრაელებს საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის შემოღების შესახებ?

— უამრავი ქართველი ებრაელის აზრი ვიცი. მათ „ორი დედის“ პრობლემა აქვთ, ამიტომ სიამაყით, სიხარულით მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას. ამგვარად, თავისუფალი მიმოსვლის საშუალება ექნებათ და სურვილის შემთხვევაში, საქართველოსთვის სასიკეთო საქმეს უფრო იოლად გააკეთებენ. როცა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიმართა სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებს და უთხრა, რომ მათ აქვთ უფლება, გახდნენ საქართველოს მოქალაქეები, ძალზე გამიხარდა. პრეზიდენტმა ის საკითხი გადაჭრა, რომელიც მე ასე მაწუხებდა. მგონია, რომ მისი გადაწყვეტილება კაცობრიობის გამოცდილებას ემყარება. როცა 1948 წელს ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა, ამის თაობაზე დავით ბენგურიონმა საგანგებო განცხადება გააკეთა. დამოუკიდებლობის დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ მან თქვა: ყველა ებრაელი, რომელ სახელმწიფოშიც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, დღეიდან ისრაელის მოქალაქეაო. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. ამან ებრაელი ხალხი გადაარჩინა, გააერთიანა, გააძლიერა. ■

როგორც ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე, ლევან ღვინჯილია ამბობს, მას განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თავისი პირველი მოადგილის პირით შეუთვალა, რომ დაწეროს განცხადება საკუთარი სურვილით თანამდებობის დატოვების შესახებ. მასმედიაში, ახალი თავმჯდომარის პოსტზე შესაძლო კანდიდატად ისტორიკოს ბეჟან ჯავახიას გვარმაც გაიჟღერა. როგორც ირკვევა, ლევან ღვინჯილიას მცირედი სურვილიც არ ჰქონია, მის მიერვე დაარსებული უწყების ხელმძღვანელის თანამდებობა დატოვოს. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ურჩობის შედეგად მიიღო ის, რომ იქ, სადაც ორიოდე დღის წინ, ენის სახელმწიფო პალატის ოფისი იყო განთავსებული, ქალაქის უშიშროების სამსახურმა დაიდო ბინა და მისმა წარმომადგენლებმა ღვინჯილიას განუმარტეს, რომ ნაბრძანები აქვთ, ის შენობაში არ შეუშვან! რა ხდება ენის პალატაში, რა პოზიციაზე დგანან დაპირისპირებული მხარეები და როგორ ფიქრობენ ჩიხიდან გამოსვლას? — ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ლევან ღვინჯილიას და კახა ლომაიას ვთხოვეთ.

ენის პალატის უჩჩი თავმჯდომარე და კანონის შესაბამისად „მოძრავი“ კადრები

ნანა ქიბიშაური

ლევან ღვინჯილია, *ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე:*

— ენის სახელმწიფო პალატა 1997 წელს შეიქმნა და მიუხედავად იმისა, რომ შექმნის დღიდანვე ქვეყნის პირველი პირების უშუალო დაქვემდებარების ქვეშ იყო, არასოდეს ყოფილა განებივრებული. თავდაპირველად, 2 წელი თბილისის დასუფთავების კანტორის სარდაფში ვიყავით, იმ შენობის ნაწილი კი (ოთხი ოთახი), სადაც ბოლო დროს ვმუშაობდით, 1999 წელს გადმოგვეცა ფლობისა და განკარგვის უფლებით. მეორე ფლიგელში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სამსახური განთავსდა. ენის პალატის სტრუქტურის ბოლო ვარიანტი 2003 წლის იანვარში დამტკიცდა. დღეს ჩვენ არაფერი აღარ გვაქვს. იმ კანონპროექტის ავტორებს, რომლებიც სამსახურების რეორგანიზაციაზე მუშაობდნენ, დაევალათ, რომ ყველა სახელმწიფო უწყება, რომელიმე სამინისტროს შემადგენლობაში მოქცეულიყო. მაგრამ ამ ცვლილებისთვის ბევრი მინისტრი მზად არ აღმოჩნდა. ისე გადაგვიყვანეს განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში, რომ ჩვენთვის აზრი არავის უკითხავს. ამის თაობაზე ტელეეკრანიდან, პარლამენტის სხდომის შესახებ გაკეთებული კომენტარიდან შევიტყვე. ამის შემდეგ მქონდა სატელეფონო საუბარი განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან და მე მას ვთხოვე, შევხვედროდით ერთმანეთს. მინდოდა, მას შემდეგ, რაც ბიუჯეტის პროექტს და პალატის სტრუქტურის საშტატო განრიგს წარვუდგენდი, ოფიციალურ ცხრილებს მიღმა პალატის მიერ გაწეული მუშაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მესაუბრა. მინისტრმა მიპასუხა, რომ ჩვენი შეხვედრა შედგებოდა მაშინ, როცა ის ამას საჭიროდ ჩათვლიდა. ამის შემდეგ მე მასთან გასაუბრება აღარ მიცდია. 25 მაისს დამიკავშირდა მისი მოადგილე და მაცნობა მინისტრის შემონათვალი, რომ ჩვენ ერთად მუშაობა გაგვიჭირდება და უკეთესი იქნება, თუ საკუთარი სურვილით გადადგომის შესახებ განცხადებას დავწერ. ვიკითხე: ვისთვის იქნება უკეთესი-მეთქი? — თქვენთვისო. — მიპასუხა. — ძალიან მაინტერესებს, როგორ ჩამოაყალიბებს მინისტრი ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებას, ამიტომ, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებ და განცხადებას არ დავწერ-მეთქი. 80 წელს მიტანებული ვარ და ეიდა მეკითხებიან: ისეთი რა დანაშაული ჩაიდინე ქვეყნის წინაშე, რომ შენივე შექმნილი სამსახურიდან გხსნიანო?.. როგორ ავუხსნა მათ, რომ ნამდვილად არ ვიცი, რატომ არის ჩემი პიროვნება მინისტრისთვის მიუღებელი. მეჩვენება, რომ ამ კაცს ბიოლოგიურად არ მოვწონვარ. მინისტრს ურჩევნია, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა უწყებაში მის მიერ დანიშნული კადრი იყოს და მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ არის ის, ვისაც თავიდან იშორებს. შეიძლება, კახა ლომაია გააღიზიანა იმან, რომ პირველ ბრძანებაზე, რომელიც მან გამოსცა, თავის უფლებამოსილებას გადააჭარბა და მე ამის შესახებ გამოვთქვი ჩემი მოსაზრება. მისი ბრძანების თანახმად, უნდა გამეფრთხილებინა ჩემი თანამშრომლები სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ. მისი ბრძანება გამოვაქვეყნე გაზეთში და იქვე მივუთითე, რომ არსებობს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომლის თანახმადაც, სამსახურის რეორგანიზაცია არ ითვალისწინებს მოხელეთა სამსახურიდან დათხოვნას. შემდეგ ბატონმა ალექსანდრე დიდებულიძემ (მინისტრის პირველი მოადგილე) მითხრა, რომ კახა ლომაიამ გააუქმა ბრძანება და ახალი ბრძანების ასლს, ბოდიშის მოხდის ბარათთან ერთად, გამოგვიგზავნიდნენ. ამ გზავნილს ჩვენამდე ჯერ არ მოულწევია...

— რას აპირებთ მომავალში? რა შემთხვევაში დააკმაყოფილებთ მინიტრის მოთხოვნას?

— მათ ჯერ ის უნდა გადაწყვიტონ, განცხადების დაწერის შემთხვევაში, ვის უნდა ვთხოვო ჩემი გათავისუფლება: — ენის პალატის თავმჯდომარეს ხომ პრეზიდენტი ნიშნავდა?! თუ ის ზეწოლის მეთოდები არ იქნება შედეგიანი, რასაც ჩემს წინააღმდეგ მიმართავენ, ალბათ, მინისტრი დაწერს პრეზიდენტის სახელზე განმარტებით ბარათს, რატომ მათავისუფლებს. წავიკითხავ (სიმართლე გითხრათ, ძალიან მაინტერესებს), მერე დავიხურავ ქუდს და წავალ სახლში.

— რა ზეწოლის ფორმებს გულისხმობთ?

— მიმანიშნეს, რომ პასუხს ვაგებ იმის გამო, რომ ჩვენი მეზობლის — ყოფილი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სამსახურის საპირფარეშოში დახარჯული წყლის გადასახადი არ გადავიხადე. ამას ემატება ჩემს კაბინეტში დამონტაჟებული პირსაბანიდან დახარჯული წყლის 5 თვის დავალიანება (ვიანგარიშე და თანხამ 72 ლარი შეადგინა). კიდევ თითი დამიქნიეს იმის გამო, რომ თურმე, საპროექტო სამსახურთან შეთანხმების

გარეშე გადავაადგილე მაგიდები და სკამები... და ა.შ. ენის პალატაში გაწეული მუშაობისთვის ყოველთვიურად 118 ლარს ვიღებდი. დღემდე, მეუღლეს და 6 შვილს ვინახავ იმით, რომ „არტ-იმედთან“ შექმნილ ხალხური სიმღერების გუნდში ვმღერი... თუ პრეზიდენტი მიიღებს ჩემი გათავისუფლების გადაწყვეტილებას, გული კი დამწყდება, მაგრამ ჩავთვლი, რომ იმ მოხელეთა გავლენის ქვეშ მოექცა, რომლებიც ამბობენ: „სამსახურში დანიშვნის დროს გადამწყვეტი იქნება კომპიუტერისა და ინგლისური ენის ცოდნა“ ან – „40 წლისას ხეს ვერ ვიტან ეზოში, არათუ მოხელეს“... ენის სახელმწიფო პალატა ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი სამსახურია და მინდა, მისი მნიშვნელობა სრულფასოვნად შეაფასოს ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ.

კახა ლომაია, *განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:*

– თუ ბატონი ლევან ღვინჯილია მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ დაწეროს განცხადება თანამდებობის დატოვების შესახებ, თხოვნით პრეზიდენტს უნდა მიმართოს, განცხადება კი ჩვენს სამინისტროში მოიტანოს. პრეზიდენტს ამ განცხადებას ჩვენ წარვუდგენთ. მე შევხვდები ბატონ ლევანს და არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში, სხვადასხვა პროგრამაზე ვითანამშრომლებთ. რაც შეეხება თხოვნას, რომელიც ჩემმა მოადგილემ გადასცა, ეს არის ელემენტარული სამსახურებრივი ეთიკა. სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების პირველი პირები აკეთებენ ჟესტს და ახალ ხელმძღვანელობას აძლევენ საშუალებას, მიიღოს საკადრო გადაწყვეტილებები. ამ ჟესტზე მინიშნება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ჩვენ ლევან ღვინჯილიას მიმართ გვქონდეს პიროვნული შეუთავსებლობა ან მის პროფესიულ დამსახურებას არ ვაფასებდეთ სათანადოდ.

— კი, მაგრამ არ გიქმნით უხერხულობას ის, რომ კაცს მისი ინიციატივით და მის მიერ შექმნილი უწყებიდან ათავისუფლებთ?

– ყველა სამსახური ვიღაცის მიერაა შექმნილი და ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიკვდილამდე მან უნდა უხელმძღვანელოს...

— ფიქრობთ, რომ ისტორიკოსი ბეჟან ჯავახია უკეთესად გაუძღვება ამ სამსახურს?

– მე არ მითქვამს, რომ ლევან ღვინჯილიას ნაცვლად ბეჟან ჯავახია დაინიშნება. თუ რაიმე ცვლილებები იქნება კადრებთან დაკავშირებით, ყველაფერი კანონთან შესაბამისობით განხორციელდება...

■

„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლო“ ანი გიუნტერი გახლდათ. მისი ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ძალზე მძიმე დღე დამადგა: ძლივს ვუმკლავდებოდი „შეტევაზე“ გადმოსულ მის თაყვანისმცემლებს. მათ შორის, ბევრი პატიმარი გახლდათ და როგორც თვითონ მეუბნებოდნენ, მათ ერთადერთ იმედად სწორედ ჩვენი „საპატარძლო“ ეგულებათ...

„დიდი ხნის წინ ვაწყენინე და „მინდა, პატიება ვთხოვო“

მარი ჯაფარიძე

„1977 წელს დავიბადე. სიმაღლით 194 სმ, ნახევრად ქართველი, ნახევრად უკრაინელი ვარ. უმუშევარი არა ვარ. მეც ვეძებ ჩემს მეორე ნახევარს. იქნებ, ეს შენ ხარ, ანი?.. თემო“.

„ვერ გეტყვი, რომ მიყვარხარ, მაგრამ შენი დანახვისას ვგრძნობ, რომ კარგი ხარ. ერთ რჩევას მოგცემ: სტილს თუ შეიცვლი, ნამდვილი „პანიკა“ იქნები. გკოცნი იმდენს, რამდენსაც გაუძლებ. მე ვარ გიკა. სამწუხაროდ, 23 წლის. დანარჩენი შენ გაარკვიე. ვცხოვრობ პეკინზე“.

„არ მოგატყუებ, პირველად ახლა წავიკითხე შენი ინტერვიუ. დარწმუნებული ვარ, უამრავი მამაკაცი შეგეხმიანება. პრეტენზია არ მაქვს... Просто ты очень хороша собой“.

„გარეგნობით ლამაზი ხარ. მევასე. ანგელოზო, ხომ არ გაგვეცნო ერთმანეთი? შენით დავინტერესდი, გვრიტო. თელავიიიი!“

„მარი, ეგ გოგო ჩემთვის მინდა. დიდი ხნის წინ ვაწყენინე და მინდა, პატიება ვთხოვო. ახლა მივხვდი, რომ მიყვარხარ. დამირეკე, რა, ანუშკი! შენი ლადო-ლუკა“.

„რომ მოჰყოლოდი უბელო თეთრონს, მყოლოდა ანი, ბაკური, ჩონთა, რომ ჰყვარებოდი მწყემსს და სალამურს, იქნება ჯობდა, იქნება ჯობდა? თუში მწყემსი. გამხადე ღირსი „მესიჯის“.

„ანი, შენ გაქვს ლამაზი ფეხები, ლამაზი ტანი და სახე. ასე რომ, მე შენით კმაყოფილი ვარ. შენი ირაკლი“.

„ანი, შენი ინტერვიუ წავიკითხე. მომხიბვლელი ტანი და იდეალური გამოხედვა გაქვს. თავს არ მოგაბეზრებ, გეტყვი, რომ მოგზაურობა მიყვარს. ვცხოვრობდი გერმანიაში, ესპანეთსა და მოსკოვში. ვარ 27 წლის“.

„ვარ ინტელიგენტი, ახალგაზრდა მამაკაცი. 27/185/79. მიყვარს კლასიკური მუსიკა, იოგა. მსურს შენი გაცნობა და შენთან ურთიერთობა, რომელიც ლოგინის თბილ ატმოსფეროში იპოვის გაგრძელებას. უტა“.

„ანა, მაგარი გოგო ხარ. სიზმარშიც კი შენ გხედავ. ვარ მაღალი, სიმპათიური, სოფლელი ბიჭი. იმედი მაქვს, „დამიმესიჯებ“. რეზო“.

„პატარა სურვილს გავუმხელდი მე ლამაზ გოგოს. წუთით რომ მაინც ჩამხედო ცისფერ თვალებში, თუ დამიჯერებ, სხვა სურვილი მე მართლა არ მაქვს. ეს ერთი წუთი სულ იცოცხლებს ჩემს ოცნებაში“.

„ძალიან მაგარი ფეხები გაქვს და საერთოდ, ძალზე ლამაზი გოგო ხარ. შენთან ერთად ყოფნაზე ნამდვილად არ ვიტყოდი უარს. ქობულეთი“.

„ანი, მე ის ვარ, ვინც შენთვის არის კარგი და ძალიან კარგი. არც დაბალი, არც მელოტი და არც ღიპიანი. ვარ მაღალი და სიმპათიური. მე ძალმიძს შენ გვერდით ყოფნა“.

„ბესიკი რომ ცოცხალი იყოს, „ტანო ტატანოს“ მეორედ დაწერდა“.

„გიუნტერ, მე შევძლებ შენ გვერდით ყოფნას (გამოცდილებიდან გამომდინარე), მაგრამ იცი, საქმე რაშია? შენ შეძლებ ჩემ გვერდით ყოფნას?.. „პადუმაიტე“.

„შენ ისე არ გექნება საქმე, რომ ჟურნალებით ეძებო საქმრო. ღადაობის ხასიათზე თუ ხარ, ვიღადათ. თუ გგონია, შენზე ნაკლები ვარ? თმის ღერიც არ მაკლია. ვარ 28 წლის, არ ვეწევი, იშვიათად ვსვამ. ვერ წარმოიდგენ, როგორი ერთგული ვარ. მოკლედ, სერიოზული მამრი ვარ. დანარჩენს ცხოვრება გვიჩვენებს. გია“.

„დიდი სურვილი მაქვს, ანი ჩემი მეუღლე გახდეს. მის დანახვაზე ჭკუა მეკეტება. ოქროს კოშკებს ვერ შევპირდები, ერთადერთი, რისი მიცემაც შემიძლია, დიდი გრძნობაა“.

„ვარ 185 სმ, 27 წლის. მაქვს წაბლისფერი თმა, მწვანე თვალები. მეუბნებიან, ძალიან სიმპათიური ხარო. ვცხოვრობ დამოუკიდებლად. მყავს მშობლები და უფროსი ძმა“.

„სიო ეხება შენს ტუჩებს, როგორც ფანტელი სამყაროს, ისეთ სიყვარულს გასწავლი, სიკვდილმაც რომ ვერ გაგვყაროს. ანი, ვარ 28 წლის. თუ დამირეკავ, ბედნიერი ვიქნები. დათო“.

„ანა, სიყვარულის ინსტრუმენტო, მოვიხიბლე. იქნებ, მომწერო: xozo@list.ru დაგირეკავდი, მაგრამ სამში ქვეყნიდან მივდივარ 6 თვით. მხოლოდ ინტერნეტით შეძლებ ჩემთან კონტაქტს“.

„ვარ 2 მ სიმაღლის, 107 კილო. 1982 წლიდან 1984 წლამდე ვთამაშობდი თბილისის „დინამოს“ კალათბურთის გუნდში. 1984-1989 წწ. „ცე-ესკაში“. ვარ 35 წლის. მაქვს ბინები თბილისში, ბორჯომსა და მოსკოვში. მარი, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ. ჩემი ბედი შენს ხელთაა. თუ დამეხმარები, პატივისცემა ჩემზე იყოს“.

„დავდივარ ქვებზე, ვიწვები მზეზე, არ გიცნობ, მაგრამ ვეცემი შენზე. მე მირიანი ვარ – მამაკაცი შენი ოცნებიდან“.

„გამარჯობა, ანი. მე შენთვის უცნობი ვარ, მაგრამ ძალიან მომწონხარ. „მუსკულებს“ შენს „მუღამში“ ვუყურებ“.

„ვარ ანის ოცნების მამაკაცი. ცხოვრებაში არასოდეს დავმთვრალვარ, სიგარეტი არ მომიწევია. მიდევ სპორტს. ჰოროსკოპით კურო, ერთგული ვარ. არ ინანებ. ოთარი“.

„ანი, ჩემო კარგო, ყოველთვის ძალიან მომწონდი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ძალზე დიდი წარმოდგენა გაქვს შენს თავზე. ასე არ ვარგა. მარი, ტენდენციურობა არ იყოს! დამიბეჭდე“.

■

დღეს ჩვენს რუბრიკაში კვლავ „საპატარძლოს“ წარმოგიდგენთ. ეს გახლავთ მომღერალი, ჯგუფ „ენსის“ წევრი, 2000 წლის „მის საქართველო“ ნათია ნებიერიძე. ნათია მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. თვითონვე აღიარებს, რომ ზარმაცია და დაუფარავად გვიმხელს თავის სხვა უარყოფით თვისებებსაც.

«მის საქართველო–2000»

დიდ ქორწილს და ფეიერვერკით მოსულ სეიძოზე ოცნებობს

მარი ჯაფარიძე

— **ნათია, გაგვაცანი შენი ოჯახი.**

— მამა დაიღუპა. ვცხოვრობ დედასთან, დასთან, ბებიასთან, მამიდასთან და მამიდაშვილთან ერთად. მამიდა ქმართან გაყრილია და ჩვენთან ცხოვრობს. ჩემი მამიდაშვილი ჩემი ხნისაა და ნანუკა ჰქვია.

— **რამდენი წლის ხარ?**

— დავიბადე 1985 წელს, ვარ 19 წლის და ზოდიაქოთი სასწორი გახლავართ. მართლაც, სასწორივით მერყევი ვარ და ძალზე მიჭირს გადაწყვეტილების მიღება. ყოველთვის ვყოყმანობ და ბოლოს, როგორღაც გადავდგამ ხოლმე ნაბიჯს...

— **დაგვიხასიათე შენი თავი.**

— ისევე, როგორც ყველა ჩვეულებრივ მოკვდავს, მეც მაქვს კარგი და უარყოფითი მხარეები. ის, რომ კეთილი ვარ, ვფიქრობ, დადებითია... ვარ თბილი და კონტაქტური ადამიანი. ყველაზე მეტად ტყუილი მეჯავრება. თუმცა, ჩემ შესახებ ხშირად გაიგებთ, რომ ვარ ცივი, უკარება და „სტერვა“ გოგო. მაგრამ როდესაც ადამიანი კარგად გამიცნობს, აზრი ეცვლება და ხშირად უთქვამთ კიდეც — ჩვენ სხვანაირი გვეგონე და თურმე, რა კარგი გოგო ყოფილხარო. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს — ვარ ზარმაცი და ეს ძალზე ცუდია. თუ ვთქვათ, სადმე საქმეზე წასვლას ვაპირებ, დროს ვწელავ, საქმეს გადავდებ, გადავდებ და ამის გამო შესაძლოა, გავაფუჭო კიდეც... ბუტიაც ვარ, მაგრამ შესაძლებელია, გული იოლად მომიბრუნდეს. თუმცა, გააჩნია, რა მეწყინება. მეტ-ნაკლებად ჯიუტიც ვარ. თუ რამეს ჩავიფიქრებ, აუცილებლად უნდა ავისრულო სურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალზე ცუდად ვგრძნობ თავს. შესაძლოა, ეს უფრო ჭირვეულობა იყოს, მაგრამ ასეა და რა ვქნა?!.

— **ხშირად ტირი?**

— არც ისე ხშირად, მაგრამ ხანდახან გემრიელად წავუტირებ ხოლმე. ზოგჯერ უმიზეზოდაც ვტირი. ისეთი განწყობა მაქვს ხოლმე, რომ ტირილი მინდება. მეც ვიტირებ და მერე თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ.

— **სიმღერის გარდა, რით ხარ დაკავებული?**

— ვსწავლობ. ვსწავლობ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, დიპლომატიის ისტორიის განხრით. მე-2 კურსზე ვარ. ლექციებს აქტიურად ვერ ვესწრები, ძალზე ბევრს ვაცდენ. მაგრამ ყველა ხელს მიწყობს, ბევრს მპატიობენ, რადგან იციან — მომღერალი ვარ და ძალზე დაკავებული გახლავართ.

— **თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

— მეგობრებთან ერთად ვერთობი. მიყვარს ღამის კლუბებში სიარული და ვგიჟდები ცეკვაზე. მუსიკის ხმას გავიგებ თუ არა, მაშინვე ავცეკვდები ხოლმე, თუნდაც, ამ დროს ქუჩაში ვიყო. ცეკვით არასდროს ვიღლები და არასდროს მბეზრდება.

— **ვიცი, რომ 2000 წელს „მის საქართველო“ გახდი...**

— დიახ, ასე იყო. მაშინ სოფო ჭყონიას სამოდელო სააგენტოში ვმუშაობდი. შემდეგ მქონდა მიწვევა მოსკოვში, მაგრამ ჩემი გამგზავრება ვერ მოხერხდა. სიმართლე რომ გითხრათ, მოდელობას მომღერლობა მირჩევნია. როგორც მოდელს, ნაკლები პერსპექტივა მაქვს, რადგან აქ ამ საქმისგან შემოსავალი არ მექნება, საზღვარგარეთ სამოდელო სააგენტოში სამუშაოდ მშობლები არ გამიშვებენ. როცა მოდელი ხარ, კომპლექსი არ უნდა გაწუხებდეს და საცვლებითაც უნდა გამოხვიდე პოდიუმზე. საქართველოში ეს წარმოუდგენელია. აქ შიშვლად რომ გამოჩნდე, ისეთი აურზაური ატყდება, არასოდეს დაგავიწყდება. საზღვარგარეთ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მე ტრადიციულ ოჯახში აღვიზარდე, ამიტომ ეს ჩემი ოჯახისთვის მიუღებელია. უცხოეთში ბოიფრენდიც მიღებულია, ჩემთვის კი — მიუღებელი. დიდი სურვილი მაქვს, მყარი, ნამდვილი ქართული ოჯახი შევქმნა.

— **მზითვი თუ გაქვს გამზადებული?**

— არა, ჯერჯერობით ჩაწყობილ-ჩალაგებული მზითვი არ მაქვს. მაგრამ როცა გათხოვებას დავაპირებ, ყველაფერი მექნება.

— **როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— სიმაღლეში 182 სმ ვარ, ამიტომ ცხადია, მამაკაცი მაღალი უნდა იყოს, რომ შემეფერებოდეს. დასაშვებია, ოდნავ ჩემზე დაბალი... არ მომწონს ქერა მამაკაცები. უმჯობესია, შავგვრემანი და არამელოტი. თუმცა, არც გრუზაქოჩრიანი ბიჭები მომწონს. თმა მოკლედ უნდა ჰქონდეს შეკრეჭილი, სპორტული აღნაგობის, იუმორის გრძნობის მქონე, ხალისიანი, გახსნილი და კონტაქტური უნდა იყოს. არ უნდა უყვარდეს სასმელი. მის ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელობა არა აქვს. თუ სიმართლეს გეტყვით, რაც უფრო მდიდარი იქნება, მით უკეთესია, მაგრამ თუ კარგი ტიპია, მისი ქონება არ მაინტერესებს. უზომოდ უნდა ვუყვარდე და შეეძლოს ქალის პატივისცემა.

— **შენი ქორწილი თუ გაქვს წარმოდგენილი?**

— ვერ გეტყვით, ამაზე გამუდმებით ვფიქრობ-მეთქი, მაგრამ ხანდახან მიფიქრია. ვერ ვუგებ იმ ადამიანებს, ვინც ამბობს, რომ ქორწილი სულაც არ არის საჭირო. მე ძალიან დიდ ქორწილს გადავიხდი და ძალზე ბევრ სტუმარს დავპატიჟებ. აუცილებლად მეცმევა საუცხოოდ შეკერილი თეთრი, სადედოფლო კაბა. სიძემ კი, ფაეტონით უნდა მომაკითხოს... აუ, რა კარგი იქნება, ხომ? იქნება ძალზე ბევრი ფეიერვერკი და მხიარულება. თუმცა, ფეიერვერკთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ამბავი მახსენდება და იმედია, ისე არ მოხდება: ტელეკომპანია „პირველი სტერეო“ „ჯადოსნურ ღამეს“ იღებ-



182 სმ ვარ, ამიგომ ცხადია, მამაკაცი მაღალი უნდა იყოს, რომ შემეფერებოდეს

და და ჩვენც ვმონაწილეობდით. ფინალი ასეთი იყო: ყველა მომღერალი ავანსცენაზე გამოდიოდა და იქ ფეიერვერკი ინთებოდა. ფეიერვერკის ჩართვა ცოტა ადრე მოუხდათ და ისეთი ამბავი ატყდა, რომ ვინ საით გარბოდა, ვერ გაიგებდით. ზოგი სცენიდან გადავარდა, ზოგი აქეთ ჩაიჩეხა, ზოგი — იქით...

— ვფიქრობ, თაყვანისმცემლებისა სიმცირეს არ უნდა უჩიოდე...

— პირიქით, ძალზე ბევრი თაყვანისმცემელი მყავს. ტელეფონზე პასუხის გაცემას ვერ ავუდივარ. ეს ძალზე შემაწუხებელია, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს?! ბევრი ბავშვი მირეკავს და მეუბნება, რომ ვუყვარვარ. გოგონებიც მირეკავენ. მათთან ურთიერთობა უფრო გამომდის. ბიჭებთან ლაპარაკი არ მიყვარს და ვეუბნები ხოლმე — კონცერტის დროს მოდი და გამეცანი, ტელეფონით რა გელაპარაკო-მეთქი?!. ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით. კერძო სახლში ვცხოვრობ. ერთ ღამეს შინ მე და ჩემი მამიდაშვილი ნანუკა ვრჩებოდით. ჩვენთან მოსულმა მეგობრებმაც დარჩენა გადაწყვიტეს. ხომ იცით, გოგონები რომ ერთად შეიკრიბებიან, ამ მთისას გაიხსენებენ, იმ მთისას, იჭორავებენ... ჰოდა, ჩვენც გვიანობამდე შევყევით ლაპარაკს. უცებ, რაღაც ხმური შემოგვესმა. მე ძალზე მშიშარა ვარ. ადგილიდან ვერ დავიძარი. ნანუკამ მეორე სართულის აივნიდან გადაიხედა. ამ დროს ვიღაც, კარგად ჩაპუტკუნებული ბიჭი გადავარდა და მიწაზე დავარდა. აღმოჩნდა, რომ ჩემს თაყვანისმცემელს მეგობარი გამოუგზავნია და ყვავილები გამოუტანია. კედელი ისეთი გლუვი იყო, რომ ვერ ამოცოცდებოდა. რაღაც ძალზე წვრილი მილი ამოდიოდა მეორე სართულამდე და იმას ამოჰყოლია. ნანუკასი კი ისე შეეშინდა, რომ მილს ხელი გაუშვა და ძირს მოადინა ზღართანი... თაყვანისმცემლები არც ბავშვობაში მაკლდა და მაშინაც სულ ყვავილებს მჩუქნიდნენ ხოლმე. ასე, ათი წლის ვიქნებოდი, როდესაც ასაკით ჩემზე პატარა ბიჭს შევუყვარდი. ყოველ დილით კარზე ზარის ხმა გაისმოდა; გავაღებდით კარს და იქ არავინ იყო, ძირს კი ყვავილები მხვდებოდა. ასე კარგა ხანს გაგრძელდა. შემდეგ ძღივს დავადგინე ფარული თაყვანისმცემლის ვინაობა.

— ამ ბოლო დროს „ენსი“ ხშირად აღარ ჩნდება. რა არის ამის მიზეზი?

— ჩვენ არ გვყავს მენეჯერი, სპონსორი... ყველას უკვირს — აქამდე რასაც ვაკეთებდით, როგორ შევძელით. ჩვენ თვითონ, ჯგუფის წევრები ვაფინანსებდით სიმღერის ჩაწერასა თუ კლიპის გადაღებას. ვთანამშრომლობდით ზურა მახნიაშვილთან. შემდეგ ზურას პრობლემები გაუჩნდა, ჩვენთვის ვეღარ იცლიდა და ამის გამო, ჩვენი გზები გაიყარა. შემდეგ მისი ოფისი გაქურდეს და მოიპარეს კომპიუტერი, რომელშიც ჩაწერილი იყო ყველა ჩვენი სიმღერა. დაგვტოვეს ცარიელ-ტარიელი, არც ერთი სიმღერა აღარ დაგვრჩა. შემთხვევით რეჟისორთან დარჩა ჩვენი ერთი სიმღერა — „ჩამირთე მუსიკა მე“ — და ჩვენმა მეგობარმა პაატა გუგუშვილმა გადაიღო მეორე კლიპი (ამ სიმღერაზე ერთი კლიპი უკვე გადაღებული გახლდათ). ახლა ვმუშაობთ ახალ სიმღერაზე და ვფიქრობ, კლიპსაც გადავიღებთ.

— მატერიალურად ვისზე ხარ დამოკიდებული?

— სამწუხაროდ, ოჯახს უწევს ჩემი უზრუნველყოფა. მე ჯერჯერობით არ მაქვს იმის საშუალება, რომ მატერიალურად დამოუკიდებელი ვიყო. ძალიან მინდა, მანქანაც მყავდეს, მაგრამ ყიდვას ვერ ვახერხებ.

— გაეცნობი თუ არა შენს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს და როგორ მოიქცევი, თუ შეხვედრის სურვილი გაგიჩნდება?

— აუცილებლად გავეცნობი, რადგან ძალზე საინტერესოა, რა მოჰყვება ამ ინტერვიუს და თუ რომელიმე გამოხმაურების ავტორი ჩემს ინტერესს გამოიწვევს, არც შეხვედრაზე ვიტყვი უარს. თუ მომეწონება, იქნებ, ამ შეხვედრას გაგრძელებაც მოჰყვეს...

დარწმუნებული ვარ, ჩვენი „საპატარძლო“ მოგეწონათ. მასთან დაკავშირების მსურველებს შეუძლიათ „დამიმესიჯონ“ ან დამირეკონ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გისურვებთ წარმატებას. ■

ამჯერად პირველ პაემანზე სასაუბროდ დაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი შეფის ქალიშვილს, ნინო იოსელიანს ვესტუმრეთ. როგორც აღმოჩნდა, ნინოს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყოლია. ზოგი მათგანი მას საჩუქრებით ანებივრებდა, ზოგიც ლექსებს უძღვნიდა, სადაც მთვარეც ანათებდა და ვარსკვლავებიც ციმციმებდა. თუმცა ჯერჯერობით ნინოს გული ისე ვერავინ მოინადირა, რომ თავისი ბედი მისთვის დაეკავშირებინა. თუ როგორ იქცეოდნენ მასზე ჭკუადაკარგული თაყვანისმცემლები, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

ფჯანბი მაემაკაცის ქიეჯ ბაწბილებული ნინო იოსელიანი და... ბაწეჭ-ბაემოწეჭბ ქობულებეში

მერი კობიაშვილი

— პირველად, სიმართლე გითხრათ, აღარც მახსოვს, რა ასაკში შემიყვარდა, ალბათ საბავშვო ბაღში. თუმცა იმ სიყვარულს სერიოზულს ვერ დავარქმევ. ეს ის პერიოდია, როცა ბავშვურად ეპრანჭები ვინმეს და უკან დასდევ.

— სკოლაში შენ გამო ბიჭები ხშირად ჩხუბობდნენ?

— ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა რამდენიმე ბიჭს ერთდროულად მოვწონდი. დაძაბულ სიტუაციაში, ვეუბნებოდი, არც ერთი არ მიყვარხართ, ასე რომ, თქვენს კამათს და ჩხუბს აზრი არა აქვს-მეთქი. ასე ვანეიტრალებდი სიტუაციას.

— პირველად პაემანზე როდის წახვედი?

— მეცხრე კლასში. ერთმანეთს სკოლის წინ სკვერში შევხვდით, რომელიც სახლში გაცილებით დამთავრდა. ახლანდელი ტინეიჯერები სხვანაირები არიან. შეყვარებულები ერთად დადიან კაფეებსა და რესტორნებში. ჩემს დროს თბილისში დაძაბული სიტუაცია იყო. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდი იყო. მე და ის ბიჭი ერთმანეთს, მეგობრები რომ ვიკრიბებოდით, მარტო მაშინ ვხვდებოდით. შემდეგ ამერიკაში წავედი სასწავლებლად და ის გრძნობაც განელდა.

— ამერიკაში რომ მიდიოდი, შეყვარებულთან განშორება არ გაგიჭირდა?

— თავიდან, სხვა გარემოში რომ მოვხ-

ვდი, ყველაფერი და ყველა მენატრებოდა. მერე ისე ჩავერთე ცხოვრების იქაურ რიტმსა და სწავლაში, რომ ის ბიჭი გადამავიწყდა. აქედან გამომდინარე, ეტყობა, არ ვიყავი ძალიან შეყვარებული.

— პირველი სიყვარულისთვის ადვილად დაგიღწევია თავი. იმ გოგონებს და ბიჭებს რას ურჩევდი, ვინც ამ გრძნობის გამო დეპრესიას თავს დიდხანს ვერ აღწევენ?

— დეპრესიაში თავს ნუ ჩაიგდებენ. იფიქრონ, რომ ამ ცხოვრებაში ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. თუ ვინმეს დაშორდნენ, ჩათვალონ, რომ ასე იყო საჭირო. ყველა ადამიანს აქვს თავისი ბედი. ასე რომ, თავიანთ მეორე ნახევარს აუცილებლად შეხვდებიან.

— ამერიკაში ახალი სასიყვარულო ამბები არ გადაგხდა თავს?

— ამერიკაში არავინ მომწონებია. იქაური მამაკაცები ჩემს სტილში არ ჯდებიან. საფრანგეთში რომ ჩავედი, იქ უფრო რომანტიკული და ჯენტლმენი მამაკაცები შემხვდნენ. რამდენიმე მომეწონა, მაგრამ სიყვარულით არავინ მყვარებია.

— საფრანგეთში როგორ ხიბლავენ ქალებს?

— ქალის მოხიბვლის პრინციპი ყველა ქვეყანაში ერთი და იგივეა: პირველად გესაუბრებიან, საერთო ინტერესებს ეძებენ... გირეკავენ, ყურადღებას იჩენენ... საფრანგეთში ახალი ჩასული ვიყავი, როცა ერთ ბიჭს მოვეწონე. ჟან მარკი ერქვა. მაკითხავდა. მეგობრებთან ერთად კაფეებში დავდიოდით. ერთ დღეს კულონი და საათი მაჩუქა. მოკლედ, ძალიან ვუყვარდი, ჭკუაზე არ იყო. მე ის მხოლოდ სამეგობროდ მომწონდა. ასეც ვუთხარი: ჩვენს ურთიერთობას მომავალი არა აქვს, მხოლოდ მეგობრობის შემოთავაზება შემიძლია-მეთქი. დამირეკა და მითხრა: თუ არ გიყვარვარ და ჩემთან ურთიერთობა არ გინდა, რაც გაჩუქე, უკან დამიბრუნეო. მეგობარს გავატანე საჩუქრები დასაბრუნებლად — მისი დანახვაც აღარ მინდოდა. ამის შემდეგ ხომ წარმოიდგენიათ, ფრანგ მამაკაცებზე რა აზრის ვიქნებოდი?!

— ბიჭები სიყვარულის დასამტკიცებლად სხვადასხვა ორიგინალურ ხერხს მიმართავენ. შენს შემთხვევაში ეს როგორ ხდებოდა?

ყველაზე ლამაზ განსაცმელს ვიცვამ. სიტყვებს წინასწარ არ ვგეგმავ. მხოლოდ ვიზუალურად ვემზადები

— ერთხელ მეგობრებმა გადავწყვიტეთ, სამხრეთ საფრანგეთში წავსულიყავით. ოქტომბერი იყო, საკმაოდ ციოდა. სანაპიროზე გავისეირნეთ. ერთი მათგანი, რომელსაც ვიცოდი, რომ მანამდეც მოვწონდი, გადამეკიდა: მითხარი რომ გიყვარვარ, თორემ, წყალში შევალო. მე არ დავიჯერე, რომ ისეთ სიცივეში ჭუჭყიან წყალში შევიდოდა, მაგრამ მართლა ასე მოიქცა. მერე ვყვიროდი: ჰო, კარგი, მომწონხარ, ოღონდ გამოდი-მეთქი! მერე ის ბიჭი გაცივდა და სიცხიანი, ორი დღე საწოლში იწვა...

— საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ამ მხრივ მოვლენები როგორ განვითარდა?

— სერიოზული არაფერი მომხდარა. თავგადასავალი კი ბევრი მქონდა. გასულ ზაფხულს ქობულეთში ვისვენებდი. ზღვაში გასაბერი ლეიბით ვიყავი შესული. ბიჭები მოცურდნენ წყლის ველოსიპედით, მომკიდეს ხელი და მითხრეს: ჩვენს ძმაკაცს, ემზარს მოსწონხარ და ცოლად უნდა გაჰყვეო. მე ეს ხუმრობად ჩავთვალე, მაგრამ თურმე, საქმე ძალიან სერიოზულად იყო. ეგონათ, ცურვა არ ვიცოდი და ლეიბი გამომაცალეს. მე კი ნაპირამდე გამოვცურე. ამ ყველაფერს დედაჩემიც უყურებდა. გაწევ-გამოწევაში ისიც ჩაერთო. ჩემდა საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მეორე დღეს, იმ ბიჭის დედა მოვიდა ჩვენთან. მერე რა მოხდა, ჩემს ემზარს თქვენი ქალიშვილი მოეწონაო, — დედაჩემს ეუბნებოდა.

— ბიჭები ყველაზე ხშირად რას გჩუქნიან ხოლმე.

— ყველაზე ხშირად — ყვავილებს. თუმცა ერთხელ, დიდი სათამაშო კურდღელიც მაჩუქეს. დილის რვა საათზე მამაჩემი ჩემს ოთახში იმ სათამაშოთი შემოვიდა და დაკითხვა მომიწყო: ვინ გაჩუქაო? მე გაკვირვებული ვეუბნებოდი: ამ სათამაშოს პირველად ვხედავ-მეთქი. — პირველად როგორ ხედავ, როცა აივანზე იდოო? — არ მიჯერებდა მამა. მეორე სართულზე ვცხოვრობთ. თან, ჩვენს აივანს გისოსები აქვს. დიდხანს ვიმტვრიეთ იმაზე ფიქრით თავი, როგორ შეიძლებოდა, იმხელა სათამაშო, აივანზე აღმოჩენილიყო. მერე გავარკვიეთ, რომ ერთ ბიჭს მეზობლის დახმარებით დაუსვია ის კურდღელი ჩვენს აივანზე. მეზობელს თავიდან შეშინებია კიდეც — კურდღელში ბომბი ხომ არ არისო? — და პირადობის დამადასტურებელი საბუთები დაუტოვებინებია იმ ბიჭისთვის.

— იმ ბიჭს ასეთი თავგანწირვა როგორ დაუფასდა?

— მის მიმართ რაღაც სიმპათიები მქონდა, რომელიც სერიოზულ სიყვარულში არ გადაზრდილა...

— ბატონი ავთო ალბათ აზიატი მამაა. რაიმეს თუ გიშლის ხოლმე?

— ადრე, მისი მოთხოვნით, შებინდებისას უკვე შინ უნდა ვყოფილიყავი. ამაზე სულ ვკამათობდით. ახლა ჩემი საქმე მაქვს და ამ მოთხოვნას აღარ მიყენებს, მაგრამ როცა ძალიან ვაგვიანებ, ყოველთვის მირეკავს ხოლმე.

— დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე დიდი და ნამდვილი სიყვარული რომელი იყო შენს ცხოვრებაში?

— ჯერ არავინ შემყვარებია. როცა შემიყვარდება, ოჯახსაც შევქმნი.

— შენთვის იდეალური მამაკაცი როგორია?

— ბიჭი უნდა იყოს ჭკვიანი, განათლებული, ვაჟკაცური თვისებების მქონე. უნდა მისდევდეს სპორტს და თან მხიარული „კლიენტი“ უნდა იყოს.

— პაემანზე წასასავლელად როგორ ემზადები ხოლმე? რა რჩევებს მისცემდი მათ, ვისაც ამ საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმა პირველად უწევთ?

— პაემანზე რომ მივდივარ, ძალიან კარგ ხასიათზე ვდგები. მივდივარ სალონში, ვიკეთებ ვარცხნილობას და მაკიაჟს. მერე შინ ვბრუნდები და ჩემი გარდერობიდან ყველაზე ლამაზ ტანსაცმელს ვიცვამ. სიტყვებს წინასწარ არ ვგეგმავ. მხოლოდ ვიზუალურად ვემზადები. ამასვე ვურჩევდი სხვებსაც. კარგად რომ გამოიყურები, შენც კარგად გრძნობ თავს და ამით ბიჭსაც პატივს სცემ. ■

შ.პ.ს. «დელტა»
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
მაღალი ხარისხი-მისაღები ფასები
მის: მ.ლაღიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

23 წლის სომეხი ქალი ქართველ ცოლ-ქმარს სადისტურ დანაშაულში სდებს ბრალს

ისინი კი აცხადებენ, რომ მკვლელობა შურისძიების მოტივით მან თავად ჩაიდინა

კრასნოდარელი ახალგაზრდა ქალის, ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედის — ლუდმილა ლიაპკუსოვას სადისტურ მკვლელობაში ბრალდებული ცოლ-ქმრის — ციცო და ბესარიონ საბაშვილების საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში უკვე სამი თვეა, მიმდინარეობს (მომხდარი ფაქტის შესახებ „გზის“ №7-ში ვწერდით). პროცესის გაჭიანურების მიზეზად მხარეები მოწმეების გამოუცხადებლობას ასახელებენ. შუა აზიიდან გამოძახებულ მოწმეებს პროცესის მონაწილეები, ისევე, როგორც დამსწრეები, პირველ ივნისსაც ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. სწორედ იმ მოწმეებმა — უნდა დაადასტურონ ან უარყონ 23 წლის მარიამ მნაცაკანიანის ჩვენება, რის გამოც თბილისელი ცოლ-ქმარი საბაშვილები დღეს ციხეში სხედან.

მნაცაკანიანის თქმით, საბაშვილებმა და საგარეჯოელმა, ვინმე გოჩამ (პროკურატურის ინფორმაციით, გოჩა წარსულში სამჯერ ნასამართლევი, საგარეჯოელი მიხეილ ბერძენიშვილი გახლავთ; ბერძენიშვილზე ძებნაა გამოცხადებული, იგი დღემდე იმალება) 2003 წლის 16 თებერვალს, ერევანში მნაცაკანიანის მამიდის მიერ ნაქირავებ ბინაში დროებით მცხოვრები ლუდმილა ლიაპკუსოვა მოკლეს, შემდეგ კი გვამი დაანაწევრეს და ორ ჩანთაში მოათავსეს. მნაცაკანიანის ჩვენებით, ამ სადისტური მკვლელობის დროს ბინაში ლიაპკუსოვას შვილებიც იმყოფებოდნენ.

პროკურატურისთვის მიცემული ჩვენება მნაცაკანიანმა უზენაეს სასამართლოში პირველ ივნისსაც დაადასტურა. სასამართლო კოლეგიას მან ატირებულმა მოუთხრო შემზარავი დანაშაულის შესახებ:

„ორივე ცოლ-ქმარს კარგად ვიცნობ. განსაკუთრებით ციცო საბაშვილს, რომელიც მამიდაჩემთან მეგობრობდა და ხშირად დადიოდა მასთან სახლში. ბესო საბაშვილი მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ, ერევანში მომხდარ ფაქტამდე მყავდა ნანახი. ჩემს ქმართან — გარიკ ხაჩატუროვთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად თბილისში ვცხოვრობდი. ჩემი მეუღლე ჰოლანდიაში აპირებდა სამუშაოდ გამგზავრებას, საელჩოში საბუთებიც ჩააბარა, მაგრამ მისი წასვლის იმედი არც ერთს არ გვქონდა. გვიჭირდა და გადავწყვიტეთ, ერევანში გადავსულიყავით საცხოვრებლად და სამსახურიც იქ გვეშოვა. ვიცოდი, რომ მამიდაჩემს ერევანში ბინა ჰქონდა დაქირავებული, რადგან დროდადრო ჩადიოდა იქ და საცხოვრებელი ადგილი სჭირდებოდა. წინასწარ შევუთანხმდი, რომ სანამ თავად არ სჭირდებოდა, იმ ბინაში მე და ჩემი ქმარი ვიცხოვრებდით. დამთანხმდა. ერევანში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში გარიკას საელჩოდან დაურეკეს — გამგზავრებასთან დაკავშირებით დადებითი პასუხი მოვიდა და გამოცხადდითო. მანაც დამტოვა და თბილისში გაემგზავრა. მას შემდეგ გარკვეული პერიოდი მარტო ვცხოვრობდი. ერევანში დეიდაჩემი და მისი შვილი ცხოვრობდნენ, საკუთარი მაღაზია ჰქონდათ და იქ ვაკითხავდი ხშირად მათ. იქვე კაფე იყო. ერთხელ, როცა იმ კაფეში ვიჯექი, ახალგაზრდა ბიჭი მომიახლოვდა. სომხის გოგოს არ ჰგავხარ, რა გქვიაო? — მკითხა. მინდოდა, თავიდან მომეშორებინა, მაგრამ არ მომეშვა. იგი ერიკ ბადალიანი აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ ის ბაზარში შემხვდა შემთხვევით. ტაქსით ვიყავი წასული. გზაში მანქანას საბურავი დაეშვა და ვიდრე ტაქსისტი მას შეაკეთებდა, ერიკამ თავის ბინაში ამიყვანა. სტუმრები ჰყავდა. ცოტა ხანს ვისაუბრეთ და როცა მანქანა გაკეთდა, იმავე ტაქსით შინ დავბრუნდი. ერიკთან ურთიერთობას თავს ვარიდებდი, მაგრამ ისე მოხდა, რომ მესამედ ისევ შევხვდი მას ბაზრის ტერიტორიაზე. მაშინ ტელეფონის ნომრები გავცვალეთ, უფრო ახლოს გავიცანით ერთმანეთი, ხშირი შეხვედრა დავიწყეთ, მალე დღე და ღამეს ერთად ვატარებდით. ძალიან კარგი პიროვნება აღმოჩნდა, მას ყველაფერში ვენდობოდი. სწორედ იმ პერიოდში, მამიდაჩემმა დამირეკა, მითხრა — ჩემი ახლობელი ქალი ჩამოდის ერევანში პატარა შვილებთან ერთად და თუ წინააღმდეგი არ იქნები, შენთან ერთად იცხოვრებენ ბინაშიო. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მეორე თუ მესამე დღეს ჩამოვიდა ლუდმილა ლიაპკუსოვა, ბავშვებიც თან ახლდნენ. იმ ქალმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ძალიან დახვეწილი ქალბატონი იყო. ბავშვების მოვლაში ვეხმარებოდი და ქალაქს ვათვალიერებინებდი. ლუდმილას ჩემ შესახებაც ვუამბე. იცოდა, რომ ქმარი და შვილი მყავდა, თუმცა ისიც შენიშნა, რომ სხვა მამაკაცი მაკითხავდა. მაშინ ავუხსენი, რომ ქმართან არ მქონდა კარგი ურთიერთობა და მასთან გაყრას ვაპირებდი, თან ვთხოვე, მამიდაჩემისთვის და ჩემი ოჯახის რომელიმე წევრისთვის ერი-

კას თაობაზე არაფერი ეთქვა. დამპირდა, რომ ასეც მოიქცეოდა. არ მახსოვს, რა რიცხვი იყო, დედაჩემმა დამირეკა – თბილისში ჩამოდი, ბავშვი ნახეო. გადავწყვიტე, გავმგზავრებულიყავი, თან ქმრის ამბებიც მაინტერესებდა; ვიფიქრე, თუ მიდის, ბარემ გავაცილებ-მეთქი. შინ რომ მივედი, მამიდაჩემმა უცნაურად გამომხედა, მერე ოთახში ცალკე გამიყვანა და ლანძღვა დამიწყო. მივხვდი, რომ ყველაფერი შეიტყო. ძალიან მრცხვენოდა და ყოველ მის სიტყვას უარვყოფდი, ვთხოვდი – სხვა დროს ვილაპარაკოთ-მეთქი. ოთახიდან გავედი თუ არა, ქმარმა გადამიღობა გზა; გაბრაზებული სახე ჰქონდა, ხელი ჩამავლო და გარეთ ძალით გამიყვანა. თითქმის მიმათრევდა, ქუჩაში რაღაც კითხვებს მისვამდა. მივხვდი, რომ რაღაცას ყური მოჰკრა და ეჭვობდა. ვუხსნიდი – არასწორად გაიგე-მეთქი, – ის კი არ მიჯერებდა, უწმაწური სიტყვებით მომმართავდა, მაგინებდა. მაშინ ვუთხარი – შენგან არაფერი მჭირდება, ერევანში მივდივარ-მეთქი. ის ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, თან იმუქრებოდა. საშინლად გავბრაზდი, მაგრამ მრცხვენოდა კიდეც. იქვე კაფეში შევედი და დავლიე. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი ან სად წავსულიყავი. ვტიროდი. სხვებიც მომიახლოვდნენ, მეკითხებოდნენ, რა მჭირდა. გარეთ გავედი და რუსთაველის პროსპექტს გავუყევი. იუსტიციის სამინისტროსთან ციცო საბაშვილის დედა – ნათელა შემხვდა. ასეთ დღეში რომ დამინახა, მკითხა – რა გჭირსო? მე, რა თქმა უნდა, მას არ დავუწყე ყველაფრის ახსნა. შემომთავაზა – სახლში ამოდი, ციცოც შინ არისო. დავთანხმდი, რადგან ციცოსთან ახლოს ვიყავი. მას ყველაფერი ვუამბე, რაც თავს გადამხდა. ვუთხარი – გარიკასთან ცხოვრება აღარ მინდა, ხომ იცი, როგორ გამამწარა-მეთქი?!. – ვინ უთხრა მამიდაშენსო? – მკითხა. – ლუდმილა ლიაპკუსოვამ-მეთქი. ეს სახელი ეცნო და ლუდა თვითონ აღმიწერა ფიზიკურად. – როდის შემდეგ გახდა პატიოსანი ქალიო? – თქვა, აგდებულად და ირონიულად მოიხსენიებდა ლიაპკუსოვას. მე კი ვუთხარი, რომ ადრე კარგად მექცეოდა. ერთხელ ბინის ქირა მქონდა გადასახდელი, ფული დამჭირდა – 200 დოლარი, მაშინ ლუდამ „პაჩკებით“ გამოიტანა ფული, იქიდან ორი 100-დოლარიანი ამოაძრო და მომცა-მეთქი. ამ დროს ბესო გამოვიდა მეორე ოთახიდან. – ვა, მარი, შენ ხარო?! – მითხრა, გამომელაპარაკა; რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა... მაშინ შემომთავაზა – შენ თუ ერევანში გინდა წასვლა, ჩემი ახლობლები აპირებენ ამაღამ სომხეთში გამგზავრებას კონიაკის ჩამოსატანად, ჩვენც უნდა გავყვეთ და წამოდიო. დავთანხმდი, რადგან ძალიან მინდოდა ერიკას ნახვა, მისი მხარდაჭერის იმედი მქონდა. ტაქსიში ჩავჯექით მე, ციცო და ბესო. საგარეჯოში ჩავედით. იქ გამაცნეს გოჩა – კონიაკით ვაჭრობსო. ავტოსადგურში მანქანა გამოიცვალეს, სომხეთის საზღვრამდე სხვა ტაქსით მივედით. მერე ისევ სხვა ავტომანქანაში გადავსხედით. ერევანში ჩავედით თუ არა, ციცომ მითხრა – აქ ხარ ჩამოსული, ლუდა არ უნდა ნახო? პასუხი არ უნდა მოსთხოვო? ერთი მე ჩამაგდებინა ხელში, ასე როგორ მოგექცაო?!. ჩემს სახლთან რომ მივედით, ბესომ თქვა – საპირფარეშოში გვინდა შესვლა, წყალს შევისხამთ სახეზეო. ლუდამ ისედაც ზედმეტი უთხრა ჩემს ნათესავებს და არ მინდოდა, ამჯერად უცხო მამაკაცებთან ერთად დავენახე, ამიტომაც თავი შევიკავე, მაგრამ ბესომ მითხრა – რა პრობლემაა? თქვი, რომ ბიძაშენი ვარ, გოჩა კი – ნათესავიო. ასეც მოვიქეცი. უკვე თენდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბნელოდა. ბინაში რომ შევედით, ოთახში ოთხი გოგონა დაგვხვდა. ლუდას ვუსაყვედურე ნათქვამის გამო; ეკამათობდით; ის მარწმუნებდა, რომ ცუდი განზრახვით არ მოქცეულა ასე. სწორედ მაშინ შემოვიდა ბესო სამზარეულოში და მითხრა – უცხო გოგონები არიან, რად გინდა მათი თანდასწრებით ამ თემაზე საუბარი? უთხარი ლუდას, გაუშვას ისინიო... ლუდამ გოგონებს სთხოვა, გასულიყვნენ...

„ლუდამ ჩაი შემომთავაზა. მამშვიდებდა: – რას ნერვიულობ? თუ გინდა, მამიდაშენს დაველაპარაკები, ავუხსნი, რომ არასწორად გაიგო ჩემი ნათქვამიო, – მეუბნებოდა. ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ლუდამ მე მთხოვა, გამეღო. გოგონები იყვნენ: – სიგარეტი დაგვრჩაო. ლუდამ გასძახა მათ: – არანაირი სიგარეტი არ დაგიტოვებიათ, წადითო. ჯიბეში ათასდრამიანი მედო, გოგონებს გავუწოდე: – აჰა, ამით იყიდეთ, ოღონდ, წადით-მეთქი. კარი მივხურე და ისევ სამზარეულოში შევედი. ბესო მაშინვე დამეტაკა, გოჩა ლუდას მივარდა და ხელები გადაუგრიხა. ვიყვირე: – რას შვრებით-მეთქი? ბესომ ფულზე დაიწყო ლაპარაკი: – ის გვინდა, რისთვისაც თბილისიდან ჩამოვედითო. ხმაურსა და ყვირილზე ბავშვებს გაეღვიძათ, საძინებლიდან გამოცვივდნენ, ბიჭი – ორწლინახევრის ილია მე შემომეხვია ტანზე. მაშინ ბესომ ილიას დანა მიადო და იმუქრებოდა – ფულს ითხოვდა...“

მნაცაკანიანის თქმით, ის ოთხი უცნობი გოგონა გარეთ იცდიდა; შესაძლებელი იყო, ისინი ნებისმიერ დროს დაბრუნებულიყვნენ ბინაში. ამიტომაც დაავალა გოჩამ მას, გარეთ გასულიყო, მოეძებნა ისინი და ავტოსადგურში წაეყვანა.

„ეს დავალება გოჩამ მომცა. ბესო იმ დროს ბინაში არ იყო, არ ვიცი, რა დროს გავიდა იქიდან. ტაქსიში ჩავსვი გოგონები და ავტოსადგურისკენ წავედით. შემატყვეს, რომ ცუდად ვიყავი, თან გაკვირვებულები იყვნენ. შეკითხვებს მისვამდნენ, მაგრამ არაფერს ვპასუხობდი, რადგან არ ვიცოდი, როგორ ამეხსნა მათთვის ყოველივე. ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდი სადგურამდე. ვიცოდი, რომ ციცო იქ ელოდებოდა თავის ქმარს და გოჩას. მინდოდა, მენახა და მეთქვა მისთვის, რაც ხდებოდა ბინაში. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი თავის ქმარს შეაჩერებდა და განზრახვას გადააფიქრებინებდა. სადგურზე მივედით და ბესო უკვე იქ დამხვდა. ციცოსთან იდგა, რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. გოგონები მანქანაში დავტოვე, ბესოს და ციცოს ისინი არ დაუნახავთ. როცა მათ მივუახლოვდი, ბესომ მითხრა – ის გოგონები ბინაში მიიყვანე, ერთ საათში იქ თუ არ იქნებიან, ნახავ, რაც დაგემართებაო. მოვატყუე – ეზოში რომ გავედი, არავინ დამხვედრია, არც ერთი არ მინახავს-მეთქი. ბესო თავისას მაინც არ იშლიდა. ცოლქმარი სადგურიდან გავიდა, მე ჯიხურიდან მაშინვე მეგობარს – მიშას დავურეკე და ვთხოვე, მოსულიყო. მიშას შევეხვეწე – გოგონები სადმე გადამალე, რომელიმე სასტუმროში დატოვე-მეთქი. მიზეზად ვუთხარი, რომ ჩემი ნათესავები ჩამოდიოდნენ, არ მინდოდა, ისინი შინ დამეხვედრებინა. ამის შემდეგ ისევ ბინაში დავბრუნდი“.

მნაცაკანიანმა პროცესზე ბესარიონ საბაშვილისა და საგარეჯოელი გოჩას საქციელი ისევე აღწერა, როგორც პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში. მისი თქმით, მათ ძალადობას მიმართეს, ლიაპკუსოვა გაკოჭეს, ფულს მოითხოვდნენ და სასურველ შედეგს რომ ვერ აღწევდნენ, სულ უფრო აგრესიულები ხდებოდნენ. ძალადობის ფაქტს, მნაცაკანიანის თქმით, ბავშვებიც შეესწრნენ, თუმცა მერე, ატირებული პატარები მამაკაცებმა ბინიდან ციცო საბაშვილს გააყვანინეს.

„...ბესომ მითხრა – ლუდა მკვდარია, შემომაკვდა ხელშიო. ლუდა იატაკზე ეგდო, მაგრამ მაინც ვერ

ვიჯერებდი, რომ მოკლეს. მთელი სახლი გადააბრუნეს, ფულს ეძებდნენ. ბოლოს, ფული გოჩამ იპოვა. ამის შემდეგ ერთმანეთს დაუწყეს კამათი – მოვეკალით თუ არა. ბესომ თქვა – რად მინდა მეორე „ტრუპი“? ამას რა ვუყო? ჯიბეში ხომ ვერ ჩავიდებო?! – ამბობდა ლუდაზე... ლოჯიაში იპოვეს ჩაქუჩი, ხერხი. ხერხით მოაჭრეს გვამს თავი და ფეხები. მცემდნენ და მაიძულებდნენ, მეყურებინა ამ საშინელებისთვის. თან მეუბნებოდნენ – თუ ჭკუით არ მოიქცევი, იცოდე, შენი შვილის ყველაზე დიდი ნაჭერი ყური იქნებაო...“

როგორც მნაცაკანიანი ამბობს, მისი მოკვლის გადაწყვეტილება ბესარიონ საბაშვილმა და გოჩამ არ მიიღეს. მისივე თქმით, ამაში დიდი როლი ითამაშა ციცო საბაშვილმა. მნაცაკანიანი, როგორც თავად აცხადებს, ბინაში დატოვეს და იმ ჩანთების გადაყრა, რომლებშიც დანაწევრებული გვამი იყო მოთავსებული, მას დაავალეს. მნაცაკანიანმა დავალება ერიკ ბადალიანისა და მისი მეგობრის დახმარებით შეასრულა. მომხდარის შესახებ მან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ განუცხადა სამართალდამცავებს. როგორც თავად ამბობს, ერევანში ვერაფერს იტყოდა, რადგან ძალიან ეშინოდა.

მნაცაკანიანის თქმით, მან შეგნებულად გააპარა გოგონები და ამით საფრთხეს აარიდა. მისი ჩვენების პარალელურად, სასამართლო დარბაზში გისოსებიდან ციცო და ბესარიონ საბაშვილების რეპლიკები გაისმოდა. ისინი მნაცაკანიანის თითოეულ სიტყვას უარყოფდნენ და იძახდნენ, რომ ნამდვილი მკვლელი თავად ისაა.

საბაშვილების თქმით, მკვლელობა მან შურისძიების მოტივით ჩაიდინა. სასამართლოსთვის მიცემულ მათ ჩვენებებს „გზის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ. აღვნიშნავთ, რომ პროკურატურამ მნაცაკანიანის ჩვენება სავსებით გაიზიარა და ცოლ-ქმარს 109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მიუყენა. იგივე მუხლი მიუყენეს მიხეილ ბერძენიშვილს (გამოძიების თანახმად – იმავე გოჩას), ხოლო მნაცაკანიანს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვაში დასდეს ბრალი. ამ ბრალდებას მისი ადვოკატები აპროტესტებენ.

მნაცაკანიანი ამჟამად შინაპატიმრობაში იმყოფება, ცოლ-ქმარი საბაშვილები კი – ციხეში. ოფიციალური ცნობებით, ბესარიონ საბაშვილი წარსულში ოთხჯერ გახლდათ ნასამართლევი და საშიშ რეციდივისტადაა ცნობილი. ■

ძმებს თანასოფლელის მკვლელობაში ადანაშაულებენ

ძმებს — დავით და ზაზა ბერიაშვილებს პროკურატურა მძიმე ბრალდებას უყენებს. მათ მცხეთის რაიონის სოფელ დილომში მცხოვრებ იაგო კოლოტაურის განზრახ, განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობაში ადანაშაულებენ.

ძმებს ამ საშინელ დანაშაულში მოკლულის ძმა და საქმის მასალებში არსებული რამდენიმე მოწმის ჩვენება ამხელს. სამართალდამცავებმა მხოლოდ დავით ბერიაშვილის დაკავება შეძლეს, რაც შეეხება მის ძმას, იგი დღემდე ემალება პოლიციას.

დავით ბერიაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს. გამოძიების ეტაპზე მან დუმილის უფლება გამოიყენა, სასამართლოში კი ადვოკატმა განსასჯელის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა. ადვოკატმა ეჭვქვეშ დააყენა დავით ბერიაშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობა და ამის საფუძვლად ის დაასახელა, რომ წარსულში მას თავის ქალის ტრავმა ჰქონდა მიღებული. ექსპერტებმა ეჭვი არ დაადასტურეს. ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბერიაშვილი შერაცხადია, არ საჭიროებს მკურნალობას და შეუძლია საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დავით ბერიაშვილი წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის რამდენჯერმე იყო ნასამართლევი. 1998 წელს, 24 წლის ასაკში იგი თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლომ გაასამართლა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასჯელი ბერიაშვილმა თბილისის №5 საპყრობილეში მოიხადა და იმავე წლის სექტემბერში გათავისუფლდა.

სამი წლის შემდეგ, 2001 წელს, 27 წლის ბერიაშვილი კვლავ ციხეში აღმოჩნდა, ამჯერად – უმძიმესი ბრალდებით: საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2001 წლის პირველ დეკემბერს დავით ბერიაშვილი თავის უმცროს ძმასთან – 19 წლის ზაზა ბერიაშვილთან ერთად მიუყვებოდა ქუჩას სოფელ დიღომში, როცა შემთხვევით თანასოფლელ თეიმურაზ კოლოტაურს შეხვდა. ბერიაშვილები ნასვამები იყვნენ და კოლოტაურს, რომელმაც მისალმების შემდეგ გზა საკუთარი სახლისკენ განაგრძო, ხმამაღლა მისი ძმის – იაგო კოლოტაურის მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები დააწიეს. თეიმურაზ კოლოტაურმა ეს არ მოითმინა და ძმებს შეეპასუხა. მხარეებმა ერთმანეთის გინებას მიჰყვეს ხელი, შემდეგ ფიზიკურ შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ. სამართალდამცავების ინფორმაციით, იქვე მყოფი მეზობელი – გოჩა ბროლაძე შეეცადა მოჩხუბრების გაშველებას, ბერიაშვილებს მოუწოდებდა, შეეწყვიტათ ჩხუბი, მაგრამ სწორედ მაშინ ზაზა ბერიაშვილმა მიწიდან მოზრდილი ქვა აიღო და იგი ბროლაძეს თავში ჩაარტყა. იმავე ქვით ის თეიმურაზ კოლოტაურსაც გაუსწორდა ფიზიკურად. შემთხვევის ადგილზე თავმოყრილმა მეზობლებმა, როგორც იქნა, მოახერხეს მოჩხუბრების გაშველება, ბერიაშვილები იქაურობას გაარიდეს. მაგრამ უსიამოვნება ამით არ ამოწურულა. ჩხუბის შემდეგ, თეიმურაზ კოლოტაური ისევ შინისკენ გაემართა. გზაში მას ძმა – იაგო კოლოტაური შეხვდა. ის ნასვამი იყო, ამიტომაც თეიმურაზმა იგი საჩქაროდ გაარიდა იქაურობას და მხოლოდ შინ გაუმხილა მომხდარი ინციდენტის შესახებ. იაგო კოლოტაურმა გაიკვირვა ბერიაშვილების საქციელი,

რადგან, როგორც ძმას უთხრა, არც იმ დღეს და არც წინა დღეებში არ შეხვედრია მათ და არც რაიმე უთანხმოება მოსვლია რომელიმე მათგანთან. ამ დროს მათთან შინ იმყოფებოდა მეზობელი – ნათელა ხმალაძე. საგამოძიებო მასალების თანმახმად, საუბარში იყვნენ გართულნი, როცა მოულოდნელად ოთახში დავით და ზაზა ბერიაშვილები შეიჭრნენ. დავითს ხელში დანა ეჭირა და შეიარაღებული, პირდაპირ საწოლზე წამოწოლილი იაგო კოლოტაურისკენ გაემართა. მას მაშინვე მივარდა თეიმურაზი, რათა დანა წაერთმია, მაგრამ მას უკნიდან ხელები შემოხვია და ამგვარად შებოჭა ზაზა ბერიაშვილმა. ამით საშუალება მისცა ძმას – დავით ბერიაშვილს, სასიკვდილო ჭრილობები მიეყენებინა იაგო კოლოტაურისთვის.

როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ბერიაშვილები უკმაყოფილონი დარჩნენ ქუჩაში თეიმურაზ კოლოტაურთან მომხდარი ჩხუბის შედეგით და ამიტომაც განიზრახეს, შინ მივარდნოდნენ მას და იქ გაესწორებინათ მისთვის ანგარიში. თუმცა, როგორც კი დავით ბერიაშვილმა ოთახში შემოსული იაგო კოლოტაური დაინახა, მაშინვე მისკენ გაემართა და დანა მას გულმკერდის არეში ჩაარტყა. ამის შედეგად იაგო კოლოტაურს გადაეჭრა არტერია და ის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ბრალდების თანახმად, როცა თეიმურაზ კოლოტაური სასიკვდილოდ დაჭრილი ძმის დაცვას კვლავ ცდილობდა, დავით ბერიაშვილი იმასაც მიუბრუნდა და დანა მოუქნია. თეიმურაზი ფეხში დაიჭრა.

მაყვალა კოლოტაური, მოწმე (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„შინ ვიყავი, როცა დაახლოებით 18.30 საათზე კოლოტაურების სახლიდან მეზობელი ქალის – ნათელა ხმალაძის განწირული ყვირილი მომესმა: „ლაშა, გვიშველე! არ დაარტყა, არ დაარტყა!“ ჩემს ქალიშვილთან ერთად მაშინვე კოლოტაურების სახლისკენ გავიქეცი. ეზოში, შესასვლელ კართან შემოგვხვდნენ ძმები ბერიაშვილები; რომელიმეს ხელში ეჭირა თუ არა დანა, არ შემიმჩნევია. ოთახში რომ შევედი, იაგო კოლოტაური საწოლზე იწვა, გულმკერდიდან სისხლი სდიოდა. იქვე იყო მისი ძმა – თეიმურაზი, ნათელა ხმალაძე და ლაშა კინწურაშვილი...“

მაყვალა კოლოტაური ჩვენებაში აღნიშნავს, რომ დაჭრილი იაგოს დანახვისთანავე გარეთ გავარდა და ბერიაშვილებს დაუყვირა: „ჯიბგირებო, ხულიგნებო, რა ქენით? ბიჭი მოკალით?“ ამის შემდეგ იაგო კოლოტაური მათი ნათესავის ავტომანქანით წაიყვანეს საავადმყოფოში.

ჩადენილ დანაშაულში ძმებ ბერიაშვილებს ამხელს მოკლულის ძმა თეიმურაზ კოლოტაურიც. რაც შეეხება მოწმე ლაშა კინწურაშვილს – იგი ჩვენებაში აღნიშნავს, რომ დაჭრის ფაქტი არ დაუნახავს, მაგრამ მისი ვარაუდით, განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, იგი დავით ბერიაშვილს უნდა დაეჭრა. დაზარალებულის მხარის ადვოკატის თქმით, თეიმურაზ კოლოტაურს ჭრილობა ფეხში ზაზა ბერიაშვილმა მიაყენა. მისი მტკიცებით, იმ დღეს დანებით ორივე ძმა იყო შეიარაღებული.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შემთხვევის ადგილიდან სამართალდამცავებმა მხოლოდ ერთი დანა ამოიღეს. დანაზე ადამიანის სისხლი დაფიქსირეს, მაგრამ მისი გამოკვლევა და ჯგუფის დადგენა ექსპერტებმა ვერ მოახერხეს. ამის მიზეზად მათ დანის პირზე შერჩენილი სისხლის წვეთის ძალზე მცირე მოცულობა დაასახელეს.

დავით ბერიაშვილის ადვოკატი **თეიმურ გოქსაძე** აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სრულიად უდანაშაულოა:

„ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა მოვითხოვე, რადგან დავით ბერიაშვილს წარსულში თავის ფუძე-ქალას ტრავმა ჰქონდა მიღებული, მას შემდეგ უჭირს ადამიანებთან კონტაქტში შესვლა. ექსპერტიზამ მისი შერაცხადობა დაადასტურა, თუმცა ბერიაშვილის მდგომარეობა ფაქტად რჩება. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მას მომხდარ დანაშაულთან არანაირი კავშირი არა აქვს. ძმებ ბერიაშვილებს კოლოტაურების ოჯახის ყოველ წევრთან ახლო და თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ, ამას საქმეში დაკითხული თითოეული მოწმე და თავად დაზარალებულებიც ადასტურებენ. აქედან გამომდინარე, დავით და ზაზა ბერიაშვილებს კოლოტაურების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ და არც რომელიმე მათგანის მოკვლას მოინდომებდნენ. უფრო მეტიც, დავით ბერიაშვილი შემთხვევის ადგილზე იმ დროს არ ყოფილა. საქმეში ფიგურირებს მანქანა, რომელიც სოფელ დიღომში ავიდა. ჩემი ინფორმაციით, მანქანაში ისხდნენ პირები, რომელთაც იაგო კოლოტაურთან, საფლავის ქვასთან დაკავშირებით სურდათ საქმის გარჩევა. ცნობილია, რომ კოლოტაური სასაფლაოს ქვებს აკეთებდა. ამავე ინფორმაციის თანახმად, იაგო კოლოტაური ქუჩაში დაჭრეს და არა სახლში“.

ადვოკატის თქმით, ის ზემოთ აღნიშნულ ვერსიასთან დაკავშირებით ამჟამად მტკიცებულებებს აგროვებს, ჯერჯერობით არა აქვს დადგენილი საეჭვო ავტომანქანის მარკა და მისი მფლობელის ვინაობა. ასევე ვერ ხსნის, თუ რატომ დასჭირდათ თეიმურაზ კოლოტაურსა და მის ახლობლებს, დანაშაული ძმები ბერიაშვილებისთვის გადაებრალებინათ, თუკი მათთან ყოველთვის თბილი და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

ჩვენს შეკითხვაზე – რატომ იმალება განსასჯელის ძმა, თუ ის უდანაშაულოა? – ადვოკატმა გვიპასუხა, რომ ზაზა ბერიაშვილი არ იმალება: *„მისთვის არავის უთქვამს, რომ იძებნებოდა, არავის დაუბარებია პროკურატურაში. ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება, იქ მუშაობს, რადგან საქართველოში ეკონომიურად გაუჭირდა“.* ადვოკატის ასეთ პასუხს დაზარალებულებმა აბსურდი უწოდეს. პროკურორმა კი იგი არადამაჯერებლად შეაფასა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზაზა ბერიაშვილმა გამოძიებას შეგნებულად აარიდა თავი.

აღნიშნულ საქმეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია განიხილავს. ამ ეტაპზე მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობს. განსასჯელის დავით ბერიაშვილის ადვოკატი ნივთმტკიცების – დანის წარმოდგენის მოთხოვნას აპირებს. მისი თქმით, დანას ვერავინ წარმოადგენს, რადგან ის ფიზიკურად არ არსებობს. *„შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცების ამოღებისა და მისი დალუქვის ოქმს დაინტერესებული პირები – კოლოტაურების ახლო ნათესავები აწერენ ხელს. ამიტომაც ვთვლი, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ყალბია“*, – აცხადებს ადვოკატი. დაზარალებულის მხარე მის სიტყვებს უარყოფს. მხარის წარმომადგენელთა მტკიცებით, ოქმზე დაფიქსირებულ ხელმოწერებთან დაკავშირებით გასარკვევი არაფერია და ის პირები მათი ნათესავები არ არიან. ამ საკითხს მომავალ სხდომაზე კოლეგია განიხილავს.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის

უბის წიგნაკიდან:

1. ქვიჯა და როდინი სინონიმებია.
2. ჯალათს მეორენაირად ქონდაქარი ჰქვია.
3. ჯაღანა ნუშიანი ან ჩირიანი ტკბილი კვერია.
4. ყვანა დიზინტერიის ხალხური სახელწოდებაა.
5. სერიალი – „ძილის წინ“ – 713-ე სერიაზე შეწყვიტეს.

6. „მუშტი“ – ასე ითარგმნება სიტყვასიტყვით ფაუსტი.
7. ყანჩები ხანდახან ვარხვის ძვლებისგან იშენებენ ბუდეს.
8. კალიფორნიული გუგული ხვლიკებითა და გველებით იკვებება.
9. ზრდასრული სამეფო კობრის ნაკბენს სპილოს მოკვლა შეუძლია.
10. ვირთხას შეუძლია, აგურის 800-მეტრიან ვერტიკალურ კედელზე აცოცდეს.
11. მშვილდოსნის თანავარსკვლავედი მთლიანად მოჩანს საქართველოს ტერიტორიიდან.
12. ლაშა-გიორგი 28 წლის ასაკში მონღოლური ისრით მიღებული ჭრილობისგან დაიღუპა.
13. „ონ იშჩო პრასტუდიტსა ნა ნაშიხ პახარანახ!“ – ამბობს ჟირინოვსკი ელცინის შესახებ.
14. ადამიანის სხეულის ნორმალური ტემპერატურა ფარენგეიტის თერმომეტრით 96 გრადუსია.
15. ღამურათა უმრავლესობა მწერებითა და ხილით იკვებება. მათგან მხოლოდ სამი სახეობაა ვამპირი.
16. ამერიკელი დეტექტივები ხშირად იპარსავენ მკერდს,რათა პლასტირით მიკროფონის მიკვრა შეძლონ.
17. პირველ მგზავრებს ესკალატორზე მგზავრობის წინ გასამხნევებლად ერთ ჭიქა ბრენდის ასმევდნენ.
18. ჟან ივ კუსტომ თავისი წყალქვეშა ოდისეა ყველა იმ ადამიანს მიუძღვნა, ვინც ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვის.
19. ბაყაყზე ჩატარებული ცდების აღსანიშნავად პასტერის ინსტიტუტის ეზოში ამ ამფიბიას ძეგლი დაუდგეს.
20. XIII საუკუნეში პალესტინაში იტალიელმა რაინდებმა დააარსეს წმინდა ლაზარეს ორდენი, რომლის მიზანი ავადმყოფების მოვლა იყო. ორდენის წევრებს ძალზე

ნათქვამია — გემოვნებაზე არ დაობენო, — რადგან ყველა ადამიანი ინდივიდია და ნებისმიერ საკითხზე საკუთარი შეხედულება აქვს, ზოგი რამ მოსწონს, ზოგი კი — არა. მაგალითად, ტელეკომპანია „202“ საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მისაღებია, მაგრამ როგორც კულუარებიდან შევიტყვეთ, თავად ამ ტელევიზიის ხელმძღვანელის დედას, ქალბატონ ნუნუს (ისევე, როგორც ბევრ სხვა მაყურებელს) არც ერთი გადაცემა არ მოსწონს და თურმე, შვილს სულ ეკამათება — რაიმე შეცვალეთო... „202“-ის ხელმძღვანელი და გადაცემა „დებატების“ აქტიური წამყვანი შალვა რამიშვილი ყველა გადაცემაში მიწვეულ სტუმარს, განურჩევლად ასაკისა და თანამდებობისა, საკუთარი მეგობარივით, პირდაპირ ეთერში „შინაურულად“ ესაუბრება და მეც, შევეცადე, შალვას სტილისთვის არ მეღალატა და ინტერვიუ მისთვის „გასაგებ ენაზე“ წარვმართე...

შალვა რამიშვილის „კრიზა“, კარი კაფსაძე „მუსკულებში“ და „სტუმარ-მასპინძელი“ ნიუ-იორკში

ნათია ქივიძე

— შალვა, შენივე ტელევიზიის გადაცემებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონს და რატომ?

– ყველაზე მეტად მომწონს „დებატები 202“-ზე იმიტომ, რომ მე ვარ ამ გადაცემის წამყვანი.

— გადაცემა შენ მიგყავს, რადგან მეორე წამყვანს მიშა მშვილდაძეს საუბარს არ აცლი...

– არა, რატომ? თავიდანვე ასე გავანაწილეთ როლები, რომ მე უნდა მელაპარაკა, მიშა კი – ჩუმად ყოფილიყო, რადგან ამით საზოგადოებას ბევრი კითხვა უჩნდება, რაც ძალიან კარგია – ჩვენს მაღალრეიტინგულობაზე მეტყველებს.

— თუ მიშას ფუნქცია მხოლოდ კადრში დგომაა, ცოტა უფრო სიმპათიური, ვინმე მაინც დაგეყენებინათ — შეეხედავდით და თვალს გაუხარდებოდა...

– პირადად მე, ძალიან მომწონს მიშა, სიმპათიურიც არის და ფოტოგენურიც და ძალიან კარგადაც ლაპარაკობს...

— შენ კი მოგწონს, მაგრამ საზოგადოების აზრი არ გაინტერესებს?..

– საზოგადოება ჭრელია. ჩვენ ხომ ისეთი ადამიანები ვართ, ვინც ქმნის საზოგადოებრივ აზრს და არა ითვალისწინებს?! ნახე, რა მაგარი რამე ვთქვი!..

— გეტყობა, რომ არ ითვალისწინებ... ყველა მოწვეულ სტუმარს ასე შინაურულად რატომ ელაპარაკები?

– მათ მე ეკრანს გარეთაც „შენობით“ ველაპარაკები. არასწორად მიმაჩნია, რომ მეგობრებს ხალხის დასანახავად „თქვენობით“ მივმართო.

— ამით სამსახურსა და პირად ცხოვრებას ერთმანეთში ხომ არ ურევ?

– ვინც ასე ფიქრობს, ტელევიზორს სხვა არხზე გადართავს და ჩვენს გადაცემას რეიტინგი არ ექნება. რაკი ასე არ ხდება, ე.ი. ნებისმიერ ადამიანს შემიძლია, „შენობით“ მივმართო. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე იმას ვაკეთებ, რაც სწორად მიმაჩნია.

— სხვა რომელიმე გადაცემაში რომელიმე ჟურნალისტს რომ ხშირად გამოეყენებინა გამოთქმა — „ამის დედა ვატირე“, — შენ მასზე რა შთაბეჭდილება შეგექმნებოდა?

— თუ ჟურნალისტს ეს მოუხდება — კი, ბატონო, თქვას. მაგრამ ჟურნალისტების უმრავლესობა ზოგადად, გარკვეული ცხოვრების „ფახშია“ და ასეთ რამეს ვერ იტყვის. მათ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკოსები ან სხვა რომელიმე რესპონდენტები მათზე მაღლა დგანან. მე კი ასე არ ვფიქრობ და ყველასთან მიმართებაში თავისუფალი ვარ.

— ეი. არავისი „ფახი“ არ გაქვს?

— როგორ არა? — ოთხფეხა ძაღლების ძალიან მეშინია...

— თქვენს ტელევიზიაზე ამბობენ, რომ ე.წ. „კრიშა“ გყავთ!

— ვინ არის ჩვენი „კრიშა“, მიშა?

— არ ვიცი, შენ როგორ ფიქრობ?

— ჰო, ალბათ მიშაზე ამბობენ... საკაშვილთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა, ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე ის პრეზიდენტი გახდებოდა. ეგ არის და ეგ. საქართველოში უკვე წავიდა ის დრო, როცა ტელევიზიას „კრიშა“ სჭირდებოდა, აქედან გამომდინარე, არც გვყავს. მიმაჩნია, რომ თავად მე ვარ გავლენიანი და ჩემს მეგობრებთან ერთად ძალიან მაგარ ტელევიზიას ვაკეთებ. მაგრები რომ არ ვიყოთ, ჩვენს გადაცემაში ცნობილი პოლიტიკოსები და მინისტრები არ მოვიდოდნენ, არც ისეთი მსახიობი ითამაშებდა ჩვენს სერიალში, როგორიც კახი კავსაძეა. მართლა, გაცნობებთ, რომ კახი უკვე სერიალ „მუსკულების“ ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა და კვირაში ორ-სამ სერიაში ითამაშებს. სულ მალე გივი ბერიკაშვილიც შემოგვიერთდება. კახი კავსაძის ჩვენთან მოსვლამ იდიოტების კრეტინულ შეფასებებს — თითქოს ჩვენ მდარე ხარისხის იუმორი გვაქვს, — საბოლოოდ წერტილი დაუსვა, რადგან კახი მსოფლიო რანგის მსახიობია, ჩვენ კი იმდენი ფული არ გვაქვს, რომ მას მილიონი გადავუხადოთ და ამის გამო მოვიდეს ჩვენთან. „მუსკულებს“ აღიარება უკვე მოპოვებული აქვს და ეს არის ყველაზე გემოვნებიანი და მასობრივი სატელევიზიო პროექტი, რაც ამ ბოლო დროს შექმნილა საქართველოში. ვინც ამბობს, რომ ჩვენი ტელევიზია არ მოსწონს, მას უბრალოდ, შურს ჩვენი. „მუსკულების“ სპეციალურ სტუმრებად კიდევ მაგარ ხალხს „გავჩითავთ“.

— როგორც შევიტყვე, სექტემბრიდან თქვენს ტელევიზიაში სიახლეები იქნება.

— მართალია. დავამატებთ კიდევ ერთ სერიალს, რომელიც იქნება მელოდრამა. ასევე, „ღამის შოუს“ პრინციპის ტოქ-შოუს დავამატებთ, რომელიც, რა თქმა უნდა, იუმორისტული იქნება.

— „ღამის შოუს“ მიჰბაძავთ?

— არა, რადგან „ღამის შოუ“ ამერიკული ანალოგებით გაკეთდა. არავინ გვიშლის ხელს, რომ ეს ფორმატი, ოღონდ სახეშეცვლილი, ჩვენც გადმოვიღოთ.

— ერთმანეთის კონკურენტები გახდებით?

— კონკურენტები ვერ გავხდებით, მართალია, ხშირად უწევდათ ახალი მაგისტრის არჩევა, რადგან ამ თანამდებობაზე მხოლოდ კეთრით დაავადებული უნდა ყოფილიყო.

„მუსკულების“ სპეციალურ სტუმრებად კიდევ მაგარ ხალხს „გავჩითავთ“

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის **უბის წიგნაკიდან:**

21. ქართული განძი 23 წლის განმავლობაში იყო ექვთიმე თაყაიშვილის ხელში, ისე, რომ არაფერი მოჰკლებია. საქართველოში დაბრუნების წინ ექვთიმეს ქართული დელეგაციისთვის უთქვამს: ტიტველი ვარ, ასე როგორ წამოვიდე საქართველოშიო?!.

22. ინგლისურ ენაში არსებობს გამოთქმა: to scratch the cat — „კატის დავარცხნა“, რომელიც ტანჯვის შემსუბუქების მნიშვნელობით იხმარება. საქმე ისაა, რომ სამხედრო ფლოტის მეზღვაურებს ხშირად გამთრახებით სჯიდნენ. მათრახს, რომელსაც „კატას“ ეძახდნენ, მრავალწვერიანი ბოლო ჰქონდა. გამთრახების დროს ეს წვეროები ერთ მთლიან ჟგუტად იკვრებოდა და სასჯელს აუტანელს ხდიდა. მეზღვაურები რომ არ დაეკარგათ, ბრიტანეთის საადმირალომ XVIII საუკუნეში გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, ყოველი 12 დარტყმის შემდეგ მათრახის ბოლოები უნდა გაეცალკევებინათ, „დაეკვარცხნათ“. ეს გამოთქმაც სწორედ აქედან წამოვიდა.

23. ინგლისელმა ფრედ ჯონსმა ჰელიუმით გაბერილი 400 საჰაერო ბუშტით იმოგზაურა. მან შურდულის დახმარებით განახორციელა დაშვება.

24. მოპასანი ეიფელის კოშკს მსოფლიოს უმახინჯეს ნაგებობად თვლიდა. მიუხედავად ამისა, იგი ხშირად სადილობდა კოშკის ქვედა სართულზე მდებარე რესტორანში და თავის საქციელს იმით ხსნიდა, რომ ეს ერთადერთი ადგილი იყო პარიზში, საიდანაც ეიფელის კოშკი არ ჩანდა.

25. ერთხელ სწავლულ ბუნებისმეტყველს, ჟორჟ ბიუფონს, პარიზის ბოტანიკური ბაღიდან იშვიათი ჯიშის ორი ბანანი გაუგზავნეს. პატარა ბიჭმა, რომელსაც მათი მიტანა ჰქონდა დავალებული, გადაწყვიტა, რომ სწავლულს ორი ბანანი არაფერში სჭირდებოდა და გზაში ერთი ცალი შეჭამა. — მეორე რა უყავი? — ჰკითხა მისვლისას ბიუფონმა. — შევჭამე! — უპასუხა ბიჭმა. — როგორ თუ შეჭამე? — გადაირია სწავლული. — როგორ და ასე! — უპასუხა ბიჭმა და მეორე ბანანიც შეჭამა. ■

რადგან „რუსთავი 2“ თავისი ყველა გადაცემით დაღმა მიექანება. ჯერჯერობით კონკურენტები ვართ, მაგრამ სექტემბრისთვის ის საბოლოოდ დაკარგავს მაყურებელთა ნდობას და შესაბამისად, კონკურენტიც აღარ გვეყოლება.

— რატომ ხართ ამაში დარწმუნებული? როგორც ვიცი, „რუსთავი 2“-ს თქვენზე გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავს...

— ნელ-ნელა ტენდენცია იქით მიდის, რომ ის მაყურებელს დაკარგავს. ეს მხოლოდ ჩემი აზრია.

— ახლა ისიც გვითხარი, დათო გოგიჩაიშვილის გუნდი რატომ გამოეყო თქვენს გუნდს?

— გუნდი არ ვიცი, მაგრამ შემიძლია გითხრა, გია ჭანტურია და დათო გოგიჩაიშვილი რატომ წავიდნენ ჩვენგან. დათოსთან, ამერიკაში წასვლამდე, გარკვეული ფინანსური პრობლემა მქონდა, ან მას ჰქონდა ჩემთან ეს პრობლემა. ჭანტურიამ კი ჩვენთან საკუთარი ადგილი ვერ მონახა და გადაწყვიტა, რომ თვითონ ემართა ის შემოქმედებითი ჯგუფი, რომელსაც ის შექმნიდა. მას ჩემი მართვის სტილი არ მოსწონდა. გოგიჩაიშვილი ამერიკიდან რომ ჩამოვიდა, ჩემთან მუშაობა მაინც შევთავაზე, მაგრამ მან „რუსთავი 2“ აირჩია.

— „კა-ვე-ენი“ ერთად რატომ აღარ გააკეთეთ?

— „კა-ვე-ენი“ სისულელეა. ჩემი ინტერესების სფეროში ეს თამაში აღარ შედის. მიმაჩნია, რომ „კა-ვე-ენი“ ბავშვობაა. ვისაც რა უნდა, ის გააკეთოს, ბავშვები ხომ ერთობიან. საერთოდ, ვფიქრობ, რომ გოგიჩაიშვილის გუნდი ძალიან უნიჭოდ ხუმრობს. ჩვენ გაცილებით უკეთესად ვაკეთებთ ამ საქმეს, ვიდრე ისინი...


„მუსკულებმა“ კარგი ხოდი“ მონახეს და ისე „დამაბეს“

შალვასთან საუბრის შემდეგ, ბუნებრივია, ***კახი კავსაძის*** *„გამუსკულებითაც“ დავინტერესდით.*

— ბატონო კახი, გავიგეთ, სერიალ „მუსკულების“ სრულუფლებიანი წევრი გამხდარხართ...

— კი, ბატონო, მართალია. დროებით ასე იქნება. ახლა თავისუფალი დრო მაქვს და რატომ არ უნდა ვითამაშო?! სულ მალე წავალ და შესაბამისად, „მუსკულებში“ ვეღარ მიხილავთ. მთხოვეს, ჩვენთან მოდიო და უარი ვეღარ ვთქვი.

— მაგრამ შალვა რამიშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ თქვენ უკვე ამ სერიალის ერთ-ერთი მთავარი გმირი ხართ და მალე გივი ბერიკაშვილიც დაგიმშვენებთ გვერდს...

— ეგ მათი სურვილია, რომ სულ მათთან ვიყო, მაგრამ ამას როგორ განვახორციელებთ, ეს სხვა საქმეა... შალვამ არც კი იცის, რომ ჯერ გივისთვის არაფერი მითქვამს. რა ვიცი, კაცო, რა ხასიათზე იქნება: „მუსკულობა“ რომ შევთავაზო, თავში არაფერი ჩამარტყას.

— მაინც რა დაინტერესება გქონდათ ისეთი, რომ ამ სერიალში თამაშზე დათანხმდით?

— შენ რა გადარდებს?! ასე რატომ ჩამეძია? ხომ არ გინდა, რამე მთხოვო და შეგისრულო? არ გამოგივა. „202“-მა ისეთი შუამავალი მომიგზავნა, უარი ვერ ვთქვი. რა თქმა უნდა, ფინანსური დაინტერესების გარეშეც არაფერი ხდება. ვიცი, რომ სათანადოდ ვერ მიხდიან, მაგრამ გარკვეული გასამრჯელო მაინც მაქვს.

— თვითონ სერიალ „მუსკულებზე“ რა აზრის ხართ?

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, რადგან ტელევიზორში მხოლოდ სპორტს, საინფორმაციო გადაცემებსა და ცხოველთა სამყაროს ვუყურებ ხოლმე. ჩემი ფილმები არ მინახავს არასოდეს და „მუსკულებს“ ვუყურებდი?!

— მაშინ ის გვითხარით, ზვიო, შონზო, ალეკო და ანი როგორი პარტნიორები არიან?

— მშვენიერი. ძალიან მონდომებული ახალგაზრდები არიან. როგორც ვიცი, ამ სერიალს ხალხი უყურებს და მათ კარგად იცნობენ. თუმცა მაინც მირჩევნია, ჩემი პარტნიორი თუნდაც ისევ გივი ბერიკაშვილი იყოს... აი, რამაზ ჩხიკვაძე კი ძალიან საზიზღარი პარტნიორია... ისიც უნდა გითხრათ, რომ ერთ-ერთ ფილმში — „მე — პელეს ნათლია“ — ნანი ბრეგვაძეს ჩემი მეუღლის როლი უნდა ეთამაშა. თავიდან ამის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, გამოუცდელია-მეთქი, — ვამბობდი, მაგრამ მან ყველაფერს ისე კარგად გაართვა თავი, რომ ამის შემდეგ თუ რაიმე როლს შემომთავაზებენ, სადაც ცოლი უნდა მყავდეს, რეჟისორს ვთხოვ, რომ ჩემს პარტნიორად ნანი აიყვანოს.

— სხვა ტელეკომპანიამ რომ შემოგთავაზოთ რომელიმე სერიალში თამაში, დათანხმდებით?

— არც ერთ ქართულ სერიალში აღარ მივიღებ მონაწილეობას. საერთოდ, ვერ ვიტან სერიალებს. „მუსკულებმა“ კარგი „ხოდი“ მონახეს და ისე „დამაბეს“. დასვენება ხომ მინდა? წიგნიც უნდა წავიკითხო, ცოტა უნდა „ვიბუჯურო“... მარქსმა კი თქვა — მუშაობამ შექმნა ადამიანიო, — მაგრამ მე ამის მეტად ვეღარ „შევიქნები“ და ვერ ჩამოვყალიბდები, რაცა ვარ, ესა ვარ!

— ისიც გვითხარით, სად აპირებთ გამგზავრებას?

— რუსეთი და აზერბაიჯანი იღებს 8-სერიიან ფილმს, რომელიც „გრაფ მონტე კრისტოს“ ახლებური ინტერპრეტაციაა. ეს ჩემთვის ცოტა უჩვეულო და რთული როლია, რის გამოც ძალიან დავინტერესდი, თუმცა, ამ სირთულის გამო თავიდან ამ როლზე უარის თქმას ვაპირებდი. მერე საკუთარ თავს ვკითხე: სირთულეს ყოველთვის თავს ართმევ და რთული როლის თამაში არ შეგიძლია-მეთქი? — და გადავწყვიტე, დავთანხმებოდი. ვიდრე გადაღებები დაიწყებოდა, 40 დღის განმავლობაში ერთ ოთახში ვიჯექი და საკუთარ თავზე ვმუშაობდი. ახლა უნდა წავიდე და ეს გადაღებები დავასრულოთ. მერე ნიუ-იორკში მიგვაქვს სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“. იქიდან დაბრუნების შემდეგ, „მუსკულებთან“ ისევ ვიქნები, პარალელურად კი, გიორგი შენგელაიას ახალ ფილმზე დავიწყებთ მუშაობას, რომელსაც „მიდის მატარებელი“ ერქმევა. ჩემი პარტნიორი რამაზ ჩხიკვაძე იქნება. ამ ფილმში ძალიან უნდა გავაფრინო — როლი მაქვს ასეთი. გადაღების შემდეგ, ვაშინგტონში ისევ „სტუმარ-მასპინძელს“ წარვადგენთ. ისე, ეს რეჟისორები არტისტებზე დარტყმულები არიან: გიორგი ისე მეუბნება — აქ ჩამოდი, მერე წადი, მერე ისევ ჩამოდიო, — რომ ავიწყდება ჩემი ასაკი. კაცი 60 წლის ვარ, ისეთი მაგარი აღარ ვარ, როგორიც 50 წლის წინ ვიყავი... როცა დრო მექნება, „მუსკულებში“ აუცილებლად ვითამაშებ...

■

ვყლაპავდით „ალიენცეტი“ და „ყოვლისმეძლე ჯადოქრები“

მაგები, ასტროლოგები, ექსტრასენსები, ჯადოქრები, შამანები და მედიუმები არასდროს და არც ერთ ქვეყანაში არ უჩიოდნენ უმუშევრობას. უფრო მეტიც, ისინი სახელმწიფოს მართვაშიც მონაწილეობდნენ, თუკი გულუბრყვილო მმართველს საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოაქცევდნენ. მაგი გრაფი სენ-ჟერმენი თავის ჭკუაზე ათამაშებდა ლუდოვიკო მეთხუთმეტეს. ნიკოლოზ II ნაბიჯს არ დგამდა გრიგორი რასპუტინთან შეუთანხმებლად. ჰიტლერმა საიდუმლო ცოდნის მისაღებად, საგანგებოდ გაგზავნა ექსპედიცია ტიბეტში; მოგვიანებით, ბერლინში მოღვაწე ტიბეტელმა ბერებმა ფიურერს შეუთვალეს, რომ მათი შელოცვებისა და სხვადასხვა რიტუალის წყალობით, გერმანია დაუმარცხებელ ქვეყნად იქცა და მას შეეძლო, გამარჯვებული გამოსულიყო ნებისმიერი მასშტაბის ომიდან. საბჭოთა ხელმძღვანელობაც არ ამბობდა უარს ნათელმხილველთა მომსახურებაზე. როგორც ამბობენ, ლეონიდ ბრეჟნევის ემისრები ხშირად სტუმრობდნენ ბულგარელ ნათელმხილველს — ვანგას.

ნანა ქიბიშაური

ისტორიამ შემოგვინახა ცნობები ერთ-ერთ ყველაზე აღზევებულ მაგზე, ესპანეთის არმიის პოლკოვნიკზე, როგორც მისი თანამედროვენი უწოდებდნენ — „დიდ მაგისტრზე“ — გრაფ ალესანდრე კალიოსტროზე. სინამდვილეში ის არც გრაფი იყო და არც ალესანდრე ერქვა — მისი სახელი ჯუზეპე ბალზამო გახლდათ. მან უამრავი ადამიანი დაარწმუნა იმაში, რომ ყოველდღიური კავშირი ჰქონდა გარდაცვლილთა სულებთან და მათგან უამრავ ინფორმაციას იღებდა. სჯეროდათ ისიც, რომ მის დამზადებულ წამლებს ყოველნაირი ადამიანური სატკივრის განკურნება შეეძლო. ბალზამო ამბობდა, რომ მან გამოიგონა „სიყვარულის ფორმულა“ და „მარადიული ახალგაზრდობის ელექსირი“ — წამლები, რომელთა მოსაპოვებლადაც გრაფინიები და მარკიზები მზად იყვნენ, ყველაზე ძვირად ღირებულ საგვარეულო განძეულს შელეოდნენ... არადა, ალესანდრეს გაუნათლებლობა თვალში საცემი იყო. მან არ იცოდა არც ფრანგული და არც იტალიური, მშობლიურ სიცილიურ დიალექტზეც ძლივს ახერხებდა წინადადების აგებას. ბალზამოს თაღლითობის ამბავი მაშინ გამჟღავნდა, როცა მან სამეფო კარის ერთ-ერთი წარმომადგენლის ახალშობილი „განკურნა“, რაც ძალზე იოლად მოახერხა — ავადმყოფი ჩვილი, ჯანმრთელი ბავშვით შეცვალა. მაგრამ იმ ჯანმრთელი ბავშვის მშობლების გაჩუმება ვეღარ მოახერხა და საკუთარი ტყავის გადასარჩენად, იძულებული გახდა, სასწრაფოდ გაუჩინარებულიყო.

ბალზამოს მაგვარი მაგები და ნათელმხილველები ყველგან არიან, მაგრამ გულუბრყვილოთა სიმრავლის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი, დღეს თურმე რუსეთი ყოფილა. ოკულტურმა ბიზნესმა იქ აყვავება XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო და დღემდე შემოსავლიანობის მიხედვით, ნარკობიზნესს უტოლდება. ამაში თავისი როლი მასმედიამაც შეასრულა: სახელმწიფო არხები უფასოდ უთმობდნენ საეთერო დროს კაშპიროვსკის და ჩუმაკს; ბორის ელცინის დაცვის სამსახურის თანამშრომელი გეორგ რაგოზინი მთელი სერიოზულობით იყო გატაცებული ოკულტური მეცნიერებით და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნამდე, თითოეული კანდიდატის ჰოროსკოპს საგულდაგულოდ სწავლობდა, რათა ელცინის გარშემო დადებითი ენერგეტიკული ველი არ დარღვეულიყო. სახელმწიფო დუმამ ერთ-ერთ სხდომაზე საგანგებოდ მიიწვია და მოუსმინა ნათელმხილველ რაისა სუმერნინას, რომელმაც კანონმდებლებს აუწყა, თუ ვინ იყო ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, „გზაკვალაბნეული“ და ვინ — მთავარი „ჟულიკი“...

ამერიკაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ მედიუმები და ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, „სულებთან მობაასენი“ ოკეანის გაღმა ცდილობენ წარმატებული „კარიერის“ შექმნას. პირადად მე, მედიუმი სწორედ ისეთი წარმომდგინა, როგორიც ვუპი გოლდბერგია ფილმში „მოჩვენება“, მაგრამ ერთ-ერთი ჩემი რესპონდენტის ნაამბობს თუ დავუჯერებთ, არც ყველა მედიუმია ვუპის გმირივით სასაცილო და არც სპირიტიზმია სახუმარო თემა. ჩვენი პირველი რესპონდენტია ქალბატონი, რომელსაც გაურკვეველ ვითარებაში გარდაეცვალა ძმისშვილი.

მითხრეს, თბილისთან ახლოს, ერთ-ერთ რაიონში მოხუცი ქალი ცხოვრობს, მხოლოდ გარდაცვლილების შესახებ მკითხაობს და აუცილებელია, თან გარდაცვლილის გაურეცხავი სამოსი გქონდესო.

მედიუმმა დანა მესროლა და კინაღამ სიცოცხლეს გამომასალმა

„ჩემი ძმისშვილი აფხაზეთის ომში იბრძოდა. იქიდან კი სულ სხვა ადამიანი ჩამოვიდა — ნერვებდაგლეჯილი და იმ-

ედდაკარგული. ხშირად სვამდა. დათვრებოდა თუ არა, ტიროდა და თან უშვერად ილანძღებოდა: აქ რომ ღორები სხედან, იმათ კისერზეა ჩვენი ბიჭების სისხლი, მე იქ ისეთი რამე ვნახე, ერთ-ერთ მაღალჩინოსანზე ისეთი კომპრომატი მაქვს, თუ ჩემი გარდაცვლილი ძმების ოჯახებს არ დაეხმარება, – სადაც საჭიროა, იქ ვიტყვი და საქმე ძალიან ცუდად წაუვა – არ აცოცხლებენო. ამის მეტს არაფერს ამბობდა. ვერ ვხვდებოდით, ვის გულისხმობდა იმ მაღალჩინოსანში, მაგრამ ზედმეტი შეკითხვების დასმასაც ვერ ვუბედავდით. თბილისში ჩამოსვლიდან 6 თვის შემდეგ, გია შინ მკვდარი მოგვისვენეს. გვითხრეს, ბევრი დალია, ნერვებმა უმტყუნა და თავი მოიკლაო. ექსპერტიზის პასუხმაც დაადასტურა, რომ საქმე თვითმკვლელობასთან გვქონდა, მაგრამ მე არა და არ მასვენებდა ეჭვი: იქნებ მოკლეს? იქნებ, შეეცადა ომში დაღუპული მეგობრების ოჯახების სასარგებლოდ რაღაც გაეკეთებინა და მათთვის სიკეთეს, სხვისი დაშანტაჟებით ცდილობდა? ...და დავიწყე მკითხავებთან სიარული. ვის აღარ მივუტანე გიას ფოტო. თუ გავიგებდი, ვიღაც კარტს შლიდა ან ნათელმხილველის ნიჭი ჰქონდა, ურიის ვალს ვიდებდი და მასთან გავრბოდი. ბოლოს მითხრეს, თბილისთან ახლოს, ერთ-ერთ რაიონში მოხუცი ქალი ცხოვრობს, მხოლოდ გარდაცვლილების შესახებ მკითხაობს და აუცილებელია, თან გარდაცვლილის გაურეცხავი სამოსი გქონდესო. წავიღე გიას პერანგი, მივედი იმ ქალთან და ისეთ ჯურღმულში ამოვყავი თავი, რომ არა ჩემი გასაჭირი, იქ 5 წუთსაც ვერ გავძლებდი. ოთახს ლამპა ანათებდა. იატაკი სანახევროდ აყრილი იყო. მოხუცი ხის სკამზე იჯდა და ობიან პურს ჭამდა. ოთახში გაბმულ თოკზე რაღაც ბალახები შრებოდა. ჭვარტლის, ობის და ბალ-



ახების სუნით გაჟღენთილ სარდაფში სუნთქვა ჭირდა. მივუახლოვდი თუ არა, მანიშნა, ჩემს პირდაპირ დაჯექიო. გიას პერანგი გამომართვა და დიდხანს ყნოსავდა. ჯერ აქეთ-იქით ირწეოდა მერე ტირილი დაიწყო. ჩურჩულით მითხრა, – რა გინდა, რატომ მაწვალებო? მომეჩვენა, რომ გია მესაუბრებოდა. მერე იმ ქალმა ხმამაღლა დაიწყო მოთქმა: წადი აქედან, ნუ მაწვალებ, მეტი აღარ შემიძლიაო. ძალიან შემეშინდა, მაგრამ ვერ მოვითმინე და ვიკითხე: გია შვილო, გამაგებინე, როგორ მოგკლეს-მეთქი? – როგორ და აი, ასეო, იღრიალა უცებ იმ ქალმა, მაგიდაზე დადებულ დანას დასტაცა ხელი და მესროლა. ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ უცებ ვერც გავიაზრე, რა ხდებოდა ჩემს თავს. ქალი ადგილიდან წამოხტა, დანას, რომელიც მილიმეტრებით ამცდა, კვლავ ხელი დასტაცა და ჩემკენ წამოვიდა, თან ღრიალებდა: რა გინდა, რატომ მაწვალებო? ძლივს მოვიგერიე ის ქალი, მას სხეულში თითქოს რაღაც არაადამიანური ძალა ჩასახლებოდა. ბოლოს ვიმარჯვე, დავტაცე გიას პერანგს ხელი და გამოვიქეცი. შინ რომ მივედი და სარკეში ჩავიხედე, თვალებს არ დავუჯერე – მარცხენა წარბი გათეთრებული მქონდა. შიშის გამო თმა რომ უთეთრდებოდათ, გაგონილი მქონდა, მაგრამ წარბი?.. ორი თვის განმავლობაში ინტენსიურად ვმკურნალობდი. მერე სიზმარი ვნახე: თითქოს გია ავად იყო. ის მოხუცი მედიუმი კი შუბლზე უსვამდა ხელს და აწყნარებდა. დილით ჩავიცვი და ისევ იმ რაიონში გავემგზავრე. იმ ქალის მეზობლებისგან გავიგე, რომ წინა საღამოს გარდაცვლილიყო და მეზობლები სამადლოდ მარხავდნენ. მეც შევეწიე მათ, რითიც შემეძლო და უკან დავბრუნდი. მოგვიანებით ისევ მესიზმრა გია. ბოდიშს მიხდიდა და მთხოვდა, თავი დამანებე, ნულარ გამაწვალებო. მას შემდეგ შევეშვი მკითხავებთან სირბილს და ეკლესიაში მოვინანიე ჩემი შეცოდება".

ის მკითხავები და მაგები, ვინც კარგად აითვისეს თანამედროვე მარკეტინგის პრინციპები და თავის „ნიჭს" ფართო რეკლამირებას უწევენ, ობიან პურს ნამდვილად არ ჭამენ. სარეკლამო მენეჯერებიც ჰყავთ, მდივნებიც და თანაშემწეებიც. მათი ტელეფონის ნომრის აკრებისას მდივანი გპასუხობთ, რომ მიღებაზე უნდა ჩაეწეროთ და თუ გინდათ, რომ რიგმა ორი კვირის შემდეგ არ მოგიწიოთ, გადასახდელ თანხას კიდევ 10 ლარი უნდა დაამატოთ... საქართველოში განსაკუთრებით პოპულარულები ის მაგები არიან, რომლებიც ჯადოს მოხსნაზე „მუშაობენ".

ჩვენი შემდეგი რესპონდენტი 38 წლის სიმპათიური ქალბატონია.

თეთრი მაგი ელეგია, შავი მაგი სერამიდა და სასაფლაოზე დამარხული ბეჭდები

„ვვიან გავთხოვდი და სამი შვილი ერთმანეთის მიყოლებით გავაჩინე. ჩემს ქმარს კარგი სამსახური აქვს, ფინანსური პრობლემები არასოდეს გვქონია, მაგრამ რატომღაც აზრადაც არ მომსვლია, ბავშვებისთვის ძიძა ამეყვანა და საკუთარი თავისთვის დიასახლისის ტვირთი შემემსუბუქებინა. სტუმრიანი ოჯახი მაქვს, სამი ბავშვი, მეუღლე, სადილი, სარეცხი... ისე ღამდებოდა დღე, რომ ხან თმის დავარცხ-



ნასაც ვერ ვასწრებდი. ერთხელ, ჩემი მეზობელი გაზეთით ხელში მომადგა: ღამით ძალიან უცნაური სიზმარი ვნახე, დილით კი გაზეთში ისეთი განცხადება წავიკითხე, ეს დამთხვევა კი არა, მინიშნებაა და განცხადება მაჩვენა: „შეღავათიან ფასში მოგემსახურებათ გამოცდილი თეთრი მაგი. მომსახურებაში შედის ყოფითი და პირადი პრობლემების გადაწყვეტა, ბედის გახსნა, ჯადოსგან გათავისუფლება, სიზმრის ახსნა" და ა.შ. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, წავედით იმ მაგთან, რომელიც ნაქირავებ, კეთილმოწყობილ ბინაში ცხოვრობდა და ძალიან უცნაური სახელი ერქვა ელეგია (როგორც თვითონ აგვიხნა, მაგად კურთხევის შემდეგ ყველა ახალი სახელით ინათლება), სამუშაო მაგიდაზე თეთრი სანთლები, მაკრატელი, ქვები, კარტი და „ასტროლოგიის" რუსული გამოცემა იდო. სამი მსხვილი ოქროს ჯაჭვი ეკიდა ყელზე, თითებზეც უამრავი დიდთვლიანი ბეჭედი ჰქონდა ასხმული. ეტყობოდა, ოქროსმოყვარე რომ იყო. სანთელი აათნო, მისი ნაღვენთი წყლიან ჯამში ჩააწვეთა, მიღებული ფირფიტა ხელში დაიჭირა და ჩემი ცხოვრება მართლა ჩემ მიერ დაწერილ ავტობიოგრაფიასავით წაიკითხა. პირდაღებული ვუსმენდი, მაგრამ როცა ქმრის ღალატზე დაიწყო საუბარი და იმაზე, თუ როგორ ცდილობდა სხვა ქვეყნიდან ჩამოსული ქალი მის მოჯადოებას, გული შემიქანდა. დამამშვიდა, – ახლა ისეთ დამცავ შრეს გავუკეთებ, არა

მამა დავითი (ერისთავი)

მგონია, იმ ქალმა მისი დარღვევა შეძლოსო. შინ მისულმა ფრთხილად გამოკითხე ქმარს, – ახალი თანამშრომელი ხომ არ შემოგმატებიათ-მეთქი? – და გაოცებული დავრჩი, როცა მითხრა, რომ რუსეთში ნამუშევარი საკმაოდ გამოცდილი მენეჯერი მიიღეს სამუშაოდ. ერთი კვირის შემდეგ, ისევ მივედი მკითხავთან და ვთხოვე: – ქალბატონო ელეგია, მაინტერესებს რა მდგომარეობაშია ჩემი ქმრის დამცავი შრე-მეთქი. აღმოჩნდა, რომ შრე დარღვეული იყო, რადგან ჯადო ძალიან ძლიერი შავი მაგის, სერამიდას სალონში იყო დამზადებული. როგორც ამიხსნა, ეს სალონი რუსეთში მეტრო „Водный стадион“-ის გვერდით მდებარეობდა და მისი დიასახლისი შავ მაგიაში ფრიად განსწავლული ქალი იყო, რომელმაც თავისი სკოლა შექმნა. მის მოსწავლეებს სპეციალიზებულ მაღაზიათა ქსელი „Путь к себе“ გაუხსნიათ, შავი მაგიისთვის საჭირო ატრიბუტიკით ვაჭრობენ და ყოფილ საბჭოთა კავშირს კი არა, უკვე ევროპის ბაზარს აკონტროლებენო. ელეგიამ დაადგინა, რომ ჯადო ჩემი და ჩემი მეუღლის ქორწინების ბეჭდებზე იყო გაკეთებული. და თუ ჩემს ქორწინების ბეჭედს სხვა სამკაულთან ერთად ვინახავდი, იმ სამკაულსაც დარღვეული ექნებოდა ენერგეტიკული ველი. მომცა ფურცელზე დაწერილი ლოცვები, რომლებიც წაკითხვის შემდეგ, მტკვარში ხელუკუღმა უნდა გადამეყარა და სანთლები, რომლებიც საძინებელში უნდა ამენთო. მეორე დღეს კი სამკაულის „გასაწმენდი“ რიტუალის შესასრულებლად დამიბარა. ოქროული ჩემ თვალწინ გამოხარშა, თან წყალს ბუტბუტით რაღაც ნივთიერებებს ამატებდა. მერე მითხრა, შინ პატარა ბავშვები გყავს, ყოველი შემთხვევისთვის, ერთი დღე სასაფლაოზე რომ არ დამარხო, ისე ნუ შეიტან ამ ბეჭდებს სახლშიო. დიდუბის პანთეონში დავმარხე. მეორე დღეს კი მათ ამოსათხრელად რომ მივედი... ფაფუ ბეჭდები! მაშინვე ელეგიასთან გავქანდი, მაგრამ ისიც ისევე აორთქლებული დამხვდა, როგორც ჩემი სამკაული. ბინის პატრონმა მითხრა, რომ მისი მდგმურის შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ აფხაზეთიდან დევნილი იყო. – თქვენი წასვლის შემდეგ პატიოსნად გადამიხადა ერთი თვის ქირა და წავიდაო. ატირებული მივედი შინ და ყველაფერი ვუამბე ქმარს. ვეხვეწებოდი, ის ქალი მაპოვნინე-მეთქი. მეგონა გაბრაზდებოდა, მაგრამ ისეთ დღეში ვიყავი, აქეთ მამშვიდებდა: არა უშავს, გენაცვალე, სამკაული კი დაკარგე, მაგრამ სანაცვლოდ ამიერიდან გაწმენდილ ენერგეტიკულ ველში ვიცხოვრებთ, შენი ბეჭდების გაქრობაში ნამდვილად სერამიდას ხელი ურევია, ელეგია თეთრი მაგია და ამას არ იკადრებდაო. ჩემს ოჯახში ისევ ხშირია სტუმრიანობა. ჩემი და ელეგიას ამბავი კი მეუღლის მეგობრების უცვლელ სახუმარო თემად იქცა. ისე არ დაიშლებიან, რომ კიდევ ერთხელ არ მომაყოლონ, როგორ შემოვარტყი ჩემს ქმარს დამცავი შრე. მეც სიცილით ვყვები თავს გადახდენილ ამბავს, მაგრამ სიცილიც არის და სიცილიც. თუ ეს ჟურნალი იმ ელეგიას ჩაუვარდება ხელში აი, ის იცინებს გულიანად, მაგრამ ვაფრთხილებ: არსად გადამეყაროს, თორემ საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ!“

არც იმას აქვს მნიშვნელობა, სიყვარული ჩაგადენინებს ცოდვას თუ სიძულვილი – ცოდვა ცოდვაა. და კიდევ ერთი:თბილისში ძალიან გააქტიურდა სატანისტების სექტა.

მსოფლიოში მოღვაწე ყველა აფერისტს, იმის მიუხედავად, თუ რა პროფილით მუშაობენ ისინი, ერთი რამ ნამდვილად აქვთ საერთო – შეუძლიათ გაქრნენ! ერთ-ერთი მათგანის მიერ მოტყუებული, 25 წლის თამუნა ამბობს, რომ ცოდვა სიყვარულმა ჩადენინა.

„მიყვარდა და იმიტომ მივყიდე სული ეშმაკს“

„ის, ვინც მე მიყვარს, ჩემი თანაკლასელი იყო. მე-8 კლასში შემიყვარდა და მეტი სხვა არავინ მყვარებია. სკოლაშივე გავარკვიეთ ურთიერთობა – მას არ ვუყვარდი და არც არასოდეს შემიყვარებდა. ამის გაგების შემდეგ, არასოდეს შემიწუხებია ჩემს გრძნობებზე საუბრით... შარშან, თანაკლასელები შევიკრიბეთ და ვიქეიფეთ. მამუკას ყურადღება ერთ-ერთი კლასელის მეუღლისკენ იყო მიპყრობილი, მასთან ცეკვავდა, მას დასტრიალებდა თავზე... როგორც ყოველთვის, მე მისთვის არ ვარსებობდი... ცოტა დავლიე და უცებ, მეც არ ვიცი, ეს როგორ დამემართა – ტირილი დავიწყე. ძალიან მრცხვენოდა, მინდოდა, გავჩერებულიყავი, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ყველამ თანამიგრძნო, მხოლოდ მამუკა შემომყურებდა ირონიულად და ამბობდა: ბოლო ჭიქა არ უნდა დაგელიაო... აი, იმ საღამოს გადავწყვიტე, რომ მოლასთან წავსულიყავი და მისი დახმარებით მამუკას სიყვარული მომეპოვებინა. 6-თვიანი ჯადო გავაკეთებინე, რა იქნებოდა მერე – ამაზე მოლა პასუხს არ აგებდა. ერთ თვეში უკვე უბედნიერეს ქალად ვგრძნობდი თავს. მამუკა მირეკავა და მებოდიშებოდა, – ცხოვრებამ გამაუხეშა, არ მეგონა, ასეთი სიყვარული თუ კიდევ არსებობდაო... 6 თვე რომ გავიდა, მამუკა ჯერ ისევ ისეთი გახდა, როგორიც ადრე იყო, მერე კი გულგრილობა ზიზღით შეეცვალა. ისე ვეზიზღები, რომ ამას წინათ ქუჩაში რომ დამინახა, ამხელა კაცი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, თან ისტერიკულად ყვიროდა და მაგინებდა. ძალიან ვნანობ, რაც გავაკეთე, მაგრამ თავს იმით ვიმართლებ, რომ ცოდვა დიდმა სიყვარულმა ჩამადენინა. სხვა თავსატეხიც გამიჩნდა: უკვე 3 თვის ფეხმძიმე ვარ. გადავწყვიტე, ეკლესიაში წავიდე და მოძღვარს აღსარება ჩავაბარო. ალბათ ის მეტყვის, როგორ მოვიქცე. მაგრამ ვინ მეტყვის, როგორი იქნება ასეთი ცოდვის შედეგად ჩასახული ბავშვი?..“

მამა დავითი, *სიონის ეკლესიის დეკანოზი:*

– ყველა მკითხავი და მისანი ამბობს, რომ მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი მას უფლისგან მიეცა. „ბიბლია“ და ჯვარი უდევთ წინ, ხალხს ეუბნებიან – 7 ეკლესიაში უნდა მიხვიდეთ, იქიდან ნაკურთხი წყალი და სანთელი მოგვიტან-

ოთ, რომ შეგილოცოთ და ბედი გაგიხსნათო... ეს ეშმაკისეულები ავჯერებენ ადამიანებს, რომ შეუძლიათ მათ პრობლემები მოუხსნან. შესაყვარებელ და შესაძულებელ წამლებს ზოგი ქრისტეს სახელით აკეთებს, ზოგი – ალაჰის. მოლები არაბულ ენაზე დაწერილ ფურცელს აძლევენ, რომელიც გულზე უნდა დაიკიდონ... ყოველმა ადამიანმა, ვისაც ეს გაუკეთებია, ეკლესიაში უნდა თქვას აღსარება. დიდი მადლი აქვს კვეთებულის ლოცვის წაკითხვას. ყველა მოძღვარს არა აქვს ამ ლოცვის წაკითხვის ლოცვა-კურთხევა. უფრო ხშირად მათ ბერები კითხულობენ. ამას წინათ, ჩვენთან მოვიდა მოზარდი, რომელმაც გვითხრა, რომ ერთ-ერთი სკოლის ქიმიის მასწავლებელი ბავშვებს ასწავლიდა, როგორ უნდა გამოეძახებინათ სული. ეს საშიშია. სული კი არა, ეშმაკი სცემს პასუხს შეკითხვებზე, ამგვარი სეანსის დროს. სპირიტიზმი არის ეშმაკთან საუბრის რიტუალი. ის, ვინც შავ მაგიას დაუკავშირდება, ხშირად შიზოფრენიის მსხვერპლი ხდება. მათ კი, ვინც შემდგომში მოინანიებს, აუცილებლად უნდა აკურთხებინონ სახლი მოძღვარს, რადგან მაგები ათასგვარ ეშმაკისეულ ნივთს, ქონს თუ წყალს ატანენ შინ, მათ მახეში გაბმულ ხალხს. მე მოვუწოდებ ტელევიზიებს და მასმედიას – ნუ დახარბდებიან მკითხავებისგან გადახდილ თანხებს და ნუ დაეხმარებიან მათ ხალხის გაბრიყვებაში. ამას წინათ, მოვისმინე ასეთი განცხადება: „ჩამოვიდა მაგი რიგიდან, თვალით ხსნის ცხრა კლიტეს, მომსახურება შეღავათიან ფასებში, ჩაწერა წინასწარ!“ ვფიქრობთ, ქართველებში არის ისეთი კულტურა და ისეთი რწმენა, რომ ასეთი მაგები საქართველოდან დიდ ფულს ვერ წაიღებენ და მათი კაბინეტების წინ რიგი არ დადგება.

არც იმას აქვს მნიშვნელობა, სიყვარული ჩაგადენინებს ცოდვას თუ სიძულვილი – ცოდვა ცოდვაა. და კიდევ ერთი: თბილისში ძალიან გააქტიურდა სატანისტების სექტა. საზოგადოებას და სამართალდამცავებს სიფხიზლისკენ მოვუწოდებ. მათ კარგი დაფინანსება აქვთ. ასრულებენ მსხვერპლშეწირვის რიტუალს და ამისთვის უპატრონო, მაწანწალა ბავშვებს იტაცებენ.

ყველაზე დიდი ძალა უფალს აქვს და მხოლოდ მას შეუძლია, შეეწიოს ადამიანებს და ყველას მოვუწოდებ, არ მიჰყიდონ სული ეშმაკს, ილოცონ, პარაკლისები გადაიხადონ, ღვთისმშობელს შესთხოვონ დახმარება. ითხოვონ და მიეცემათ. ნუ გახდებით მკითხავების მსხვერპლი. ნუ მიანდობთ თქვენი პრობლემების გადაწყვეტას სხვებს. საკუთარი ჭკუით და ღვთის შეწევნით, ამას მათი „დახმარების“ გარეშეც მოახერხებთ.

■

მარნეულის რ-ნის სოფელ ბაიდარში საზარელი მკვლელობა მოხდა. დღემდე დაუდგენელმა პირმა (თუ პირებმა) შუაღამისას, ოთხსულიანი ოჯახი ამოწყვიტა.

ვაგირ იმამალიევი სოფელში უღარიბეს ადამიანად ითვლებოდა. მისი სახლი, ავარიული და ძველისძველი, მეზობლების ორსართულიანი სახლების გვერდით მართლაც, უბადრუკად გამოიყურება. ორ ოთახს ხის პატარა შუშაბანდი აქვს მიშენებული; ეზო შეუღობავია; გზის მხარეს მავთულის მესერია გავლებული, რომელიც რამდენიმე ადგილას გაწყვეტილია და მიწაზე აგდია.

28 მაისს იმამალიევი, მისი ცოლი და ორი შვილი მეზობლებმა ტყვიებით განგმირულები იპოვეს. ოთხივე გარდაცვლილი იყო, როცა პოლიცია გამოიძახეს...

მარნეულელი მკითხავის ოჯახი სასაფლაოდან ფამოდებულ უძველეს ქვას შეეწირა?

ლელა ჭანკოტაძე

ვიწრო ოთახში გვერდიგვერდ მდგარ ორ რკინის საწოლზე იწვნენ: 36 წლის ვაგირ იმამალიევი, მისი შვილები – 12 წლის ამილი და 10 წლის ამილა, ხოლო დიასახლისი იატაკზე შემოსასვლელ კართან იწვა. გვამები სისხლში ცურავდა... როცა ბინაში მეზობლები შევიდნენ, მკვლელობის მომენტიდან უკვე იმდენი დრო იყო გასული, რომ დამნაშავე თავისუფლად მოახერხებდა მიმალვას.

ვის შეეძლო ჩაედინა ასეთი საზარელი დანაშაული? რა მიზეზით უნდა მოეკლათ ორი მცირეწლოვანი ბავშვი? რა არის დანაშაულის მოტივი? გამოძიება შურისძიების მოტივზე მუშაობს. მაგრამ სხვა ვერსიებიც არსებობს. თითოეულ მათგანს აქვს ლოგიკური ახსნა და არსებობის უფლება, მით უმეტეს, რომ არა მარტო დანაშაული, არამედ თავად გარდაცვლილი იმამალიევის პიროვნებაც ბურუსით იყო მოსილი.

სოფელ ბაიდარში დაკრძალვის დღეს ჩავედით. სოფელმა საერთო ძალებით აუგო წესი ოთხ მიცვალებულს. მეზობლები ჯერ ისევ იმამალიევის ეზოში ტრიალებდნენ, როცა დანაშაულის ვერსიების გარკვევას შევეცადეთ.

— ვინ იყო იმამალიევი? რა იცით თანასოფლელებმა მის შესახებ?

ვაგირ იმამალიევი, *დაღუპულის ბიძაშვილი:*

– ძალიან კეთილი კაცი იყო. სოფელში მისგან განაწყენებული ადამიანი არავის უნახავს. ცუდი არავისთვის არაფერი გაუკეთებია. ამიტომაც მათ დაკრძალვაზე უცხო ხალხიც კი ტიროდა... ასეთ რამეს ვერ წარმოვიდგენდი. პირველმა მე შევიტყვე ამ საშინელების შესახებ. დილის რვა საათზე მოვედი, რაღაც ცუდი მიგრძნო გულმა... ფანჯარა შევამტვრიე და ოთახში ისე შევიხედე... ძროხა ჰყავდათ. საცოდავად ბღაოდა საბძელში. საბალახოდ რომ არავინ გამოიყვანა, მივხედი, რაღაც მოხდა... ბავშვებს არც გაუღვიძიათ, ისე ჩახოცეს. მგონი, არც კაცს გაუგია, როგორ მოკლეს. ქალი კი საწოლიდან

გადმოფორთხებულა და კარამდე მისულა ფორთხვით. ალბათ, საშველად მეზობლებისთვის უნდოდა დაეძახა... კარშივე ეგდო მკვდარი. იატაკი სულ სისხლით იყო მოსვრილი. კედლები, როგორც ხედავთ, დაცხრილულია.

მურად სულთანოვი:

— მორწმუნე კაცი იყო. არ სვამდა, არ ეწეოდა... ამ ათი წლის წინ სიზმარი ნახა: ვიღაცა ეუბნებოდა — სოფლის სასაფლაოზე ქვა დევს, წამოიღე და შენს ეზოში დადე — წმინდა კაცი ხარო... სიზმარი რომ გვიამბო, ვიფიქრეთ, რომ ხუმრობდა, მაგრამ ისეთი მორწმუნე გახლდათ, რომ მალე მის ნათქვამში ეჭვი აღარ შეგვპარვია. თანაც ყველამ ვიცოდით, რომ სასაფლაოზე მართლაც, იდო უცნაური ქვა, რომელზეც „ყურანიდან" წარწერა იყო გაკეთებული. გადმოცემით ვიცი, რომ ქვის ქვეშ ასევე წმინდა კაცი განისვენებდა... ერთი სიტყვით, ქვის ამბავი სოფელში ლეგენდად დადიოდა. იმამალიევმა ქვა თავის ეზოში მოიტანა. სამლოცველო ნიშა ააშენა და ქვა შიგ მოათავსა. იმ დღიდან, ეს ადგილი ჩვენთვის წმინდა ადგილად იქცა. სამლოცველოსთან, ბროწეულის ხეზე თანასოფლელები ქსოვილის ვიწრო ნაჭრებს ამაგრებდნენ; თუ ვინმეს რაიმე ნატვრა ჰქონდა, აქ მოდიოდა, ხეზე ამ ნაჭერს გაკვანძავდა და სურვილს ჩაუთქვამდა; როცა აუსრულდებოდა, ისევ მოვიდოდა და გაკვანძულ ნაჭერს გახსნიდა, თან სამლოცველოში ფულს დადებდა...

ალბათ, ყველანი ერთხელ მაინც ვართ აქ მოსულები — თუნდაც, წმინდა ქვის მოსანახულებლად. ნუთუ, ამ ქვამ მოუტანა ოჯახს ამხელა უბედურება?!

— იმამალიევი მკითხაობდა კიდეც?

რუსლან ისმაილოვი:

— არა. უბრალოდ, მორწმუნე ადამიანი იყო. ჩვენ მისი გვწამდა. მე მჯეროდა, რომ თუ აქ მოვიდოდი და სურვილს ჩავუთქვამდი, აუცილებლად შემისრულდებოდა. თუ შორ გზაზე მივდიოდი, ვიტყოდი — ოღონდ კარგად მოვიარო და ფულს შევწირავ სალოცავს-მეთქი. ამას რომ ვიტყოდი, ვიცოდი — აუცილებლად კარგი გზა მექნებოდა...

მურად სულთანოვი:

— გულჩათხრობილი კაცი გახლდათ. როცა ჩვენ ვსაუბრობდით, ის იდგა და გვისმენდა, საუბარში არასდროს ჩაერეოდა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგად არ ვიცნობდით. მისი წინაპრებიც ამ სახლში ცხოვრობდნენ, ვაგირ იმამალიევი ჩვენ თვალწინ დაიბადა და გაიზარდა. ვიცი, რომ შეეძლო, „ყურანის" საშუალებით ადამიანისთვის ეთქვა — გაუმართლებდა თუ არა ცხოვრებაში, რა ელოდა, როგორი წინააღმდეგობები შეხვდებოდა და ა.შ. ცოლ-ქმარი, ორივე საოცრად მშვიდი ბუნების ადამიანები იყვნენ. არავის არ ეტყოდნენ აუგ სიტყვას... ზოგჯერ ვაგირთან სამკითხაოდ თბილისიდან, რუსთავიდან და მარნეულიდან ჩამოდიოდნენ. ზოგი ლარს უტოვებდა, ზოგი — ორ ლარს. მკითხაობაში დიდ ფულს ვინ მისცემდა?! ყველაზე მეტად სწორედ ის ვერსია გავრცელდა, თითქოს თავისი საქმიანობის გამო მოკლეს. ჩვენთვის ამაზე საუბარი ძნელია. ფაქტია, რომ უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ — ე.ი. მკითხაობაში ბევრ ფულს არ იღებდა. მისი ცოლი დღე და ღამე მინდორში მუშაობდა. თოხნიდა, ბარავდა. ქმარ-შვილიც ეხმარებოდა. 21 წლისები დაქორწინდნენ. მას შემდეგ მათი ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია. კარგი შვილები აღზარდეს. ბავშვები ჩემს შვილებთან მეგობრობდნენ. ძალიან კარგად სწავლობდნენ. მხიარული, ზრდილობიანი ბავშვები იყვნენ.

— მკითხაობის გარდა, ჯადოსაც ხომ არ აკეთებდა?

ვაჟირ იმამალიევი:

— მას მომავლის „ამოცნობა" შეეძლო. უმეტესად ამბობდა: ყველაფერი კარგად გექნებათო. სხვა არაფერი ვიცით... რამდენჯერმე ორი ლარი მეც დავდე წმინდა ქვასთან, თან ვთქვი: თუ ყველაფერი კარგად მექნება, ფულს კიდევ მოვიტან-მეთქი. მე მჯეროდა და ამას ჩემი რწმენის გამო ვაკეთებდი. ზოგჯერ თბილისიდან ჩამოსული ადამიანებიც დამინახავს. მაგრამ ისეთი ხალხი აკითხავდა, რომელსაც ემჩნეოდა, ბევრი ფული რომ არ ჰქონდა და ცხადია, ბევრს ვერც სამკითხაოდ გადაიხდიდნენ.

— თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ მკვლელობა მის რომელიმე განაწყენებულ კლიენტს შეიძლებოდა ჩაედინა?

მისი სახლი, ავარიული და ძველისძველი, მეზობლების ორსართულიანი სახლების გვერდით მართლაც, უბადრუკად გამოიყურება

— მაშინ ბავშვებს რაღას ერჩოდა?! ბავშვები ხომ უდანაშაულოები არიან. ან მისმა ცოლმა რა დააშავა?! ის სიტყვაძვირი, უთქმელი ქალი იყო. არც თავისი გაჭირვებით აბეზრებდა თავს ვინმეს და არც სიხარულს უზიარებდა. მართალია, იმამალიევის ეზოს ღობე არა აქვს შემორტყმული, მაგრამ ეს ოჯახი მაინც კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. ერთადერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, „ყურანს“ კითხულობდა და თანასოფლელებთან კონტაქტს გაურბოდა...

— როცა ამ საზარელი მკვლელობის შესახებ შეიტყვეთ, რა იფიქრეთ? რის გამო შეიძლებოდა, იმამალიევის ოჯახი ამოეწყვიტათ? იქნებ, ვინმეს კონკურენციას უწევდა?

— არა. მასთან იმდენი ხალხი არ მოდიოდა, რომ ვინმეს შეხარბებოდა. უბრალოდ, ჩემთან სტუმრად თუ მოვიდოდა ვინმე, მას ვეტყოდი — ჩვენს სოფელში მორწმუნე კაცი ცხოვრობს, მომავლის „ამოცნობა“ შეუძლია-მეთქი. ასე იქცეოდნენ მეზობლებიც. ხმა

იმამალიევმა ქვა თავის ეზოში მოიგანა. სამლოცველო ნიშა ააშენა და ქვა შიგ მოათავსა. იმ დღიდან, ეს ადგილი ჩვენთვის წმინდა ადგილად იქცა

აც კი ჩამოდიან. იმის სახლთან როცა არ უნდა მიხვიდეთ, ყოველთვის რიგი დგას. აქ კი კვირაში სამი უცხო ადამიანი თუ გამოჩნდებოდა — ეს იყო და ეს.

ვერსია მართლაც, ბევრია. როგორც მეზობლებმა გაგვიმხილეს, მათაც ძალიან აინტერესებთ ამ მკვლელობის მოტივის დადგენა. ორი კაცი თუ ერთად დგას, ე.ი. ამ მკვლელობაზე ლაპარაკობსო, — გვითხრეს. მაგრამ ეჭვი ვერაფერზე და ვერავისზე ვერ მიაქვთ. თუმცა, ყველაზე მეტ ეჭვს სწორედ ამ ადამიანების დუმილი და უმოქმედობა ბადებს. დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ისინი რაღაცას მალავენ. იმამალიევის სახლიდან, რომელიც კაპიტალურ ნაგებობას არ წარმოადგენს, მეზობლებს ყვირილის ხმაც უნდა გაეგონათ, არათუ სროლის. თანაც, იმამალიევების ეზოსთან ახლოს რამდენიმე სახლი დგას, რომელთა პატრონებს, როგორი ღრმა ძილითაც არ უნდა სძინებოდათ, მაინც უნდა გაეგონათ ავტომატის ჯერი. საკითხავია, რატომ არ გამოიძახეს პოლიცია რამდენიმე საათის განმავლობაში? უცნაურია — ძროხა არ გამოიყვანეს საბალახოდ და ამიტომ დავეჭვდით — რამე ხომ არ მოხდაო?.. მეზობლებს შემტვრეული კარი მაინც უნდა დაენახათ — თავდამსხმელმა ხომ ხის კარი შეამტვრია, სახლში რომ შეეღწია. მტვრევის ხმას ალბათ, ჩაძინებული იმამალიევის ოჯახის წევრებიც გაიგონებდნენ და ავტომატიანი კაცის დანახვისას, კივილით საშველადაც მოუხმობდნენ მეზობლებს... ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: იქნებ, მსგავსი რამ სხვა დროსაც მომხდარა იმამალიევის ოჯახში? იქნებ, უკმაყოფილო კლიენტი სხვა დროსაც მოვარდნილა საჩხუბრად და პრეტენზიების გამოსახატავად? იქნებ, მეზობლებმა ყვირილის ხმა ჩვეულებრივ ამბადაც ჩათვალეს?.. ყვირილს კი ამჯერად, ავტომატის ჯერი მოჰყვა...

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მარნეულში ვიღაც მკითხავი კაცი ცხოვრობდა, რომელიც ჯადოების კეთებით იყო დაკავებული, თბილისელი ნათელმხილველები ხშირად ავრცელებდნენ. ბევრი მათგანისგან გამიგონია: მარნეულში კაცი ისეთ ჯადოს აკეთებს, რომ ქვას გააპობსო... იქნებ, ეს კაცი სწორედ გარდაცვლილი იმამალიევი იყო? მისგან ჯადოს კეთების ამბავს მეზობლები ვერ ადასტურებენ, თუმცა ამბობენ, რომ ასეთი რამ მათაც სმენიათ. ასე რომ, შესაძლოა, სიმართლე სწორედ ამ ადამიანებმა იცოდნენ. მაგრამ საეჭვოა, რომ ის მალე გამომზეურდეს...



იაგაკი სულ სისხლით იყო მოსვრილი. კედლები, როგორც ხედავთ, დაცხრილულია

გავრცელდა, ერთმა მეორეს უთხრა, მეორემ — მესამეს, ასე თანდათან ამ ეზოს სულ უფრო მეტი უცნობი ადამიანი აკითხავდა. ბოლო პერიოდში კი, მათმა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი. ალბათ, უცხო ადამიანები მისით კმაყოფილები არ რჩებოდნენ. თუმცა, რასაც იტყოდა, ის აუცილებლად ახდებოდა.

მურად სულთანოვი:

— მარნეულში ცნობილი მკურნალიც ცხოვრობს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ იმამალიევი მას უწევდა კონკურენციას, ტყუილია. ჰასანასთან ბათუმიდან-

ვაგირ იმამალიევის სახლში დაბინავებას ვერავინ გაბედავს. როგორც მისმა ნათესავმა ვაქირ იმამალიევმა გვითხრა, იქ მარტო უპატრონო ბავშვი თუ შეაფარებს თავს, თუმცა, ასეთი ბავშვი სოფელს ჯერჯერობით არ ჰყავს... თანასოფლელები ვერ ამბობენ, რა ბედი ეწევა იდუმალებით მოცულ სალოცავ ადგილს; ჯერ არ იციან, შეძლებენ თუ არა ოდესმე იქ საკუთარი ნატვრის სათქმელად მისვლას. ფაქტია, რომ არაბულწარწერიანმა ამ ძველისძველმა ჩუქურთმიანმა ქვამ ოჯახს დიდი უბედურება მოუტანა...

■

რაც მოგივა, დავითაო...

კვირის განმავლობაში მკითხველებისგან დაახლოებით 1200 „მესიჯს“ ვღებულობ. მათი წაკითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადამიანთა მთავარი საწუხარ-საზრუნავი სასიყვარულო ურთიერთობებია. ამბების უმეტესობა აგებულია სამ სუბიექტზე — ცოლი, ქმარი, საყვარელი ან — შეყვარეული წყვილი და მესამე პირი, რომელიც ყოველთვის ზედმეტია... დღევანდელი „გზავნილების“ თემა გახლავთ — რაც მოგივა, დავითაო... მკითხველებმა არც ამჯერად უღალატეს ჩვევას და „მესიჯებში“ უმეტესად სასიყვარულო ამბებს მოგვითხრობდნენ. მაგრამ თქვენთვის ის გზავნილები შევარჩიეთ, რომლებიც რუბრიკის მორიგ გამოშვებას უფრო მრავალფეროვანს გახდის...

„არც ჩემს გასაჭირს დაადგა საშველი და ქმარიც დავკარგე...“

მარი ხაფარიძე

ხომ გავიგონიათ — ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩიც ვერ შეაჩერებსო?! ჰოდა, ჩვენმა პირველმა რესპონდენტმაც გაიწია და... თუმცა, ჯობს, თვითონ ანას მოვუსმინოთ.

„ბევრი რამ ვისწავლე ცხოვრებაში“

„ეს ანდაზა — რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო, — სწორედ ჩემზეა ზედგამოჭრილი. 28 წლის ვარ. ცხიდან ერთი წლის წინ გავთავისუფლდი... ყველაფერი კი ასე დაიწყო: ჩვეულებრივი, უბრალო გოგო ვიყავი. ცხოვრების მანძილზე არაფერში მიმართლებდა. არც სიყვარულში. პირველმა შეყვარებულმა ჩემი უმანკოება შეიწირა და გაქრა. არც მეორე სიყვარულმა გამიმართლა. შემდეგ თვალი ერთ ახალგაზრდა მამაკაცს დავადგი. თავიდანვე ვიცოდი, რომ ცოლიანი იყო, მაგრამ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. გარეგნობით მომეწონა, ფულიც, ასე თუ ისე, ჰქონდა და ამაზე კარგ ვარიანტზე არც მიოცნებია. „დავაწყვე“ გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მემოქმედა და ზაზა ხელში ჩამეგდო. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემსას მივაღწიე. ვგრძნობდი, რომ არ ვუყვარდი, მაგრამ რატომღაც არც თავს მანებებდა. მე კი მინდოდა, რომ თავდავიწყებით ვყვარებოდი. ვეჭვიანობდი ცოლზე და ყველა ქალზე. „პანტერასავით“ ვიყავი ჩასაფრებული და თუ რაიმე საფრთხე დამეტუქრებოდა და რომელიმე ქალში მეტოქეს დავინახავდი, ყველა ღონეს ვხმარობდი, რომ გზიდან ჩამომეცილებინა. იმდენჯერ მოვუწყვე სკანდალი ზაზას, რომ მოჰბეზრდა ეს ყველაფერი და ჩემთან შეხვედრებს მოუკლო. ხან რას იმიზეზებდა, ხან — რას. მე გასაქანს არ ვაძლევდი, სამსახურში ვაკითხავდი (პოლიციელი გახლავთ), სახლში ცოლს ვურეკავდი და ხან რას ვეუბნებოდი, ხან — რას... ფარ-ხმალი არ დავყარე და მაინც არ ჩამოვშორდი, მიუხედავად იმისა, რომ მეუბნებოდა: აღარ დამირეკო, არ მომაკითხო, ჩემი სახელი არ ახსენოო. ერთ საღამოს დამირეკა და მითხრა — ამაღამ შენთან დავრჩებიო. სიხარულით ცას ვეწიე. მთელი ღამე ერთად გავატარეთ, დილით კი სამსახურში გავაცილე. იმ საღამოს, ტელევიზორს ვუყურებდი, როცა კარზე დააკაკუნეს. კართან სამი პოლიციელი იდგა. დაუპატიჟებლად შემოვიდნენ ოთახში და მითხრეს — ჩხრეკა უნდა ჩავატაროთო. წინააღმდეგობა არ გამიწევია, რა უნდა აღმოეჩინათ? მაგრამ ნურას უკაცრავად: ცოტა ხნის შემდეგ, ჩემი ლეიბის ქვეშიდან ნარკოტიკული ნივთიერებით სავსე პაკეტი გამოაძვრინეს. მიმბარძანეს, სადაც ჯერ არს და პასუხიც მომთხოვეს. ბევრი ვიფიცე და „ვიმტკიცე“, ჩემი არ არის, არც ის ვიცი, იქ საიდან მოხვდა-მეთქი, — მაგრამ ვინ დამიჯერა?! მივხვდი — ზაზას გაჩალიჩებული იყო. გული დავიმშვიდე: როგორც ჩანს, ჩემი შეშინება განუზრახავს და მალე შინ დავბრუნდები-მეთქი, — მაგრამ არც ამჯერად გამიმართლა. გამასამართლეს და 5 წელი „მომარჭეს“... ორი მესამედი მოვიხადე, მერე ვადაზე ადრე გამათავისუფლეს. ბევრი რამ ვისწავლე ცხოვრებაში, მაგრამ თავისუფლების ფასი ხომ არაფერია?! ხომ გავიჩალიჩე ძალით?! ხომ არის ეგ ანდაზა ჩემზე ნათქვამი? რა მინდოდა?! ანა“.

სწორედ ამაზეა ნათქვამი — კაცი რასაც საკუთარ თავს უზამს, მთელი სოფელი რომ მიადგეს, ვერას დააკლებსო...

როგორი ქალები არიან მოდაში — გამხდარი თუ მსუქანი? ამ საკითხის შესახებ ხშირად დაობენ. პერიფერიებში უფრო „შამსებულ“ ქალებს სცემენ პატივს და თუ ვაჟმა ცოლად გამხდარი გოგო მოიყვანა — „ვალახული“ პატარძალი გვყავსო, — ჩვიან ოჯახის წევრები. მაგრამ იმ სიტუაციაში მოხვედრას, როგორშიც ჩემი პუტკუნა რესპონდენტი აღმოჩნდა, ისევ ის სჯობს, „ვალახული“ დაგერქვას...

„ვერ გავეტიე ფანჯარაში და დავრჩი...“

„რუსთავში ვცხოვრობ. ვარ 50 წლის ქალი. მთელი ცხოვრება დიეტაზე ვიყავი და მაინც, სულ ასი კილო ვიყავი. ახლა კი, ასაკში რომ შევედი, დიეტაზეც აღარ ვარ და რომ არ მოგატყუოთ, 150 კილოს ვიწონი. დასაჯდომად ერთი სკამი არ მყოფნის. სამარშრუტო ტაქსიშიც ყოველთვის ორი ადგილის საფასურს ვიხდი. ერთხელ, თბილისში ვიყავი საქმეზე წასული და უკვე საკმაოდ შებინდებული იყო, როდესაც შინ წასვლა დავა-

პირე. გავაჩერე „მარშრუტკა“ და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი თავისუფალი ადგილი იყო. მძღოლმა უარი მითხრა წაყვანაზე, მაგრამ ძალზე მეჩქარებოდა, ჩემი არ დავიშალე და მანქანაში ავედი. ძლივს მოვთავსდი სკამზე, კარი გაბრაზებულმა მივაჯახუნე და თან მძღოლს ჩხუბი დავუწყე – რატომ არ გინდოდა ჩემი წაყვანა-მეთქი?.. მთელი გზა ვიბუზღუნე. რუსთავში რომ ჩავედით, ერთმა მგზავრმა ქალაქის შესასვლელშივე გააჩერებინა „მარშრუტკა“, მაგრამ ნურას უკაცრავად – კარი არ გაიღო: რომ მოვაჯახუნე, საკეტი ჩაშლილა და კარი აღარ იღებოდა. მძღოლის კარიც გაუქმებული ყოფილა და ერთადერთი ჩასასვლელი დალუქული აღმოჩნდა. ატყდა ერთი აურზაური. მძღოლმა მოხერხებულ ადგილზე გააჩერა მანქანა და ხალხი ფანჯრიდან გადაძვრა. მე, რაღა თქმა უნდა, ვერ გავეტიე ფანჯარაში და დავრჩი. რა უნდა მექნა? მძღოლმა თქვა, რომ კარს მხოლოდ „სვარკით“ თუ გახსნიდნენ. უკვე გვიანი იყო და ხელოსანი ადგილზე არ დაგვხვდებოდა... ერთი სიტყვით, ისე გამოვიდა, რომ ის ღამე მანქანაში უნდა გამეთია. თან ზამთარი იყო და ყინავდა. მივედით ჩემს სახლთან და მეუღლეს ვაუწყე – ასე და ასეა საქმე და ამაღამ შინ ვერ მოვალ-მეთქი. იმან კიდევ თავი მოიკლა: მანქანა აქვე, ეზოში გააჩერეთ და ღამე მე გიდარაჯებთო. მე და მძღოლს მანქანაში გვეძინა, ჩემი ოჯახიდან ჩამოტანილ საბნებში გახვეულებს, ჩემს ქმარს კი – თავის მანქანაში და ხშირ-ხშირად ფანჯრიდან გვიჭვრეტდა... დილით კი ხელოსანთან მივედით და კარი გავაღეთ. თავისთვის კონტროლი რომ გამეწია და ასეთი მსუქანი არ ვყოფილიყავი, იმ ღამით მანქანაში ხომ არ გავიყინებოდი?! ჰოდა, მართალია – რაც მოგივა, დავითაო“...

სიდუხჭირისგან თავის დასაღწევად ბევრმა ქართველმა მიაშურა უცხოეთს. ამის გამო არაერთი ოჯახი დადგა დანგრევის ზღვარზე...

„ეშმაკივით შევუჩნდი – წადი-მეთქი“...

„მე ნინო ვარ, 35 წლის. სამი შვილი მყავს და მეც და ჩემი ქმარიც უმუშევრები ვიყავით. ამიტომ სულ გვიჭირდა და აღარ ვიცოდით, პურის ფული სად გვეშოვა. ბოლოს გადავწყვიტე, ჯაბა საზღვარგარეთ გამეგზავნა. პირველად რომ გავუმხილე ჩანაფიქრი, მტკიცე უარი მივიღე. ეშმაკივით შევუჩნდი – გინდა თუ არა, წადი-მეთქი. მე თვითონ ვირბინე, საბუთები შევუგროვე და თითქმის ძალით გავაგდე შინიდან. თურქეთში გავუშვი. თან ვეუბნებოდი: აქვე ახლოს იქნები, ხშირად ჩამოხვალ ჩვენს სანახავად-მეთქი. ერთი წელი ისე გავიდა, სულ 3-4-ჯერ დარეკა და ვერც ფულს გვიგზავნიდა. ძალზე ვნერვიულობდი: არც ჩემს გასაჭირს დაადგა საშველი და ქმარიც დავკარგე-მეთქი, – ვფიქრობდი. თურმე, ჯერ სად ხარ?!. ჯაბამ სამსახური იშოვა, ფულს გვიგზავნიდა და ცოტა ამოვისუნთქეთ, მაგრამ თვითონ ჩამოსვლას არ ჩქარობდა. ვეხვეწებოდი – ერთი კვირით მაინც ჩამოდი-მეთქი, – მაგრამ ამაოდ... ბევრი რომ არ გავაგრძელო, იქ ერთი ქართველი გოგონა გაუცნია და მასთან ერთად თავს მშვენივრად გრძნობდა... დღემდე ასე ვართ. ბავშვებს არაფერს აკლებს, მაგრამ ჩამოსვლას არც აპირებს. ახლა ვნანობ. სულ არ მინდოდა ფული და ფუფუნება. მერჩია, ჩემი ქმარი ჩემ გვერდით ყოფილიყო, მაგრამ უკვე გვიანია. ხომ დავმართე ჩემს თავს მაგარი საქმე?!.“

20 წლის ნინო თავის დაკარგულ სიყვარულს მისტირის. დამნაშავედ საკუთარ თავს მიიჩნევს და როგორც თავად ამბობს, ეს უფრო მეტად სტკენს გულს.

„ვუთხარი – აბა, თუ შეაბამ-მეთქი...“

„ვისაც ცალმხრივი სიყვარული გამოუცდია, დამეთანხმება, რომ ეს მეტისმეტად მტანჯველი გრძნობაა. ჰოდა, მეც სამი წელი ვიტანჯებოდი ასე. იცით, რა ლამაზი ბიჭი შემიყვარდა?! მისი დარი ქვეყნად არავინ მეგულებოდა. როცა ვხვდებოდი, თვალსაც ვერ ვუსწორებდი, ისე მერიდებოდა მისი. ჩემი მეგობარი გოგონას ძმის ძმაკაცი გახლდათ და ხშირად თეოსა და თემოს ოჯახში ვხვდებოდით ერთმანეთს. თეომ ჩემი გრძნობის შესახებ იცოდა და როცა ბესო მათთან სტუმრად მიდიოდა, ჩუმად მატყობინებდა და მეც იქ გავჩნდებოდი ხოლმე. ერთხელ ბესო ვიღაც გოგოსთან ერთად მოვიდა. მივხვდი – შეყვარებული იყო... ლამის მოვკვდი, ისე ვინერვიულე. ერთი წლის შემდეგ ისინი დაშორდნენ ერთმანეთს და მეც გული იმედით ამევსო. შემდეგ, თემომაც გაიგო, რომ ძლიერ მიყვარდა და ბესოსაც შეატყობინა. იმ დღიდან ბესო შეიცვალა, ჩემ მიმართ ყურადღებიანი გახდა, ხშირად მირეკავდა და ბოლოს, პაემანიც დამინიშნა. მიწას ფეხს არ ვაკარებდი, ისე მივდიოდი მასთან შესახვედრად. შემდეგ, შეხვედრებს მოუხშირა და სიყვარულშიც გამომიტყდა. წარმოიდგინეთ, როგორ გავიხარე-დი?! მაგრამ როდესაც შინ დავბრუნდი და მარტო დავრჩი, გავაანალიზე ყველაფერი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ბესოს ჩემი შეყვარება არ შეეძლო. რატომ? იმიტომ, რომ ის ჩემზე ბევრად უკეთესი გახლდათ: ლამაზი, მდიდარი, მანქანიანი... მე კი ერთი ჩვეულებრივი გოგო ვიყავი. შეხვედრებს ძველებურად ვაგრძელებდით, ისიც სიყვარულს ძველებურად მეფიცებოდა, მაგრამ მე მაინც ვერ ვიჯერებდი. გადავწყვიტე, გამომეცადა, ნამდვილად ასე იყო თუ არა. ჩემს ჯგუფელ გოგონას მისი ტელეფონის ნომერი მივეცი და ვუთხარი – დაურეკე, აბა, თუ შეაბამ-მეთქი?.. გავიდა ხანი. ამ გოგოს რომ ვეკითხებოდი – შენს „მესიჯებს“ ან ზარს თუ პასუხობს-მეთქი? – მეუბნებოდა: ვერ შევაბი, ვერც საუბარი ავაწყვეთ და ვერც ერთმანეთს გავუგეთო. თურმე, ნუ იტყვით და, რომანი გაუბამთ. ერთმანეთს ხვდებოდნენ კიდეც, მე კი არაფერი ვიცოდი. ერთ მშვენიერ (თუ უბედურ) დღეს, თეომ დამირეკა და მითხრა – ბესომ ცოლი მოიყვანაო... მთელი თვე ლოგინად ჩავვარდი, ისე ცუდად ვიყავი. შემდეგ ისიც გავიგე, რომ სწორედ ის ჩემი მეგობარი გოგო მოუყვანია ცოლად... აი, ასე დავკარგე ჩემი პირველი სიყვარული. ვის დავაბრალო? დამნაშავე მე ვარ. მაგრამ ვფიქრობ, რომ არ ვუყვარდი, თორემ, ასე რატომ მოიქცეოდა? ეს ამბავი სამი თვის წინ მოხდა. იარა ჯერაც არ მომშუშებია, ისიც არ ვიცი, მოშუშდება კი ოდესმე?..“

მამაკაცთა უმრავლესობა თავისუფლების დაკარგვას ძნელად ეგუება და ცდილობს, დაოჯახება რაც შეიძლება შორი მომავლისთვის გადადოს. თუმცა, ქორწინება ლატარიასავითაა და მომგებიანი ნომრები შემთხვევით თამაშდება... ეს ბედისწერაა, მაგრამ როცა საკუთარ ბედს თვითონ სჭედავ, მაშინ? საკუთარ შეცდომაზე 40 წლის ბადრი გვიამბობს.

„მამაკაცზე უკეთ არავინ იცის თავისუფლების ფასი“

„იცით, რა კარგია, შინ რომ ცოლი არ გელოდება და როცა გინდა, მაშინ მიხვალ? გინდა, მთვრალი, გინდა – ფხიზელი. თუ სურვილი გაქვს, ტანზე გაიხდი და ისე დაწვები, თუ არა და, ფეხსაცმლიანი დაიძინებ და არც ისტერიკას დაიმართებს ვინმე, არც შინიდან გაქცევით დაგემუქრება... კარგა ხანს ვიარე უცოლოდ. 37 წლამდე, უფროსი არ მყოლია. დროს ვატარებდი და ყველა ქალი ჩემი იყო. მარტო ვცხოვრობდი, ჩემი ძმაკაცების თავშეყრის ადგილი ჩემი ბინა გახლდათ. ხანდახან ისე ვორეობდით, რომ მეორე დღეს მეზობლების მრცხვენოდა... 35 წლის რომ გავხდი, დიდი იუბილე გადავიხადე. მეგობრებისგან უამრავი საჩუქარი მივიღე. რესტორნიდან შინ რომ

დავბრუნდი და საჩუქრების გახსნას შევუდექი, ერთი „საინტერესოდ“ შეფუთული ყუთი დავლანდე. გავხსენი და იცით, რა აღმოვაჩინე? – გასაბერი ქალი... მივხვდი, ვიღაცამ იმაიმუნა, მეც ბევრი ვიცინე. მაგრამ საქმე სულაც არ მქონია სასაცილოდ: ისე „დავამუღამე“ ეს ქალი, რომ ხანდახან მენატრებოდა კიდეც... არც პრეტენზია ჰქონდა, არც ჩაცმა-დახურვა და კოსმეტიკა სჭირდებოდა... გაფუჭებულ კაცად ნუ ჩამთვლით, ისე, გასართობად ვიყენებდი ხოლმე. სახელიც დავარქვი – ნინო და ცოლქმრობანას ვთამაშობდი. ხშირად, შინ რომ მივიდოდი, დავიძახებდი ხოლმე: ნინო, აბა, საჭმელი მაჭამე-მეთქი! ან ვეჩხუბებოდი – ჩემი პერანგი და „ნასკი“ რატომ არ გარეცხე? ხვალ რა ჩავიცვა-მეთქი?! – და ასე შემდეგ... მერე დავუყვავებდი და „ვრიგდებოდით“... ამ სამი წლის წინ, ცოლი მოვიყვანე და ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა: – ეს არ გააკეთო, არ დაიგვიანო, წყალს ბოთლიდან ნუ სვამ, ხელდაუბანელმა არ ივახშმოო! – და რა ვიცი... ერთი სიტყვით, დღე დამიბნელდა, მაგრამ რას ვიზამ?! ვის დავაბრალო? რაც მოგივა, ბადრიო, აი, ქალის დარდიო... ნახვამდის“.

ახლა კი მოკლე „მესიჯებს“ გადავხედოთ.

„რა იმის ბრალია, რომ ხუმრობა არ ვიცი?!.“

„2004 წლის 6 მაისს დავთვერი და ის ღამე ძლივს გავათენე. ამაზე მეტი რა უნდა დამეშავებინა ჩემი თავისთვის?! კოტე“.

„ჩემი ძმის ძმაკაცს, ჩემს სიცოცხლე ნოდარს, ამ ერთი წლის წინ უარი ვუთხარი. არადა, 4 წელია მიყვარს. ახლა კი ტკივილამდე მენატრება. ნოდარ, მიყვარხარ. მაპატიე. ნინო“.

„ერთხელ ვაწყენინე იმ გოგონას, რომელიც ძალიან მიყვარდა. უნებლიეთ, წინასწარი განზრახვის გარეშე ვაწყენინე. შემდეგ ვინანე, პატიებაც ვთხოვე, მაგრამ პასუხად მივიღე: რაც მოგივა, დავითაო...“

„მთელი ცხოვრების მანძილზე, თაყვანისმცემლები ქორწინებამდე სექსს მთავაზობდნენ. მე კი ცივი უარით ვისტუმრებდი. უკვე 30 წელს გადავცილდი, მაგრამ საშველი არ ჩანს. ახლა კი ვნანობ, მაგრამ გვიანია... ანა“.

„გივიკო, ჩვენ ხომ 26 წელია, ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარს, მაგრამ ერთად არ ვართ. რაც დაგვემართა, ყველაფერი ჩვენი თავითაო... ნანა“.

„საკუთარ თავს ხშირად ვსჯი, როცა ცუდად ვიქცევი. გასული წლის ნოემბერში თავის მოკვლა ვცადე. ახლა კი ექსკურსიაზე არ მივდივარ – თავს ვისჯი. ნინო“.

„რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო – ზუსტად ეგ მჭირს. ადამიანი, რომელსაც ვეტრფი, შეცდომას არ მპატიობს. ნათი, მაპატიე (თემქელ ნათიას)“.

„ერთი გოგონა გავიცანი. ძალიან მომეწონა, მაგრამ რატომღაც არ ვიჩქარე მასთან დაახლოება. მერე დამიჭირეს... ახლა რომ დავუკავშირდი, მითხრა – საქმრო მყავსო. ჩემი ბრალია. თავის დროზე რომ მიმექცია ყურადღება, შესაძლოა, მეც გარეთ ვყოფილიყავი და მარიც ჩემი ყოფილიყო. მაგრამ ახლა ციხეში ვიტანჯები, ისევ ისე მიყვარს და არ ვიცი, რა ვქნა. ზაზა“.

„საკუთარ თავს მართლაც, დავუშავე, როცა უმიზეზოდ გავუშვი ჩემგან საყვარელი ადამიანი. ბაღდათელო თემო, თბილისელ გოგონებსაც შეგვიძლია სიყვარული. დამიბრუნდი, სიცოცხლევ, უშენოდ ვერ გავძლებ. თემო, ძალიან მიყვარხარ. შენი ეკა“.

„მამაჩემი შემპირდა, რომ თუ კარგად მოვიქცეოდი, მობილურს მიყიდდა. კარგად მოქცევა კი ის იყო, რომ არც ერთი სამიანი არ უნდა გამომყოლოდა (მე-10 კლასი დავამთავრე). მაგრამ სამი სამიანი მაინც გამომყვა. ამიტომ დავრჩი მობილურის გარეშე და ახლა მამაჩემის ტელეფონით „გიმესიჯებთ“.

„ერთხელ დედაჩემი და მამაჩემი წვეულებაზე მიდიოდნენ. მე შინ დავრჩი. აღმოჩნდა, რომ იმ წვეულებაზე ჩემი საყვარელი მომღერალი ზურა ხაჩიძე ყოფილა. მე კი, ჩემი სიჯიუტის გამო, ვერ ვნახე. იცით, როგორ დამწყდა გული?!.“

„ყოველთვის ჩხუბის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ სულ შარში ვეხვევი და ამაში მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. ერთხელ სკოლიდან მოვდიოდი და ჩემი ძმის კლასელი შემხვდა. მან ხუმრობით ჩემი ძმა ცუდად მოიხსენია. მე ეს არ მომეწონა, არ ვაპატიე და თავში ჩავარტყი. მაშინ კი ვიჩხუბეთ, მაგრამ მერე მივხვდი, რომ დამნაშავე ვიყავი. ის ბიჭი 5 თვის განმავლობაში არ მელაპარაკებოდა. რა იმის ბრალია, რომ ხუმრობა არ ვიცი?! „ცუდი გოგო“.

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომავალ თემად კი გთავაზობთ – გარიგება. გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გვიამბეთ ყველაზე ორიგინალური გარიგებისა და ოჯახის შექმნის შესახებ. დამატებით შეგიძლიათ გვიპასუხოთ კითხვაზე: რას გააკეთებდით, მილიონი რომ გქონდეთ? გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

გერმანელი კურდღელი მამაკაცს თავს დაესხა

გერმანელი მამაკაცი კურდღლის თავდასხმის მსხვერპლი გახდა. „ცხოველმა, რომელსაც სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ალერსიან, უწყინარ და მშიშარა არსებად, კინაღამ ფეხი მომაჭამა“, – ჰყვება იერგენ მარვედელი.

ის სახლთან ახლოს სეირნობდა, როცა მისკენ მოპედით მომავალი მეგობარი დაინახა. ის მეგობარმაც შეამჩნია და მისალმების ნიშნად ხელი აუწია. უცებ მამაკაცი შეჩერდა, ხელების ქნევა დაიწყო და იერგენს საშველად მოუხმო. მარვედელი მაშინვე მეგობრისკენ გაიქცა, ადგილზე მისულმა კი, თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ მოპედის უკანა საბურავს ზორბა კურდღელი ჩაჰფრენოდა. იერგენმა დააპირა, კურდღელი მოპედისთვის მოეშორებინა, მაგრამ ცხოველი უცებ შემობრუნდა და კბილები პირდაპირ სქელლანჩიან ფეხსაცმელში ჩაასო. როგორ არ ეცადა მარვედელი მის თავიდან მოშორებას, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში ცხოველმა მას რამდენიმე ადგილას, საკმაოდ ღრმა ჭრილობა მიაყენა. ბოლოს რომ ველარაფერი გააწყო, მსხვერპლმა „აგრესორი“ თოკით მოახრჩო.

იერგენ მარვედელმა მკვდარი ცხოველი ადგილობრივ ვეტკლინიკაში მიიტანა. საბედნიეროდ, კურდღელს ცოფი არ აღმოაჩნდა. ■

პარლამენტარი კობა დავითაშვილი საკმაოდ მშვიდი და დინჯი ადამიანია. თუმცა, თავსაც არავის დაა-ჩაგვრინებს. მუდამ სამართლიანობისათვის მებრძოლ იურისტს ძალიან უყვარს წიგნის კითხვა და თეფშის მოსუფთავებამდე ჭამა. არ უყვარს ტყუილი და ღა-ლატი. ოცნებობს ისეთ ქვეყანაში ცხოვრებაზე, სადაც კანონი მართავს ქვეყანას და არა პიროვნებები.

კობა დავითაშვილი:
ჩემი პოლიტიკური კრედოა —
„კაცი ვარ და ქუდი მხურავს“

ეკა მინდაძე

— ბატონო კობა, მოდით, საუბა-რი ბავშვობის გახსენებით დავიწყოთ...

— ბავშვობაში საკმაოდ მშვიდი და დინჯი ვიყავი. სკოლაშიც კარგი რეპუტა-ციით ვსარგებლობდი, მაგრამ თავს არავის ვაჩაგვრინებდი. მახსოვს, ერთხელ, კლა-სელმა რაღაცაზე გამაბრაზა; ისე გავმ-წარდი, სამელნეს დავავლე ხელი და ვესრო-ლე. მან აიცდინა და სამელნე ფანჯრი-დან გადავარდა, ღობეს დაენარცხა, მელნის შხეფები კი დიდუბის პანთეონს შეეშხე-ფა. იქიდან საყვედურით დირექტორთან ამოვიდნენ. მან დაკითხვაზე სკოლის სახ-ელგანთქმული ხულიგნები დაიბარა. მაგ-რამ მე საკუთარი ნებით მივედი და ვაღი-არე დანაშაული. სკოლის დირექტორმა ძლივს დაიჯერა, იმდენად წარმოუდგენე-ლი იყო ჩემგან ამგვარი ქმედება.

— თქვენ დაგასახელეს ერთ-ერთ მოჩხუბარ პარლამენტარად...

— ჩხუბში რა იგულისხმება — პოლი-ტიკური ბრძოლა თუ მუშტი-კრივი?

— ორივე.

— პოლიტიკური მებრძოლი ნამდ-ვილად ვარ. რაც შეეხება მუშტი-კრივს — არ ვიცი, სად ან რა დამითვალეს...

— დასახელეთ პოლიტიკოსი, რომელსაც წონასწორობიდან გამოუყვანიხართ.

— მათი ზედმეტი რეკლამირება არ მსურს...

— ამბიციური ხართ?

— ვიყავი და ახლაც ვარ.

— სკოლა ოქროს მედალზე დაამ-თავრეთ, არა?

— დიახ. რაკი იურიდიულზე მინდ-ოდა ჩაბარება, მედალი აუცილებლად მჭირდებოდა, რომ ერთი გამოცდით ჩამ-ებარებინა.

— იურისტობა ბავშვობიდან გინ-დოდათ?

— დიახ. ბავშვობაში სულ დეტექტი-ვებს ვკითხულობდი, ამით სამართლიანო-ბისათვის ბრძოლისთვის ვემზადებოდი. ჩემს მშობლებს კი ძალიან უნდოდათ, რომ ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ მე ამის არანაირი სურვილი არ მქონდა.

— პირველად სიყვარული რა ასაკში გეწვიათ?

— სიყვარული პირველად ნულ კლას-ში მეწვია. შემიყვარდა ჩემი კლასელი ქერათმიანი გოგონა, რომელიც ჩემ წინ იჯდა. ისე მიყვარდა, რომ ჩუმად მივე-პარებოდი ხოლმე და თმაზე ვკოცნიდი.

— მერე როგორ განვითარდა მოვლენები?

— მას შემდეგ არაერთი გოგონა მიყ-ვარდა, მაგრამ ნამდვილი სიყვარული ჩემი მეუღლეა — ინგა ბიწაძე. ის ახალგაზრ-და იურისტთა ასოციაციაში გავიცანი. მაშინ ეს ასოციაცია მერიის შენობაში იყო. რამდენიმე წელი ვიცნობდით ერთ-მანეთს. ერთხელაც, ერთ-ერთ დაბადების დღეზე ცოლობა შევთავაზე და ისიც დამთანხმდა. ინგა არა მარტო ჩემი მეუღლეა, არამედ საუკეთესო მეგობარი და მრჩევე-ლია. ამრიგად, ბედნიერი ვარ, რომ ის ჩემ გვერდით დგას.

— როგორ ფიქრობთ — რით მოგ-ხიბლათ თქვენმა მომავალმა მეუღლემ?

— ინგა ძალიან ჭკვიანი, წესიერი და პატიოსანი გოგო იყო.

— გაიხსენეთ ნივთი, რომელიც პირველად მიართვით თქვენს მეულ-ლეს შეყვარებულობის პერიოდში.

— სუნამო.

— გიყვართ ქალისათვის ყვავი-ლის მირთმევა?

— დიახ, მაგრამ მეზარება.

— ქალში რა მოგწონთ ყველა-ზე მეტად?

— ერთგულება.

— წვეულებაზე ლამაზი ქალის ყურადღების მისაპყრობად რა ხე-რხს მიმართავთ?

— წვეულებაზე ძირითადად, საჭმელად დავდივარ...

— ეი. მექალთანე არ ხართ?

— ნამდვილად არა.

— ოჯახში მკაცრი ხართ?

— გაჩნია, რა ხასიათზე ვარ.

— თქვენ ოთხი ვაჟის მამა ხართ. არ გიჭირთ მათი აღზრდა?

— ჯერჯერობით არ გამჭირვებია.

— თქვენმა რომელიმე ვაჟმა პო-ლიტიკოსობა რომ მოინდომოს, რას იზამთ?

— არც მოვუწოდებ ამისკენ და არც დავუშლი. ვფიქრობ, ყველა ადამიანმა თავი-სი მოწოდება საკუთარ თავში თავად უნდა აღმოაჩინოს.

— როგორი უნდა იყოს პოლი-ტიკოსი?

— პატიოსანი, დინჯი, მიცემული სიტყ-ვის ერთგული და საქმის გამკეთებელი.

— დაასახელეთ სიმღერა, რომელ-იც თქვენს პოლიტიკურ კრედოს შეეფერება...

— „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“.

— თქვენი აზრით, შეძლებთ თქვენს ამომრჩეველთათვის წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას?

— რა თქმა უნდა, სწორედ მათ საკეთი-ლდღეოდ ვიბრძვი. ვიბრძოლებ ბოლომდე და თუ რა გამოვა, ამას ხალხი დაინახავს.

— დაასახელეთ კანონი, რომ-ლის შემუშავებაშიც განსაკუთრე-ბით დიდი წვლილი მიგიძღვით.

— თუნდაც, პენსიონერებთან დაკავში-რებით. მე შევადგინე საკონსტიტუციო სარჩელი, რომლის თანახმადაც, თითოეულ პენსიონერს 3 ლარი უნდა მომატებოდა, ოღონდ — არა დავალიანების ხარჯზე. მთავრობამ ჩემი წინადადება გაითვალის-წინა, მაგრამ ნაცვლად 3 ლარისა, 2 ლარი მოუმატა.

— თქვენ აქტიურად გამოდიხ-ართ აჭარის ავტონომიის გაუქმებ-ის მოთხოვნით...

— მე მიმაჩნია, რომ ავტონომიის გაუქმე-ბასთან დაკავშირებით აჭარის მოსახლე-

ობაში გამოკითხვა უნდა ჩატარდეს. ავტონომია არის სახელმწიფოში ჩადებული ნაღმი, ეს ნაღმი ერთხელ უკვე აფეთქდა და არ არის საჭირო, მეორედ აფეთქდეს.

— დაასახელეთ თქვენთვის შესაფერისი თანამდებობა.

— არ ვიცი, ამაზე არ დავფიქრებულვარ. დინებას მივყვები.

— პოლიტიკოსთაგან ვინ არის თქვენი ახლო მეგობარი?

— ზვიად ძიძიგური.

— პოლიტიკის გარდა, თქვენი საყვარელი საქმიანობა...

— წიგნის კითხვა.

— დაასახელეთ ნაწარმოები, რომელიც დღევანდელობას შეეფერება.

— უოლტერ სკოტის „პურიტანები“.

— თქვენ თვალწინ მკვლელობა რომ მოხდეს, მისცემთ თუ არა ჩვენებას?

— რა თქმა უნდა, ჩვენებას მივცემ.

— არ შეგეშინდებათ?

— იმ პირს იქით ხომ არ შეეშინდება?..

— თვითმფრინავი ვარდება და შიგ მთელი პოლიტიკური სპექტრია თავმოყრილი. თქვენ მხოლოდ ერთი პოლიტიკოსის გადარჩენა შეგიძლიათ, იმის გამო, რომ ერთადერთი პარაშუტი გაქვთ...

— არ შემიძლია ერთის გამოყოფა, აქედან გამომდინარე, მეც მათთან ერთად დავრჩები.

— მილიონი დოლარი რომ იპოვოთ, რას იზამთ?

— ვერ გეტყვით: საერთოდ, რეალისტი ვარ და არარეალურზე არ ვფიქრობ.

— ჩვევა, რომელიც ბავშვობიდან გამოგყვათ...

— თეფშის მოსუფთავებამდე ჭამა.

— საყვარელი კერძი?

— გემრიელი ყველაფერი მიყვარს.

— მუშაობა კარგია, მაგრამ ქეიფი და დროს ტარება არ გიყვართ?

— ქეიფი მიყვარს, მაგრამ გააჩნია, ვისთან. მიყვარს ზომიერად დალევა ჩემს მეგობრებთან ერთად.

— თამადობა თუ გიყვართ?

— არა. იმდენს ვლაპარაკობ სამსახურში, რომ სუფრასთან ლაპარაკი მეზარება...

— სიმთვრალე როგორი გაქვთ?

— კარგი.

— საყვარელი მომღერალი?

— ჰამლეტ გონაშვილი.

— საყვარელი სიმღერა?

— „ოროველა“.

— აზარტული ხართ?

— დიახ, ოღონდ — მარტო პოლიტიკაში.

— სპორტი გიყვართ?

— ძალიან. თავის დროზე ცურვაზეც დავდიოდი, ჭადრაკზეც, კლასიკურ ჭიდაობაზეც, მძლეოსნობაზეც და ბადროს ტყორცნაზეც.

— ნატვრის თვალი რომ გაპოვნინათ, რას ინატრებდით?

— მე ნატვრის თვალი არ მჭირდება. ღმერთმა ყველაფერი მომცა, რაც მსურდა: სახლ-კარი, ოჯახი, საყვარელი საქმე და ცხოვრების მიზანი.

— როგორი წარმოგიდგენია საკუთარი თავი მომავალში?

— ღმერთმა უწყის.

— მაინც ვინ ხართ თქვენ?

— რა ვიცი. კაცი ვარ, ადამიანი.

— თავს როგორ გრძნობთ რესპონდენტის ამპლუაში?

— მშვენივრად, როგორც თევზი წყალში.

— რამდენად ობიექტური ხართ?

— აბსოლუტურად სუბიექტური ვარ, იმიტომ, რომ სუბიექტი ვარ.

— თქვენი ცხოვრებისეული კრედო...

— „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!“

— დაბოლოს, რაზე ოცნებობთ?

— ჩემი ოცნებაა, ვიცხოვრო ისეთ ქვეყანაში, სადაც კანონი მართავს ქვეყანას და არა პიროვნებები.

■

ინგა არა მარგო ჩემი მეუღლეა, არამედ საუკეთესო მეგობარი და მრჩეველია.

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. გადატრიალებათა რაოდენობის მიხედვით, მთელ მსოფლიოში რეკორდსმენი ქვეყანაა ბოლივია. ამ ქვეყანაში 170 წლის განმავლობაში მოხდა:

ა) 77 გადატრიალება;
ბ) 107 გადატრიალება;
გ) 190 გადატრიალება.

2. რისი კითხვა უყვარს ყველაზე მეტად ნიკო გომელაურს?



ა) ლექსების;
ბ) რომანების;
გ) ანეკდოტების.

3. რა ჰქვია ლოქოს მეორენაირად?

ა) ღლაბუტა;
ბ) ზღვის ღორი;
გ) ღლავი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

რიგიერ მოგვიტანეთ ეხლა

დარიგორ ავუბნიოთ თავგზა მამაკაცს?

მზა რეცეპტების არარსებობის მიუხედავად, ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა თანამედროვე შოუბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლებს მაინცდამაინც არ გასჭირვებიათ. მათი ვერსიებით, ერთმანეთის მოსახიბლად ქალსაც და მამაკაცსაც, სულ რამდენიმე მარტივი ხერხი სჭირდებათ...

რასაკვირველია, ზოგი მკითხველი მათ არ დაეთანხმება და იმასაც იტყვის — მოცემულ სფეროში რეცეპტები საერთოდ არ გამოდგებაო. მაგრამ არც ჩვენი რესპონდენტები და არც ჩვენ არ ვიჩემებთ — გინდათ თუ არა, მაინცდამაინც ასე იმოქმედეთო...

სოფო ყარალაშვილი

ვანიკო თარხნიშვილი:

— თავდაპირველად, ქალს უგულისყუროდ უნდა მოექცე, შემდეგ კი, მოულოდნელად დაანიო ყურადღებით. ზედმეტი ლაქლაქი საჭირო არ გახლავთ, ეს მოსაწყენია. აუცილებელია სიურპრიზები. საერთოდ კი, პირდაპირი უნდა იყო!

აჩი ფურცელაძე:

— მოითმინეთ, სიგარეტს მოვუკიდებ... მოკლედ, ასე: აუცილებელია, ქალის მიმართ მაქსიმალური ყურადღების გამოჩენა. კიდევ... უნდა აჩუქო ყვავილები და ფუმფულა სათამაშოები. შეიძლება ორიგინალური, არასტანდარტული ხერხების გამოყენება — მაგალითად, მოკლე ტექსტური შეტყობინებები. ქალი შენი „მესიჯის" კითხვით უნდა იღვიძებდეს და იძინებდეს. ჩემს შემთხვევაში, რადიოში სიმღერების მიძღვნაც შეიძლება.

ზვიო:

— სერიოზულად უნდა გიპასუხოთ თუ ხუმრობით? თუ სერიოზული პასუხებია საჭირო, მაშინ 15 წუთი დამჭირდება და მეგობრებსაც დავიხმარ... პირველ რიგში, ყურადღებიანი და გულუხვი უნდა იყო. თუმცა, ცოტა აგრესია და ექსცენტრიკულობაც საჭიროა... ჰო, ყველაზე მთავარი: ქალი უმორით უნდა მოხიბლო, ოღონდ... მე ასე არ ვიქცევი!

კრისტი ყიფშიძე:

— ჯერ ერთი, მამაკაცმა უნდა მოგხიბლოს და არა — პირიქით. თუმცა, აუცილებელია, რომ ქალი ყოველთვის ფორმაში იყოს, რათა ვიზუალურად მოეწონოს მამაკაცს; ამის შემდეგ, ინტელექტი და

კრისტი ყიფშიძე

ინგა გრიგოლია

აჩი ფურცელაძე

ის, რითაც თამაშობენ ნარდს	ცხოველი, რომლის კანიც მუდმივად იცვლის შეფერილობას	სწორი ხაზი, რომელიც წრეწირის ცენტრზე გადის	ხე, რომელიც ისხამს წენგოიან ნაყოფს	მსხლის ჯიში



მწვანილი	ისრაელის დედაქალაქი ... -ბივი	„ჭირი ..., ლხინი აქა"	პირის ნაცვალსახელი	საბჭოთა პოლიტიკოსი ... ილიას-ძე ბრეჟნევი	ყვავილი	დაბადების მოწმობა	რომაელი იმპერატორი, რომელმაც სენატში მიიყვანა ცხენი	შეძახ თეატ



ზვიო

ლალი მოროშკინა



ვანიკო თარხნიშვილი

შინაგანი სამყარო უნდა უჩვენოს. მამაკაცსაც გააჩნია — ზოგისთვის უფრო საინტერესო ხდება, როცა იგნორირებას უკეთებ. ამიტომ, ქალი მიუწვდომელი უნდა იყო, შიგადაშიგ შეიძლება, ზომიერად მოეფერო, რადგან კაცი იგივე ბავშვია. თუმცა, თავზე არ უნდა დაისვა. გემრიელი კერძებით უნდა გაუმასპინძლდე, იმიტომ, რომ მამაკაცის გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის. ყველაზე მარტივი ხერხი ის გახლავთ, რომ კაცი უბრალოდ, უნდა გიყვარდეს. და რაც მთავარია, აუცილებლად უნდა აჩუქო ბავშვი...

ლალი მოროშკინა:

— ბუნებრივი და უშუალო უნდა იყო. კაცს ისეთი უნდა მოსწონდე, როგორიც ხარ, ანალგაღვიძებულიც კი... არასოდეს უნდა გილალატოს სიბრძნემ. ცნობილი ფაქტია, რომ მამაკაცი ინტელექტით ერთი საფეხურით დაბლა დგას ქალზე, მაგრამ სავალდებულო არაა, ეს უპირატესობა აშკარად გამოამჟღავნო. ამასთანავე, ცოტა უგუნურობაც საჭიროა, იმიტომ, რომ ჭკვიანი ქალი ცოტა საშიშია და არც ერთ მამაკაცს არ სჭირდება. ყოველთვის მიუწვდომელი და ორიგინალური უნდა იყო. პოპულარული ადამიანები ამას ცდილობენ. ერთფეროვნება მოსაწყენია. ყოველდღე ტორტი რომ გაჭამონ, ხომ მოგბეზრდება?..

ინგა გრიგოლია:

— მაგდენი რომ ვიცოდე, გვერდით იდეალური მამაკაცი მეყოლებოდა!..

ვახტანგ ჯაფარიძე, *ფსიქოლოგი:*

— რაც მთავარია, უნდა იყო დეფიციტური ანუ ადვილად არ უნდა „დნებოდე". მაქსიმალურად უნდა გამოიწვიო ადამიანში დადებითი ემოციები. ტირილი და თავის შეცოდება საჭირო არ არის... საერთოდ, კაცის და ქალის მექანიკა განსხვავდება იმით, რომ კაცს უჩნდება ჯერ სექსის სურვილი, მერე — მოწონება და შემდეგ — სიყვარული; ქალის შემთხვევაში კი, ჯერ მოწონებაა, მერე — სექსის სურვილი და სიყვარული. აქედან გამომდინარე, კაცს ქალმა თავგზა უნდა აუბნიოს, მაგრამ ფიზიკურ კონტაქტზე იოლად არ უნდა დათანხმდეს. მამაკაცმა კი პირიქით — ჯერ თავი უნდა მოაწონოს ქალს და შემდეგ აღუძრას ფიზიკური კონტაქტის სურვილი. ძირითადი პრინციპი მაინც ასეთი გახლავთ. ■

P.S.

ზეყვეხებულობა ფცნაფხი გხძნობაა...

ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის მეცნიერები ირწმუნებიან, რომ საწყის ეტაპზე ეს გრძნობა არცთუ ისე რომანტიკულია. შეყვარებულ ადამიანთა თავის ტვინის სკანირების შედეგად მათ დაადგინეს, რომ ურთიერთობის დასაწყისში, მომატებული აქტივობა ტვინის იმ მონაკვეთებში შეინიშნება, რომლებიც მოტივაციასა და ჯილდოს მოპოვებისკენ სწრაფვასთანაა დაკავშირებული (იმავე მონაკვეთების აქტივიზაციას აქვს ადგილი, მაგალითად, შოკოლადის ჭამის დროს). რაც უფრო ინტენსიურია სასიყვარულო ურთიერთობები, მით უფრო ინტენსიური ხდება ტვინის აქტივობა. ტვინის ის ქვედანაყოფები, რომლებიც ემოციებს მართავს, მაშინ იწყებს მოქმედებას, როცა ურთიერთობები უფრო ინტენსიური და შინაარსიანია. გარდა ამისა, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ შეყვარებულობა ქალსა და მამაკაცში სხვადასხვაგვარად ვითარდება: ქალში ემოციური სტადია ცოტა უფრო ადრე იწყება, ხოლო მამაკაცში სიყვარული უფრო მეტად წარმოგვიდგება, როგორც სურვილი, რომელიც სექსუალური აგზნების მანიშნებელი, მხედველობითი ანალიზატორების აქტივობით ვლინდება.

ნიუ-ჯერსის მეცნიერთა თქმით, ამჟამად ისინი რომანტიკული ურთიერთობების დასკვნითი სტადიის შესწავლით არიან დაკავებული და იმ ადამიანთა თავის ტვინს იკვლევენ, რომლებიც შეყვარებულებმა მიატოვეს.

...ლანის ოპერის ...ატრი „ლა ...“	მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისში, ამშ-ში	იგივეა, რაც ქალღმერთი ავრორა	დიდი ტალახი	დროშა	ფრანგული ფული	საკუთარი თავის რწმენა	რბილი ტახტი

საეკლესიო ღვთისმსახურებათა შესახებ

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს საეკლესიო ღვთისმსახურებასთან დაკავშირებით.

მორენა მერკვილაძე

ბასილი დიდის წირვა

ძველ დროში საღვთო ლიტურგიას სხვადასხვა წესით აღასრულებდნენ და ხშირად, მთელი ღამის მანძილზეც გრძელდებოდა. ქალაქ კესარიის მთავარეპისკოპოსმა – წმინდა ბასილი დიდმა, შეადგინა წირვის სახელმძღვანელო, რომელიც შემდეგ შეამოკლა წმინდა იოანე ოქროპირმა. ამჟამად ეკლესიაში ძირითადად აღესრულება იოანე ოქროპირის ლიტურგია. ბასილი დიდის წირვა კი, წელიწადში ათჯერ აღესრულება: შობისა და ნათლისღების დღესასწაულების წინადღეს ან ამ დღესასწაულთა დღეებში; პირველ იანვარს – ბასილი დიდის ხსენების დღეს; დიდი მარხვის ყოველ კვირა დღეს, გარდა ბზობისა; დიდ ხუთშაბათსა და დიდ შაბათს.

ბასილი დიდის წირვა დაახლოებით ისეთივე წესით და რიგით სრულდება, როგორითაც იოანე ოქროპირის ლიტურგია, – გამორჩევა იმით, რომ ლოცვები, რომელთაც მღვდელი საკურთხეველში ჩუმად კითხულობს, უფრო დიდხანს გრძელდება. გარდა ამისა, მაცხოვრის სიტყვები, რომლებიც წარმოთქვა საიდუმლო სერობის დროს, ბასილი დიდის ლიტურგიის დროს წარმოითქმის ასე: „მისცა წმიდათა მოწაფეთა და მოციქულთა, მეტყველმან: „მიიღეთ და სჭამეთ“... „მისცა წმიდათა მოწაფეთა და მოციქულთა, მეტყველმან: „სუთ ამისგან ყოველთა“... ხოლო „ღირს არს ჭეშმარიტად“-ს ნაცვლად იგალობება: „შენდამი იხარებს, მიმადლებულო, ყოველი დაბადებული...“

პირველშეწირული წირვა

პირველშეწირულ წირვას ასევე ეწოდება ლიტურგია პირველშეწირულ ძღვენთა ანუ განახლების წირვა. პირველშეწირული წირვა აღესრულება დიდი მარხვის დროს, ყოველ ოთხშაბათს და პარსკევს და ვნების კვირის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს. ამ ლიტურგიას პირველშეწირული ეწოდება იმიტომ, რომ წირვა ანუ ლიტურგია ტარდება წინა კვირის წმინდა ბასილი დიდის ან იოანე ოქროპირის ლიტურგიის დროს, წინასწარ შეწირულ ტარიგზე (პროსკომიდიაზე კვეთის დროს სეფისკვერიდან ნაკვეთი ნაწილი), ე.ი. გამოიყენება პირველშეწირული ძღვენი, რომელიც შეიწირა ბასილი დიდის ან იოანე ოქროპირის ლიტურგიის დროს; პირველშეწირულ წირვას საბოლოო სახე მისცა გრიგოლ დიოლოღოსმა. დამტკიცდა ტულის საეკლესიო კრებაზე 692 წელს.

პირველშეწირული წირვა სრულდება შემდეგნაირად: დასაწყისში იკითხება ჟამნები – მესამე, მეექვსე და მეცხრე. ჟამნების შემდეგ სრულდება მწუხრი, რომელსაც უერთდება პირველშეწირულ ძღვენთა წირვა. როდესაც ღვთისმსახური პირველშეწირულ ძღვენს ანუ ბასილი დიდის ან იოანე ოქროპირის ლიტურგიის დროს შეწირულ ტარიგს, სამკვეთლოდან ტრაპეზზე გადაიტანს, „ქერუბიმთას“ საგალობლის ნაცვლად იგალობება „აწ ძალნი ცათანი“... შემდეგ, მორწმუნეებს მოამზადებენ საზიარებლად. წარმოითქმის თხოვნითი კვერექსი პირველშეწირულ პატიოსან ძღვენზე, რათა ის გვექმნას ჩვენს საცხოვნებლად და იგალობება „საუფლო ლოცვა“ („მამაო ჩვენო“), რასაც მოსდევს მღვდლის ასამაღლებელი (მღვდლის სათქმელი მოკლე ლოცვა – სამების სადიდებელი ლოცვათა ბოლო ნაწილი, რომელსაც მღვდელი საზეიმო კილოთი წარმოთქვამს). ასამაღლებლის შემდეგ ხდება ზიარება და ზიარებისთვის მადლობის შეწირვა.

საღამოს ლოცვა (ღამისთევის ლოცვა)

გარდა საღმრთო ლიტურგიისა, ტაძარში ასევე აღესრულება ღამის ლოცვა, რომელშიც სამი მსახურებაა გაერთიანებული: დიდი მწუხრი; დიდი ცისკარი და პირველი ჟამნი. საღამოს ლოცვას ღამისთევის ლოცვაც ეწოდა, რადგან ეს ღვთისმსახურება გვიან საღამოს იწყებოდა და განთიადამდე გრძელდებოდა. შემდგომში, ადამიანთა სუსტი ბუნების გამო, ღამისთევის ლოცვა საკმაოდ გამარტივდა და შედარებით მოსახერხებელ დროს დადგინდა. ამჟამად საღამოს ლოცვა აღესრულება ყოველ შაბათ საღამოს და დიდი საეკლესიო დღესასწაულების წინა საღამოს.

საღამოს ლოცვა იწყება მწუხრით, რომელიც თავისი შედგენილობით და არსით „ძველი აღთქმის“ პერიოდს გაგვახსენებს. დიდი მწუხრის დასაწყისში მღვდელი ხსნის აღსავლის კარს და სამგზის წარმოთქვამს: „დიდება წმიდასა და თანა არსსა და ცხოველმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“... შემდეგ ღვთისმსახური აკმევს საკმეველს – ჯერ საკურთხეველში, შემდეგ კი მთელ ტაძარში, ასევე უკმევს მლოცველებსაც. კმევის შემდეგ იგალობება ან იკითხება 103-ე ფსალმუნი, რომელსაც მოსდევს დიდი კვერექსის წარმოთქმა და იგალობება „დავითნის“ პირველი კანონი. შემდეგ წარმოითქმის მცირე კვერექსი და იგალობება დასდებლები (ტროპარები, რომლებიც ჩაერთვის ზოგიერთ საკითხავს მწუხრისა და ცისკრის მსახურებაზე)... მწუხრის მსახურების დასასრულს, იკითხება კვერექსები – თხოვნითი და მრჩობლი. კვერექსებს შორის იკითხება: „და ღირს მყენ ჩვენ, უფალო, მწუხრსა ამას“. მწუხრის ბოლოს წარმოითქმის: „აწ განუტევე“, „წმიდაო ღმერთო“, „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო ქალწულო“.

როგორც აღვნიშნეთ, მწუხრი „ძველი აღთქმის“ პერიოდს გაგვახსენებს – ე.ი. მწუხრის დროს მოიხსენიება ქვეყნიერების შექმნა, პირველი ადამიანების ცოდვით დაცემა, მათი სამოთხიდან განდევნა და მოლოდინი მესიისა – იესო ქრისტესი.

ცისკარი – დასაწყისში იკითხება

ექვსი ფსალმუნი, რომელსაც მოსდევს დიდი კვერექსი. შემდეგ იგალობება — „ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ“... და წარმოითქმის დღის „ტროპარი“. ამას მოსდევს „დავითნის“ ორი ან სამი კანონის წაკითხვა. თითოეული კანონის შემდეგ წარმოითქმის მცირე კვერექსი, მერე ღვთისმსახური გახსნის აღსავლის კარს და მთელ ტაძარში აკმევს საკმეველს. კმევის დროს მგალობლები გალობენ 134-ე და 135-ე ფსალმუნების შერჩეულ მუხლებს. ცისკრის ეს ნაწილი იწოდება პოლიელად (სადიდებლის გალობად). შემდეგ წარმოითქმის მცირე კვერექსი და იკითხება „სახარება“. „სახარებას“ მოსდევს გალობა და კითხვა კანონისა, რომელიც შედგება საეკლესიო საგალობლებისგან და იყოფა ცხრა ნაწილად — მესამე, მეექვსე და მეცხრე გალობის შემდეგ, წარმოითქმის მცირე კვერექსი. მერვე გალობის შემდეგ კი, იგალობება ღვთისმშობლის საგალობელი: „აღიდებს სული ჩემი უფალსა“... და იკითხება „განმანათლებელი“ და „ყოველი სული აქებდით უფალსა“ — „აქებდისა“, რასაც მოსდევს დასდებელი (ლოცვების კრებული, ცალკეული ვრცელი ლოცვების ბოლოს ჩასართავი (მუხლებში) ანუ ტროპარები, რომლებიც მწუხრისა და ცისკრის მსახურებაზე ზოგიერთ საკითხავს ჩაერთვის). ცისკრის მსახურების დასასრულს, ღვთისმსახური გახსნის სამეუფო კარს და ამბობს: „დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე ნათელი“ და იგალობება ბეთლემში მწყემსების წინაშე გამოჩენილი ანგელოზთა საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ცისკრის მსახურება სრულდება კვერექსთა — „შეგვიწყალენ“ და „აღუსრულოთ“ — წარმოთქმით.

ცისკრის მსახურება შეგვახსენებს „ახალი აღთქმის“ პერიოდს: მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებას და მის დიდებულ აღდგომას.

პირველი ჟამნი — ჟამნები არის მოკლე ღვთისმსახურებანი, რომლებიც შედგება ფსალმუნებისა და სხვადასხვა ლოცვისგან. არსებობს ოთხი ჟამნი — I, II, VI, IX. პირველ ჟამნში წაკითხულ ფსალმუნებში, ვევედრებით უფალს, ისმინოს „ხმისა ჩვენისა“ და ყოველგვარი კეთილი საქმე თავისი ნებით წარგვიმართოს. მსახურების ბოლოს იხსენიება ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი.

დაბოლოს: ეკლესიაში ყოველდღიურად სრულდება შემდეგი ღვთისმსახურება: დილით — შუაღამის ლოცვა; ცისკარი და პირველი ჟამნი; შუადღისას — მესამე და მეექვსე ჟამნი და ლიტურგია; საღამოს — მეცხრე ჟამნი, მწუხრი და სერობა. ■

ლანჩიანში „ავგაკილი“ ორკესტრის ხელმძღვანელი საზოგადოებას აქტიურად — ეროვნულ

ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ორკესტრი და მისი ხელმძღვანელი ვახტანგ მაჭავარიანი არაერთგზის ექცეოდა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში — არა მარტო მისი მაღალი საშემსრულებლო დონის, არამედ იმ სავალალო მდგომარეობის გამო, რომელიც ამ მნიშვნელოვან კოლექტივს მუშაობასა და განვითარებაში უშლიდა ხელს. ამის გამო ვახტანგ მაჭავარიანს არაერთგზის წერილიც მიუწერია საქართველოს ექსპრეზიდენტისთვის და ორიგინალური საპროტესტო აქციებისთვისაც მიუმართავს...

შეიცვალა თუ არა კოლექტივის მდგომარეობა? რა პირობებში უწევს დღეს მუშაობა ორკესტრს, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ, „ვალსის მეფის“ — იოჰან შტრაუსის მუსიკის დიდი კონცერტი გამართა? საუბარი ვახტანგ მაჭავარიანთან სწორედ ამ კონცერტსა და შტრაუსის მუსიკაზე დავიწყეთ.

ნუცა თოფჩიშვილი

— სწორედ ჩვენმა ორკესტრმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში იოჰან შტრაუსის მუსიკის ფართო პოპულარიზაციას. შტრაუსის მუსიკის კონცერტები 1998 წელს დავიწყეთ. ვენიდან ჩამოვიყვანე ავსტრიელი დირიჟორი მატიას ფლეცბერგერი. მაშინ ჯერ კიდევ გვქონდა მუსიკალურ ცენტრში ამოსვლის უფლება. გადაჭედილ დარბაზში კონცერტმა უზარმაზარი წარმატებით ჩაიარა. მოგვიანებით, მეორედ ჩატარებულ ანალოგიურ კონცერტსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ძალზე მახარებს, რომ საქართველოში შტრაუსის, ვენის ტრადიციები მკვიდრდება... მოგეხსენებათ, 1998 წლიდან მოყოლებული, ძალზე მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით. მუსიკალური ცენტრიდან სრულიად უსამართლოდ გამოგვაგდეს. ამ უსამართლობას კი ხელს აფარებდა მაშინდელი პრეზიდენტი და არა მარტო ის — მთელი ისტებლიშმენტი. მათი მიზანი, მუსიკალური ცენტრიდან გამოგდების გარდა, ორკესტრის დაშლაც იყო. მათ მშვენივრად ესმოდათ — თუ ორკესტრს დარბაზი და კონცერტების გამართვის საშუალება არ ექნებოდა, თავისთავად დასრულდებოდა მისი არსებობა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მასმედიის მხარდაჭერა. მისმა და საზოგადოების მხარდაჭერამ გადაგვარჩინა. ვიბრძოდით, მაგრამ რომ არა უცხოეთის საელჩოები და უცხოური კომპანიები, დღეს აღარ ვიარსებებდით. სამწუხაროდ, არც ერთ ქართულ კომპანიას არ შეუწუხებია თავი. ერთმა ამერიკულმა ბანკმა 14-15 კონცერტის არენდის თანხა გადაგვიხადა. ფინანსურად დაგვეხმარა ამდენივე ბრიტანულ-ამერიკული კომპანია.

— ახლა რა პირობებშია ოპერისა და ბალეტის თეატრს შეკედლებული ორკესტრი და რა სამომავლო გეგმები გაქვთ?



...მამაჩემი საოცრად დელიკატური ადამიანი იყო და ცდილობდა, არ ესარგებლა ამით

— ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ — მუსიკოსად დაიბადეთ თუ ბავშვობაში გქონდათ სხვა სფეროში წასვლის სურვილი? არჩევანი თქვენი მამის — ცნობილი კომპოზიტორის, ალექსი მაჭავარიანის გავლენით ხომ არ გააკეთეთ?

— სადაც დავიბადე, იმან რომ მოახდინა გავლენა ჩემს არჩევანზე — ეს ფაქტია. ოჯახში მუსიკის გარდა, არაფერი მესმოდა. დედაჩემი პროფესიით არქიტექტორია, მაგრამ ქმარს და შვილს შესწირა თავი, საკუთარი პროფესია გვერდზე გადადო და ისიც მუსიკის სამყაროში ცხოვრობდა ბაბუაჩემი... კირილე პაჭკორია ლოტბარი იყო. ცხადია, ასეთმა ატმოსფერომ განაპირობა ჩემი არჩევანი, მაგრამ მამაჩემის სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მისგან ზეწოლა არასდროს მიგრძნია... პირველად დირიჟორობის სურვილი 5-6 წლის ასაკში გამოვთქვი. თბილისში ცნობილი დირიჟორი, კარლო ცეკი ჩამოსულა და კონცერტი პლეხანოვზე მდებარე გოფილეკტის ბაღში გაუმართავს. დედაჩემს კონცერტზე წავუყვანივარ და სულ ხელებს ვიქნევდი დირიჟორივით. კონცერტის შემდეგ კი მითქვამს — მეც დირიჟორი უნდა გამოვიდე-მეთქი... სკოლის ასაკში მეზღვაურობაზე ვოცნებობდი, მიტაცებდა რომანები მეკობრეებზე. ზღვა საოცრად მიყვარს — უზარმაზარი და უსასრულოა, როგორც მუსიკა... სკოლის ბოლო პერიოდში, ძალზე გატაცებული ვიყავი ფორტეპიანოთი და მუსიკალური განათლების მიღება საბოლოოდ, თავად გადავწყვიტე. კონსერვატორიაში საოცარი შრომისმოყვარეობა გამოვიჩინე. ბახის ყველა პრელუდია და ფუგა დავუკარი. საოცარი წარმოსადგენია, რომ ადამიანმა 48 პრელუდია და ფუგა ისწავლოს. ამას ადამიანი თავს რომ გაართმევს, მას უმუსიკოდ ცხოვრება არ შეუძლია... მერე იყო დირიჟორობა. პირველი ნაბიჯები ჩემმა უსაყვარლესმა დიდიმ მირცხულავამ გადამადგმევინა. შემდეგ იყო ოდისეი დიმიტრიადი, მოსკოვში — გენადი როჟდესტვენსკი, ვენაში — კარლო ოტერრაიხერი და ლორინ მააზელი. მსოფლიოს უდიდესი დირიჟორის გვერდით ორი წელი გავატარე. კონცერტის წინ შიში სულ არ მიპყრობს ხოლმე, პირიქით — ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება...

— როგორც წესი, ხელოვანი საოჯახო საზრუნავისთვის ვერ იცლის. თქვენს ოჯახში ვინ აგვარებს ამ პრობლემებს და საერთოდ, გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ. თუ აპირებს თქვენი შვილი, რომ მამა-პაპის კვალს გაჰყვეს?

— ოჯახში ყველაფერზე დედაჩემი ზრუნავდა და მამაჩემს შემოქმედებისთვის საჭირო ყველა პირობას უქმნიდა, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი საოცრად დელიკატური ადამიანი იყო და ცდილობდა, არ ესარგებლა ამით. დედა ამას საკუთარი ნებით აკეთებდა და დიდ სიამოვნებასაც იღებდა. ამ მხრივ მეც გამორჩეულად ბედნიერი კაცი ვარ: ჩემი მეუღლე ორგანულად „ჩაეწერა“ ჩემს ცხოვრებაში. ის პროფესიით მხატვარია. ხანდახან მეცინება, ოჯახურ „აქციებში“ ჩაბმულს რომ ვხედავ. ემანსიპირებული, ევროპელი, 15 წელი პარიზში ნაცხოვრები

დაოჯახების შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა ჩემი ცხოვრების წესი, მაგრამ რაც სასიამოვნოა, სასიამოვნოდ რჩება. თვალი ხარბია...

— ახლა ორკესტრი ოპერის თეატრის სხვენში „ააგზავნეს“. ნეტავ, განახვათ, რა პირობებში გვიწევს მუშაობა: ზამთარში — გამყინვარებაა, ზაფხულში — აუტანელი სიცხე. დავრჩით უსახლკაროდ, გაველურებულ პირობებში. მინდა, დიდი კომპლიმენტი ვუთხრა ორკესტრს, რომ შესწევს ძალა, მაინც იმუშაოს. მუსიკოსს შენი გასახდელი, შენი ოთახი რომ არა გაქვს, რას დაემსგავსები? ეს ხომ ტყიური პირობებია?.. და ორკესტრმა, რომელსაც ასეთი პირობები აქვს, ამსტერდამში „კონცერტ გებაუს“ უნიკალურ დარბაზში გამოსვლისას სენსაციურ წარმატებას მიაღწია. შემდეგ ასევე დიდი წარმატებით ჩავატარეთ კონცერტი გერმანიაში, რასაც გერმანიის წამყვან გაზეთებში საოცარი პუბლიკაციები მოჰყვა... ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა, დიდი SOS-ია! მომავალი სეზონისთვის ვერაფერს ვგეგმავ. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს მდგომარეობა შეიცვლება. ანგარიშს ვუწევ იმას, თუ რა მოვლენები განვითარდა საქართველოში და ისიც ვიცი, რომ ასეთ დროს, პირველ რიგში, კულტურა ზარალდება. მაგრამ, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ საქართველოსთვის, კულტურა ძალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს და განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება სულიერებაზე. ტელევიზიებმა სულიერი საზრდოს მიცემა შეწყვიტეს, მშობლები ბავშვებს სულიერებისთვის არავითარ სტიმულს არ აძლევენ, ძირითადად ბიზნესსკოლებში შეჰყავთ და როდესაც მატერიასა და სულს შორის ბალანსი ირღვევა, უბედურებაა. მომავლის გადარჩენის გარანტი კი, სახელმწიფო უნდა იყოს...

რაც შეეხება პატარა ალექსის – ის 5 წლისაა, მაგრამ საოცრად აქტიურია

გერმანელი ალექსანდრა ვენგერსკი საუცხოოდ უმკლავდება ქართული ოჯახის ყოფითი საკითხების მოგვარებას. რაც შეეხება პატარა ალექსის – ის 5 წლისაა, მაგრამ საოცრად აქტიურია. ავსტრიაში, თხილამურებით შეჯიბრში ორჯერ აიღო მედალი. კარგი სმენა აქვს, თითქმის ყოველდღე ვამეცადინებ. ქართული ცეკვებისკენ მიილტვის. ცეკვის პედაგოგები კი ამბობენ – პატარაააო. რა პატარაა? – თხილამურებით შეჯიბრებაზე მედლებს იღებს, ცურავს, საოცრად სპორტულია. კარგი ბიჭია, საოცრად ზრდილობიანი.

— ალბათ განებივრებული ხართ მშვენიერი სქესის წარმომადგენლების ყურადღებით და როგორც ვიცი, არც თქვენ ხართ გულგრილი მათ მიმართ. ქალების ყურადღება თქვენს შემოქმედებაზე დადებითად თუ მოქმედებს?

– სწორი შეკითხვაა. სიმართლე რომ ვთქვა, რომელ კაცს არ სიამოვნებს ყურადღება? – მათ შორის მეც ვარ... დაოჯახების შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა ჩემი ცხოვრების წესი, მაგრამ რაც სასიამოვნოა, სასიამოვნოდ რჩება. თვალი ხარბია. საერთოდ მიმაჩნია, რომ ადამიანის ორგანოებიდან ყველაზე ხარბი თვალია. ამ თვალსაზრისით, ჩემი ცხოვრება სავსე იყო ლამაზი და საინტერესო მომენტებით; ვერ დავიჩივლებ – განებივრებული ვიყავი.

— ბატონო ვახტანგ, ბევრ ქვეყანაში გიცხოვრიათ, ბევრშიც გასტროლები გქონიათ. რომელი ქვეყანაა თქვენთვის განსაკუთრებით ახლობელი და უფრო კომფორტულად სად გრძნობთ თავს?

– 1977 წელს წავედი მოსკოვში სასწავლებლად, 1981 წელს ვენაში გავაგრძელე, სადაც ორი წელი დავყავი. ჩამოვედი თუ არა, მაშინდელი ლენინგრადის კიროვის სახელობის თეატრის დირიჟორობა მომიწია. მერე მოსკოვში დაარსდა საფესტივალო ორკესტრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი გავხდი. ასე დავდიოდი 1989 წლამდე მოსკოვსა და ლენინგრადს შორის. 1989-ში საგასტროლო მოგზაურობა დავიწყე ევროპაში. 1990 წლის დასაწყისიდან ვცხოვრობდი პარიზში. 2000 წლიდან გერმანიაში ვარ. საქართველოში ჩემი მოვალეობის შესასრულებლად ჩამოვდივარ. მოსკოვში დიდი სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავართ; სხვათა შორის, თვით ორკესტრმა ამირჩია: კონკურსში მონაწილე კანდიდატებს შორის მე არ ვიყავი, მაგრამ ორკესტრმა მოითხოვა, რომ მე ვყოფილიყავი მისი სამხატვრო ხელმძღვანელი... რამდენიმე თვე საქართველოში ვარ, რამდენიმე თვე – მოსკოვში, სხვა დროს კი – ევროპაში. ბევრ დროს ვატარებ თვითმფრინავში... ამ ქვეყნებიდან, შემიძლია ვთქვა, რომ საოცრად მიყვარს საფრანგეთი, კერძოდ პარიზი. იქ თავს, როგორც თევზი წყალში, ისე ვგრძნობ. იმიტომ არა, რომ პარიზი რომანტიკულია და არც იმიტომ, რომ იქ ათი წელი ვცხოვრობდი. იქ არის ჩემი ატმოსფერო: მომწონს იქაური ჰავა, არქიტექტურა, ადამიანების დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ – ღვინო, საჭმელი, მხიარულება, იუმორი... ფრანგები მსუბუქი, მაგრამ ღრმა ხალხია, საოცარი იუმორი აქვთ. პარიზი მწვერვალია, მაგრამ მთლიანად საფრანგეთი მიყვარს. პატარა სოფელშიც რომ ჩავიდე, იქაც ბედნიერად ვგრძნობ თავს... პროფესიული თვალსაზრისით სამ ქალაქს დავასახელებდი, რომლებშიც საოცრად საინტერესო მუსიკალური ცხოვრებაა: ლონდონი, სადაც ფანტასტიკურად ბევრი ორკესტრია და სადაც არაერთხელ მიდირიჟორია; ბერლინი, რომელზეც იმავეს ვიტყოდი და მოსკოვი, სადაც საოცარი ცვლილებები მოხდა და მუსიკალური ცხოვრება ჩქეფს. მთელი არსებით პატრიოტი ვარ. სამშობლო რომ არ მიყვარდეს, 1998 წლის პირველ აგვისტოს, როდესაც ორკესტრი გამოაგდეს მუსიკალური ცენტრიდან, დავიხურავდი ქუდს და წავიდოდი აქედან. ჩამოვიდოდი 2-2 კვირით კონცერტების ჩასატარებლად. ორკესტრმა შესანიშნავად იცის, რამდენ კონტრაქტზე ვთქვი უარი. ეს მარტო ჰონორარებზე უარის თქმას არ ნიშნავს: უარს ამბობ გასტროლებზე და მეორედ შეიძლება აღარც დაგიძახონ. ეს შენს რეპუტაციაზე მოქმედებს. ამ წლების განმავლობაში კი, უარი ბევრჯერ ვთქვი. მაგრამ ბოლოს, ერთი რამ მინდა ვთქვა: ყველაფერს აქვს საზღვარი. თუ დავინახე, რომ რაღაც ტრანსფორმაცია არ მოხდა და ეს რეალურად ორკესტრის ცხოვრებას არ შეეხო, ჩავთვალი, რომ შვიდწლიანი ვალი მოვიხადე, თავისუფალი ვარ და ჩემს გზას ვეწევი. ამ პირობებში არც შემიძლია და არც მინდა მუშაობა. ეს დამამცირებელია. აღარც ამდენი ენერგია მაქვს. 22 წლის ბიჭი რომ ვიყო, კიდევ შეიძლება, მაგრამ უკვე 50 წლის კაცი ვარ!.. მაინც მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი ძალა საზოგადოებას აქვს. საზოგადოება უფრო აქტიური უნდა იყოს და ეს უფრო მეტად უნდა გამოხატოს, თავისი კულტურა და სულიერება უნდა დაიცვას, ცოტა მეტად უნდა შეაზანზაროს ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

■

ემანსიპირებული, ევროპელი, 15 წელი პარიზში ნაცხოვრები გერმანელი ალექსანდრა ვენგერსკი საუცხოოდ უმკლავდება ქართული ოჯახის ყოფითი საკითხების მოგვარებას

ლაშა პატარაია 23 წლისაა, მაგრამ მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მას უკვე მეუღლე და 4 წლის შვილი ჰყავს. ერთ დროს მოჭიდავე, დღეს ყურებზე გირებს იკიდებს და მიკროავტობუსის გადაადგილებას ახერხებს. როგორც თავად აღნიშნავს, ყურების წყალობით არაერთი ნაძლევი მოუგია. სულ რამდენიმე თვის წინ კი, მეგობრების თვალწინ ყურებით ორი მიკროავტობუსი გასწია...

ყურებით განევის ძალა

ოცტონიანი მიკროავტობუსის 48 მეტრში გადაადგილება!..

ირინა უტარაშვილი

— დაახლოებით 15 წლის ვიყავი, ჭიდაობაზე რომ შევედი და ვარჯიში დავიწყე. როგორც მოჭიდავემ, განსაკუთრებულ შედეგს ვერ მივაღწიე, მხოლოდ ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონი, მრავალგზის პრიზიორი ვიყავი. ჩემი შესაძლებლობებიც ჭიდაობაში ამით ამოიწურე. 1996 წელს კი შევიტყვე, რომ ბათუმელმა დიმიტრი ქინქლაძემ რეკორდი დაამყარა — ყურებით 48 კილოგრამი ასწია. ამის შემდეგ მეც გამჩნდა სურვილი, მეცადა. ვიფიქრე, ჭიდაობაში არაფერი გამომდის და იქნებ, აქ მაინც გამომივიდეს რამე-მეთქი და დავიწყე ვარჯიში. პირველ ცდაზე 24 კილოგრამი ავწიე, ხოლო მეორეზე — 32.

— როგორ ვარჯიშობ? თუ არსებობს ყურის რაიმე სპეციალური ვარჯიში?

— კონკრეტულად ყურის ვარჯიში არ არსებობს. ვვარჯიშობ ისე, როგორც მოჭიდავეები ვარჯიშობენ. ყოველ დილით კუს ტბაზე დავრბივარ და ჩემს თავს მოდუნების საშუალებას არ ვაძლევ. ვარჯიშის დროს, მთელი ჩემი ენერგია ყურებს გადაეცემა. ყველაზე მეტად კი ამ დროს, ფსიქოლოგიურად ვემზადები, რაც თავდაჯერებულობას და სიძლიერეს მმატებს.

— ყოველდღე სისტემატურად ვარჯიშობ?

— ადრე უფრო სისტემატურად ვვარჯიშობდი — მაშინ, როდესაც რეკორდისთვის ვემზადებოდი. ახლა ვეღარ ვახერხებ ყოველდღე ვარჯიშს, რადგან ვმუშაობ და დრო არ მაქვს. ამასთანავე, ყოველდღე ყურებით გირების აწევაც არ შეიძლება, რადგან ამ დროს ყური ზიანდება და შეიძლება რაიმე ინფექცია შეიჭრას.

— გეტყობათ, როგორც მოჭიდავეს, ყურები დაზიანებული გაქვთ. ხომ არ გეხმარებათ ეს რამეში?

— ყურის დაზიანება ჭიდაობის დროს ჩვეულებრივი მოვლენაა — ყველა მოჭიდავეს აქვს „დამტვრეული“ ყურები. მაგრამ სიმართლე გითხრათ, ჩემს ამ შესაძლებლობას ყურების დაზიანებას ნამდვილად არ ვუკავშირებ. შესაძლებელია ცოტათი ესეც მეხმარება, რადგან ყურის ხრტილები ამ დროს, ჩვეულებრივთან შედარებით უფრო გამაგრებულია.

— ბოლოს რამდენი კილოგრამი ასწიე?

— 52 კილოგრამ-ნახევარი ავწიე და 20 წამი გავაჩერე. იმავე დღეს, მეორე რეკორდიც დავამყარე: 48 მეტრი ვატარე ყურებით 2 ტონა 350 კგ წონის მიკროავტობუსი. ორივე რეკორდი ზუსტად 15 წუთში განვახორციელე. გირების აწევა არსებული რეკორდი იყო, რომელიც ჯერ ბათუმელმა დიმიტრი ქინქლაძემ დამყარა, შემდეგ ჩინელმა ქალმა და ბოლო რეკორდსმენი მე გავხდი. ხოლო ყურებით მიკროავტობუსის გაწევა ჯერ კაცობრიობის ისტორიაში არ მომხდარა. პირველად ჩემს საახლობლოში ვცადე. ვერ იჯერებდნენ, ამას თუ შევძლებდი, მაგრამ მათ თვალწინ ეს შევძელი — ყურებით მიკროავტობუსი გადავაადგილე.

— რა დღეშია თქვენი ყურები რეკორდის დამყარების შემდეგ?

— ცოტათი დაზიანებულია, ისიც — გარედან. არც ტკივილს შევუწუხებივარ არასდროს. სმენაც კარგი მაქვს. ასეთი დაზიანება შეიძლება, ჭიდაობის დროსაც მიმეღო. სამედიცინო შემოწმებაც ჩამიტარეს — სრულიად ჯანმრთელი ვარ. ვერც ერთი ექიმი ვერ აგებს პასუხს იმაზე, რაიმე რომ შემემთხვეს. ჩემი თავი ბედს მივანდვე...

— ოჯახის წევრები რას ამბობენ შენს გატაცებაზე?

— თავიდან ყველას ეშინოდა, მაგრამ ამას ასეთი დიდი წარმატება რომ მოჰყვა, ყველას გაუხარდა. ჩემს მეუღლეს თავიდან ეშინოდა — ყური არ მოგძვრეს, არ გააკეთოო, — მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას შევძლებდი. ჩემით ყველაზე მეტად ჩემი შვილი ნიკუშა ამაყობს, უხარია, ცნობილი მამა რომ ჰყავს.

— რეკორდის დამყარებამდე როგორ ემზადები?

— რეკორდისთვის მზადებას ორი თვე ვუნდები. ამ დროს ყველანაირ სამუშაოს ვანებებ თავს. ვვარჯიშობ სისტემატურად და სხვა ყველაფრისგან ვისვენებ. ამასთანავე, ფსიქოლოგიურადაც ვემზადები. ხოლო ბოლო 15 დღე ვარჯიშსაც თავს ვანებებ და არც ყურებს ვაწვალებ.

— თუ გქონია სურვილი, დიმიტრი ქინქლაძე გაგეცნო?

— კი. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ გავიცნო. ასე მგონია, მასაც ექნება სურვილი გამიცნოს. მართალია, ჩემი რეკორდის დამყარებას არ დასწრებია, მაგრამ მან გაზეთის საშუალებით მომილოცა. ვნახოთ, შეიძლება, მომავალში შევხვდეთ ერთმანეთს და გავიცნოთ.

— გინესის წიგნში თუ შეგიყვანეს?

— არა, გინესის წიგნში ჯერ არ შევსულვარ. როგორც ვიცი, ჯერ ჩემი საბუთებიც კი არ არის გაგზავნილი. წესით, ჩემი რეკორდი 2 თვეში გინესის წიგნში უნდა შესულიყო. ღმერთმა ქნას, რომ 2005 წელს მაინც მოვხვდე.

— ახალი რეკორდისთვის ხომ არ ემზადები?

— ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ახალი რეკორდი დავამყარო. მინდა, ერთად გადაბმული ორი მიკროავტობუსი ყურებით გავწიო. მაგრამ საქართველოში ამის გაკეთებას აზრი არა აქვს, რადგან, არავინ დაგიფასებს. რაც გავაკეთე, ჯერ იმაზეც არ ყოფილა არანაირი გამოხმაურება... ■

ანრი დელონეს თასი პორტუგალიისკენ მიიწევს

პორტუგალიაში ჩატანამდე, ანრი დელონეს თასი პონტა-დელგადაში (აზორის კუნძულები) შეაჩერეს. სანუკვარ ჯილდოს თან ახლავს „ევრო-2004“-ის თილისმა, რომელიც ასევე დიდ როლს ასრულებს საზეიმო განწყობის შექმნაში. „მოსახლეობამ ისეთი ენთუზიაზმი გამოიჩინა, თითქოს პოლიტიკური არჩევნები მიმდინარეობდეს“, – განაცხადა ევროპის ჩემპიონატის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, ანჟელუ ბროუმ. თასის გადაცემის სიმბოლური ცერემონია კამპუსაუ-ფრანსიშკუში რამდენიმე დღის წინ შედგა. პრესტიჟული ჯილდო ბროუმ პონტა-დელგადის მერს ბერტ კაბრალსა და ქალაქის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტს აუდიტონ მელ მონიშს გადასცა. ცერემონიის დღე ფესტივალ ნოსუ-სენიორ-სანტუ-კრისტუ-დუშ-მილაგრეშის დასასრულს დაემთხვა, რომელიც ტრადიციულად წმინდა მიგელის პატივსაცემად იმართება. საერთო-სახალხო მხიარულების ფონზე სტუმრებს Adidas roteiro-ს საჩემპიონატო ბურთები და Vista Alegres ბროლის გულები გადასცეს, რომელიც „ევრო-2004“-ის ოფიციალური პარტნიორი გახლავთ. პუბლიკას კი სუვენირები დაურიგეს. აქვე გაცნობებთ, რომ 5 ივნისს ანრი დელონეს თასი მადეირის (პორტუგალიის კუთვნილი კუნძულები ატლანტის ოკეანეში) ქალაქ-ნავსადგურ ფუნშალში შეჩერდება. ■

ტრაპმა ნომრებიც ჩამოარიგა

„სკუადრა აძურას“ მცველი, ფაბიო კანავარო ოპტიმისტურადაა განწყობილი და იმედოვნებს, რომ მისი გუნდი „ევრო-2004“-ზე გამარჯვებას შეძლებს. „ტურნირში გამარჯვებისთვის ყველა მეტოქე უნდა დავჯაბნოთ, რაც არცთუ ისე ადვილი იქნება. ჩვენ მხოლოდ თამაშზე უნდა ვიფიქროთ და მატჩები გამარჯვებამდე მივიყვანოთ. იტალიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატებზე ასპარეზობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე ნებისმიერ სხვა გუნდს“, – ამბობს კანავარო, რომლისთვისაც „ევრო-2004“ სავარაუდოდ, კონტინენტის უკანასკნელი პირველობა იქნება, რომელშიც იგი „სკუადრა აძურას“ დაეხმარება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ კი იმის მიზეზი განმარტა, თუ რატომ არ მიიწვია ნაკრებში „მილანის“ ფორვარდი ფილიპო ინძაგი: „იმ მოთამაშეებს შორის, რომლებიც ინძაგის მსგავსად, ქირურგიული ჩარევის შემდეგ აღიდგენენ ფორმას და დელ პიეროს მსგავსად, კუნთებთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ, მკვეთრი ზღვარი უნდა გამევლო. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრებში ბევრი ისეთი მოთამაშე მივიწვიე, რომელთა ფიზიკური მდგომარეობა ეჭვს ბადებდა. ამჯერად კი, ასეთი ფეხბურთელების რიცხვი მინიმუმამდე დავიყვანე.

ჯოვანი ტრაპატონიმ უკვე გამოაქვეყნა ეროვნული ნაკრების არა მარტო შემადგენლობა, არამედ მოთამაშეთა ნომრებიც, რაც ალბათ არც ჩვენი მკითხველისთვის იქნება უინტერესო:

მეკარეები: 1 – ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი“), 12 – ფრანჩესკო ტოლდო („ინტერი“), 22 – ანჯელო პერუცი („ლაციო“).

მცველები: 2 – კრისტიან პანური („რომა“), 5 – ფაბიო კანავარო („ინტერი“), 13 – ალექსანდრო ნესტა („მილანი“), 19 – ჯანლუკა ძამბროტა („იუვენტუსი“), 3 – მასიმო ოდო („ლაციო“), 15 – ჯუზეპე ფავალი („ლაციო“), 6 – მატეო ფერარი („პარმა“), 23 – მარკო მატერაცი („ინტერი“).

ნახევარმცველები: 14 – სტეფანო ფიორე („ლაციო“), 16 – მაურო კომორანეზი („იუვენტუსი“), 20 – სიმონე პეროტა („კიევო“), 4 – კრისტინო ძანეტი („ინტერი“), 8 – ჯენარო გატუზო („მილანი“), 21 – ანდრეა პირლო („მილანი“).

თავდამსხმელები: 10 – ფრანჩესკო ტოტი („რომა“), 9 – კრისტიან ვიერი („ინტერი), 7 – ალესადრო დელ პიერო („იუვენტუსი“), 11 – ბერნარდო კოროდი („ლაციო“), 17 – მარკო დი ვაიო („იუვენტუსი“), 18 – ანტონიო კავსანო („რომა“). ■

ფეხბურთელის ცოლი ყველაზე სექსუალურია

მამაკაცთათვის განკუთვნილ ჟურნალ FHM-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ბოლო ათწლეულის ყველაზე სექსუალურ ქალბატონად, „ტოტენჰემის“ ფეხბურთელის ჯეიმი რედნაპის ცოლი, მომღერალი ლუიზა რედნაპი დასახელდა. ამ გამოკითხვაში ლუიზამ უკან მოიტოვა მამაკაცთა ისეთი გულთამპყრობელები, როგორებიც არიან: კაილი მინოუგი, პამელა ანდერსონი და კარმენ ელექტრა. აღსანიშნავია, რომ იმავე FHM-ის მარტის გამოკითხვაში ჯიმი რედნაპის მეუღლემ მხოლოდ მე-17 ადგილი დაიკავა. 1994 წლიდან მოყოლებული, ლუიზა ჟურნალის მიერ ჩატარებული ყველა კონკურსის მონაწილე გახლდათ და ათწლეულის მთავარი პრიზიც სწორედ მას ერგო. ბოლო დროს მომღერალი, ცოტა არ იყოს ჩამოშორდა შოუბიზნესს. მისი ფოტოებიც სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა პრესტიჟული ჟურნალების გარეკანებზე. საქმე ის გახლავთ, აგვისტოსთვის იგი ბავშვს ელოდება. რაც შეეხება აღნიშნული ვერსიით ათეულში მოხვედრილ დანარჩენ ქალბატონებს, მათ შემდეგნაირად გაინაწილეს ადგილები: კამერონ დიასი, კაილი მინოუგი, პამელა ანდერსონი, კარმენ ელექტრა, კელი ბრუკი, ჯენიფერ ენისტონი, დაენი მინოუგი, ბრიტნი სპირსი და ჯორდანი. ■

იაპ სტამი საჩემპიონოდ ემზადება

2000 წლის ევროპის ჩემპიონატში განცდილი მარცხის შემდეგ ჰოლანდიელები ძალისხმევას არ დაიშურებენ, რათა პორტუგალიაში მაინც მიაღწიონ წარმატებას. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, დიკ ადვოკაატმა უკვე დაასახელა ის 23 ფეხბურთელი, რომლიც „ევრო-2004“-ზე იასპარეზებს. „არავითარი სიურპრიზი არ იქნება. ეს ნაკრები ახალგაზრდობისა და გამოცდილების, სიბრძნისა და სიფიცხის ნაზავს წარმოადგენს. ძალიან გამიმართლა, გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელები ჯანმრთელად რომ არიან და ტრავმები არ აწუხებთ“, – ამბობს ადვოკაატი. მან არჩევანი იმ მოთამაშეებზე შეაჩერა, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს პორტუგალიის საგზურის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

ერთადერთი გამონაკლისი არენ რობერი გახლავთ, რომელმაც მუხლის ქედა მყესი დაიზიანა და ოპტიმალურ კონდიციებს ამჟამად იბრუნებს. „პსვ“-ს ფეხბურთელი მათ რიგში აღმოჩნდა, ვინც ასეთი მაღალი დონის ტურნირის ფინალურ ეტაპზე პირველად იასპარეზებს. დანარჩენი დებიუტანტები რონალდ ვატერეუსი, ვილფრიდ ბუმა, ჯონ ჰეიტინგი, მარკ ვან ბომელი, უესლი სნეიდერი, რაფაელ ვან დერ ვაარტი. ენდი ვან დერ მეიდე და რუდ ვან ნისტელროი არიან.

ადვოკაატმა იმ ფეხბურთელთა გვარებიც დაასახელა, რომლებიც პორტუგალიაში მხოლოდ მაშინ გაემგზავრებიან, თუ ჰოლანდიის ნაკრების რომელიმე მოთამაშე ტრავმის ან სხვა მიზეზის გამო შემადგენლობიდან ამოვარდება. ამგვარად, მცირე შანსი კვლავაც რჩებათ „ჩელსის“ წარმომადგენლებს – ჯიმი-ფლოდ ჰასელბანკსა და მარიო მელხიოტს, აგრეთვე „მანჩესტერ სითის“ ჰვბეკს პოლ ბოსველტს და „პსვ“-ს მცველს ანდრე ოიერას.

დიდი მონდომებით ემზადება „ევრო-2004“-ისთვის ჰოლანდიელი მცველი, 31 წლის ***იაპ სტამი****, რომელმაც ამ დღეებში uefa.com-ს მომავალი ტურნირის შესახებ საკუთარი შეხედულება გაუზიარა.*

— ვინ გაიმარჯვებს ევროპის ჩემპიონატში?

– ცხადია, დიდი იმედი მაქვს, რომ თასს ჰოლანდიის ნაკრები დაეუფლება. ეროვნული გუნდის შემადგენლობაში დიდ ტურნირებზე გამოსვლას ვასრულებ. ასე რომ, ეს ოქროს მედლის მოგების ჩემი უკანასკნელი შანსია და წარმატებას ველი. პოტენციურად გამარჯვების შესაძლებლობა ნამდვილად გვაქვს. სხვა ნაკრებებიდან კი საფრანგეთის გუნდს გამოვყოფდი. ფრანგები დიდი ოსტატობით გამოირჩევიან და გამარჯვების შანსიც აქვთ.

— სიურპრიზებს ვისგან უნდა ველოდოთ?

– ალბათ ჩეხეთისგან. რატომღაც მათ აუტსაიდერებად მიიჩნევენ, თუმცა ბოლო წლებში დაამტკიცეს, რომ ტოლს არავის უდებენ, რასაც პორტუგალიაში კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ. სამწუხაროდ, ქვეჯგუფში სწორედ ჩეხებთან ერთად მოვხვდით.

— ვინ გახდება „ევრო-2004“-ის ვარსკვლავი?

– ვფიქრობ, მთავარ გმირებად ტიერი ანრი, ზინედინ ზიდანი და რუდ ვან ნისტელროი იქცევიან. ისინი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან და ასეთ საპასუხისმგებლო ტურნირებზეც თავს არ დაზოგავენ. ზიდანსა და ანრის დიდ ტურნირებზე უკვე უასპარეზიათ, რუდისთვის კი კონტინენტის პირველობა სადებიუტო იქნება, რაც მას კიდევ უფრო მეტ მოტივაციას შესძენს. მისი იმედი მთელ ჰოლანდიას აქვს.

— ვინ შეიძლება იქცეს ტურნირის აღმოჩენად?

– ამ ამპლუაში შეიძლება, ჩემი თანამემამულე არენ რობენიც მოგვევლინოს. ის მარცხენა ნახევარმცველია და თავისი თამაშის მანერით ჩემს ძველ „მანჩესტერელ“ მეგობარ რაიან გიგზს მაგონებს. არენი სწრაფია, ჩინებული დრიბლინგისა და გოლის გატანის ალღოთია დაჯილდოებული. ცხადია, ჯერჯერობით დარწმუნებული არ ვარ, რომ რობენი პორტუგალიაში წამოვა, მაგრამ იგი ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს.

— წინა ევროპის ჩემპიონატიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

– არასოდეს დამავიწყდება „ევრო-2000“-ის ნახევარფინალში ჩემ მიერ გაფუჭებული პენალტი. იმ მომენტში განცდილი იმედგაცრუების გრძნობა დღესაც მტანჯავს. იმ მატჩში იტალიელთა დასამარცხებლად არაერთხელ მოგვეცა შანსი, მაგრამ ვერ შევძელით. ერთი სიტყვით, წინა ევროპის პირველობა არცთუ ისე სასიამოვნო მოგონებად დამრჩა. იმედი მაქვს, პორტუგალიის ტურნირის შემდეგ უფრო პოზიტიური ეპიზოდები გამახსენდება...

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ იაპ სტამი „ლაციოდან“ „მილანში“ გადავიდა. ჰოლანდიელი მცველი სილვიო ბერლუსკონის კლუბმა 10,5 მილიონ ევროდ შეიძინა. რომაულ გუნდთან კონტრაქტი იაპს ერთი წლის შემდეგ უმთავრდებოდა. „სან-სიროზე“ კი იგი კვლავ ითამაშებს თავის ყოფილ პარტნიორთან „ლაციოში“ – ალესანდრო ნესტასთან. „ჩვენს ახალწვეულს გულღიად მივესალმები, – ამბობს „მილანის“ კაპიტანი პაოლო მალდინი, – ჩვენ შორეულ გეგმებს არ ვაწყობთ და დღესვე გვსურს გამარჯვება. სტამი დიდებული მოთამაშეა“. თავად ჰოლანდიელი ფეხბურთელი „ევრო-2004“-ში მონაწილეობის შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს: „მილანში ყოფნისას, სახლიდან ისედაც შორს ვიქნები, მაგრამ ფეხბურთის გარდა, ჩემს ცხოვრებაში ოჯახსაც დიდი ადგილი უკავია. ამიტომ ევროპის პირველობა ჩემს საერთაშორისო კარიერაში უკანასკნელი ტურნირი იქნება“. ■

«პორტოს» გამარჯვების ზეიმი პორტოში და პორტუგალიელთა მოლოდინი

მიმდინარე წელი პორტუგალიელებს დიდხანს ემახსოვრებათ. „ევრო-2004“-ის მასპინძლობის მოლოდინში მყოფ ამ სამხრეთევროპული ქვეყნის მოსახლეობას „პორტომ“ ჩინებული საჩუქარი გაუკეთა და კონტინენტის მომავალ ჩემპიონატში ნაკრების გამარჯვების იმედი და სურვილი კიდევ უფრო გაუძლიერა. დიახ, „პორტო“ ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა და პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებს საფეხბურთო მწვერვალისკენ სვლის ჩინებული მაგალითი უჩვენა. ახლა ჯერი ლუიშ ფელიპე სკოლარისა და კომპანიაზეა.

„პორტო“–„მონაკოს“ ფინალური დაპირისპირების შემდეგ მთელი პორტუგალია ზეიმობდა გამარჯვებას. სიხარული თვით „პორტოს“ „დაუძინებელი მტრების“ – ლისაბონის „ბენფიკასა“ და „სპორტინგის“ ფანებმაც კი გაიზიარეს, თუმცა ცხადია, ყველაზე დიდი დროს ტარება თავად ოკეანისპირა პორტვეინის მწარმოებელი ქალაქის მცხოვრებლებმა გააჩაღეს. მატჩის დასრულებიდან სულ რამდენიმე წუთში, პორტოს ვიწრო ქუჩები თეთრ-ცისფერ მაისურში გამოწყობილი ხალხით აივსო, ხოლო მოგვიანებით იქაურობა ავტომობილთა სიგნალების ისეთმა გამაყრუებელმა ხმამ მოიცვა, მეორედ მოსვლა გეგონებოდათ.

ზეიმის ეპიცენტრი პორტოს უმბერტუ დელგადუ პლაზას მოედანი გახლდათ. „პორტო“ ჩემპიონია!“ „პორტო“, შენ მოუტანე დიდება პორტუგალიას!“ – გაჰყვიროდნენ ბედნიერი გულშემატკივრები.

„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ საუკეთესონი ვართ. ეს ჩვენი კლუბის დიდების ღამეა“, – ასეთი გახლდათ პორტოს მცხოვრებთა საერთო განწყობა. მათმა ნაწილმა იმ ღამესვე დაიკავა ადგილი სტადიონ „დრაგაოზე“, რომელზეც მეორე დღეს გამარჯვებულ გუნდს თასი უნდა მიეტანა.

სწორედ ასეთივე ზეიმი სუფევდა პორტოში 1987 წელსაც, როდესაც კლუბმა პირველად მოიპოვა ჩემპიონთა თასი. სხვათა შორის, მაშინაც გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, ეს ჟუარი გახლდათ. გელზენკირხენში კი, შეიძლება ითქვას, „პორტომ“ „მონაკოს“ კარში „ერთ-ნახევარი ბრაზილიური გოლი“ გაიტანა: მოგეხსენებათ, 19 წლის კარლოს ალბერტო ბრაზილიელია, ხოლო დეკუ წარმოშობით ფეხბურთის ჯადოქართა სამშობლოდანაა, მაგრამ ამჟამად პორტუგალიის მოქალაქის უფლებით სარგებლობს. ერთი სიტყვით, რამდენიმე დღის წინ პორტოში გამართულ ზეიმზე პატრიოტულ სიმღერებთან და საფეხბურთო ჰიმნებთან ერთად, სამბას რიტმებიც ისმოდა.

ეს ღამე არასოდეს დაავიწყდებათ ლუდისა და სენდვიჩის გამყიდველებსაც. მათ ხომ ერთბაშად ერთი თვის შემოსავალი მიიღეს.

საერთო-სახალხო აღტყინების მიმართ გულგრილი პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი, ჟოზე მანუელ დურაო ბაროზუც არ დარჩენილა. „ეს დიდებული თამაში და მთელი პორტუგალიისთვის დიდი გამარჯვება გახლდათ. ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ ჩვენს ფეხბურთელებს, რომლებიც უმაღლესი მიზნისკენ დისციპლინირებული თამაშით მიიწევდნენ და ერთი წუთითაც არ მოდუნებულან“, – დასძინა ბაროზუმ, რომელიც ფინალურ მატჩამდე ერთი დღით ადრე პორტუგალიური პრესის მძაფრი კრიტიკის ქვეშ მოექცა, რისი მიზეზიც ის გახლდათ, რომ მან მექსიკაში საქმიანი ვიზიტი გადადო და საყვარელი გუნდის საქომაგოდ გელზენკირხენში გაემგზავრა (მოგეხსენებათ, პორტუგალია კვლავაც ეკონომიკურ კრიზისში იმყოფება და როგორც ჩანს, ცენტრალურ ამერიკაში ქვეყნის პრემიერის ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა).

„პორტოს“ წარმატება არც პორტუგალიის პრეზიდენტ, ჟორჟე სამპაიოს დაუტოვებია უყურადღებოდ, რომელმაც გუნდის მიერ ჩემპიონთა თასის მოპოვებას, ყველა პორტუგალიელისთვის ბედნიერების მომტანი და იმის ბრწყინვალე მაგალითი უწოდა, თუ როგორ უნდა ითამაშოს ქვეყნის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე. სხვათა შორის, ფეხბურთის მიმომხილველთა, სპეციალისტთა და ქომაგთა ნაწილი უკვე ვარაუდობს, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდმა შეიძლება პორტუგალიელებს კიდევ ერთი დიდი სიხარული განაცდევინოს. თუმცა შემთხვევა, როდესაც ქვეყნის კლუბმა და ეროვნულმა ნაკრებმა ერთსა და იმავე წელს გაიმარჯვეს ევროპულ ასპარეზზე, მხოლოდ ერთხელ მოხდა: 1988 წელს. „პსვ-ეინდჰოვენმა“ ჩემპიონთა თასი მოიპოვა, ხოლო ჰოლანდიის ეროვნულმა ნაკრებმა კონტინენტის პირველობაში გაიმარჯვა.

„პორტო“ 1893 წელს დაარსდა და თავისი არსებობის მანძილზე 21-ჯერ გაიმარჯვა პორტუგალიის ჩემპიონატში და 9-ჯერ დაეუფლა ქვეყნის თასს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე დიდ წარმატებას „პორტომ“ 1987 წელს მიაღწია, როდესაც უეფას ჩემპიონთა თასს, სუპერთასსა და საკონტინენტთაშორისო თასს დაეუფლა. ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ფინალში პორტუგალიელებმა გერმანული „ბავარია“ 17 წლის წინ, არტურ ჟორჟის თაოსნობით დაამარცხეს. შემდეგ გუნდს ბრაზილიელი კარლოს ალბერტო და სილვა და ბრიტანელი ბობი რამსონი წვრთნიდნენ. სწორედ მათი დამსახურებით „პორტომ“ ევროპულ არენაზე მოპოვებული პოზიციის შენარჩუნება შეძლო.

რაც შეეხება „პორტოს“ დღევანდელ მწვრთნელს, ჟოზე მაურინიოს, მისი სახელი ალბათ სამუდამოდ დარჩება კლუბის ისტორიაში. ადრე იგი „ბარსელონაში“ ბობი რობსონისა და ლუი ვან გაალის თანაშემწედ მუშაობდა. პორტუგალიურ გუნდთან ერთად კი, მან ყველაზე მაღალი საკლუბო-საფეხბურთო მწვერვალების დაპყრობა ზედიზედ მოახერხა: როგორც ცნობილია, შარშან უეფას თასის ფინალში „პორტომ“ შოტლანდიური „სელტიკი“ დაამარცხა. ასე რომ, პორტუგალიელებმა საკლუბო დონეზე უკვე დუბლი შეასრულეს. ახლა ჯერი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებზეა. ■

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-22)

თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

თბილისის ომის დროს მხატვარ ირაკლი იაშვილისაგან ორსულად დარჩენილი გვანცა, მისი ძმის, ლაშას თანაშემწედ მუშაობს. მას ირაკლისგან შვილი — პატარა ლუკა ჰყავს. გვანცას მოულოდნელად გამოეცხადება აფხაზეთის ომში დაკარგული მისი ყოფილი თანაკლასელი და ფიქტიური ქმარი ლუკა ჩადუნელი, რომელიც აუწყებს, რომ თბილისში მამამისი, მოსკოველი ბიზნესმენი გიორგი ჩადუნელი ჩამოდის. ლაშას მასთან სარფიანი ხელშეკრულების გაფორმების იმედი აქვს, მაგრამ ეს საქმე ჯერ ლუკას გატაცების, შემდეგ კი, ლაშას დაჭრის გამო, ჩაიშლება. სარეანიმაციო განყოფილებაში ლაშას ორი უცნობი სასუნთქ აპარატს გამოურთავს, მაგრამ ექიმები ამჯერადაც დროზე მიუსწრებენ და ხელმეორედ გადაარჩენენ. მომხდარით შეშფოთებული მისი თანამშრომელი ივიკო გვანცას აფრთხილებს — იცოდე, ლაშა ცუდ საქმეებშია გარეული და შენც თავის წუმპეში მიგათრევსო. ლაშას პატიოსნების დიდად არც გიორგი ჩადუნელს სჯერა...

საავადმყოფოში ლაშას სანახავად მისულ გვანცას, პალატაში უცნობი დახვდება, რომელსაც ხელზე ლუკას საათი უკეთია. გვანცა ამ ამბავს მაშინვე გიორგის შეატყობინებს, რომელიც უცნობთან დალაპარაკებას გადაწყვეტს, მაგრამ ის ლაშასთან აღარ მოვა. მოგვიანებით, ამ საათს ვილაც სამსახურში გაუგზავნის გვანცას...

გიორგი ჩადუნელი საბოლოოდ რწმუნდება, რომ კანონიერი ქურდების ჩარევის გარეშე შვილს ტყვეობიდან ვერ გამოიხსნის და მოსკოვში დაბრუნებას გადაწყვეტს. ის გვანცას და პატარა ლუკასაც წაიყვანს თან. მოსკოვში ჩასული გვანცა სრულიად მოულოდნელად, წლობით უნახავ მამას გადაეყრება... მიშა ჩოხელი იქ პურის მცხობლად მუშაობს. მოგვიანებით მიშა მას დედასაც შეახვედრებს, რომელსაც ფსიქიკური აშლილობის კრიზისი გამოვლილი აქვს...

ანას გამოჯანმრთელებას მიშა რესტორან „ლილეში“ აღნიშნავს და, ცხადია, გიორგისა და მის ცოლს, ლიდიასაც დაპატიჟებს. შუა ქეიფში გიორგის, ლუკას გამტაცებლების მოსკოველი თანამზრახველები დაურეკავენ და ეტყვიან — შვილი ვაგანკოვის სასაფლაოზე დაგხვდებაო. გიორგი შვილს სასაფლაოზე მართლა იპოვის და შინ მშვიდობით დააბრუნებს.

შვილის გადარჩენით აღტაცებული გიორგი, ლუკასა და გვანცას სასწრაფო შეუღლებასაც გადაწყვეტს, რაზეც ლუკასგან ცივ უარს მიიღებს: გონს მოსვლა მაცალეო. მაგრამ როგორც კი ლუკა გვანცასთან მარტო დარჩება, ისიც შესთავაზებს — რაც შეიძლება მალე ვიქორწინოთო...

გვანცა და ლუკა დაქორწინებას მართლა გადაწყვეტენ, მაგრამ ჯვრისწერის დღეს გვანცას შვეიცარიიდან ჩამოსული ირაკლი დაადგება თავზე და ძველებურად აურევს თავგზას...

ოთახიდან ირაკლის გასვლა და ანას გამოჩენა ერთი იყო. მან სარკის წინ ქანდაკებასავით უძრავად მდგარ გვანცას თვალი სევდიანად შეავლო.

— წავიდა? — ცივად იკითხა გვანცამ.

— ჰო, წავიდა...

— საერთოდ, რატომ შემოუშვი?

— რა ვიცოდი, რომ ეგ იყო?! მეზობლის ქალი მეგონა და კარი დაუფიქრებლად გავუღე...

— მერე?.. მაშინვე ცხვირწინ ვერ მიუხურე?

— ვერ მივუხურე! იმიტომ, რომ ადამიანურად მთხოვა — გვანცასთან სალაპარაკოდ ვარ მოსული და სულ რამდენიმე წუთით შემომიშვიო... საერთოდ კი, კარგი იქნება, თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებ, ცხრა მთას იქიდან შენთან სალაპარაკოდ ჩამოსულ ადამიანს კარს არც თავად მიუხურავ და კიდეც მოუსმენ!

— გმადლობ! უკვე მოვუსმინე და იცი, რა მითხრა?

— რა?

— რა და ჯერ შენს ჯვრისწერას დავესწრები და მერე, თავადაც იმავეს გავაკეთებო...

— რა თქვი? — შეკრთა ანა. — მართლა ცოლი მოჰყავს?

— მოჰყავს... თანაც, ჩემს ჯიბრზე, ჯვარსაც იმ ეკლესიაში იწერს, სადაც მე. ყოველ შემთხვევაში, მე ასე გამომიცხადა.

— არა, ცოლის მოყვანა, ცხადია, მაგის პირადი საქმეა, მაგრამ თუ ამას მხოლოდ შენს გასაღიზიანებლად აკეთებს, მთლად კარგი ადამიანი ვერ ყოფილა.

— შენი ეგ ადმოჩენა ჩემთვის დიდი ვერაფერი შეღავათია.

— ჩემთვისაც... — ამოიოხრა ანამ. — მაგრამ მე ახლა ის უფრო მადარდებს, შენ რას იზამ?

— რა უნდა ვქნა?.. მაგის გულისთვის ჯვრისწერას ხომ არ გადავდებ?!.

— არა, მაგრამ... რომ გაუწყრეს ღმერთი და მართლა იმ ეკლესიაში მოვიდეს, კაცმა არ იცის, რა მოხდება!..

— მოხდება და მოხდეს! — დაუფიქრებლად წამოისროლა გვანცამ.

— აბა, რას ამბობ?!. — შეიცხადა ანამ. — ლუკამ რომ იქ ირაკლი ნახოს, ხომ გადაირია! საწყალ ბიჭს ნერვები

ისედაც დაწყვეტაზე აქვს!..

— არც მე ვარ უკეთეს დღეში!..

— ვიცი და ამიტომ, იქნებ, ჯვრისწერა მართლა გადაგედო?

— გაგიჟდი?!. — ისევ დაუფიქრებლად წამოისროლა გვანცამ ანასთვის ყველაზე საძულველი სიტყვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაინც არაფერი შეიმჩნია:

— დამიჯერე, საყვარელო, ნამდვილად ასე ავჯობებს... თუ გინდა, ლუკას მე დაველაპარაკები და ყველაფერს ავუხსნი... ამასობაში, შენც დამშვიდდები, ცოტა უფრო სერიოზულად დაფიქრდები და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ისე მიიღებ... ნორმალური ადამიანი ხომ ოჯახს ერთხელ ქმნის...

— მერე ვინ გითხრა, რომ ნორმალური ვარ?!. — იკივლა უცბად გვანცამ. — ტყუილად კი არ მეუბნება ხოლმე ბებიაჩემი, უკვე სანახევროდ გიჟი ხარო? ჰოდა, მეც ავდგები და ბოლომდე გავგიჟდები! სხვათა შორის, ირაკლიმაც იგივე მირჩია: პატარ-პატარა სისულელეების ჩადენას, ერთი დიდი სიგიჟე რომ ჩაიდინო, ის სჯობიაო!..

— საინტერესოა, დიდ სიგიჟეში რას გულისხმობდა?.. — თავისთვის ჩაილაპარაკა ანამ და შემდეგ ისევ შვილს მიუბრუნდა: — რა არის, იცი?..

— არ ვიცი და არც მაინტერესებს! — უხეშად გააწყვეტინა გვანცამ და ფეხზე წამოხტა. — ნეტავ, ეს ლუკა სადღა ეშმაკებშია? იმდენს იზამს, რომ ეკლესიაში დაგვაგვიანდება! დროზე მოვიდეს, თუ მოდის!

— ჯერ რა დროს ლუკას მოსვლაა? — გაკვირვებით შეხედა ანამ შვილს. — მთელი სამი საათით ადრე ხომ არ მოგაკითხავს?

— ვითომ რატომ არ უნდა მომაკითხოს?.. — თავისას არ იშლიდა გვანცა. — საინტერესოა, უკეთესს რას აკეთებს?..

— არა, — ხელი უმწეოდ ჩაიქნია ანამ, — შენთან ლაპარაკი აღარ შეიძლება! წავალ წყალს გადავივლებ, იქნებ, ცოტა დავმშვიდდე! მართლა, — გაახსენდა მას შემდეგ, — მამაშენმა რომ ფული გაჩუქა, სად წაიღე?

— სად უნდა წამეღო?.. ჩანთაში მაქვს...

— სახლში არ დაგრჩეს, თან წამოიღე!

— ეკლესიაში ფული რად მინდა? — გაოცდა გვანცა.

— ეკლესიაში არა, მაგრამ მერე ნამდვილად დაგჭირდება! აბა, ყველა წვრილმანზე ლუკას ხომ ვერ მიადგები... ისე, ეცადე, ეგ ფული უაზროდ მაინც არაფერში გადაყარო... ხომ იცი, მამაშენმა რა სიმწრით მოაგროვა...

— ვიცი და ამიტომაც არ მინდოდა გამორთმევა.

— რომ არ გამოგერთმია, ძალიან ეწყინებოდა. მთელი კვირა იფიქრა — გვანცას ვაჩუქო თუ თბილისში ჩვენებს გავუგზავნოო?.. ძალიან უნდოდა, რომ მიშიკოც დასწრებოდა შენს ქორწილს... მე კი მიშიკოზე ნაკლებად არც ჩემი დედ-მამის ნახვა გამიხარდებოდა, მაგრამ რა ვქნათ?!. — ხელები უმწეოდ გაშალა ანამ. — თანაც, მებრალებიან, რომ დღემდე ჩვენი ამბავი საერთოდ არ იციან... ეგეც მამაშენის ბრალია, ჯერ ნუ დავურეკავთ, დიდი სიურპრიზი მოვუწყოთო! ეგეც მაგის დიდი სიურპრიზი.

— მართლა დიდი უცნაური ვინმეა ეს მამაჩემი — შეწუხდა გვანცაც. — სულ ველოდი, — ან ახლა მეტყვის, თბილისში დავრეკოთო და ან ახლა-მეთქი... იმას კი, თურმე, ფულის პრობლემა არ ჰქონია?.. შენ მაინც გეთქვა და ჩვენების ჩამოსაყვან ფულს სულაც, ლუკას გამოვართმევდი...

— აბა, რას ამბობ?!. — შეიცხადა ანამ, — ლუკას თავისი პრობლემები ეყოფა!..

— ნეტავ, ვიცოდე, ლუკას უფასო ადვოკატად ვინ დაგაყენა? — გაღიზიანდა გვანცა. — ისე იცავ და უფრთხილდები, გეგონება, მე კი არა, ის იყოს შენი შვილი...

— მე ლუკას კი არა, შენს მომავალს ვუფრთხილდები... — ამოიოხრა ანამ და ოთახიდან გავიდა...

ცოტა ხანში ლუკას მოსვლის დროც მოახლოვდა და გვანცა ისევ ნერვიულობამ აიტანა:

— ნამდვილად დაიგვიანებს! მაგან ხომ სულ ასე იცის... ნერვები თუ ბოლომდე არ დაგაგლიჯა, ვერ მოისვენებს...

უცბად ტელეფონი აწკრიალდა და მისმა ხმამ გვანცას ბუზღუნი შეაწყვეტინა. ყურმილი ანამ აიღო. ლუკა რეკავდა. ანამ ის ერთი-ორი სიტყვით მოიკითხა და ყურმილი გვანცას გადასცა.

— რას შვრები? — რაღაც უცნაურად, შორიდან მოესმა გვანცას ლუკას ხმა.

— რა უნდა ვქნა? გელოდები... — ცივად უპასუხა გვანცამ.

— რა არის, იცი?..

— რა?

— ცოტა ხნის წინ ჩემს მოძღვარს ველაპარაკე...

— ვის ელაპარაკე?

— მამა გიორგის, ვინც ჯვარი უნდა დაგვწეროს...

— მერე?

— მორიდებით მთხოვა, — ძალიან საჩქარო საქმე გამომიჩნდა და იქნებ, ჯვრისწერა ორი საათით მაინც გადავდოთო...

— მერე შენ რა უთხარი?

— რა უნდა მეთქვა?.. გადავდოთ-მეთქი...

— გამოდის, რომ კიდევ ორი საათი სრულიად უსაგნოდ უნდა ვიჯდე? — გაღიზიანდა გვანცა.

— ეგრე გამოდის... — ამოიოხრა ლუკამ. — თუმცა რატომ უნდა იჯდე? მოდი, იცი, რა ვქნათ?

— რა? — უნდოდ ჰკითხა გვანცამ.

— ახლავე გამოგივლი, ჩავსხდეთ მანქანაში, ბავშვიც ჩავისვათ და ქალაქში გავისეირნოთ... სურათები გადავიღოთ... ბოლოს და ბოლოს, ლუკას ნაყინი მაინც ვაჭამოთ...

— არა, არა! — გააწყვეტინა წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსულმა გვანცამ. — რა დროს სეირნობა და ნაყინის ჭამაა?! ამას ისევ შინ ჯდომა და ლოდინი მირჩევნია...

— კარგი... — სასწრაფოდ დაეთანხმა ლუკა. — როგორც შენ იტყვი...

გვანცამ ყურმილი გამეტებით დაახეთქა და ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა:

— არა, დღეს მაინც, რა ყველამ ჩემს გასაგიჟებლად მოიცალა?!. — სიმწრით იკითხა მან, საძინებელში შევარდა და ფეთიანივით დაიწყო საქორწინო კაბის გახდა.

— ცოტა ფრთხილად, — ხელი შეაშველა შვილს ანამ, — არ გახიო!

გვანცამ კაბა სკამზე უდიერად მოისროლა და თავად საწოლზე დაემხო.

— სწორად იქცევი, — შვილს საქციელი მოუწონა ანამ. — ახლა ამაზე უკეთესს ნამდვილად ვერაფერს გააკეთებ... იქნებ, ცოტა კიდეც წაუძინო...

გვანცას წამით მართლაც, ჩასთვლიმა, მაგრამ მაშინვე გამოერკვა, ფეხზე წამოხტა და საწოლის თავზე გადაკიდებული ჯინსის შარვალი ამოიცვა.

— დედა, ჩემი ჯემპრი სად არის? — გასძახა მან შემდეგ სამზარეულოში გასულ ანა და თავად, კარადის კარი გამოაღო. — სად მიდიხარ? — ჰკითხა შვილს ოთახში შემოსულმა გაკვირვებულმა ანამ.

ამასობაში, გვანცამ ჯემპრი თავად მოძებნა და სასწრაფოდ გადაიცვა.

— აღარ იტყვი, სად მიდიხარ? — კითხვა გაუმეორა ანამ.

— აეროპორტში.

— აეროპორტში რა გინდა?

— თბილისში უნდა გავფრინდე...

— კი, მაგრამ, — გაოცდა ანა, — თბილისში როგორ?.. მერე ქორწილი?

— ქორწილი არ იქნება! გადავიფიქრე! მეტიც — საერთოდ აღარ ვა-

პირებ გათხოვებას, გასაგებია?!.

— ჩემთვის კია გასაგები, მაგრამ ლუკას რა ვუთხრა? — სერიოზულად შეწუხდა ანა.

— რაც გაგიხარდება!.. წეღან შენ თვითონ არ მიყიჟინებდი, ჯვრისწერა დროებით მაინც გადადეთო?!. ჰოდა, უთხარი, რომ მე მარტომ გადავდე!.. შეგიძლია, ისიც კი უთხრა — გვანცამ საბოლოოდ გარეკა და თბილისში გაიქცათქო!.. ჰო, მართლა, ბავშვი დღესვე შენთან მოაბრუნე!.. იცოდე, ამაღამ იქ არ დატოვო!.. — სიტყვებს დაუფიქრებლად ისროდა გვანცა და თან, საკუთარ ტანსაცმელს უხეშად ტენიდა სამგზავრო ჩანთაში.

— აეროპორტში რომ ბილეთები აღარ იყოს? — წყალწაღებულივით ბოლო იმედს ჩაებღაუჭა ანა.

— იქნება! თუ არა და ბათუმში ან ქუთაისში მაინც გადავფრინდები!.. მთავარია, აქედან გავიქცე, თორემ ვატყობ, რომ მართლა გავგიჟდები!..

გვანცა საკუთარი სახლის სადარბაზოში ქურდულად შეიპარა, კიბე კისრისტეხით აირბინა და კარზე მოუთმენლად დააბრახუნა. კარი მაშინვე დაბარებულივით გაიღო და ზღურბლზე ჩვეულებისამებრ წიგნმომარჯვებული ამირანი გამოჩნდა.

— გვანცა, ბაბუ?!. — შუბლზე აწეული სათვალე ისევ სასწრაფოდ ჩამოიწია ამირანმა, — მართლა შენ ხარ თუ მეჩვენება?

— არაფერიც არ გეჩვენება! — გვანცა ბაბუას იმწამსვე გადაეხვია, შემდეგ გვერდზე უცერემონიოდ გასწია და თავად ჰოლში შევარდა.

— კი, მაგრამ... ორი დღის წინ არ დამირეკე — შეიძლება, მოსკოვში კიდევ მთელი თვე დავრჩეო?.. — კარი მიხურა და ისევ შვილიშვილს მიუბრუნდა ამირანი.

— ამირან, ვინ არის? — სამზარეულოდან გამოსძახა ქმარს ლამარამ, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, თავადაც შემოსასვლელისკენ გამოვიდა, თუმცა, გვანცას დანახვისთანავე, ადგილზე გაშეშდა:

— შენ რა, უკვე ჩამოხვედი?..

— როგორც ხედავ, ჩამოვედი... — უხალისოდ გადაკოცნა გვანცამ ბებია, შემდეგ, სასტუმრო ოთახში შევიდა და ტახტზე მოწყვეტით დაჯდა.

— ხომ მშვიდობაა, ბაბუ? — შვილიშვილს მაშინვე გვერდით მიუჯდა ამირანი.

— გააჩნია, შენ მშვიდობას რას ეძახი... — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა გვანცამ და თან, კარში ჩამდგარ დოინჯშემოყრილ ლამარას ქურდულად გახედა.

— ბავშვი?! — უცბად გულზე ხელი იტაცა ლამარამ. — ბავშვი სად არის?!.

— ბავშვი მოსკოვში დავტოვე...

— გაგიჟდი?!. — ხმას აუწია ლამარამ. — მოსკოვში ბავშვისთვის ვის სცალია?.. შვილი ვის ანდვე?

— ვის და დედაჩემს... — მშვიდად უპასუხა გვანცამ.

— რომელ დედაშენს?!. — აკივლდა ლამარა და შემდეგ ქმარს ეცა: — ამოიღე ხმა, კაცო! ვერ ხედავ, რომ ეს ჩემი ცოდვით სავსე საბოლოოდ გაგიჟდა?!.

— მოიცა! — ხელის აწევით გააჩუმა ცოლი ამირანმა. — შენ მაინც რაღას გიჟდები წინასწარ?! აცალე ბავშვს, მოითქვამს სულს და ყველაფერს წესიერად მოგვიყვება, ხომ, ბაბუ? — ცოტა არ იყოს, თავადაც შეშინებული მიუბრუნდა ის შემდეგ შვილიშვილს: რა თქვი, ლუკა ვისთან დავტოვეო?

— დე-და-ჩემ-თან! — ჩამომარცვლა გაღიზიანებულმა გვანცამ. — მაინც, რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ?!. თუ საერთოდ აღარ გახსოვთ, რომ დედა მყავს?..

უცბად ლამარამ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ის-ის იყო, ხელახლა უნდა აკივლებულიყო, რომ ახლა გვანცამ ანიშნა ხელით, გაჩერდიო, თავად კი ჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და ნომრის აკრება დაიწყო:

— ბარემ ახლავე დაგალაპარაკებთ...

— ვის?.. — თითქმის ერთხმად იკითხა საბოლოოდ გაოგნებულმა ცოლ-ქმარმა.

— ალო, დედა!.. — ჩასძახა ყურმილში გვანცამ. — მე ვარ... ჰო, უკვე თბილისში ვარ... მანდ რა ხდება?.. გასაგებია... მერე მომიყევი... ახლა კი შენს მშობლებს ელაპარაკე, თორემ არ მიჯერებენ, რომ ლუკა შენ დაგიტოვე... — დასძინა მან ბოლოს და ტელეფონი ამირანს გაუწოდა.

— ალო... — უნდოდ ჩასძახა ყურმილში შეშინებულმა ამირანმა და მაშინვე სახე გაუნათდა: — ანა, შვილო, მართლა შენ ხარ?.. შენ შემოგევლოს მამაშენი!..

ამ სიტყვების გამგონე ლამარა ქმარს გიჟივით ეცა, ყურმილი ხელიდან გამოჰგლიჯა და როგორც კი ანას ხმა გაიგონა, უღონოდ ჩაიკეცა, თუმცა, ბოლო წუთს, ამირანმა მისთვის ხელის შეშველება მაინც მოასწრო...

როგორც კი ამირანი და ლამარა ოდნავ დაწყნარდნენ, გვანცამ მათ დედ-მამის პოვნის და ანას მოულოდნელი გამოჯანმრთელების ამბავი დაწვრილებით უამბო და მათი სამართლიანი საყვედურებიც — მხოლოდ ახლა რატომ უნდა ვიგებდეთ ყველაფერსო?! — უსიტყვოდ მოისმინა. შემდეგ ისევ ანას ნომერი აკრიბა და წლობით უნახავ შვილთან რიგრიგობით მოლაპარაკე აცრემლებულ მოხუცებს თავადაც თვალცრემლიანი აკვირდებოდა. მოგვიანებით, როცა ენებები საბოლოოდ ჩაცხრა, გვანცამ მიშიკოც მოიკითხა.

— მეზობელთან ბრძანდება ვაჟბატონი, — მაშინვე გაგულისდა ლამარა, — ფეხბურთს უყურებს.

— ჩვენი ტელევიზორი გაფუჭდა? — შეწუხდა გვანცა,

— არა, მაგრამ ლეკვეიშვილების ტელევიზორი თურმე, ყველაფერს განსაკუთრებულად აჩვენებს... ყოველ შემთხვევაში, შენი ძვირფასი ძმა ზუსტად ასე ფიქრობს!.. ისე, კია ღირსი, რომ დედმამის ამბავი არ ვუთხრათ!..

— მართლა არ უნდა ვუთხრათ! — მხარი აუბა ცოლს ამირანმა. — ვერ ნახე, მე და შენ რომ კინაღამ გულები დაგვისკდა?.. უყუროს ფეხბურთს. მერე, გვანცას ნახვით გაიხაროს, ბოლოს კი, ნელ-ნელა, მშობლების ამბავიც შევაპაროთ... ჰო, მართლა, — მიუბრუნდა ის უცბად გვანცას. — ლუკა ხომ კარგად არის?

— არის, რა...

— მაინც რა მოგარბენინებდა? — ცოტა ხანს კიდევ ვერ დარჩი შენს ქმართან? — საუბარში ჩაერთო ლამარაც.

— საქმე მქონდა... — იცრუა გვანცამ. — პარლამენტიდან რამდენჯერმე დამირეკეს, რაც შეიძლება, მალე უნდა ჩამოხვიდეო...

— ნეტავ, რა ცეცხლი შეინთეს?! ეტყობა, უშენოდ კანონებს ვეღარ იღებენ... ისე, ერთი-ორჯერ აქაც დარეკა ვიღაც გადარეულმა...

— ქალმა თუ კაცმა? — დაინტერესდა გვანცა.

— ბიჭმა. ჯერ შენ გიკითხა, შემთხვევით, ხომ არ ჩამოსულაო? მერე შენი მობილურის ნომერი მთხოვა, მაგრამ რაც არ მქონდა, რას მივცემდი?!.

— ჰო-ო, — თავი დამნაშავესავით დახარა გვანცამ. — მოსკოვში ჩავედი თუ არა, ლუკას მამამ მაშინვე ნომერი გამომაცვლევინა... მაგრამ მისი ბინის ტელეფონის ნომერი ხომ გეწერათ, ის მაინც რატომ არ მიეცი?

— რატომ და იმიტომ! — გაცხარდა ლამარა. — სულაც არ იყო აუცილებელი, ვიღაც სულელ ბიჭს შენს მამამთილთან დაერეკა და ელაქლაქა!

— არ გითხრა, რა მქვიაო?

— ვინ? — დაიბნა ლამარა. — შენმა მამამთილმა?

— არა, იმ სულელმა ბიჭმა.

— რა მქვიაო და... — შუბლზე ხელი გადაისვა ლამარამ. — მგონი, ილიკოო თუ...

— ილიკო კი არა, ივიკო იქნებოდა,



— გაეღიმა გვანცას. — სხვათა შორის, ძალიან ჭკვიანი ბიჭია...

— ერთი შენ ხარ ჭკვიანი და მეორე შენი თანამშრომლები... — ხელი ჩაიქნია ლამარამ და სამზარეულოში ვახშმის მოსამზადებლად გავიდა...

ვახშმის შემდეგ გვანცა თავის ოთახში განმარტოვდა და ივიკოს დაურეკა.

— სად ხარ, გოგო, ამდენ ხანს? — მაშინვე იცნო მან გვანცა. — გაგიტკბა, ხომ, „სტალიცა“?

— ისე, რა...

— თუ ისე რა, რას ეჯექი ამდენ ხანს?.. დაწყდა ხალხი შენი ლოდინით...

— რას მეუბნები?! ასე ძალიან მაინც, ვის მოვენატრე?

— ვის და, პირველ რიგში, მე... მერე თინიკოს, ნანას, ვახოს და, რაღა თქმა უნდა, ჩვენს სათაყვანებელ ლაშიკოს.

— ლაშა უკვე სამსახურში დადის?

— კი, ერთი კვირაა. მაგრამ ჯერ მაინც სუსტადაა და მხოლოდ ერთიორი საათით თუ ჩერდება ხოლმე.

— აბა, საქმეს ვინ აკეთებს?

— ვინ და მე! გავწყდი კაცი წელში! მაგრამ ვინ გიფასებს? მაინც როცა უნდა, მაშინ მაძვრენს „ტრუბაში“, გუშინ კი საერთოდ „კატოკივით“ გადამიარა...

— არა უშავს, ცოტა კიდევ გაუძელი და მერე მეც შემოგეშველები, — დააიმედა გვანცამ.

— გაგიჟდი, გოგო?! — შეიცხადა ივიკომ. — მერე? ხვალვე სამსახურში დაერეკვე, თორემ, შეფთან პირადად „ჩაგიშვებ“!.. ჩამობრძანდა და მოსვლას არ კადრულობს-მეთქი, — ვეტყვი.

— კარგი, ჰო, ნუ გაუტიე! — გააწყვეტინა გვანცამ ივიკოს. — ხვალ დილიდან ადგილზე ვიქნები...

სამსახურში დილაადრიან მისულ გვანცას ლაშა უკვე თავის კაბინეტში დახვდა.

— შეიძლება? — კარი ფრთხილად შეუღო მას გვანცამ.

— შემოდი, შემოდი! — გვანცას დანახვა აშკარად გაუხარდა ლაშას, მაგრამ ფეხზე კი რის ვაივაგლახით წამოდგა და შინაურულად გადაეხვია: — ხომ კარგად მოიარე?

— ნორმალურად, — მოკლედ მოუჭრა გვანცამ. — თავად ხომ მშვიდობით დამხვდი?

— თუ ამას მშვიდობა ჰქვია... — სკამზე ისევ წვალებით დაჯდა ლაშა.

უეცრად კარში დაუკაკუნებლად ივიკომ შემოყო თავი და ლაშას ჰკითხა:

— ბატონო ლაშა, თუ არ გჭირდებით, ცოტა ხნით ჩემს საქმეზე გავალ...

— კარგი, ოღონდ — მართლა ცოტა ხნით... — გააფრთხილა ლაშამ.

— რა თქმა უნდა, ბატონო ლაშა! — თავი მორჩილად დაუკრა უფროსს ივიკომ და კარი ფრთხილად გაიხურა.

— ვატყობ, აქ უკვე შემცვლელიც გამომჩენია... — როგორც კი ივიკომ კარი გაიხურა, მაშინვე მიუბრუნდა ლაშას გვანცა. — ასეა ხომ?..

— ნუ სულელობ! — შეუძახა ლაშამ. — ერთი სული მქონდა, როდის დაბრუნდებოდი! მაგის მლიქვნელობას ისევ შენი ნაჯახივით პირდაპირობა მირჩევნია!

— ვითომ?! — მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გვანცამ უფროსს.

— ვითომ კი არა, ნამდვილად ეგრეა, დამიჯერე!

— ისე, იმასაც ვატყობ, ცოტა ჩემს „ნაჯახსაც“ მოუბლაგვდა პირი...

— ვითომ?!. — ახლა ლაშამ მიიღო მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება.

— კი. — დაუდასტურა გვანცამ. — თორემ, ასე რომ არ იყოს, ერთ საშინელ კითხვას ძველებურად პირდაპირ მოგახლიდი...

— იქნებ, მაინც მომახალო?!. — გამხიარულად ლაშა. — იცი, როგორ მომენატრა შენი პირდაპირობა?

— მართლა? — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა გვანცამ. — მაშინ შენც პირდაპირ მიპასუხე: ლუკა ყაჩაღებს მართლა შენ გაატაცებინე?

— რა თქვი? — ღიმილი სახეზე შეაშრა ლაშას და თვალები არაბუნებრივად გაუფართოვდა. — შენ... შენ გესმის, რას მაბრალებ?

— კი არ გაბრალებ, უბრალოდ გეკითხები...

— ესე იგი, უბრალოდ მეკითხები და მეც უბრალოდ უნდა გიპასუხო კითხვაზე — მე, პარლამენტარი ლაშა რჩეულიშვილი, ყაჩაღებს ვეხმარები თუ არა?!.

— სხვათა შორის... — გვანცა ყურადღებით აკვირდებოდა ლაშას რეაქციას. — ბატონი გიორგი ფიქრობს, რომ მსგავს საქმეებში ყაჩაღები აქეთ გეხმარებიან, ადამიანების გატაცების გეგმას კი ყოველთვის თავად ადგენ და ყველაზე უმნიშვნელო დეტალის გათვალისწინებაც კი არ გავიწყდება...

— შენ ეგ ზღაპრები მართლა ჩადუნელმა გიამბო თუ?.. — ვითომ აგდებულად ჰკითხა გვანცას საბოლოოდ ფერდაკარგულმა ლაშამ.

— მე — არა, მამაჩემს უამბო... მე კი მათი ლაპარაკი სრულიად შემთხვევით მოვისმინე...

— როგორ?.. — გააწყვეტინა ლაშამ. — მამაშენი ცოცხალია?

— კი, ცოცხალია და მოსკოვში ცხოვრობს...

— დედაშენიც?

— დედაჩემიც... ერთად ცხოვრობენ.

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა, საბოლოოდ გაოგნებულმა ლაშამ და კედელზე ერთ წერტილს უცნაურად გაუშტერა თვალი.

— კარგი, — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, ფეხზე წამოდგა გვანცა. — თუ ყველაფერი გასაგებია, მე წავედი...

— სად? — წერტილისთვის თვალი წამითაც არ მოუშორებია ლაშას. — მე მგონი, ჯერ სამუშაო დღე არ დასრულებულა...

— როგორ?! — გაუკვირდა გვანცას. — იმის შემდეგ, რაც გითხარი, ისევ შენთან ვმუშაობ?..

— ჩემთან — არა, პარლამენტში! — როგორც იქნა, მიუბრუნდა გვანცას ლაშა და თან, თვალი თვალში გაუყარა. — ჩემთან მარტო ყაჩაღები მუშაობენ, უფრო სწორად — მე ვმუშაობ მათთან...

შეწუხებულმა გვანცამ რაღაცის ახსნა დააპირა, მაგრამ უცბად, კაბინეტის კარი ისევ ივიკომ შემოაღო.

— ჯერ არ მჭირდები! — ზღურბლზევე გააშეშა იგი ლაშას ბრაზიანმა შეძახილმა.

— სულ ერთადერთი კითხვა მაქვს, ბატონო ლაშა! — კარის გახურვა მაინც არ იჩქარა ივიკომ.

— დროზე მითხარი, რა გინდა?

— იმ ინვალიდს რა ვუყოთ?

— რომელ ინვალიდს? — გაუკვირდა ლაშას.

— თურქ ბიზნესმენებს რომ ჩამოჰყვა ანკარიდან... იქაური ინვალიდთა ფონდის თავმჯდომარე თუ რაღაც ამის მსგავსი რომ არის... მართლა, იცით, ქართულად რა მაგრად „უბერავს“?!. — გააზსენდა უცბად ივიკოს.

— უბერავს და უბეროს, მერე ჩვენ რა? — გააწყვეტინა ლაშამ. — ჩვენგან რას ითხოვს?.. უთხარი, ვინც აქამდე ჩამოგიყვანა, უკანაც იმათ წაჰყევი-თქო!..

— წასვლით მარტოც კარგად წავა, მაგრამ მანამდე რომ თქვენთან შეხვედრას ითხოვს?..

— ხომ გაგაფრთხილე — ეს ორი დღე არ მცალია და ვინც არ უნდა მოვიდეს, ჩემს მოადგილეებს შეახვედრე-მეთქი!

— თქვენ კი გამაფრთხილეთ, მაგრამ ის არ შვრება! გინდა თუ არა, ბატონ ლაშას პირადად უნდა შეეხვდე, ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვსო...

— პირადად რა, ძმაა ჩემი თუ ბიძაშვილი? — უცბად გაცხარდა ლაშა, თუმცა, მალევე ჩაცხრა და დასძინა: — მაგრამ სხვა რა გზაა? იმას ხომ არ ვათქმევინებ ვიღაც გადამთიელს, ქართველმა პარლამენტარებმა სტუმრის მიღება არ იციანო! როგორც კი მოვა, მაშინვე გამაფრთხილე!

— უკვე აქ არის.

— სად? — შეცბა ლაშა. — ჩვენი ლაპარაკი ხომ არ ესმის?

— არა, დერეფანში სიგარეტს ეწევა.

— მოსწევს თუ არა, შემოუშვი. ადრე შემოვა — ადრე გავა!.. — „ბრძნულად“ დაასკვნა ლაშამ და თან, მაგიდაზე მიმობნეული დოკუმენტების შეგროვება დაიწყო.

— მაგათ მე მივხედავ! — მაშინვე წამოეშველა გვანცაც.

ამასობაში, ივიკომ კაბინეტის კარი ფართოდ გააღო და ინვალიდის ეტლში მჯდარ სტუმარს შემოუძღვა. დოკუმენტების მოგროვება-დახარისხებაში გართულ გვანცას უცბად ეტლის ნაცნობი ჭრიალი ჩაესმა, თავი სწრაფად ასწია და ყველა ფურცელი ხელიდან ერთდროულად დაუსრიალდა: ეტლში, ერთ დროს მისი ყველაზე დიდი მფარველი და მხსნელი — უმარ ეფენდი იჯდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კაილი მინოუგი და მისი ბოიფრენდი, 38 წლის ფრანგი მსახიობი ოლივიე მარტინესი, ევროპული შოუბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ წყვილად არიან მიჩნეული. „მოიყვანს თუ არა მინოუგს ცოლად მარტინესი?“ — რეპორტიორებს ამ კითხვაზე პასუხი არანაკლებ აინტერესებთ, ვიდრე თავის დროზე ჯენიფერ ლოპესისა და ბენ აფლეკის მოსალოდნელი ქორწილი. მაგრამ, როგორც ჩანს, კაილის (რომელსაც უკვე კარგა ხანია „ბრიტანელი ჯენიფერ ლოპესის“ სახელით მოიხსენიებენ) ოჯახის შექმნის არცთუ ისე დიდი შანსი აქვს.

კაილი მინოუგი: „განვლილმა ცხოვრებამ მიცემებს მასწავლა“

კაილიმ და მარტინესმა ერთმანეთი 2003 წლის თებერვალში, ლოს-ანჯელესში გაიცნეს. ორივე მათგანი მიწვეული გახლდათ „გრემის“ დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ გამართულ ბანკეტზე. „იმწამს, როცა ის შემთხვევით ხელზე შემეხო, ვიგრძენი, რომ ჩვენ შორის თითქოსდა ელექტრული განმუხტვა მოხდა. ასეთი ძლიერი გრძნობა ცხოვრებაში არასოდეს განმიცდია!“ — მოგვიანებით უყვებოდა კაილი რეპორტიორებს.

იმ დღიდან მოყოლებული, წყვილი განუყრელად ცხოვრობს. შარშან მარტში, მათ იტალიაში იმოგზაურეს, მოგვიანებით რივიერის სანაპიროზე ისვენებდნენ. უმეტეს დროს კი, მაინც პარიზში, სენ-ჟერმენის მდიდრულ რაიონში მდებარე ოლივიეს ბინაში ატარებენ.

„ყოველთვის მხიბლავდა ფრანგული კულტურა და ძალიან მინდოდა, რომ ფრანგულ ენაზე თავისუფლად მელაპარაკა... ოლივიეს თქმით, ეს დღეს უკვე საკმაოდ კარგად გამომდის, განსაკუთრებით, ერთი ჭიქა შავი ღვინის დალევის შემდეგ!“ — ამბობს მომღერალი. მარტინესი და მინოუგი პარიზული ცხოვრებით ტკბებიან: ხშირად სტუმრობენ ქუჩის კაფეებს, რომლებიც თითქოსდა სპეციალურად შეყვარებულებისთვისაა შექმნილი ან ქალაქის ქუჩებში ოლივიეს მოტოციკლით თავაწყვეტილები დაქრიან.

მომღერალმა ცოტა წონაშიც მოიმატა და ყველა აღნიშნავს, რომ მას ეს საოცრად უხდება; ბოლო წლებში კაილი იმდენად გახდა, რომ პირადი ექიმი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით შეშფოთებული გახლდათ. სატრფომ მინოუგს პარიზელი გურმანებისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევებიც გამოუმუშავა: მომღერალი ახლა ყოველ დილით თავის ბოიფრენდთან ერთად, მის საყვარელ შოკოლადისკრემიან კრუასანებს გეახლებათ, მაგრამ ამ „გიჟური ბედნიერების“ შენარჩუნება კაილისთვის საკმაოდ რთულია. შარშან ზაფხულში, ისინი კინაღამ დაშორდნენ ერთმანეთს, როცა კანადაში ფილმის გადაღებაზე წასულმა მარტინესმა ანჯელინა ჯოლისთან გააჩაღა რომანი. მინოუგი შემთხვევით წააწყდა გაზეთში დაბეჭდილ ფოტოს, რომელზეც სტადიონის ტრიბუნაზე მსხდომი მარტინესი და ჯოლი ჩახუტებულები იყვნენ გამოსახული. მომღერალმა სასწრაფოდ ჩაალაგა ჩემოდანი

და მონრეალში გადაფრინდა. რაზე ილაპარაკეს კაილიმ და ოლივიემ მსახიობის კუთვნილ ტრაილერში ორი საათის განმავლობაში, არავინ იცის. ცნობილია მხოლოდ ის, რაც ლონდონში დაბრუნებისთანავე მომღერალმა სკანდალის მომლოდინე რეპორტიორებს განუცხადა: „მე და მარტინესს ყველაფერი წესრიგში გვაქვს! – შემდეგ კი დასძინა, – განვლილმა ცხოვრებამ მიტევება მასწავლა“... როგორც ჩანს, კაილის განზრახული აქვს, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას განხეთქილება მამაკაცთან, რომელთან ურთიერთობამაც მას ამხელა სიყვარული, ბედნიერება და სიხარული მოუტანა.

ნერვიული შეტევის ზღვარზე

ავსტრალიელი კაილი მინოუგი ბრიტანეთში საცხოვრებლად ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის წინ გადაბარგდა. სამშობლოში მან მხოლოდ ერთი ალბომის გამოშვება მოასწრო, დანარჩენმა 10-მა დისკმა მზის სინათლე უკვე ლონდონში იხილა; ასე რომ, ყველაზე თავშეკავებული ბრიტანელიც კი, დიდი ხანია მას ინგლისელ მომღერლად მიიჩნევს. პოპვარსკვლავის წარმატებული კარიერა და მისი სიმდიდრე (რომელიც 13 მლნ გირვანქა სტერლინგს აჭარბებს) არაერთი დამწყები მომღერლის შურის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ერთ რამეზე არავინ დაობს – პირად ცხოვრებაში კაილის შესაშური ბევრი არაფერი აქვს. დავიწყებთ იმით, რომ მისმა პირველმა სიყვარულმა – მსახიობმა და მომღერალმა ჯეისონ დონოვანმა მინოუგი შემთხვევით გაცნობილ გოგონაში გაცვალა. პოპვარსკვლავისთვის სამწუხაროდ, იგივე სიტუაცია არაერთგზის

მუსიკოს მაიკლ ჰაგჩენსთან ერთად. 1996 წ.

განმეორდა: ჯერ მომღერალ მაიკლ ჰატჩენსთან, შემდეგ მილიონერ პლეიბოი ტიმ ჯეფრისთან და ფრანგ ფოტოგრაფ სტეფან სედნაუისთან...

სხვა მამაკაცებისგან განსხვავებით, ჯეიმს გუდინგთან ურთიერთობა მომღერალს თითქოსდა თავიდან ზედმიწევნით კარგად აეწყო. მათ სამწლიან რომანს საკმაოდ იმედის მომცემი დასაწყისი ჰქონდა. კაილიზე 8 წლით უმცროსი ჯეიმსი, რომელიც იმხანად სააგენტო „ელიტ მოდელის“ ყველაზე პოპულარულ მამაკაცმოდელად ითვლებოდა, ხმამაღლა აცხადებდა, რომ პოპვარსკვლავს ნებისმიერ რთულ სიტუაციაში მხარში ამოუდგებოდა.... სამწუხაროდ, მისი ენთუზიაზმი დიდხანს არ გაგრძელებულა: 2002 წლის გაზაფხულზე ნიუ-იორკში კაილის გარეშე გამგზავრებულმა გუდინგმა საყვარელი გაიჩინა. მოდელი სოფი დალისა და მისი საკმაოდ ინტიმური ფოტოები გაზეთის ფურცლებზე მოხვდა. მინოუგმა გადაწყვიტა, რომ ამ რომანისათვის ბოლო მოეღო. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, პოპვარსკვლავს საკმაოდ ძვირად დაუჯდა: მან გაზაფხულის ბოლოსათვის დაგეგმილი რამდენიმე კონცერტი გადადო, ვინაიდან ნერვიული სტრესის ფონზე ხმა დაკარგა. პრესმდივნის მიერ გავრცელებული ოფიციალური ვერსიით, „მომღერალი ცოტა არ იყოს, გადაღლილობას უჩიოდა“. მოგვიანებით კაილიმ სრულებით დაკარგა მადა. მას სპეციალური ასისტენტის დაქირავებაც კი მოუხდა, რათა მას პერიოდულად შეეხსენებინა, საკვების მიღების დრო რომ იყო. დაბოლოს,როცა კლიპის გადაღებისას, ჩვეულებრივ, სიმშვიდითა და გაწონასწორებული ხასიათით გამორჩეული მომღერალი პირდაპირ კადრში აქვითინდა და მთელი ორი საათის განმავლობაში ვეღარ დაწყნარდა, ყველა მიხვდა, რომ მინოუგი ნერვიული შეტევის ზღვარზე იმყოფებოდა.

გონზე მოსასვლელად მომღერალს რამდენიმე თვე დასჭირდა. მან ეს პერიოდი ავსტრალიაში, მშობლიურ სახლში დედამამასთან გაატარა. ლონდონში დაბრუნებისთანავე კი, გუდინგს შეურიგდა და მასთან ოჯახის შექმნის იმედიც გაუჩნდა. „ჩემი მშობლები მაშინ დაქორწინდნენ, როცა 22 წლისანი იყვნენ. მე უკვე 34-ის ვხდები და ვგრძნობ, რომ დრო თვალსა და ხელს შუა მეპარება. ოჯახი რომ შემექმნა, ამას ჩემი ცხოვრების უმთავრეს მიღწევად მივიჩნევდი“, – განაცხადა იმხანად მომღერალმა.

„ოტელოს“ შურისძიება

სამწუხაროდ, მისი იმედები არ გამართლდა. 2003 წლის თებერვალში, კაილიმ და ჯეიმსმა კვლავ იჩხუბეს და ამჯერად სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს. ჯასტინ ტიმბერლეიკმა, რომელიც მინოუგთან ერთად მუსიკალური პრემიის – Brit Awards-ის გადაცემის ცერემონიაში მონაწილეობდა, თავს უფლება მისცა, პირდაპირ სცენაზე, ვითომდა შემთხვევით, ოდნავ წელს ქვემოთ მოეხვია ხელი კაილისათვის. ჯეიმსს, რომელსაც იმ დროისთვის უკვე მოესწრო შამპანურის საკმაოდ დიდი დოზის მიღება, თავში ეჭვიანობის სცენის გამართვის აზრი მოუვიდა. დაჯილდოების ცერემონიის დამთავრების შემდეგ, ნასვამი გუდინგი VIP-ის ზონაში შეიჭრა და კაილის საშინელი სკანდალი მოუწყო. დაცვა იძულებული გახდა, ჯეიმსი დარბაზიდან ძალის გამოყენებით გაეყვანა. დარბაზის დატოვების დროს, გუდინგი მთელი ხმით ყვიროდა, იმუქრებოდა, რომ ამას კაილის არ შეარჩენდა და აუცილებლად შურს იძიებდა.

ჯეიმსმა სასტიკი შურისძიების გეგმა შეიმუშავა. მან ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას მათი რომანის ამბავი მიჰყიდა: დასაწყისისთვის გუდინგმა კაილი „უსულგულო ეგოისტის“ ეპითეტით შეამკო და მას „საკუთარ კარიერაზე დაციკლული ქალი უწოდა, რომელსაც ამქვეყნად მეტი არაფერი აინტერესებდა“. გარდა ამისა, მან ყოფილ სატრფოს უწინასწარმეტყველა, რომ „ის ვერასოდეს გათხოვდებოდა და საკუთარ დღეებს ისეთივე ბებერი კატის საზოგადოებაში გალევდა, როგორიც თავად იყო“. სამწუხაროდ, შურისძიების წყურვილით აღვსილ გუდინგს არც იმის ტაქტი ეყო, რომ მათი ინტიმური ცხოვრების დეტალები არ გამოემზეურებინა. არც ის დაუმალავს, თუ როდის და ვისთან ღალატობდა მინოუგს...

ჯეიმს გუდინგთან ერთად. 2002 წ. აგვისტო



ოლივიე მარგინესთან ერთად. 2003 წ. მაისი

ამ სიტუაციაში ყველაზე გასაოცარი ის გახლდათ, რომ ჯეიმსმა მისი ცხოვრების დანგრევაში დაადანაშაულა კაილი. მომღერალი, რომელსაც ისედაც გამძაფრებული სინდისის ქენჯნა ტანჯავდა და თავისი რომანების წარუმატებლობაში საკუთარ თავს სდებდა ბრალს, ამას ნამდვილად არ იმსახურებდა. თანაც, კაილი ხომ საოცრად მორიდებული გახლდათ ყველაფერში, რაც მის პირად ცხოვრებას ეხებოდა. ასე რომ, გუდინგმა ზუსტად გათვალა, თუ ყველაზე დიდ დარტყმას რითი მიაყენებდა ყოფილ საყვარელს. მაგრამ ბედმა სხვავვარად განსაჯა: გაზეთის საბედისწერო ნომრის გამოსვლამდე სულ ცოტა ხნით ადრე, მინოუგმა ოლივიე მარტინესი გაიცნო და ისეთ ეიფორიაში იმყოფებოდა, რომ ყოფილი ბოიფრენდის მიერ ნასროლი ისარი მიზანს ასცდა. „მე მიყვარდა ჯეიმსი და ჩემზე რაც არ უნდა თქვას, ყველაფერს ვაპატიებ და ბედნიერებას ვუსურვებ!“ — განაცხადა მინოუგმა. სამაგიეროდ, ოლივიემ, რომელიც ბუნებით კაილიზე ნაკლებად მშვიდობისმოყვარე აღმოჩნდა, სატრფოს თავისი საფირმო დარტყმის სწავლება შესთავაზა, რათა გუდინგთან პირისპირ შეხვედრისას მისთვის ანგარიში გაესწორებინა. მარტინესი ხომ კრივში საკმაოდ კარგადაა გათვითცნობიერებული — ვიდრე მსახიობი გახდებოდა, ოლივიემ კრივის სამოყვარულო ასპარეზზე დიდ წარმატებებს მიაღწია. თუმცა, ამ სახის დახმარებაზე კაილიმ უარი განაცხადა — მას ხომ თავის დაცვა ამის გარეშეც მშვენივრად შეუძლია.

„მცდარი არჩევანი“

კაილისა და მარტინესის ნაცნობობის მანძილზე, ტაბლოიდები არაერთგზის წერდნენ, რომ ისინი დაინიშნნენ; რომ მინოუგმა ოლივიეს საკუთარი მშობლები გააცნო; რომ მათ, ისევე, როგორც მარტინესის დედამ, დალოცეს ისინი და ბედნიერი ოჯახის შექმნა უსურვეს... მაგრამ დრო გადის და ქორწილის ზუსტი თარიღის შესახებ, ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის. ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი ინგლისური ტაბლოიდი იტყობინებოდა, რომ ევროპული შოუბიზნესის ულამაზესი წყვილის ქორწილი ივნისში შედგებოდა, მაგრამ კაილი ამ ინფორმაციას ოპერატიულად გამოეხმაურა და კატეგორიულად უარყო ის. გარდა ამისა, ორიოდე კვირის წინ, ოლივიემ საკმაოდ უცნაური განცხადება გააკეთა. მოსალოდნელი ქორწილის თარიღის დაზუსტებასთან დაკავშირებით რეპორტიორების დაჟინებულ შეკითხვებს მან ასეთი პასუხი გასცა: „ჩემი ყველაზე დიდი სურვილი გახლავთ ის, რომ ბედნიერი ვიყო და მშვიდად ვიცხოვრო. მოგეხსენებათ, ცოლქმრული ცხოვრება არცთუ ისე ხშირად ჰგავს უღრუბლო ზაფხულის დღეს. ასე რომ, ჯობს, თავი დავანებოთ ამ თემაზე საუბარს. ამჟამად ძალზე ბედნიერი ვარ და არაფრის შეცვლა არ მსურს!“

სხვათა შორის, ეჭვი მარტინესის მატრიმონიალურ განწყობასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როცა მისი ყოფილი საყვარლის — მსახიობ მირა სორვინოს დედამ კაილის გაფრთხილება საჭიროდ მიიჩნია. „თუკი კაილი ოლივიესთან ოჯახის შექმნას ფიქრობს, მაშინ უნდა მიხვდეს, რომ მცდარი არჩევანი გააკეთა! საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ მის მინოუგი მამაკაც პარტნორებს საკმაოდ უცნაურად ირჩევს: ისინი, როგორც წესი, არაჩვეულებრივი გარეგნობით გამოირჩევიან, მაგრამ არც ერთი მათგანი ქმრად არ გამოდგება. აბა, მითხარით, პლეიბოისაგან როგორი ქმარი უნდა დადგეს? — განაცხადა სორვინოს დედამ ერთ-ერთ ინტერვიუში.

მარტინესის სასიყვარულო თავგადასავლებზე, უამრავს წერდნენ ჯერ კიდევ მისი სამსახიობო კარიერის დასაწყისში. ფრანგი მსახიობი, რომლის ძარღვებშიც სანახევროდ ესპანური სისხლი ჩქეფს, ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქალებში. თავდაპირველად მის დონჟუანურ სიაში დამწყები მსახიობების სახელები ჭარბობდა. შემდეგ, ფილმის — „მხედარი სახურავზე“ — გადაღებების დროს, მან ჯულიეტ ბინოში გაიცნო. მათი რომანი სამი წელი გაგრძელდა, მაგრამ როგორც კი ჯულიეტმა სატრფოს სიტყვა ქორწინებაზე გადაუკრა, ოლივიემ მაშინვე დათმო პოზიციები... მირა სორვინოსთანაც მსგავსი სიტუაცია განმეორდა. ისინი სამი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მირამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. ერთ მშვენიერ დღეს, მან განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ სულ მალე საცხოვრებლად პარიზში გადავალ და მარტინესთან ერთად ოჯახს შევქმნი“. ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, ოლივიემ მათი ურთიერთობა ამოწურულად მიიჩნია და სარბიელიდან გაუჩინარდა.

ანჯელინა ჯოლიმ კი მასთან ხანმოკლე რომანის შემდეგ, საკმაოდ გულახდილად შეაფასა პლეიბოი საყვარელი: „ოლივიე არც ქმრად გამოდგება და მით უმეტეს, არც — შვილების მამად. ჩემი აზრით, ის განსხვავებული ცომისგანაა მოზელილი. თუმცა, ამას რომ ვაღიარებ, გული მწყდება, ის ხომ საუცხოო გარეგნობის მამაკაცია!..“ შესაძლოა, სწორედ ამიტომაა, რომ თავისი წინამორბედების მაგალითის გათვალისწინებით, სამომავლო პროგნოზებს კაილი საკმაოდ დიდი სიფრთხილით ეკიდება. მას სურს, იმ ბედნიერებით დატკბეს, რომელიც დღეს აქვს და წინასწარ აღარაფერს გეგმავს. ორიოდე კვირის წინ, მომღერალი აფთიაქში შენიშნეს, სადაც ის ფეხმძიმობის დასადგენ ტესტს ყიდულობდა. როგორც ამბობენ, მომღერალი საკმაოდ კმაყოფილი ჩანდა. საკითხავი მხოლოდ ის არის, ასეთივე კმაყოფილი დარჩება თუ არა ოლივიე, თუკი ტესტის შედეგები დადებითი აღმოჩნდება? სხვათა შორის, მეგობრები ერთხმად ირწმუნებიან, რომ კარგა ხანია, კაილი ასეთი გულდამშვიდებული და საკუთარ თავში დარწმუნებული აღარავის უნახავს. სულ ცოტა ხნის წინ, მომღერალმა ახალი ალბომი გამოუშვა (სიმღერების დიდი ნაწილი მინოუგმა მარტინესს მიუძღვნა); ქველმოქმედებისთვისაც გამონახა დრო (ამას წინათ, მკერდის კიბოს წინააღმდეგ მებრძოლი ფონდისთვის, მან საკმაოდ სოლიდური თანხა შეაგროვა); მომღერალი სულ მალე, ქალის თეთრეულის ხაზის გახსნასა და საკუთარი სახელობის სუნამოს გამოშვებას აპირებს. დაბოლოს, მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება ის ფაქტიც, რომ მომღერალი სამსახიობო კარიერის გაგრძელებასაც გეგმავს. ამჟამად კაილი „აგენტი 007“-ის მომდევნო სერიის პროდიუსერებთან „ბონდის გოგონას“ როლის შესრულებაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს. ვინ იცის, იქნებ ბოლოს და ბოლოს, პირად ცხოვრებაშიც გაუღიმოს ბედმა და იმ მამაკაცთან შექმნას ოჯახი, რომლის სიყვარულიც მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია...

■

ცვილის მეიონსმა სუნთქვა დაიწყო

ლონდონში, მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში ახალი ექსპონატის პრეზენტაცია შედგა. ცნობილი ადამიანების ცვილის ასლების უზარმაზარ კოლექციას ბეიონს ნოულზის ორეულიც შეემატა.

ფიგურის დამზადება 52 ათასი გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 80 ათასი დოლარი) დაჯდა. მომღერალს ზომებს სამი საათის განმავლობაში უღებდნენ. ექსპოზიციაში ბეიონსის ფიგურას კაილი მინოუგისა და ბრიტნი სპირსის ფიგურების გვერდით მიუჩინეს ადგილი. ამ სამი ფიგურის ატრაქციონს Divas Show (ქალღმერთების შოუ) ჰქვია. თვით ბეიონსმა თავისი ორეული სამი კვირის წინ ნახა, როცა მასზე მუშაობა დასრულდა და კმაყოფილიც დარჩა. ფიგურა მომღერლის რამდენიმე „საფირმო“ პას იმეორებს, ხოლო სპეციალური დანადგარის საშუალებით ისეთი ეფექტი იქმნება, თითქოს სუნთქავს კიდეც. მას ვერსაჩეს კაბა აცვია, ბეიონსის ცნობილი კლიპიდან Crazy In Love. ■

ბრედ პიტი ჯინოს თავს ანებებს

ცნობილი ამერიკელი მსახიობი ბრედ პიტი, რომელიც ბოლო დროს, გახმაურებულ ფილმ „ტროაში“ გადაიღეს, ოთხი წლის შემდეგ ჰოლივუდში თავის ვარსკვლავურ კარიერას შეწყვეტს. „ჩვენს ადგილზე ახალგაზრდა მსახიობები მოდიან და ამას უნდა შევეგუოთ. რა თქმა უნდა, 50 წლის რომ ვიქნები, მაშინაც მივიღებ როლებს, მაგრამ არცთუ ისე ხშირად და არც ისეთ საინტერესოს, როგორიც ახლა მხვდება ხოლმე... გარდა ამისა, უკვე მომბეზრდა გადაღებები და მინდა, ოჯახს მივხედო“, – თქვა 40 წლის მსახიობმა. მან აგრეთვე დასძინა, რომ დადგა დრო, როდესაც რაღაც ახალი უნდა მოსინჯოს. ის ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფში გაწევრდა, რომელსაც არქიტექტორი ფრენკ ჯერი ხელმძღვანელობს და სურს, ლოს-ანჯელესის მოდერნიზების პროექტში მიიღოს მონაწილეობა. „ლოს-ანჯელესი ბეტონის უდაბნოა და მე მჯერა, რომ ამ ქალაქის სახეს შევცვლი. შეიძლება, როგორც არქიტექტორმა ახალი კარიერა დავიწყო“. ■

მომღერალს აუქციონზე საკუთარი თავი გამოაქვს

მრავალრიცხოვანი კოლეგების დარად, ბრიტნი სპირსმაც გადაწყვიტა, Ebay-ს აუქციონზე ფული იშოვოს. თუმცა, როდესაც თავის ნივთებს შორის შესაბამისი ლოტი ვერ იპოვა, მომღერალმა საკუთარი თავის „გაყიდვა“ გადაწყვიტა – უფრო სწორად, თავის ერთ-ერთ კონცერტზე კულისებში ყოფნის უფლება! ფანი, რომელიც გადაიხდის ფულს ლოტში The Ultimate Britney Experience, მიიღებს ორ ბილეთს ბოსტონის თვითმფრინავზე, ორ ბილეთს ბრიტნის კონცერტზე და მის ავტოგრაფს. ბუნებრივია, ამას პირადად ბრიტნისთან გასაუბრების და მასთან ერთად სურათის გადაღების შესაძლებლობაც ერთვის თან. ტრადიციისამებრ, აუქციონის მთელი ამონაგები ქველმოქმედებას მოხმარდება. კონცერტი ბოსტონში 23 ივნისს არის დანიშნული. ■

კიდმანი და კრუზი კვლავ ქორწინდებიან?

გაყრილი მეუღლეები შეიძლება, ამ წლის ბოლომდე ისევ დაქორწინდნენ. ამის შესახებ კანის 57-ე კინოფესტივალის მიმდინარეობისას, კინემატოგრაფიულ წრეებში ალაპარაკდნენ.

36 წლის კიდმანი და 41 წლის კრუზი დაახლოებით 10 წელი იდეალურ და სამაგალითო წყვილად ითვლებოდნენ. მათ ორი ნაშვილები ბავშვი ჰყავდათ – 11 წლის იზაბელა და 9 წლის კონორი. მეუღლეები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც არ ერიდებოდნენ გრძნობების გამოხატვას. მაგრამ სამი წლის წინ მოულოდნელად გაიყარნენ. მიზეზად ზოგიერთი ტომ კრუზისა და პენელოპა კრუსის ურთიერთობას ასახელებდა, ზოგიერთის თქმით კი, ნიკოლმა უღალატა მეუღლეს. თუმცა, როგორც ტომ კრუზის პრესმდივანი და ამავდროულად მისი და, ლი ენ დევეტი ამბობდა, გაყრის შემდეგაც მეგობრებად დარჩნენ. ახლა კი, როგორც ჩანს, ყოფილი სამაგალითო წყვილი ისევ შეუღლდება. კომპეტენტური წყაროს ცნობით, ნიკოლ კიდმანის რომანი მომღერალ ლენი კრავიცთან დასრულდა. პენელოპა კრუსიც აღარ ითვლება ტომ კრუზის საცოლედ. ასე რომ, შესაძლოა, ვარსკვლავების განმეორებითი შეუღლება მართლაც, მოხდეს. ■

BMW-ს მესამე ცვლა

ბავარიული კონცერნი BMW კომპაქტური ჯიპების – X3-ის მესამე ცვლას უშვებს. ეს ჯიპები ავსტრიის ავტოქარხანაში – Magna Steyr იწარმოება. მესამე ცვლის გამოშვების მიზეზი, ავტობაზარზე ამ მანქანის დიდი პოპულარობა გახლავთ. 2004 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში, როცა მანქანის გაყიდვა დაიწყო, კონცერნმა 11 ათასი X3-ის რეალიზება მოახდინა. მოთხოვნის მთავარი რეგიონი აშშ-ია, სადაც ბავარიული ჯიპის შეძენის სურვილი 4500-მა ადამიანმა გამოთქვა. გერმანიაში 2500 მანქანა გაიყიდა, იტალიაში – 1000.

მსოფლიო ბაზარზე ბავარიული კონცერნის ახალი პროდუქტის ასეთი შთამბეჭდავი წარმატება კონსტრუქტორებისა და მარკეტოლოგების ზუსტი გათვლებით აიხსნება. X3 ე.წ. პარკეტული ჯიპისა და სპორტული ავტომანქანის კომბინაციას წარმოადგენს, თანაც – კომპაქტურ კლასს მიეკუთვნება. X3-მდე, კომპაქტური ჯიპების სეგმენტში ტონის მიმცემი, 2 მოდელი – Land Rover Freelander და Hyundai Santa Fe გახლდათ. მაგრამ ბავარიულმა ავტომობილმა სულ მოკლე ხანში დაიკავა ლიდერის პოზიცია. სპეციალისტები განსაკუთრებით გამოყოფენ საკიდარს, რომელიც მოხდენილად მოქმედებს როგორც ჩქაროსნულ გზატკეცილებზე, ისე უგზოობის პირობებში. X3-ის მთავარი ხიბლი კი, სრული ამძრავის სისტემა xDrive-ია, რომელიც ელექტრონული მოდულის მეშვეობით თანაბრად ანაწილებს დატვირთვას წინა და უკანა ბორბლებს შორის. წლეულს იანვარში მომხმარებელს შესთავაზეს ორი 3-ლიტრიანი ძრავა. ბენზინის ძრავა (231 ცხ.ძ.) 210 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ამავე ნიშნულს აღწევს 204 ცხ.ძ-იანი დიზელის ძრავა. ორივე მანქანა 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. ავტომანქანაში ე.წ. სპორტული პაკეტის (სპეციალური ტიუნინგის შედეგად) დაყენებაცაა შესაძლებელი, რის შედეგადაც მანქანის მაქსიმალური სიჩქარე ბენზინის აგრეგატით 224 კმ/სთ-მდე გაიზრდება, დიზელისაზე კი – 218 კმ/სთ იქნება. ■

ჯიპოფობია

ჯიპების ევროპელ მფლობელებს შეიძლება, მძიმე პერიოდი დაუდგეთ: გერმანიაში მომხმარებელთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა მთავრობას მოსთხოვეს, მნიშვნელოვნად გაზარდოს გადასახადები ამ კლასის მანქანებზე. დღესდღეობით, ჯიპები კომერციულ ავტომანქანებს უთანაბრდება, რომელთა მიმართებაშიც დაბალი ფასები მოქმედებს. მაგალითად, 2,7 ლ მოცულობისძრავიან Mercedes ML270-ზე გადასახადი სულ 172 ევროს შეადგენს, მაშინ, როცა ამავე მოცულობისძრავიან სხვა, ჩვეულებრივ მანქანაზე – 433 ევროა. გარდა „მერსედესისა“, შეღავათები ეხება BMW X5-სა და Volkswagen Touareg-ს. ჯიპების მოწინააღმდეგეთა ლოგიკა ასეთია: ქალაქის პირობებში ჯიპები დაახლოებით 20 ლ საწვავს წვავენ და ოთხჯერ მეტად აბინძურებენ გარემოს, ვიდრე მათი ნაკლებად მძლავრი „თანამოძმეები“. ამიტომაც მათმა მფლობელებმა ბუნებისთვის მიყენებული ზარალი საკუთარი ჯიბეებიდან უნდა აანაზღაურონ. რაც შეეხება მწარმოებლებს, ისინი ნაკლებად აღფრთოვანდებიან აღნიშნული წამოწყებით: ბოლო წლებში ჯიპებზე მოთხოვნილება აშკარად მატულობს, ახლა კი, შესაძლოა, შემცირდეს. ■

Lexus-ის ფოული გაფანტვეტილებები

Lexus-ის პრესტიჟული ავტომანქანები უახლოეს წლებში, ტექნოლოგიურად კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება. „ლექსუსი“, რომელიც კორპორაცია „ტოიოტას“ ქვედანაყოფს წარმოადგენს, წარმოებაში ჩასაშვებად სპორტულ სერია GT-ის ამზადებს. ეს ჩქაროსნული მოდიფიკაცია „ლექსუსის“ ყველა სამოდელო რიგში – IS 350 GT, GS 350 GT, LS 500 GT – პრიორიტეტული იქნება. მაგრამ მთავარი ნოვაცია იმაში მდგომარეობს, რომ Lexus LS 500 GT ჰიბრიდული ამძრავით იქნება აღჭურვილი – მასში მძლავრი (400 ცხ.ძ.) 8-ცილინდრიანი, 5 ლ მოცულობის, V ტიპის ბენზინის ძრავასა და 200 ცხ.ძ. სიმძლავრის ელექტროძრავას კომბინაციას ვიხილავთ. ავტომანქანის მაქსიმალური სიჩქარე 300 კმ/სთ-ს აჭარბებს. ჰიბრიდული ამძრავის წყალობით, ავტომობილი უფრო ეკონომიურიც გახდება. იაპონელების ვარაუდით, პირველი ქვეყანა, სადაც Lexus LS 500 GT გაიყიდება, აშშ იქნება. ეს 2006 წლის აგვისტოსთვისაა დაგეგმილი. ახალი „ლექსუსი“ დაახლოებით 100 ათასი დოლარი ეღირება. ჰიბრიდული ამძრავით აღიჭურვება აგრეთვე ნაკლებად მძლავრი (6-ცილინდრიანი, 3,5 ლ მოცულობის, 300 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავა, 170 ცხ.ძ-იანი ელექტროძრავათი) Lexus GS 350 GT-იც. ამ მანქანისთვის განკუთვნილ ბენზინის აგრეგატს „ტოიოტა“ კომპანია Yamaha-სთან ერთად ქმნის. GS-ის სერიის დიზაინი დინამიკური, სპორტული ხაზებით გამოირჩევა, სალონიც ძალზე დახვეწილია. ავტომანქანები აღჭურვება უკანა ხედვის ტელეკამერით, რომელიც წინა პანელის დისპლეიზე გადასცემს გამოსახულებას. ■

სასიამოვნო მოსაუბრე და საკმაოდ საინტერესო დიზაინერი ავთო ცქვიტინიძე ახალი კოლექციისთვის ემზადება. რამდენად მოდურად იცვამს მთლიანად საზოგადოება და რა სიახლეებს ჰპირდება თანამედროვე მოდის მოყვარულთ ზაფხულში — ამის შესახებ თავად ავთო ცქვიტინიძე გვიამბობს.

ავთო ცქვიტინიძე

თავის სახელოსნოში შეკერეს კარგი ბაცმის მოყვარულთ

ეკა მინდაძე

— ავთო, რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ზაფხულში?

— საზაფხულო კოლექციისათვის ძირითადად, ნატურალური აბრეშუმით ჰაეროვანი კაბების შექმნაზე ვმუშაობ. რაც შეეხება ფერებს — კოლექციაში გაბატონებული იქნება ვარდისფერი და მისი გრადაცია, ბროწეულისფერი და ცისფერი, რომელიც ნაცრისფერში გადადის. აქტუალურია სამოსის მაქმანებით გაწყობა, რაც ადამიანის გარეგნობას სექსუალურობას და შარმს მატებს.

— რამდენად განსხვავებულია შენი დიზაინით გაკეთებული აქსესუარები?

— აქსესუარებიდან განსხვავებულია ჩემი სახელობის საყურეები. ჩემ მიერ წარმოდგენილი საყურე მხოლოდ ცალ ყურზე მაგრდება. დამზადებულია ძალიან გრძელი და თხელი მეტალისგან. აქტუალურია აგრეთვე რეზინის, ბალთიანი ქამრები.

— ფეხსაცმლის მოდელში რა ცვლილება შეიმჩნევა?

— წინა წლებთან შედარებით, ფეხსაცმლის ცხვირი საგრძნობლად დამრგვალდა. აქედან გამომდინარე, ჩემს კოლექციაში შევიტანე მრგვალცხვირიანი ფეხსაცმელი წვრილი ქუსლით.

— თქვენი აზრით, საქართველოში რამდენად მოდურად აცვია ხალხს?

— მშვენივრად. რა ქვეყანაც გვაქვს, იმ ქვეყნის პირობებში ძალიან კარგად ვიცვამთ.

— უფრო მეტად ხალხის რა კატეგორია იცვამს მოდურად?

— მოდას თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი მიჰყვება. მოსახლეობის უმრავლესობა გემოვნებიანი ჩამცმელია. განსხვავება მხოლოდ სამოსის ხარისხში შეიმჩნევა. თუმცა, დღევანდელი მოდური ტანსაცმელი ძვირი არ ჯდება. იმდენად აქტუალურია გაცრეცილი ჯინსი, რომ შეიძლება, სპორტულ ფეხსაცმელზე სპორტულ მაისურთანაც ჩაიცვა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე, გამოსასვლელ მაისურთან ერთადაც.

— შენ თავად ხშირად ირჩევ შავს. რატომ?

— ალბათ იმიტომ, რომ შავი ფერი ძალიან მიყვარს. სხვათა შორის, ისევე, როგორც საქართველოში, შავი მთელ მსოფლიოში ლიდერობს.

— შენი საყვარელი ფერი რომელია?

— მე ყველა ფერი მომწონს, გარდა ყვითლისა. ამიტომაც არასოდეს ვიყენებ მას ჩემს ნამუშევრებში. ისე, გარდა შავისა, ძალიან მიყვარს ცისფერიც.

— რამდენ ხანს უნდები თითოეულ მოდელზე მუშაობას?

— დაწყებული ერთი საათიდან, ერთი თვით დამთავრებული — გააჩნია, მოდელი რამდენად რთულია.

— გაიხსენე, ვის შეუკერე ყველაზე მოკლე ხანში კაბა?

— 45 წუთში შევკერე ცისანა სეფიაშვილის საკონცერტო კაბა. მას ის კაბა დღემდე აცვია და ყველას ჰგონია, რომ ის რამდენიმე კვირა იკერებოდა.

— შენი მოდელით თუ დარჩენილა ვინმე უკმაყოფილო?

— ყველა ქალს აქვს პრეტენზია, რომ კარგად გამოიყურებოდეს. ზოგიერთ ჩემს კლიენტს რთული ხასიათი აქვს. მე ყველას კარგად ვიცნობ და ვიცი, ვის რა მოუხდება. აქედან გამომდინარე, ჩემგან უკმაყოფილო არავინ წასულა.

— შენი შემოქმედების ძირითადი შემფასებლები ვინ არიან?

— კრიტიკოსები, რომლებმაც აღიარეს, რომ ჯერჯერობით ჩემთან შედავება არ ღირს *(იცინის)*...

— მომღერლებიდან ვინ იცვამს ავთოსთან?

— თითქმის მთელი „არტ-იმედის“ ჯგუფი. თითოეული მომღერალი ჩემთან წელიწადში დაახლოებით ათ მოდელს იკერავს, მათ შორის, საგასტროლო კოსტიუმებსაც.

— ვისთან უფრო გეადვილება მუშაობა?

— ყველასთან, იმიტომ, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან, მე კი, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ვიცი, ვის რა მოსწონს ან რა არ მოსწონს.

— რას შესთავაზებდი, როგორ ჩაცმულ ქართველ პოლიტიკოსებს?

— არანაირი სურვილი არ მაქვს, რაიმე კორექტივი შევიტანო პოლიტიკოსების ჩაცმულობაში. მათ აცვით ის, რაც უნდა ეცვათ. ამით ის მინდა ვთქვა, რომ მათთვის დიზაინერი ნაკლებად არის საჭირო: ისინი მათთვის საჭირო ტანსაცმელს ძვირად ღირებულ მაღაზიებში იძენენ.

— რა რჩევას მისცემდი პოლიტიკოს ქალბატონებს?

— მიუხედავად იმისა, რომ მათ მკაცრი პროფესია აქვთ და საკმაოდ დაკავებული ქალბატონები არიან, ვურჩევდი, ყოველთვის ფორმაში იყვნენ, განსაკუთრებით — ვარცხნილობა მოიყვანონ წესრიგში. ვურჩევ, რომ ყოველთვის კომფორტულად გრძნობდნენ თავს ტანისამოსში, არ დაკარგონ ქალური შარმი და თითოეულ მათგანს მუდამ ახსოვდეს, რომ ის ჯერ ქალია და მერე — პოლიტიკოსი.

— თავად რა სტილის ჩაცმულობა მოგწონს?

— მიყვარს კლასიკურიც და სპორტული სტილიც. თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, სად რა ჩაიცვას. ალბათ მიუღებელია, ბაზარში ბრილიანტებითა და საღამოს კაბით წასვლა.

— შენ თვითონ როგორ ტანისამოსში გრძნობ თავს უფრო მოხერხებულად?

— ძალიან მიყვარს სპორტული სტილი. ამიტომ ხშირად სპორტულად ჩაცმული დავდივარ.

— პროფესიიდან გამომდინარე, უცხო ადამიანში პირველად რას აკვირდები?

— ყველაფერს. ყურადღებას ვაქცევ: ტანისამოსს, ფეხსაცმელს, აქსესუარს, მაკიაჟს და ვარცხნილობას.

— ამჟამად რაზე მუშაობ?

— ამჟამად ვმუშაობ ათენის ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიაზე წარსადგენი ჩვენი სპორტსმენების ჩაცმულობაზე. ეს ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაოა და უდიდეს შრომას მოითხოვს. მომავალში დაგეგმილი მაქვს „ტელეიმედში“ ზამთრის კოლექციის ჩვენება და დასვენება, რაც ყველაზე მეტად მჭირდება.

— დაბოლოს, რას ურჩევ კარგი ჩაცმის მოყვარულთ?

— რჩევების მისაღებად ვიწვევ ყველას ჩემს სახელოსნოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, რჩევას არ ვიძლევი. ■

„ნაყინების თაიგული ბავშვებს“

ნათია ქივიძე

პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს, ბავშვთა ქალაქ „რია-რიაში“ უკვე მეორედ გაიმართა საქველმოქმედო აქცია — „ნაყინების თაიგული ბავშვებს“. ეს დღესასწაული ისანი-სამგორის ბავშვთა სათნოების სახლის აღსაზრდელებისთვის მოეწყო. თავდაპირველად, მათ დევნილი ბავშვების ანსამბლ „სიხარულის“ მიერ შესრულებული სიმღერა მოისმინეს, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის შეექმნა. ამ სიმღერის მუსიკის ავტორი სოხუმიდან დევნილი ქალბატონი ია მაისაია, ხოლო ტექსტი ჟურნალისტსა და პოეტს, ბატონ გუჯა მარღიას ეკუთვნის.

ბავშვებმა შპს „აისი—გურჯაანის ნაყინის“ პრეზიდენტს ბატონ გურამ ბერიკაშვილს „ნაყინების ბაბუა“ შეარქვეს. ზეიმის საპატიო სტუმარმა გივი ბერიკაშვილმა კი შესწორება შეიტანა: „ბაბუა“ კახური არ არის, ამიტომ გურამს „ნაყინების პაპა“ ჰქვიაო. ალა-ფურშეტისა და უამრავი ნაყინის მირთმევის შემდეგ მხიარულების დროც დადგა. ბედნიერმა ბავშვებმა, რომლებსაც ხუთ-ხუთი ნაყინი კიდევ ჰქონდათ გულში ჩახუტებული, საცეკვაო შეჯიბრი გამართეს. ლექს-სენისა და კატოს სიმღერებს ხმას აყოლებდნენ და არაჩვეულებრივ ილეთებს აკეთებდნენ. ამ აურზაურით ვისარგებლეთ და წვეულების ორგანიზატორებს გავესაუბრეთ:

გურამ ბერიკაშვილი:

— ამ ღონისძიებას საფუძველი შარშან ჩაეყარა. მაშინ ამ მოზარდებისთვის ბავშვთა ფედერაციაში ჩავატარეთ კონცერტი და დავასაჩუქრეთ კიდეც. თან დავპირდით, რომ ყურადღებას არ მოვაკლებდით და ეს დღესასწაული ტრადიციული იქნებოდა. მას შემდეგ, ამ ბავშვებს ყოველკვირეულად ვეხმარებით. ბედნიერი ვარ, მათ გაბრწყინებულ თვალებს რომ ვხედავ.

— რა შეგრძნება გეუფლებათ, ბავშვები რომ „ნაყინების პაპას“ გეძახიან?

— ეს ჩემთვის დიდი სიხარულია. წარმოგიდგენიათ? — ამდენი ბავშვის პაპა ვარ!..

ირმა მაღალაშვილი *(ბავშვთა ქალაქ „რია-რიას“ დირექტორი):*

— ძალიან გვიხარია, რომ მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს ამხელა დღესასწაულს ვჩუქნით. „რია-რიაში“ გართობა, ვფიქრობ, ძალიან სახალისო და საინტერესოა. როცა ჩვენი ქალაქი დაარსდა, მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ ყოველწლიურად გვეჩუქებინა ამ ბავშვებისთვის ეს დღე. ხომ ხედავთ, რა ბედნიერები არიან?!

გივი ბერიკაშვილი:

— არ უნდა დავიცვათ ჩვენი ბავშვები? დავიცვათ კი არა, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ! უნდა ვეცადოთ, რომ მსგავსი აქცია ხშირად ჩატარდეს. მხოლოდ პირველი ივნისი კი არა, ყველა დღე ბავშვების არ არის?!

— თქვენ თუ გიყვართ ნაყინი?

— ერთხელ მკითხეს — თქვენი პირველი სიყვარული ვინ იყოო? ვუპასუხე — ნაყინი-მეთქი. გაგიჟდა ის ჟურნალისტი. რა ვქნა, არ მომიტყუებია, რადგან ამქვეყნად ბავშვებს ხომ პირველ რიგში, ნაყინი უყვართ და მერე — სხვა დანარჩენი?! ■

გივი და გურამ ბერიკაშვილები ზეიმის მონაწილე ბავშვებთან ერთად

siurprizebiT savse problemuri Tve

როგორი იქნება წლევანდელი ივნისი? რა პოლიტიკურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ და რით გაგვაოცებენ ტყუპის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები?.. ტყუპის ზოდიაქოში მოსალოდნელი ცვლილებების, სირთულეებისა და სიურპრიზების შესახებ გვესაუბრება ასტროლოგი მარინა ბაბ-უშანა.

ლელა ჭანკოტაძე

— ზოგადად როგორ შეიძლება დავახასიათოთ ტყუპის პერიოდი?

— ეს არის 21 მაისიდან 21 ივნისამდე პერიოდი. მას სიზმრების პერიოდსაც ეძახიან: ამ დროს ადამიანები წინასწარმეტყველურ სიზმრებს ნახულობენ. შესაძლებელია, სიზმრის დროს ადამიანის ასტრალის სხეულიდან გამოსვლა და სხვა განზომილებაში მოგზაურობა; ასეთ მოვლენას ხილვას ეძახიან. სწორედ ტყუპის პერიოდშია შესაძლებელი ხილვები. როდესაც ასტრალი სხეულიდან გამოდის და ფრენს, ადამიანის ენერგეტიკის გაძლიერება ხდება. ეს კი განსაკუთრებით სასარგებლოა ორგანიზმისთვის, ადამიანის „გაჭუჭყიანებული“ აურისთვის. 16-17-18 ივნისს განსაკუთრებით დააკვირდით სიზმრებს. მარსისა და სატურნის შეხვედრა კიბოს ნიშანში განაპირობებს იმას, რომ ივნისის პირველ ნახევარში მოსალოდნელია ტემპერატურის მკვეთრი მომატება, 21-22 ივნისისთვის კი საშინელი სიცხეები გველოდება. ყველაზე არასასიამოვნო და არასტაბილური დღეებია 4-5-6 ივნისი. ცვალებადი და არასტაბილურია 18-19-20 ივნისი. ერთადერთი ზოდიაქოს ნიშანი, რომლისთვისაც ეს პერიოდი პოზიტიურად ჩაითვლება, მორიელია, რადგან ის ცუდი ენერგიის აკუმულირების უნარით გამოირჩევა.

— როგორი იქნება პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში? ხომ არ არის მოსალოდნელი დესტაბილიზაცია ან ეკონომიკური კრიზისი?

— მასების მატერიალურად არასტაბილური მდგომარეობა ივნისის ბოლოსთვის განსაკუთრებით შესამჩნევი გახდება. გაიზრდება უკმაყოფილება და შესაძლებელია, ხალხი მოთხოვნებითა და ტრანსპარანტებით ქუჩებში გამოეფინოს. ტყუპის პერიოდი სოციალური პრობლემებით აღინიშნება. უკმაყოფილების ტალღის წარმოქმნას სწორედ ამ თვეში ჩაეყრება საფუძველი.

— როგორები არიან ტყუპის პერიოდში დაბადებული ადამიანები?

— ტყუპი ჰაერის ნიშანია. მისი მფარველი პლანეტა მერკურია. ეს კომუნიკაბელურობის, ურთიერთობებისა და ჭარბი ინფორმაციის ნიშანია. ტყუპები ძალიან იოლად ითვისებენ ყოველგვარ ინფორმაციას და ასევე იოლად გადასცემენ სხვას. ტყუპი რაც უფრო მეტი ინტელექტით და სულიერებით არის დაჯილდოებული, მით უფრო ვრცელი და რთული ინფორმაციისა და მასალის გადამუშავება შეუძლია. დაბალი დონის ტყუპი ჭორიკანა, მატყუარა და ლაქუცაა, მაღალი ინტელექტისა კი — ფილოსოფოსი, მწერალი, პედაგოგი. ტყუპებს, როგორც ჰაერი, ისე სჭირდებათ ახალი ინფორმაცია და უბრალო ადამიანური ურთიერთობები. უამისოდ ისინი დეპრესიაში ვარდებიან, მოწყენილები ხდებიან და ცხოვრება უშინაარსო, რუხ ფერებში ეჩვენებათ.

— რისი ნიჭი აქვთ ტყუპებს?

— ენების შესწავლის დიდი ნიჭით გამოირჩევიან. ტყუპებს შორის ბევრია თარჯიმანი, ლიტერატორი და ჟურნალისტი. მათ ბრწყინვალედ იციან, თუ როგორ უნდა დაამყარონ ურთიერთობები სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან. ამიტომ კარგი პოლიტიკოსები და სავაჭრო აგენტებიც არიან.

— რას უჩივიან ტყუპები?

— გამორჩეული მგრძნობელობა, შეთვისების უნარი და კომუნიკაბელურობა ამ ადამიანებში ხშირად ნერვიულ გადატვირთვას და ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს. ყველაზე სუსტი ორგანოები ტყუპებისთვის — ბრონქები, ფილტვები, მხრები და ხელები, განსაკუთრებით კი — თითებია. იმისათვის, რომ ჯანმრთელობა შეინარჩუნონ, ტყუპებმა მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ივარჯიშონ და გაიძლიერონ ნერვული სისტემა. აუცილებელია, ყოველთვის მიაქციონ ყურადღება სასუნთქ ორგანოებს. ტყუპებისთვის მომაკვდინებელია ნიკოტინი: არც ერთ სხვა ნიშანს მოწევა ისეთ ზიანს არ აყენებს, როგორც ტყუპებს, ამიტომ ყველა ტყუპს ვურჩევ, მეტი დრო გაატარონ სუფთა ჰაერზე, მოერიდონ კვამლით გაჟღენთილ და დახშულ სივრცეს; კარგია ბალახების ნაყენის მიღება და ყველანაირი სისხლგამწმენდი პროცედურების ჩატარება. ტყუპის კვება ფოსფორითა და კალციით (რძე, ხაჭო, ზღვის პროდუქტები) მდიდარი უნდა იყოს.

— როგორია ტყუპის ინტიმური სამყარო?

ბარბის ვერსაჩე ჩაეცმევს

ცნობილი იტალიელი მოდელიერი დონატელა ვერსაჩე სახელგანთქმული თოჯინა ბარბისთვის ტანსაცმლის კოლექციის, ახლებური მაკიაჟის და ვარცხნილობის შექმნას აპირებს. „მე ბარბის, გარკვეულწილად მოდის კანონმდებლად მივიჩნევ და მოდების ჩვენებაზე, მას, როგორც ტოპმოდელს, ისე წარმოვადგენ“, — განაცხადა მოდელიერმა.

სექსუალურ, მაქმანებიან ქვედა თეთრეულში გამოწყობილი 50 ათასი თოჯინა, ამ ზაფხულს უკვე გაყიდვაში იქნება. თითოეული მათგანის შესაქმნელად დაახლოებით 80-დან 140 დოლარამდე დაიხარჯება, შემოსული თანხა კი მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება.

■

სპორტსმენი ელექტრომაგთაფლზე დაეკიდა

იაპონელი სპორტსმენი გოგონა, რომელიც პარაპლანიდან გადმოხტა, მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზს ჩამოეკიდა და რამდენიმე საათის მანძილზე, 30 მ-ის სიმაღლეზე ეკიდა. ინციდენტი ხიროსიმას პრეფექტურაში მოხდა. გოგონა გამვლელმა დაინახა და მაშინვე პოლიციას შეატყობინა, რის შემდეგაც ელექტროენერგია სასწრაფოდ გამორთეს.

გოგონას გადასარჩენად ვერტმფრენის მოყვანა გახდა საჭირო. ის მავთულიდან ჩამოიყვანეს და საავადმყოფოში გაგზავნეს.

საბედნიეროდ სპორტსმენი ყოველგვარი ტრავმის გარეშე გადარჩა.

■

— მათ მიდრეკილება აქვთ დონჟუანობისკენ. საერთოდ, არ ახასიათებთ ღრმა და დიდი გრძნობები, ამიტომ ხშირად იცვლიან პარტნიორებს და არასტაბილურ სექსუალურ ცხოვრებას ეწევიან... თუმცა, არიან ტყუპები, რომლებიც ოჯახური ცხოვრების ჩარჩოებში ექცევიან და მთელ ცხოვრებას ერთ პარტნიორთან ატარებენ. ეს მათგან მხოლოდ მსხვერპლია და სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი შეყვარებულები და საყვარელი ადამიანის ერთგულები არიან: გონებაში მილიონჯერ ღალატობენ და სცოდავენ, თანაც — სულ ახალ-ახალ ვირტუალურ საყვარლებთან...

— როგორ უნდა გავზარდოთ ტყუპის ზოდიაქოში დაბადებული ბავშვი?

— ტყუპი ყველაფერს ადრე იწყებს — სიარულს, ლაპარაკს, კითხვას და ა.შ. ის ცელქია, ერთ ადგილას ვერ ჩერდება. როდესაც გაკვეთილებს ამზადებს, მას პარალელურად ტელევიზორი, რადიო ან მაგნიტოფონი აქვს ჩართული. ეს სულაც არ უშლის ხელს მეცადინეობაში, პირიქით — ეხმარება კიდეც. უყვარს ტელეფონზე ლაქლაქი. ნუ ეცდებით, შეზღუდოთ, პირიქით — დაჰყევით მის ნებას, თორემ, საკუთარ თავში ჩაიკეტება, უფრო ნერვიული გახდება და ბოლოს, უეჭველად მოგიწევთ ფსიქოლოგთან მისი მიყვანა...

— რა უნდა გააკეთონ მშობლებმა, რომ ხელი შეუწყონ ტყუპშვილის ინტელექტის განვითარებას?

— თუ ტყუპს მიაჩვევთ, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს, ის გამოჩენილი პიროვნება გახდება... თუ შვილი ტყუპის ზოდიაქოში დაიბადა, იცოდეთ, რომ ახლო მომავალში აუცილებლად მეორე ბავშვიც უნდა გაჩინოთ: დედისერთა ტყუპი ვერასდროს შეინარჩუნებს ფსიქიკურ წონასწორობას და ეს, ცხადია, მის ფსიქიკაზე მომავალში უარყოფითად აისახება. საერთოდ, ტყუპისთვის სიმარტოვე სიკვდილის ტოლფასია, ამიტომ ოჯახური სიმყუდროვე მისთვის აუცილებელია.

— ზოდიაქოს რომელ ნიშნებთან ქორწინებას ურჩევთ ტყუპებს?

— ტყუპი მყარ და სტაბილურ ოჯახს მხოლოდ სასწორთან და ლომთან ქმნის. თუმცა, ზოგიერთ ტყუპ ქალს ძალიან მოსწონს მამაკაცი კურო, მასში ძლიერ, მყარ პარტნიორს ხედავს და შესაბამისად, მასთან ერთად შექმნილი ოჯახიც მშვიდი და მყუდრო ჰგონია. ასეთი ქორწინება მხოლოდ იშვიათად არის იღბლიანი, რადგან კურო და ტყუპი ხასიათებით ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან... თუ ტყუპს ოჯახში ყველაფერი წესრიგში აქვს, მაშინ ის საზოგადოებასაც ხალისიანი ევლინება, თუ მის ოჯახში დაძაბულობაა, ტყუპი გაცეცხლებულია და გარშემომყოფებზე აფრქვევს ღვარძლს. ნერვიული სტრესი და დეპრესია ხშირი და ძალიან სახიფათო სენია ტყუპისთვის. ეს სენი დამღუპველიც შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ის მისი შინაგანი სამყაროდან და ოჯახური პრობლემებიდან მოდის.

— რა უნდა გავითვალისწინოთ ტყუპთან ურთიერთობისას?

— მათი დევიზია — „მე ვფიქრობ...“ — ამიტომ მასთან ურთიერთობისას ხაზი გაუსვით მის გონიერებას და პატივისცემა გამოხატეთ მისი ნააზრევის მიმართ. ტყუპებს ძალიან უყვართ საჩუქრები. საჩუქარი პიკანტური და მოულოდნელი უნდა იყოს. თუნდაც ძალზე იაფფასიანი საჩუქარი მისთვის შეიძლება ყველაზე ძვირფასი გახდეს. ტყუპთან ურთიერთობა ბევრ დადებით რამეს შეგძენთ. მისი სახით საინტერესო, ერთგულ და არაორდინარულ ადამიანს დაუმეგობრდებით. ტყუპის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულები თავის გარშემო არაორდინარულ და სიურპრიზებით სავსე გარემოს ქმნიან. ამიტომაც არის ტყუპის თვეც საინტერესოც და პრობლემურიც...

— ეი. მთელი თვის მანძილზე არ მოგვაკლდება სასიამოვნო და უსიამოვნო სიურპრიზები?

— ყველაზე სასიამოვნო, თბილი ამინდები აღმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ სიცხეც ხშირად შეგვაწუხებს.

■

ნდობის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები

☎822 009 005

ზარი ფასიანია, 18 წლიდან

„იქნებ თქვენ გეძებენ!“

რედაქციაში შემოსული საძიებელი განცხადებების საფუძველზე კვლავ გთავაზობთ რუბრიკას „იქნებ, თქვენ გეძებენ!“ შეგახსენებთ, რომ ეს პროექტი მიზნად ისახავს დაკარგული ნათესავების, მეგობრებისა და ნაცნობების მოძებნას და მათთან კონტაქტის აღდგენას. ჩვენი პარტნიორია რუსული ტელეკომპანია „ВИД“ და გაზეთი „Жди меня“. მათი დახმარებით, საშუალება გვეძლევა, ძებნა დსთ-ის ქვეყნებშიც განვახორციელოთ. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულ განცხადებებს, იქნებ, საძიებელ ადამიანებში საკუთარი თავი ან ახლობელი ამოიცნოთ. ასეთ შემთხვევაში დაგვიკავშირდით რედაქციაში.

თქვენ ასევე საშუალება გეძლევათ, ჟურნალ „გზის“ ფურცლებზე გამოაქვეყნოთ საკუთარი განცხადებები, თქვენთვის სასურველი ადამიანის მოსაძიებლად. ამისათვის უნდა შეავსოთ ქვემოთ მოცემული ქვითარი, დაურთოთ მას საძიებელი ადამიანის შესახებ არსებული, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანი ინფორმაცია და გამოგვგზავნოთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთების მეშვეობით.

იძებნება: მაჭავარიანი ირმა, 38 წლის

ეძებს: ერისთავი მაია ზურაბის ასული

ისტორია: „ვეძებ მეგობარს, რომელთან ერთადაც წლების წინ ჩხიკვაძის ქუჩაზე ვცხოვრობდი. ის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. მე ერთ-ერთ სახელმწიფო ანსამბლში ვცეკვავდი. იქნებ, თქვენი ჟურნალის დახმარებით მაინც გავიგო, სად იმყოფება. ირმა გელოდები!“

იძებნება: კრაკუშანსკი სიომა ალექსანდრეს ძე (ასევე კრაკუშანსკი მარიკ, საშა და რაია)

ეძებს: ქაჯაია იოსებ კირილეს ძე

ისტორია: „ვეძებ დეიდაშვილებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ქალაქ ოდესაში, აკადემიკოს კოროლიოვის ქუჩაზე. სავარაუდოდ, 1991 წლიდან ისინი საცხოვრებლად გადავიდნენ საზღვარგარეთ (ისრაელში ან გერმანიაში). ვიცი, რომ თქვენს ჟურნალს საქართველოს საზღვრებს მიღმაც კითხულობენ და იქნებ, ხმა მივაწვდინო ჩემს ნათესავებს.“

იძებნება: ქობესოვი სოგრატ-სერგო ფადოს ძე

ეძებს: ქობესოვი იზოლდა სარდიონის ასული

ისტორია: „2003 წლის 2 დეკემბერს საღამოს 5 სთ-ზე სერგო საკუთარი მანქანით (თეთრი ფერის „ვაზ 2109“, სერ #RAL022) გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. მარცხენა ყბაზე მოზრდილი ხალი აქვს, მაჯაზე კი ამოტვიფრული აქვს სვირინგი C.K აქვს თხელი, ჭაღარა თმა და წითური სახე. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, ვთხოვ, გამომეხმაუროს.“

იძებნება: ს/ს „ხალიზი“ („სამთო ქიმია“ სარემონტო მექანიზატორული ქარხანა)

ეძებს: აქციონერი შვანგირაძე გიორგი ამირანის ძე

ისტორია: „1999 წელს, ნულოვანი აუქციონის საშუალებით გავხდი აღნიშნული საწარმოს აქციონერი. ამჟამად არანაირი ინფორმაცია არა მაქვს ამ საწარმოს შესახებ. მაინტერესებს, როგორც მისი ბედი, ასევე სამომავლო გეგმები. ასევე მაინტერესებს საწარმოს დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ტელეფონის ნომრების გაგება. წინასწარ გმადლობთ, ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის.“

იძებნება: სილაგაძე ლალი რუბენის ასული, 42-43 წლის

ეძებს: ქაჯაია ნაზი სოსოს ასული

ისტორია: „ვეძებ დეიდაშვილს, რომელიც 1987-88 წლებში ცხოვრობდა ქალაქ მახარაძეში (ახლანდელი ოზურგეთი). ჩემი ინფორმაციით, მან შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და ბათუმში გადავიდა. იქნებ, თქვენი საშუალებით მაინც ვიპოვოთ ერთმანეთი!“

იძებნება: ციკოლია ემა რევაზის ასული, 19 წლის

ეძებს: კვეკვეცია თაზო თემურის ძე, 32 წლის

ისტორია: „იგი 2002 წელს მარტვილის რაიონიდან თბილისში გაემგზავრა სასწავლებლად და მას შემდეგ აღარ მინახავს. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, გთხოვთ, შემატყობინოთ.“

იძებნება: გობოზოვი ვაჟა, 15 წლის

ეძებს: ბაშკევიჩი სალომე

ისტორია: „ვაჟა ჩემი შეყვარებულია, ჩვენ დაქორწინებას ვაპირებდით, მაგრამ მოულოდნელად გაქრა და აღარ მირეკავს. ალბათ წარმოგიდგენიათ, რაოდენ მტკივნეულია ეს ჩემთვის. თუ წაიკითხავს ამ განცხადებას, ვთხოვ, გამომეხმაუროს.“

იძებნება: კიკვიძე გოგა თემურის ძე, 23 წლის

ეძებს: დარახველიძე მიხეილ თეიმურაზის ძე

ისტორია: „მე და გოგა ერთად ვსწავლობდით თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში. მეგობრები ვიყავით. უკვე სამი წელია, მის შესახებ არაფერი მსმენია. მითხრეს: ტყიბულში მუშაობს ქვანახშირის საბადოზეო. თუ ვინმემ იცის მისი კოორდინატები, ვთხოვ, გამომეხმაუროს.“

■

„იქნებ, თქვენ გეძებენ!“

ვის ეძებთ _____

_____ (გვარი)

_____ (სახელი, მამის სახელი) _____ (ასაკი)

_____ (ძებნის სავარაუდო ადგილი)

_____

_____ (ძებნის ისტორია (მოკლედ))

_____

_____

ვინ ეძებს _____ (გვარი)

_____ (სახელი, მამის სახელი) _____ (ასაკი)

_____ (ტელეფონი)

_____ (მისამართი)

_____

ინფორმაციის, ანალიზის, პროგნოზის, რჩევების...

ნოემბერია:

წამწამებსაც სჯობდეს მოვლა



ყველასათვის ცნობილია, რომ გრძელი და აპრეხილი წამწამები თვალს განსაკუთრებულ მომხიბლაობას მატებს, მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ როგორ უნდა მოუაროს მათ. წამწამების ტუშს თუ ყოველდღიურად იყენებთ (განსაკუთრებით, იაფფასიანი და უხარისხო კოსმეტიკური საშუალებით სარგებლობისას), ძალიან მალე დაგჭირდებათ კოსმეტოლოგის კონსულტაცია – როგორ უმკურნალოთ წამწამების ორად გაყოფილ ბოლოებს. უხარისხო საღებავმა შესაძლებელია, ქუთუთოების წვა და ქავილიც გამოიწვიოს, რასაც საბოლოოდ წამწამების ცვენა მოჰყვება ხოლმე. ამიტომ, ქუთუთოს სულ უმნიშვნელო შეწითლების შემთხვევაშიც კი, აუცილებელია წამწამების მოვლაზე იზრუნოთ.

ყველა ქალს უნდა ახსოვდეს, რომ დღისით გაკეთებული მაკიაჟი ძილის წინ საგულდაგულოდ მოიცილოს კოსმეტიკური რძის საშუალებით.

წამწამების მოვლა ზეითუნის ზეთის რეგულარულად გამოყენებით დაიწყეთ. ჯერ კარგად ამოიბანეთ თვალები თბილი წყლით, შემდეგ კი წამწამებზე ზეითუნის ზეთი წაისვით – წამწამები გახშირდება, გამუქდება და ბზინვარება მოემატება. თუ ძილის შემდეგ თვალის კუთხეებსა და წამწამებზე ლორწოვანი გამონადენი გროვდება, თვალები გვირილის თბილი ნაყენით (1 ჩ/კ გვირილა ერთ ჭიქა წყალში) უნდა ამოიბანოთ. შეგიძლიათ, საამისოდ ჩაის ნაყენის საფენებიც გამოიყენოთ.

წამწამების სამკურნალოდ საკმაოდ ეფექტური საშუალებაა სპეციალური, უფერო ტუში, რომელიც ხელს უწყობს წამწამების ზრდას, გახშირებას და სიჯანსაღეს. არსებობს სხვა საშუალებებიც... თუმცა, წამწამების მოსავლელად შექმნილი კოსმეტიკური პროდუქცია, ბევრ იშვიათ ინგრედიენტს შეიცავს და შესაბამისად ძვირიც ღირს.

რაც შეეხება მისაწებებელ წამწამებს, ისინი უკვე წარსულს ჩაჰბარდა და დღეს მხოლოდ მსახიობებსღა სჭირდებათ. მისი ყოველდღიური გამოყენება ბევრ უხერხულობას ქმნის. მაგალითად, წებო გარკვეული პერიოდის შემდეგ შრება და არ არის გამორიცხული, რომ წამწამი სრულიად შეუფერებელ დროსა და ადგილას მოგძვრეთ ქუთუთოდან. გარდა ამისა, მისი ქუთუთოზე დამაგრება გარკვეულ ტექნოლოგიას და ხელმარჯვეობას საჭიროებს. ის, ვინც რამდენჯერმე დაიწებებს და მოიძრობს ხელოვნურ წამწამს, ქუთუთოები და თვალის გარსი უღიზიანდება – სილამაზე კი ასეთ მსხვერპლს ნამდვილად არ მოითხოვს. ■

ყოველიერი დიეტა მათთვის, ვისაც უნდა, მოხდენილი იყოს

საუზმე: ასკილის ნახარშის, შავი მოცხარისა და ერთი ჩ/კ თაფლის ნაზავი (ეს ნაყენი შიმშილის გრძნობას ასუსტებს); 5-6 კოვზი ახალი ხაჭო. საუზმესა და სადილს შორის შეგიძლიათ ვაშლი ან სტაფილო მიირთვათ.

სადილი: რამდენიმე ნაჭერი მოხარშული ხორცი, კვერცხი და ბოსტნეული (შეეცადეთ, დიეტის პირველ დღეებში პურის გარეშე ისადილოთ).

ვახშამი: ცოტა ხორცი და რაც შეიძლება ბევრი ბოსტნეული. ბოსტნეულის სალათის მომზადების დროს მხოლოდ მცენარეული ზეთი გამოიყენეთ.

ძილის წინ დალიეთ ასკილის, პიტნის ან მრავალძარღვას ნაყენი. ეს ხელს შეუწყობს კუჭის, თირკმლების და ღვიძლის ნორმალურ მუშაობას. პიტნის ნაყენი მშვიდ და ჯანსაღ ძილს უწყობს ხელს და დიეტის დროს მისი დალევა აუცილებელია.

ვისაც ნებისყოფა აქვს, შეუძლია შემოთავაზებული ხორცი უმი ბოსტნეულით შეცვალოს. ამ შემთხვევაში, სადილის დროს შეგიძლიათ სალათებს ერთი ნაჭერი შავი პურიც მიატანოთ.

დიეტა კვირაში ოთხ დღეს დაიცავით. ■

ბრინჯიანი სალათები მუავე კიტრით

1. დაჭერით კუბურებად 3-4 საშუალო ზომის მჟავე კიტრი, 3 მაგრად მოხარშული კვერცხი, დაუმატეთ 2 ქილა დაკონსერვებული თევზი, 1 ჭიქა მოხარშული ფანტია ბრინჯი, 2 ს/კ კურკაგამოცლილი ზეთისხილი. ეს ყველაფერი მოათავსეთ თასზე და მოასხით შემდეგნაირად მომზადებული სოუსი: ნახევარი ჩ/ჭ ზეთი გემოვნებით შეაზავეთ მარილით, შავი პილპილითა და მდოგვით (მდოგვის ნაცვლად შეგიძლიათ, სხვა რომელიმე ცხარე საწებელი გამოიყენოთ).

2. 3 ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი და 100 გ მჟავე კიტრი დაჭერით კუბურებად, შეურიეთ 200 გ მოხარშული ფანტია ბრინჯი. შეაზავეთ 300 გ არაჟნით, 100 გ წითელი ახალი ბულგარული წიწაკითა (ან დაფქული წიწაკით) და შავი პილპილით. ■

ყველაფერი ეპილაციის შესახებ

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

როცა თმა მოულოდნელად იწყებს ზრდას და თანაც, ისეთ ადგილებში, სადაც წესით არ უნდა იყოს, სავარაუდოა, რომ ეს ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებთანაა დაკავშირებული და ასეთ შემთხვევაში სპეციალისტის მიერ დანიშნული მკურნალობაა საჭირო. კოსმეტოლოგმა შეიძლება მოგაცილოთ ჭარბი თმა, მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრა არ შეუძლია. ზურგზე, სახეზე, მკერდზე, მუცელსა და დუნდულებზე თმის გაძლიერებული ზრდა ხშირად ***ჰირსუტიზმის*** (მამაკაცური გათმიანება ქალებში) გამოვლინებაა. შესაძლოა, ორგანიზმში ჰორმონული დისბალანსია, რომლის მოსაწესრიგებლად, აუცილებელია, ენდოკრინოლოგს მიმართოთ. დაავადების მიზეზი სიმსივნეც შეიძლება იყოს. გარდატეხის ასაკს, ორსულობასა და მენოპაუზას ასევე ახლავს ხოლმე თან ჭარბთმიანობა. საკმაოდ მნიშვნელოვანია ეროვნებაც: მაგალითად, იაპონელები ნაკლებად არიან მიდრეკილნი ჰირსუტიზმისადმი, ხოლო სომხები, ფრანგები, იტალიელები — შედარებით მეტად.

ჰირსუტიზმი არ უნდა ავურიოთ ***ჰიპერტრიქოზში*** — ესაა თმის ჭარბად ზრდა იმ ადგილებში, სადაც იგი ჩვეულებრივ უნდა იყოს. მაგალითად, თუ თმა ჭარბადაა წვივებზე — ეს ჰიპერტრიქოზია, რაც სხვადასხვა დაავადების ან წამლების მიღების შედეგი შეიძლება იყოს. ხოლო ქალებში გრძელი, მსხვილი თმის ზრდა მკერდზე უკვე ჰირსუტიზმია. ამიტომ თმიანობასთან ბრძოლა მისი მიზეზის გარკვევით უნდა დაიწყოთ, რათა ორგანიზმში მიმდინარე სერიოზული დარღვევები არ გამოგეპაროთ.

დაცხა და საზაფხულო ტანსაცმელზე გადასვლის დროც დადგა, მაგრამ ზოგიერთი ქალბატონი იძულებულია, უარი თქვას მოკლე ქვედაკაბებსა და გულამოღებულ სარაფნებზე. ამის მიზეზი კი ჭართმიანობაა.

თუ ჯანმრთელი ხართ...

თუ დარწმუნდით, რომ ჯანმრთელი ხართ და თქვენთვის პრობლემას მხოლოდ მომატებული თმიანობა წარმოადგენს, რომელსაც ორგანული პათოლოგია არ უდევს საფუძვლად, მაშინ შეგიძლიათ, მიმართოთ მისგან თავის დაღწევის სხვადასხვა საშუალებას. არასასურველი თმის მოშორება საპარსის, კრემ-დეპილატორისა და ელექტროეპილატორის გარდა, ახლა უკვე თანამედროვე მეთოდებით — ელექტრო, ფოტო და ლაზერული ზემოქმედებითაც შეიძლება.

საერთოდ, უნდა იცოდეთ, რომ ეპილაციის არც ერთი მეთოდი არ აშორებს თმას ერთხელ და სამუდამოდ — ნუ დაუჯერებთ რეკლამას! გარკვეული დროის შემდეგ, იგი ისევ ამოდის. მოხდება ეს ერთი თვის შემდეგ თუ რამდენიმე თვეს შეინარჩუნებთ გლუვ კანს, ეს ორგანიზმის თავისებურებებზეა დამოკიდებული (თმიანობა და მისი თავისებურებები მემკვიდრულად გადაეცემა).

პრობლემის სამუდამოდ გადაჭრის მხოლოდ ერთი ვარიანტი არსებობს. თმა გადის ზრდის რამდენიმე სტადიას. თუ ეპილაციის გაკეთების მომენტი დაემთხვევა ზრდის ბოლო ეტაპს, თმა აღარ გაიზრდება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ შეუძლებელია იმის გამოცნობა, თუ როდის დაიწყება ეს ეტაპი.

ნებისმიერი ეპილაციის შედეგი ერთნაირია: თმა უფრო ნელა იზრდება და სულ უფრო და უფრო თხელდება. თმის მოცილების პროცესი მხოლოდ ტკივილის შეგრძნების ხარისხით განსხვავდება სხვადასხვა მეთოდის დროს. ეპილაცია უკუნაჩვენებია კანის დაავადებებისას.

ცვილი თუ ლაზერი?

თმის მოცილების ყველაზე მარტივი მეთოდი, ყოველდღიურად მისი ***გაპარსვაა***.

თანამედროვე ყოფითი ***ელექტროეპილატორები*** აშორებს მოკლე თმასაც, მაგრამ მეთოდი საკმაოდ მტკივნეულია და კანის გაღიზიანებასაც იწვევს. ეპილატორის მოქმედების შედეგი 2-3 კვირას გასტანს.

ყველაზე პოპულარული და იაფი მეთოდი ***ბიოეპილაციაა*** — თმის მოშორება ცვილით: კანზე ისვამენ სპეციალურ ლოსიონს, მერე — ცვილს; შემდეგ აწებებენ ნაჭერს და მკვეთრი მოძრაობით იგლეჯენ თმასთან ერთად. ბიოეპილაცია სხეულის ნებისმიერ უბანზე შეიძლება ჩატარდეს. თანამედროვე ცვილების შემადგენლობა ნატურალურია, არ აღიზიანებს კანს და ამიტომ ყველასთვის გამოსადეგია. თუმცა, ამ მეთოდს არსებითი ნაკლიც აქვს — იგი საკმაოდ მტკივნეულია.

თუ ელექტროეპილაციის დროს თმის ძირზე ელექტროდენი მოქმედებს, ***ლაზერული ეპილაციის*** დროს ამ ფუნქციას ლაზერული სხივი ასრულებს. ამ მეთოდის ღირსება ისაა, რომ იგი უმტკივნეულოა, თანაც ეპილაციის გაკეთება მათთვისაც შეიძლება, ვისაც სახეზე გამონაყარი აქვს. პროცესი ხანგრძლივია, თანაც ლაზერი არ აშორებს თმას მუქი (გარუჯული) კანიდან და არ „რეაგირებს“ ღია ფერის თმაზე.

ფოტოეპილაცია ჰგავს ლაზერულს — ფოტოელემენტები ზემოქმედებს უშუალოდ თმის ბოლქვზე და თმა მომენტალურად ძვრება. ეს მეთოდი საკმაოდ სწრაფი, ესთეტიკური, მაგრამ ამავე დროს, სხვებთან შედარებით ძვირად ღირებულიცაა. იგი ყველაზე შესაფერისი ვარიანტია მგრძნობიარე ზონისთვის. სინათლე რეაგირებს ნებისმიერი ფერის კანსა და თმაზე, მაგრამ მხოლოდ იმ ღერებს იღებს, რომლებიც ზრდის პროცესშია. თმიანობისგან თავის დასაღწევად, რამდენიმეკვირიანი ინტერვალით, 4-5 პროცედურის ჩატარება მაინც იქნება საჭირო.

იღლიისა და საზარდულის არეში კანი საკმაოდ მგრძნობიარეა, რადგან სისხლძარღვები და რეცეპტორები ზედაპირთან ახლოსაა. ეპილაციის ჩატარება ამ უბნებში ნებისმიერი მეთოდით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კანი ჯანსაღია. თუ შინაგან ორგანოებთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, მაშინ უმჯობესია ე.წ. ბიკინის არეში ბიოეპილაციის გაკეთება, რადგან იგი გარედან მოქმედებს და არა შიგნიდან. ■

როგორ ვივარჯიშოთ

ფიზიკური ვარჯიში ორგანიზმის გაკაჟების, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების საუკეთესო საშუალებაა. სისტემატური დატვირთვის დროს ორგანიზმში ხდება მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები, რომლებიც აუმჯობესებს ორგანოთა ყველა სისტემის ფუნქციურ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს სარეგულაციო მექანიზმების სრულყოფას. ეს ყოველივე ზრდის არასასურველი ფაქტორების მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს, ფიზიკურად ავითარებს და დატვირთვისადმი უფრო გამძლეს ხდის ადამიანს.

ცალკეული კუნთები თუ სახსრები სრულყოფილად რომ ამოძრავდეს და დაიტვირთოს, სხვადასხვა ვარჯიშია საჭირო. სწორად და, რაც მთავარია, ხალისიანად რომ ივარჯიშოთ, ამაში ე.წ. ტრენაჟორები — საწვრთნელი და სავარჯიშო მოწყობილობანი დაგეხმარებათ.

ტრენაჟორით დატვირთვისას ნერვული სისტემა გაცილებით უკეთესად იწრთობა, ვიდრე მარტივი ფიზიკური ვარჯიშის დროს, რადგან ასე უკეთესად რეგულირდება ნერვულ პროცესთა აგზნება-შეკავების, გააქტივებისა და გაწონასწორების მექანიზმები. ტრენაჟორების წყალობით იწრთობა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატი, იზრდება კუნთების მასა, მოცულობა და ძალა. სისხლში იმატებს ერითროციტების რაოდენობა, ერითროციტებში კი — ჰემოგლობინის დონე, რის შედეგადაც ძლიერდება ქსოვილთა ჟანგბადით მომარაგება. ამის შედეგად ჩონჩხის კუნთებში, ტვინსა და გულის კუნთში იზრდება ენერგეტიკულ ნივთიერებათა მარაგი. სისტემატური ვარჯიში ავითარებს სასუნთქი გზების კუნთებს, ზრდის ფილტვების სასიცოცხლო ტევადობას. სუნთქვა იშვიათი და ღრმა ხდება, გულის მუშაობის პირობები უმჯობესდება, შეკუმშვათა სიხშირე რამდენადმე იკლებს, მაგრამ მისი ძალა იმატებს, რაც გულის მუშაობის ეკონომიურ რეჟიმზე მეტყველებს. ტრენაჟორების ეს ეფექტი საყოველთაოდაა ცნობილი, ამიტომაც მათზე მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება.

თუ ტრენაჟორებზე ვარჯიშს გადაწყვეტთ, ზოგი რამ უნდა დაიხსომოთ:

● ივარჯიშეთ მხოლოდ 10-დან 13 საათამდე და 18-დან 21 საათამდე ინტერვალებში. ვარჯიშს ნუ დაიწყებთ, სანამ საუზმიდან 2,5 სთ, სადილიდან კი — 3 სთ მაინც არ გავა.

● საღამოს ვარჯიში დაძინებამდე 2-3 სთ-ით ადრე უნდა დაამთავროთ, რათა ემოციური აგზნება განელდეს და მოსვენება შეძლოთ.

● საკვების მიღება რეკომენდებულია ტრენაჟორზე ვარჯიშიდან 30-45 წთ-ის შემდეგ.

● ნუ ამოიჩემებთ ერთ ტრენაჟორს. წვრთნა და გაკაჟება მრავალმხრივი უნდა იყოს, თანაც უთუოდ უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზმის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ადამიანის ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას.

● ივარჯიშეთ სისტემატურად. დაიხსომეთ: ეფექტს მხოლოდ სისტემატური ფიზიკური დატვირთვა იძლევა. თავდაპირველად, კვირაში მხოლოდ 2-3-ჯერ ივარჯიშეთ. ორგანიზმის შესაძლებლობათა ზრდის კვალობაზე გაზარდეთ ვარჯიშთა რაოდენობა და ინტენსივობაც.

წვრთნის ხანგრძლივობა და დატვირთვის სიმძიმე თანდათანობით უნდა გაზარდოთ. ერთბაშად გადატვირთვა მხოლოდ არასასურველი კი არა, მავნებელიცაა. თუმცა თავის დამზოგავ ვარჯიშსაც არა აქვს აზრი, რადგან გამძლეობა მხოლოდ მაშინ ყალიბდება, როცა კუნთურ დატვირთვას დაღლილობა მოსდევს. თავდაპირველად ფიზიკური დატვირთვით გამოწვეული დაღლილობა უფრო ხშირია და უფრო მწვავეც; სისტემატური, სწორად ორგანიზებული ვარჯიშების შედეგად კი — თანდათან მცირდება.

ტრენაჟორებზე ვარჯიშის შემდეგ სასურველია გრილი შხაპის მიღება და სუფთა ჰაერზე დასვენება. ■



მედიცინის სიახლეები

რომელი წვენია სასარგებლო?

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა ღია ფერის ხილის წვენები. გამოკვლევებმა უჩვენა, რომ თეთრი ყურძნის, აგრეთვე ვაშლის, გრეიპფრუტისა და ფორთოხლის წვენები აუმჯობესებს საკვებიდან რკინის ათვისებას, ხოლო ქლიავის, ალუბლის და წითელი ყურძნის წვენები, პირიქით — აუარესებს ამ პროცესს. მეცნიერები გვირჩევენ, საკვებს ღია ფერის წვენები დავაყოლოთ, ხოლო მუქი ფერისა მივირთვათ ცალკე, დღის განმავლობაში. ■

ახლომხედველობას არასწორად მკურნალობენ

ბრიტანელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მხედველობის არასრული კორექციის გავრცელებული პრაქტიკა, რომელიც, როგორც დღემდე ეგონათ, აფერხებდა ახლომხედველობის პროგრესირებას, სინამდვილეში უკუეფექტს იძლევა. ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკვირდებოდნენ ბავშვებს, რომლებსაც დანიშნული ჰქონდათ სათვალე: ნაწილს — მხედველობის სრული კორექციით, ნაწილს — ნაწილობრივი კორექციით. ორი წლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ მეორე ჯგუფში ახლომხედველობა უფრო სწრაფად პროგრესირებდა. ამ გამოკვლევის შედეგების საფუძველზე, სულ მალე მთელ მსოფლიოში იტყვიან უარს არასრულ კორექციაზე. ■

კვირის (7-13 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: ამ კვირაში თქვენი მეტოქეები გააქტიურდებიან, ფრთხილად იყავით – ნურავის მისცემთ თქვენზე ჭორაობის საბაბს. ეცადეთ, კარგად გაუგოთ ოჯახის წევრებს და აპატიოთ, თუ რომელიმე უნებლიეთ გაწყენინებთ.

მამაკაცი: მოუცლელობის გამო, დასახული გეგმების გადახედვა მოგიწევთ: გადაღლილობის თავიდან ასაცილებლად, მხოლოდ გადაუდებელ საქმეს მოჰკიდეთ ხელი. გირჩევთ აგრეთვე, დახმარებისთვის კოლეგებს მიმართოთ.

ხარი – 21/IV-21/V

ქალი: კვირის დასაწყისში, მინიმუმამდე შეამცირეთ კონტაქტები და ნუ დაგეგმავთ მნიშვნელოვან საქმეებს: თქვენი ემოციური მდგომარეობის გამო შესაძლოა, თავშეკავება ვერ გამოიჩინოთ. უქმეებში გირჩევთ, ბუნების წიაღში გახვიდეთ.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ თამამი ნაბიჯებისგან, მაქსიმალურად კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ. გულისყურით მოეკიდეთ იმ წინადადებებს, რომლებიც კვირის ბოლოსათვის დაგიგროვდებათ: შესაძლოა, ამან წინსვლა მოგიტანოთ.

მარჯვი – 22/V-21/VI

ქალი: ნუ გამოიჩენთ ზედმეტ ეჭვიანობას და ნუ გამოეკიდებით წვრილმანებს, თორემ, შეყვარებულთან ისედაც დაძაბული ურთიერთობა უფრო გაგირთულდებათ. პრობლემების გადასაჭრელად დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ.

მამაკაცი: მოეშვით ინტრიგებს, ამით მხოლოდ დროსა და ენერგიას დაზოგავთ. მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად ახლა სულ ტყუილად გაირჯებით. უმჯობესია, დრო ახალ პროექტზე მუშაობას დაუთმოთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: ეცადეთ, ამ კვირაში ყველა საქმე დაასრულოთ, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტაციასთანაა დაკავშირებული. უარს ნუ იტყვით მეგობრების წინადადებაზე, განსაკუთრებით, თუ ის ბუნების წიაღში გასვლას ითვალისწინებს.

მამაკაცი: ამ კვირაში მოგეცემათ რეალური შანსი, გაიუმჯობესოთ სამსახურებრივი მდგომარეობა. განსაკუთრებული წარმატება შემოქმედებითი პროფესიების წარმომადგენლებს ელით.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: კვირის დასაწყისში, კოლეგის დახმარებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. ოჯახშიც სწორ ნაბიჯს გადადგამთ კონფლიქტის მოსაგვარებლად. უქმეებში აუცილებლად გაისეირნეთ, სასურველია – ოჯახთან ერთად.

მამაკაცი: თავი აარიდეთ უაზრო ხარჯებს. გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, მატერიალური ზარალი არ აგცდებათ. კოლეგებთან ურთიერთობისას, ნუ გააკეთებთ მწვავე განცხადებებს.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ეცადეთ, წარმოაჩინოთ თქვენი შესაძლებლობები სამსახურში: გამოიჩინეთ ინიციატივა, თამამად გამოთქვით საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე. აქტიურობა სათანადოდ დაგიფასდებათ.

მამაკაცი: ეცადეთ, დაასრულოთ წინა კვირას დაწყებული საქმეები. ხელსაყრელი პერიოდია მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შეიძლება, შემოსავლის ახალ წყაროსაც კი მიაგნოთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: საკმაო ძალისხმევის გამოვლენა მოგიწევთ ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად. ყურადღება გამოიჩინეთ უფროსების მიმართ, მაგრამ ნურც ის დაგავიწყდებათ, რომ ზედმეტი მზრუნველობა შესაძლოა, სხვებისთვის გამაღიზიანებელი იყოს.

მამაკაცი: მოვლენებით დატვირთული პერიოდი გელით. შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყოს სამსახურში მიმდინარე ძვრებთან ან თქვენს პირად ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან. უქმეებში გირჩევთ, კარგად დაისვენოთ, რათა სრულად აღიდგინოთ დახარჯული ენერგია.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას. მოსალოდნელია სასიკეთო ცვლილებები პირად ცხოვრებაში – მატება ოჯახში ან მნიშვნელოვანი რომანტიკული შეხვედრა.

მამაკაცი: მნიშვნელოვანი შეხვედრები კვირის მეორე ნახევრისთვის გადადეთ. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება მოლაპარაკება უცხოელ პარტნიორებთან: შესაძლოა, მომგებიან კონტრაქტს მოაწეროთ ხელი.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: ახლა ხანმოკლე ტაიმ-აუტი ნამდვილად არ გაწყენთ, ამიტომ თუ შესაძლობლობა მოგეცემათ, ცოტა დაისვენეთ. უკიდურეს შემთხვევაში, უქმეები მაინც სუფთა ჰაერზე გაატარეთ.

მამაკაცი: მიზანდასახულობის წყალობით, ამ კვირაში ბევრ მნიშვნელოვან საქმეს მოაგვარებთ და საჭირბოროტო პრობლემასაც გადაწყვეტთ. გართულებები არც ოჯახის წევრებთან ან საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას გემუქრებათ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ეცადეთ, ამ კვირაში მშვიდად შეაფასოთ ნებისმიერი მოვლენა. ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს. ხუთშაბათი და პარასკევი ხელსაყრელი დღეებია ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად. უქმეებში ნათესავები მოინახულეთ.

მამაკაცი: თუ აუცილებლობა არ არის, ნუ იკისრებთ მნიშვნელოვან ვალდებულებას. საერთოდ, დაზოგეთ ძალები და შემლებისდაგვარად, ნუ გაირთულებთ ცხოვრებას. ეცადეთ, ცხოვრების მშვიდი რიტმი შეინარჩუნოთ და უქმეებიც შინ გაატაროთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ მოჰკიდებთ ხელს. უპირატესობა ყველაზე მნიშვნელოვანს მიანიჭეთ. ამავე დროს, ნუ იტყვით უარს გართობაზე, განსაკუთრებით წვეულებებზე, სადაც შესაძლოა, საინტერესო ადამიანს შეხვდეთ.

მამაკაცი: თუ ბოლო დროს ხშირად ფიქრობთ სამსახურის შეცვლაზე ან შემოსავლის დამატებითი წყაროს მოძებნაზე, გირჩევთ, ეს საზრუნავი დროებით გადადოთ. ამ კვირაში, სარფიან საქმიან წინადადებას მიიღებთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: კვირის პირველ ნახევარში შეზღუდეთ კონტაქტები: ადამიანებთან აქტიური ურთიერთობა ზედმეტად დაგღლით და შეიძლება, გაღიზიანების საფუძველიც გახდეს. უქმეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

მამაკაცი: ნუ იქნებით ზედმეტად გულახდილი და ნუ გაანდობთ ყველას საკუთარ გეგმებს. შეიძლება, ფორტუნამ გიღალატოთ. ასეთ შემთხვევაში, მოშურნეები დროს იხელთებენ და თქვენი უნიათობის დამტკიცებას შეეცდებიან.



ჯენტლმენური აღიარებების მოსწრებული ჯენტლმენთქვამები

ვისი წარმატებაა?

შიკანედერი, „ჯადოსნური ფლეიტის“ ლიბრეტოს ავტორი, საშუალო ნიჭის პოეტი იყო, მაგრამ მეტისმეტად ამპარტავანი კაცი გახლდათ. როცა ოპერის წარმატების შემდეგ მიეპირფერნენ, მან ქედმაღლურად განაცხადა:

— ოპერას უფრო მეტი წარმატება ექნებოდა, მოცარტს ტექსტში ასე ბევრი რამ რომ არ წაეხდინა.

ინდივიდუალური მიდგომა

ახალგაზრდა ასისტენტმა თავის პროფესორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ სტივენსონს ჰკითხა:

— მითხარით, სერ, რატომ ეკითხებით ხოლმე ასე დაწვრილებით თითოეულ პაციენტს, თუ რას ჭამს მთელი დღის განმავლობაში. ნუთუ ეს ასე მნიშვნელოვანია დიაგნოზის დასადგენად?

— არა, ჩემო კეთილო, ეს მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ ვიზიტში რამდენი უნდა გამოვართვა.

დახვეწილი გემოვნების მსხვერპლი

საგასტროლოდ ახლო აღმოსავლეთში გამგზავრებული ინგლისელი პიანისტი მოულოდნელად უკანვე საშშობლოში დაბრუნდა და დირიჟორ ბიჩემს ახსნა-განმარტება მისცა:

— იმიტომ დავბრუნდი, რომ არაბებმა ორჯერ დამიშინეს ტყვია.

— რას ამბობ? — გაოცდა ბიჩემი. — მე ვერასოდეს ვივარაუდებდი, რომ არაბები ეგრე კარგად ერკვევიან მუსიკაში!

ანეკდოტები

***

— შვილო, — ჩურჩულით ეუბნება მამა შვილს, — ეს კოჭლი და ბრუციანი ქალი რამ მოგაყვანინა?

— ნუ გეში მამი... ხმამაღლა თქვი, ყურში მაინც არ ესმის...

***

ცოლი ქმარს უყვირის:

— რატომ გაქვს ლოყაზე წითელი პომადა?!

— პომადა კი არა, სისხლია... სადარბაზოში დამხვდნენ... რკინა თავში ჩამარტყეს და ... გამძარცვეს...

— კიდევ კარგი, თორემ ვერ გადამირჩებოდი, — მშვიდდება ცოლი.

***

ქუთეისში ჩამოცხა.

— რაია, ბიძაჩემო, აი „მაროუნს“ არც ნაღები აქვენ და არც ქიშმიში?!

— ცივი როა, ბიძია, იმაზე თქვი მადლობა.

***

შაქრო მამას ეკითხება:

— მამიი... იგავი რა არის?

— იგავი?.. ჯოო... ესა, ბიჭო, აი... როცა ცხოველები... მაგალითად, ღორი და ვირი, ერთმანეთში ისე ლაპარაკობენ, როგორც ახლა მე და შენა...

***

პატარა კოტე და ჟუჟუნა ჟურნალ „ცხოველთა სამყაროს“ ჩაჰკირკიტებენ.

— კოტიკ, ბებიაშენი მდედრია?

— კი.

— აბა, ვკითხოთ... ბები, შვილის გაჩენა შეგიძლია?

— არა...

— მამალი ყოფილა...

***

მიდის კაცი ჭიშკართან და აკაკუნებს. არავინ პასუხობს. ის კი აკაკუნებს და აკაკუნებს. უცებ ხედავს, მორბის ძაღლი. შეშინებული კაცი თვალებს ხუჭავს. უცებ ესმის ძაღლის ხმა:

— რას აკაკუნებ და აკაკუნებ, ვერ ხედავ, რომ სახლში არავინაა?

კაცს გული მისდის... ცოტა ხანში გრძნობაზე მოდის, თვალებს ახელს და ხედავს, ისევ ის ძაღლი ადგას თავზე და ეკითხება:

— რა მოგივიდა... შე გაჭირვებულოო?..

— შენ რა, ყეფა არ იცი?.. — ეკითხება ღონემიხდილი კაცი.

— ვიცი, მაგრამ შენი შეშინება არ მინდოდა.

***

— რუსული იცი? — ეკითხებიან სვანს მისაღებ გამოცდაზე.

— წყალივით.

— როგორ იქნება რუსულად „ლამპოჩკა“?

— ნოჩურა — ამყად პასუხობს სვანი.

***

პოლიციელი ნარკომანების ბინაში მივიდა.

— ვაა... ჩემი... ტოო... რამ შეგაწუხათ, უფროსო? — ეკითხება ნარკომანი ბიჭიკია.

— მეზობლები გიჩივიან, შენ და ელგუჯას... ჩეიკეტებიან ბინაში, ჩვრებს წვავენ და იცინიანო...

— ჰო, რა... პრინციპში ეგრეა, უფროსო... ჩვრებს ვწვავთ და ვიცინით...

***

დიალოგი მაღაზიაში:

— ქალბატონო, ეს კაბა ისე გიხდებათ, აუცილებლად უნდა შეიძინოთ, — ურჩევს მყიდველს ენამოსწრებული გამყიდველი, — მოდის უკანასკნელი ყვირილია სწორედ...

— ჰო, მაგრამ... — ყოყმანობს ქალი, — მეშინია, მოდის ამ ყვირილს ჩემი ქმრის უკანასკნელი ყვირილი არ მოჰყვეს...

***

კაცს ტყეში გზა აებნა. შეშინებული დარბის აქეთ-იქით და ყვირის:

— აუუუ!.. ესმის ჩემი ვინმეს?!. აუუუ!..

გავიდა ერთი საათი... ორი... ხუთი... ათი. შეშინებული კაცი არ ჩუმდება. ბოლოს, ბუნაგიდან გამოდის დათვი და ეკითხება:

— მე მესმის, ძმაო... მოგეშვა გულზე?..

როგორია თქვენი საკომუნიკაციო კონტროლის დონე

ეს ტესტი საშუალებას მოგცემთ გაარკვიოთ, თუ სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას რამდენად აკონტროლებთ საკუთარ თავს. მაღალი საკომუნიკაციო კონტროლის მქონე ადამიანები გამუდმებით თვალყურს ადევნებენ საკუთარ ქცევას. მათთვის კარგადაა ცნობილი, თუ სად როგორ უნდა მოიქცნენ და ემოციების კონტროლიც ძალუძთ. სამაგიეროდ, ისინი თვითგამოხატვის სპონტანურობის უნარს არინ მოკლებულნი, არაპროგნოზირებადი სიტუაციები განსაკუთრებულად აღიზიანებთ და სიტუაციისდა მიხედვით, პოზიციასაც იოლად იცვლიან. დაბალი საკომუნიკაციო კონტროლის მქონე ადამიანები ურთიერთობისას უფრო უშუალოები და გულახდილები არიან. ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში გამოკვეთილად მტკიცე პოზიცია აქვთ და სიტუაციისდა მიხედვით, თითქმის არასდროს იცვლიან პოზიციას.

ყურადღებით გაეცანით ქვემოთ მოცემულ მოსაზრებებს, რომლებშიც ამა თუ იმ სიტუაციაზე ადამიანის რეაქციაა აღწერილი. ყოველი მათგანი შეაფასეთ, როგორც თქვენთვის მისაღები ან მიუღებელი. თუკი სიტუაცია თქვენთვის მისაღები ან შედარებით მისაღებია, შემოხაზეთ პასუხი — „ვეთანხმები"; ხოლო თუკი მოცემული სიტუაცია თქვენთვის მიუღებელია ან შედარებით მიუღებელი, შემოხაზეთ — „არ ვეთანხმები".

1) ჩემთვის საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული სხვა ადამიანების ჩვევებისთვის მიბაძვა და მათთან შეგუება.
ა) ვეთანხმები — 1.
ბ) არ ვეთანხმები — 0.

2) ყურადღების მისაქცევად ან ირგვლივმყოფთა გასამხიარულებლად, სულ იოლად შემიძლია, რომ რაიმე სისულელე გავაკეთო.
ა) ვეთანხმები — 0;
ბ) არ ვეთანხმები — 1.

3) მიმაჩნია, რომ ჩემგან მშვენიერი მსახიობი დადგებოდა.
ა) ვეთანხმები — 0;
ბ) არ ვეთანხმები — 1;

4) ხშირად სხვებს ეჩვენებათ, რომ რაღაცას იმაზე მეტად განვიცდი, ვიდრე ეს სინამდვილეშია.
ა) ვეთანხმები — 0;
ბ) არ ვეთანხმები — 1.

5) წვეულებებსა თუ სხვა სახის თავყრილობებზე, ყურადღების ცენტრში იშვიათად ვექცევი ხოლმე.
ა) ვეთანხმები — 1;
ბ) არ ვეთანხმები — 0.

6) განსხვავებულ სიტუაციებში სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობისას სრულიად სხვადასხვანაირად ვიქცევი.
ა) ვეთანხმები — 0;
ბ) არ ვეთანხმები — 1.

7) დაბეჯითებით მხოლოდ იმის მტკიცება შემიძლია, რისიც გულწრფელად მჯერა.
ა) ვეთანხმები — 1;
ბ) არ ვეთანხმები — 0.

8) ვცდილობ, მოვიქცე ისე, როგორ ქცევასაც ჩემგან ირგვლივმყოფები ელიან, რათა ურთიერთობებსა და საქმეში წარმატებას მივაღწიო.
ა) ვეთანხმები — 0;
ბ) არ ვეთანხმები — 1.

9) შემიძლია, საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა ვიქონიო ისეთ ადამიანთანაც კი, რომელსაც ვერ ვიტან.
ა) ვეთანხმები — 0;
ბ) არ ვეთანხმები — 1.

10) ყოველთვის ისეთი როდი ვარ, როგორადაც ხალხს თავს ვაჩვენებ ხოლმე.
ა) ვეთანხმები — 0;
ბ) არ ვეთანხმები — 1.

დაანგამეთ ქულები

0-3 ქულა: თქვენ დაბალი საკომუნიკაციო კონტროლის მქონე ადამიანი ხართ. ნებისმიერ მომენტში საკმაოდ მყარი პოზიცია გაქვთ ხოლმე და სიტუაციისდა მიხედვით, პოზიციისა თუ აზრის შეცვლას საჭიროდ არ მიიჩნევთ. ამა თუ იმ ადამიანთან ურთიერთობისას თქვენ ბოლომდე შეგიძლიათ საკუთარი სათქმელის თქმა. ზოგიერთები აღნიშნავენ, რომ თქვენთან ურთიერთობა უხერხულობას უქმნით; ამის მიზეზი კი, თქვენი მეტისმეტი პირდაპირობაა.

4-6 ქულა: თქვენ საშუალო საკომუნიკაციო კონტროლის მქონე ადამიანი ბრძანდებით. საოცარი გულწრფელობა გახასიათებთ, მაგრამ თავშეკავებულად გამოხატავთ ემოციებს. მიგაჩნიათ, რომ ადამიანმა ამა თუ იმ ქმედებისას ანგარიში უნდა გაუწიოს ირგვლივმყოფთა აზრს.

7-10 ქულა: თქვენ მაღალი საკომუნიკაციო კონტროლის მქონე ადამიანი ხართ. სრულიად იოლად ირგებთ ნებისმიერ როლს და სიტუაციის ცვალებადობაზე მოქნილად რეაგირებთ. თქვენ შესანიშნავად გრძნობთ სიტუაციას და იმის განჭვრეტის უნარიც გაქვთ, თუ ვისზე რა შთაბეჭდილებას მოახდენთ.

უკრაინელმა მშვიდობისმყოფელმა გერმანული ნაგაზი გადაარჩინა

ლიბანში უკრაინელმა სტომატოლოგმა ფრანგული სამხედრო კონტინგენტის გერმანული ნაგაზი სიკვდილისგან იხსნა.

წელიწად-ნახევრის ძაღლმა – სახელად სტანმა, საწვრთნელი ვარჯიშის დროს კბილი მოიტეხა. ტრავმა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ საბრალო ძაღლს 4 დღის განმავლობაში არც ჭამა-სმა შეეძლო და არც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება.

ინსტრუქციის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, ძაღლს წამლავენ, მის პატრონს კი უკან – სამშობლოში გაიწვევენ ხოლმე.

მეგობრის კარიერისა და მისი ოთხფეხა მეგობრის სიცოცხლის გადასარჩენად, ფრანგმა სამხედროებმა სამედიცინო სამსახურის კაპიტანს, უკრაინელ სტომატოლოგს – სერგეი სიდორუკს მიმართეს. ექიმმა სტანს ოპერაცია გაუკეთა, გატეხილი კბილი აღუდგინა და ფოტოპოლიმერითაც დაუფარა.

სერგეი სიდორუკი უკვე 10 თვეა ლიბანში მსახურობს. ამ პერიოდის მანძილზე მან სტომატოლოგიური დახმარება 800 პაციენტზე მეტს აღმოუჩინა. ■

საბავშვო ბაღში სათამაშოები აკრძალეს

გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში, ბავშვებს სათამაშოებით თამაში აუკრძალეს: ბაღის აღმზრდელებმა, ყველა სათამაშო შეფუთეს და ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას შეინახეს. მათ მიაჩნიათ, რომ – „პატარები ძალიან ცოტა დროს უთმობენ ერთმანეთს – პრაქტიკულად არ ურთიერთობენ. სათამაშოების გარეშე კი მოსწყინდებათ და იძულებულნი გახდებიან, ერთად ითამაშონ.“

საბავშვო ბაღის ადმინისტრაციას იმედი აქვს, რომ ეს სიახლე აღსაზრდელებს კრიზისული სიტუაციების დაძლევასა და კონფლიქტებთან გამკლავებაში დაეხმარება. „ზოგიერთი ბავშვი უწინდებურად აგრესიული და საკუთარ თავში ჩაკეტილია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სიტუაცია გამოსწორდება“, – განაცხადა ადმინისტრატორმა.

პატარებს კი, სათამაშოებთან მიახლოება კიდევ ერთი თვით ეკრძალებათ. ■

ჩინელმა 120 ცოცხალი ბაყაყი შეჭამა



ჩინეთის მოქალაქე, სახელად ჩენი, რომელიც კისრის მალების ტკივილისგან იტანჯებოდა, სახალხო მკურნალის რეცეპტს კინაღამ ემსხვერპლა. „ექიმის“ დანიშნულების მიხედვით, ის დღეში 6 ცალ ცოცხალ ბაყაყს ჭამდა. საბოლოო ჯამში, პაციენტის ორგანიზმში მოხვედრილმა პარაზიტებმა, მისი ტვინი პრაქტიკულად ცოცხლად შეჭამეს.

ავადმყოფის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. მიუხედავად ამისა, ერთგული პაციენტი გულმოდგინედ აგრძელებდა „წამლის“ მიღებას. მკურნალობის მთელი კურსის – 20 დღის მანძილზე ჩენმა 120 ამფიბია გადასანსლა.



ექიმებმა, რომლებმაც ავადმყოფის მდგომარეობა გამოიკვლიეს, დაადგინეს, რომ პარაზიტებმა მას ტვინის სტრუქტურა დაურღვიეს.

ჩინელი ამჟამად ცოცხალია და მკურნალის სახელზე სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. ■

63 წლის იაპონელი მთამსვლელი ქალი დაშვებისას დაიღუპა

63 წლის იაპონელი ქალი, რომელმაც ევერესტი დაიპყრო, დაშვებისას დაიღუპა.

სიოკო ოტამ ორ პარტნიორთან ერთად წარმატებით დაასრულა 8848-მეტრიან სიმაღლეზე ასვლა. თუმცა დაშვებისას, დაახლოებით 8,5 კმ სიმაღლეზე, ფეხი დაუსხლტა, მწვერვალს მოსწყდა და ბაგირს ჩამოეკიდა.

მისმა თანამგზავრებმა კომპანიაში დარეკეს და აუწყეს, რომ ქალი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

ხანდაზმულ იაპონელებს შორის ბევრია ალპინიზმის მოყვარული. ახლახან, 65 წლის პენსიონერმა ქალმა – ტამაე ვატანაბემ ჰიმალაის 8516-მეტრიანი მწვრვალი ლოტსე დაიპყრო, რომელიც სიმაღლით მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა. ორი წლის წინ კი მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ტამაე ვატანაბე ყველაზე ხანდაზმული ქალია, რომელმაც ევერესტი დაიპყრო. ■

ფოტოკუჩიოზები

უკვე გაყიდვაშია

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

„კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. №1. ივნისი. 2004. ფასი 1,5 ლარი

აფხაზეთი

ყველაზე სერიოზული გამოცდა

„მფრინავი მორიელი"

ანუ „სკორპიონი" ქართულად

ჩეჩნეთი

სინდისი, ღირსება, ვაჟკაცობა და... გაუნათლებლობა?

კრწანისის საბჭოსწერილი

ცოდან ჩამოვარდნილი პრეზიდენტები

ივნისის ნომერში იხილეთ:

3 პოსტერი

რა შეიარაღება აქვთ აფხაზ სეპარატისტებს

ძალი, რომელიც ადამიანურ პირობებს არ ეგუება

ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

გადარჩენის სკოლა

შენიღბვა ხელოვნებაა

ცხოვრების წესი XI–XIII საუკუნეებში ევროპაში რაინდული სული ზეობდა

42 SUMMER

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის